შალვა ღლონტი

# ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა



აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობა
სოხუმი — 1961

შრომა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა“ წარმოადგენს რუსთველის პოემის მხატვრული ენის სპეციფიკის დადგენის ცდას ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე. ნაშრომში მიმოხილულია რუსთველის პოეტიკისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოკვლევები, ზოგადად გარკვეულია მხატვრული ენის სპეციფიკის ანალიზის პრინციპები, კონკრეტულადაა შედარებული „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკური შემადგენლობა, ნაწარმოების მხატვრული ენის მასალობრივი და სტრუქტურულ-ფუნქციური მხარეები მის წინამორბედ და თანამედროვე ქართული მწერლობის ძეგლებთან და ამ ნიადაგზე გამოვლინებულია ის ენობრივი მემკვიდრეობა, რასაც ემყარებოდა რუსთველი და ის სპეციფიკური ნიშნები, რაც საკუთრივ „ვეფხისტყაოსნისათვისაა“ დამახასიათებელი.

*И так, слово под пером и кистью Руставели сделалось сильным и могучим. Могущество этого слова произвело то, что имя Руставели в грузинской литературе есть не имя поэта, а имя поэзии.*

*Пл. Иоселиани.*

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

სიტყვაკაზმული მწერლობის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს მხატვრული ენა წარმოადგენს. სწორედ მისი მეშვეობით ღებულობს მხატვრული აზროვნება გარკვეულობასა და გამომსახველობითს ძალას. მხატვრული ენა ისევე აუცილებელია პოეტური აზროვნებისათვის, როგორც სიტყვა—ცნებათა გამოსახატავად. აქედან უშუალოდ გამომდინარეობს მისი უდიდესი მნიშვნელობა მწერლის მხატვრული შემოქმედების თავისებურებათა გამოვლენის, მათი მეცნიერული საფუძვლიანობით გაშუქებისათვის.

მხატვრულ ენას, განსხვავებით ენისაგან, როგორც ენათმეცნიერების შესწავლის ობიექტისაგან, თავისი შინაგანი კანონზომიერება აქვს... და თუმცა მხატვრულ ნაწარმოებთა დახასიათებას გრამატიკულ-სემასიოლოგიური და ფონეტიკური თვალსაზრისით ხშირად მწერლის პოეტური ენის ანალიზად მიიჩნევენ, ჩვენ მაინც გვგონია, რომ ამგვარი შეხედულება ჭეშმარიტებას დიდად დაშორებულია. ენათმეცნიერული აზროვნება წარმოუდგენელიც იქნებოდა, რომ მას ენის გრამატიკული სისტემის გასათვალისწინებლად ლიტერატურული ძეგლები არ გამოეყენებინა. ენის წერილობითი ძეგლები, ცოცხალ მეტყველებასთან ერთად, საიმედო წყაროს წარმოადგენს ლინგვისტური კვლევა-ძიებისათვის. იყენებს რა ამ წყაროს საკუთარი ამოცანებისათვის, არც ერთ ენათმეცნიერს აზრადაც არ მოუვა, რომ მხატვრული ენის სპეციფიკა გაარკვიოს გრამატიკული თვალსაზრისით... და თუ ვინმე ამას შეეცდებოდა, მას საკვლევით უნდა გამოერიცხა მხატვრული ენის შინაგანი სპეციფიკა, მისი როლი პოეტური აზროვნების ფორმირების პროცესში. ამ გზას კი არავინ დაადგება, ვისაც თავისი საქმე ნამდვილად ესმის.

აზროვნების რა ფორმაც არ უნდა ავიღოთ, ენის გრამატიკული წყობის საერთო კანონზომიერებას ემორჩილება. მის ნორმებს არ უგულებელყოფს მხატვრული აზროვნებაც. მაგრამ ამით არ ამოიწურება ყველაფერი. პოეტური აზროვნება არ არსებობს მხატვრული სახის გარეშე. მხატვრული სახე კი ყოველთვის როდი ემთხვევა ყოველდღიური მეტყველების ნორმებს. ეს რომ ასე იყოს, მწერლისათვის მიუღწეველი იქნებოდა პოეტური ფრაზეოლოგიის, სინონიმიკის, მეტაფორებისა და მხატვრული გამოსახვის სხვა საშუალებათა შექმნა. სამწუხაროდ ამ გარემოებას ხშირად ივიწყებენ.

პოეტური ნაწარმოების ენათმეცნიერული თვალსაზრისით დახასიათებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს მისი უკეთ გაგებისათვის. მაგრამ მხატვრული ენის სპეციფიკის გამოელენისათვის ამგვარი ანალიზი განმსაზღვრელი მნიშვნელობისად მაინც არ მიიჩნევა.

აქ მეორე უკიდურესობაც იჩენს თავს.

მწერლის შემოქმედების ანალიზისას მთელი ყურადღება იდეურ-თემატიკურ მომენტზეა მიპყრობილი; მხატვრული მხარე კი, რომელშიც პოეტური გააზრება თავის სრულყოფას აღწევს, უყურადღებოდ რჩება. მხატვრული ნაწარმოების ამ თვალსაზრისით გაშუქება, ზოგიერთის აზრით, რაღაც ვიწრო მეცნიერულ მუშაობადაა მიჩნეული.

ლიტერატურული შემოქმედების ანალიზი არათუ უნდა იყოს მეცნიერული; იგი არც შეიძლება სხვა ხასიათისა იყოს. მხატვრული ენის სპეციფიკის გარკვევა, ისე როგორც მწერლის იდეური მიმართულების ანალიზი, მეცნიერულ საზომს საჭიროებს და აუცილებელია საანალიზო კრიტერიუმი თვით საკვლევი ობიექტის შინაგანი ბუნებით იყოს ნაკარნახევი.

შემოქმედის ინდივიდუალობა მწერლის პოეტური ენის თავისებურებაში ჩანს არსებითად; ამიტომ მხატვრული მეტყველების პრობლემა ლიტერატურათმცოდნეობის სფეროს განეკუთვნება. ლიტერატურის მონათესავე დარგთა მიერ მწერლის ენის ანალიზის შედეგად მოპოვებული დასკვნების გათვალისწინებით ლიტერატურათმცოდნეებმა საჭიროა გამოავლინონ ის ძირითადი კანონზომიერებანი, რაც საკუთრივ მხატვრული ენისათვისაა ნიშანდობლივი. მწერლის მხატვრული ენის სპეციფიკის გარკვევა გულისხმობს იმის აღნიშვნას, თუ რა ესთეტიკური, სტილური, ექსპრესიული ფუნქცია აკისრია გამოსახვის ხერხებს, შემოქმედისა და პერსონაჟის სიტყვას, გამოთქმებს, თხრობის მანერას, რამდენად მკრთებულად და მოხდენილადაა ისინი გამოყენებული ნაწარმოების თემის გაშუქებისა და იდეის გამოვლენისათვის, მხატვრული ოსტატობის სრულყოფისათვის, ადამიანთა ხასიათის, განწყობილებისა და მისწრაფებათა გადმოსაცემად.

როცა მწერლის შემოქმედების მხატვრულ მხარეს ეხებიან, კმაყოფილდებიან მხოლოდ იმის აღნიშვნით, თუ რა ხერხებს მიმართავს ესა თუ ის ავტორი. მაგრამ ეს არაა არსებითი. პოეტური სიტყვის შემოქმედი მხატვრულ ხერხებს მიმართავდა და ამ გზით სახეებს ქმნიდა ოდითგანვე. მაგრამ ერთი და იგივე მხატვრული ხერხი სხვადასხვა მწერლის შემოქმედებითს პრაქტიკაში განსხვავებული ნიუანსების მატარებელი იყო ისტორიულად. საქმე ის კი არაა, რა გამომსახველობითს ხერხებს იყენებს მწერალი. მთავარია,

რა აზრით და როგორ იყენებს მათ, როგორ და რა მასალის საფუძველზე, რა პრინციპის მიხედვით აგებს მხატვრულ სახეს, როგორია მისი იდეური და მასალობრივ-სტრუქტურული მხარე. ამისდა მიხედვით ერთი და იგივე სტილური ნიშანი შეიძლება დიფერენცირებული სახით წარმოგვიდგეს სხვადასხვა მწერლის შემოქმედებაში. მხატვრული ენის ზოგადი კანონზომიერებანი აპრიორულად ვერ დადგინდება. მხატვრული ლიტერატურა იმდენად თავისებურია და მრავალსახოვანი, რომ მის სპეციფიკურ შინაარსს ვერ ამოწურავს წინასწარ შემუშავებული ზოგადი ხასიათის თვალსაზრისი. სწორედ ამიტომ საჭიროა მწერლის გამომსახველობით საშუალებათა **კონკრეტული ანალიზი.** მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით შეიძლება მივიდეთ ფართო თეორიულ განზოგადებებამდე.

მხატვრული შემოქმედების პროცესის ისტორიის გათვალისწინებისა და თანამედროვეობასთან მისი მიმართების გარკვევის თვალსაზრისით აუცილებელია პოეტური ენის თავისებურებათა შესწავლა ლიტერატურის ისტორიის ადრინდელი ეტაპიდან დავიწყოთ. იგი დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ რა იყო სპეციფიკური ამ მხრივ ძველი პერიოდისათვის, რა ტრადიციები დაამკვიდრა და გადმოსცა მან შემდგომ თაობებს, როგორ განავითარეს ისინი მომდევნო ეპოქის ლიტერატურულმა მიმდინარეობებმა და რა ნიშნებით განსხვავდება მათი მონაპოვრები წინამორბედთაგან შექმნილი მემკვიდრეობისაგან.

ამ მხრივ დიდ კვლევითს ინტერესს იწვევს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა. მისი მეცნიერული თვალსაზრისით გადაწყვეტა ქართველი ხალხის უმშვენიერესი პოეტური საგალობლის ესთეტიკურ ღირებულებასაც გაგვირკვევს და მომდევნო ეპოქათა ლიტერატურის გამოჩენილ ოსტატთა მხატვრული შემოქმედების სპეციფიკის ობიექტურად გაგებასაც შეგვაძლებინებს. ამდენად „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის თავისებურებათა პრობლემა არ იზღუდება ძველი ქართული მწერლობის ფარგლებით. იგი მხატვრული ენის სპეციფიკის კანონზომიერებათა დადგენაშიც გვეხმარება და წარმოადგენს მკვიდრ საფუძველს ქართული პოეტური აზროვნების პრობლემების ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით გადაჭრისათვის.

რუსთველის პოეზია კარგა ხანია იპყრობს მეცნიერებისა და შემოქმედებითი დარგების მუშაკთა კვლევითს ინტერესს. მისი მხატვრული ენის თავისებურებებთან დაკავშირებით ბევრი საყურადღებო მოსაზრება გამოთქმულა და ბევრიც — სავავალო და საანგდოტო. ამ შეხედულებათა სისტემატიზაციის თვალსაზრისით საჭიროა მათი კრიტიკული მიმოხილვა.

აუცილებელია გაირკვეს, თუ რა საკითხები შეიძლება შევიდეს მხატვრული ენის პრობლემატიკაში. აქვე უნდა გადაწყდეს ისიც, თუ რა თვალსაზრისით განვიხილოთ ისინი.

ყოველივე ამას მოჰყვება რუსთველისა და მისი წინამორბედი მწერლების მხატვრული ენის შედარებითი ანალიზი, რომლის მიზანია „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური მეტყველების სპეციფიკური ნიშნების წარმოჩენა-დადგენა.

# 1

## საკითხის ისტორიიდან

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკის შესახებ მონოგრაფიული ხასიათის შრომა დღემდის არა გვაქვს; მაგრამ ორნახევარი საუკუნის განმავლობაში რუსთველის შემოქმედების სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებით ან მისი ენის რომელიმე სპეციალურ საკითხზე მსჯელობისას პოეტური მეტყველების არა ერთი თავისებურება გარკვეულა. როცა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის პრობლემაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ რუსთველის პოემასთან დაკავშირებული ლექსიკოლოგიური ხასიათის ძიებებს. მართალია, ეს ძიებანი უშუალოდ მწერლის პოეტური ენის თავისებურებათა გარკვევას არ ისახავდა მიზნად, მაგრამ ამ მხრივ სწორად წარმართული კვლევა აუცილებელ პირობას წარმოადგენდა დიდებული მგოსნის მხატვრული აზროვნების გამოსავლინებლად.

პირველი ქართველი რუსთველოლოგი, რომელიც შეეცადა შეედგინა სპეციალური ლექსიკონი „ვეფხისტყაოსანში“ ნახმარ ძნელად გასაგებ სიტყვათა ახსნა-განმარტების მიზნით, იყო ვახტანგ VI, 1712 წელს რუსთველის პოემის გამომცემელი და კომენტატორი. მართალია, მას არ განუმარტავს მაჯამები, გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვები და გაზმნაებული სახელები, მაგრამ ვახტანგის მიერ გაწეულ ლექსიკოლოგიურ მუშაობას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ შემდგომი კვლევა-ძიების სწორად წარმართვისათვის. სამართლიანად წერდა ა. შანიძე: „ლექსიკონი იმ სახით, როგორც ეს ამჟამად გვესმის, ვახტანგს ვეფხისტყაოსნისათვის არ გაუკეთებია, მაგრამ თავის „თარგმანში“ შეუტანია პოემის მრავალი ძნელად გასაგები სიტყვის ახსნა-განმარტება. ეს ახსნა-განმარტება სიტყვებისა წარმოადგენს ცდას სპეციალური ლექსიკონის შედგენისას. ეს ცდა, უთუოდ, მეტად მნიშვნელოვანია თავისი შედეგით“[1].

გავიდა საუკუნეზე მეტი და „ვეფხისტყაოსნის“ ენას სპეციალურად არავინ შეხებია. 1841 წელს ქართული ლიტერატურის დაუღალავი მკვლევარი მარი ბროსე მოკრძალებით წერდა:

---

[1] ვეფხის ტყაოსანი ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, ტფილისს, 1937, გვ. 367.

„უადგილოა ჩენგან ქება რუსთაველისა, რეცა ქართველის მწერლისა. რუსთაველი ასეთი მცოდნე იყო ქართული ენისა, რომ მისი სწორი აქომამდე არ გამოჩენილა“[1].

მ. ბროსემ დ. ჩუბინაშვილსა და ზ. ფალავანდიშვილთან ერთად გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“ დაურთო ლექსიკონი, რომელშიც გამოვლენილია ძველებური ხმნები და არის ცდა ძველების მნიშვნელობათა გახსნისა (გვ. 228).

ლექსიკონი საინტერესოა პოეტიკის თვალსაზრისითაც: რიგი სიტყვები ახსნილია მხატვრული ფუნქციის მიხედვით. განსაკუთრებითაა ყურადღება გამახვილებული მეტაფორებზე; მაგალითად:

ბროლის ველი, მეტ. ღაწვნი; ბროლის წვიმა, ცრემლი (გვ. 226).

გიშერი, მეტ. წამწამი (გვ. 227).

ვარდ-გიშერი, მეტ. ღაწვი და თვალები (გვ. 229).

ვარდი, მეტ. ღაწვი, ლოყა (გვ. 229).

კალამი, მეტ. ტანი (გვ. 230).

ლახვარი, მეტ. წამწამი (გვ. 231).

ნარგიზი, მეტ. თვალი, 426 (გვ. 233).

მ. ბროსეს ცდები „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური ენის საკითხების წინ წამოწევისა რუსთველის მხატვრული აზროვნების გაშუქების თვალსაზრისით უდავოდ საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს.

მაგრამ მკვლევარი ცდებოდა, როცა რუსთველისეულ პოეტურ პარალელიზმებს („მუნ ვაჭარმან ოქროს ფასად ცხენი **მისცა, არ უძღვანა**“, „იგი შვება საუკუნოს **ცხადად პოვეს, არ იოცნეს**“...) განმეორებად თვლიდა და ამასთან დაკავშირებით შენიშნავდა: „არ შეიძლება რომ არ მოვახსენო ნაკლულევანება ერთი რუსთაველის შაირებისა: მრავალჯერ რითმისათვის განამეორებს ერთის აზრის მნიშვნელთ სიტყვებთა, და ამგვარი გაგრძელება შაირებისა უშესაბამოა“[2].

პოემის ენის საკითხს 1842 წელს გაკვრით შეეხო დავით ჩუბინაშვილი. იგი კონკრეტული ანალიზის გარეშე, წინასწარ შემუშავებული აზრის გავლენით ავტორიტეტული ტონით წერდა: „ვიხილავთ რა რუსთაველის პოემის ენას, მასში ყოველ ნაბიჯზე ვპოულობთ აღმოსავლურ ლიტერატურასთან, უპირატესად კი

---

[1] ვეფხვისტყაოსანი რუსულად Барсова кожа პოემა დაწერილი შოთა რუსთველის მიერ. ახლად დაბეჭდილი შეერთებულითა ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა სანკტ-პეტერბურღის სტანბაში სახელმწიფო* აკადემიის მეცნიერებათა, 1841, ბროსსეტ-ის წინასიტყვაობა, გვ. 10.

[2] იქვე.

* აქ და ზოგ ძველ ქართულ ტექსტში, სადაც ხარია საჭირო, ეს უკანასკნელი ყველგან ხანით გვაქვს შეცვლილი ასოს უქონლობის გამო.

„ათას ერთი ღამის მოთხრობებთან“ მსგავსების ნიშნებს. ისეთივე გადაჭარბებული სიშმაგე, ისეთივე ჰიპერბოლური გამოთქმები..... ისეთივე ეპითეტები, უცნაური ევროპელის წარმოსახვისათვის. მზე, მთვარე, ლომი თამაშობენ ნაცვალსახელთა როლს“[1].

როცა მკვლევარი ორი ქვეყნის ლიტერატურას შორის პარალელს ავლებდა და მათს მსგავსებას აღნიშნავდა, საჭირო იყო იმის გათვალისწინებაც, თუ რა ენობრივი მასალის გამოყენებით და სტრუქტურული მხრივ რა პრინციპის მიხედვით გადმოსცემდა რუსთველი თავის გმირთა გადაჭარბებულ სიშმაგეს და აგებდა ჰიპერბოლებს. ესაა არსებითი ნაწარმოების მხატვრული ენის ანალიზისას. მზე, მთვარე და ლომი, როგორც ნაცვალსახელები პერსონაჟებისა, არ შეიძლება მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნის ლიტერატურის კუთვნილებად მივიჩნიოთ. მზე და მთვარე, როგორც სამყაროს შუქმფენი მნათობები, და ლომი, როგორც ფიზიკური ძალისა და რაინდული სულის გამოხატულება, რუსთველს აღმოსავლური პოეზიის დამოუკიდებლადაც შეეძლო გამოეყენებინა თავისი გმირების დასახასიათებლად. აქ არაფერია მოულოდნელი.

დ. ჩუბინაშვილის აზრით, რუსთველის პოემას ნაკლოვანებანიც ახასიათებს: „განსაკუთრებით თავისი ნაწარმოების დასასრულის წინ პოეტი როგორღაც დაქანცული გვეელინება. შეიძლება ისიც შევნიშნოთ, რომ რითმისათვის ის ზოგჯერ იმეორებს მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებს, ამიტომაც ექცევა პლეონაზმის ტყვეობაში“[2].

რუსთველის პოემის გამომსახველობით საშუალებათა ამგვარი შეფასება არ შეიძლება მართებულად ჩავთვალოთ. „ვეფხისტყაოსნის“ რითმისა და რიტმის მუსიკალობა ისე აღმაფრთოვანებელია, რომ იგი ქართველ მკითხველს ყოველთვის აგრძნობინებდა ხელოვანის დაუშრეტელ ძალას, მის ამოურწყველ შემოქმედებითს ენერგიასა და მხატვრულ ფანტაზიას. დასანანია, რომ ისეთმა გამოჩენილმა მკვლევარმა, როგორიც იყო დ. ჩუბინაშვილი, ვერ იგრძნო ის მძლავრი პოეტური ხმოვანება, რაც პოემაში პირველიდან უკანასკნელ სტროფამდე მომჯადოებელი ჰარმონიის სახით გვეელინება. უნდა ვიფიქროთ, რომ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებში დ. ჩუბინაშვილი მაჯამებს გულისხმობდა. როგორც ჩანს, მისთვის არ ყოფილა ცხადი გარითმვის ამ მანერის ბუნება და ამის გამო მნიშვნელობის მიხედვით საეებით განსხვავებულ სიტყვებს მან საერთო მნიშვნელი მოუძებნა და ისინი პლეონაზმის გამოხატულებად აღიარა.

1860 წელს დ. ჩუბინაშვილმა გამოსცა „ვეფხისტყაო-

---

[1] Д! Чубинашвили, О грузинской поэме Вепхис-ткаосани или Барсова кожа — Журнал Министерства Народного Просвещенiя, 1842. VIII, Санкт-петербург. стр. 121-122.

[2] იგივე. გვ. 125-126.

სანი“, რომელსაც დაურთო ლექსიკონი. უნდა ითქვას, რომ დ. ჩუბინაშვილის განმარტებანი არსებითად თეიმურაზ ბატონიშვილის ლექსიკონს ემყარება და ბევრ შემთხვევაში ჩამორჩება კიდეც მას.

ვახტანგ მეექვსის მიერ წარმოებული ლექსიკოლოგიური მუშაობა მეცნიერული მხრივ გააღრმავა გიორგი მეცამეტის ძემ თეიმურაზ ბატონიშვილმა. 1843 წელს მან დაამთავრა შრომა „განმარტება პოემა ვეფხის-ტყაოსანისა“. თეიმურაზი პატრიოტული მოვალეობის მაღალი შეგნებით წერდა თავის შრომას და შემთხვევითი არაა მისი გულწრფელი სტრიქონები: „არა ვრიდებ შრომის მოყუარებასა, ერთმემამულეთა ჩემთა ერთათვს. და ვსასოებ რომელ, ესე ნაღვაწი ჩემი არა უგულებელს იქმნებისა მათ მიერ. და ყოველნი მხილველნი ამისნი და წარმკითხველნი კმაყოფილებით მიიღებენ, და კეთილისა გულითა ქველ-მსიტყველ მექმნებიან მე!“[1]

თეიმურაზ ბატონიშვილმა ბევრი ადგილი „ვეფხისტყაოსნისა“ დამაჯერებლად განგვიმარტა და ამით შესაძლებლობა მოგვცა სწორად წაგვეკითხა ტექსტი. თეიმურაზისეული განმარტებანი გვანიშნებს რუსთველის პოეტური მეტყველების მეტაფორული ხასიათის შესახებ, რომელიც სინამდვილიდანაა აღებული. ამგვარი ახსნა კი გვეხმარება რუსთველის მხატვრულ სახეთა ბუნების დადგენაში.

რუსთველის პოემის მკვლევართა შორის დავა გამოიწვია ნაწარმოების შემდეგმა ადგილმა: „ქალმან მისცა მარგალიტი, სრულქმნა მისი საწადელი“. ზ. ავალიშვილის აზრით, ქალის მიერ ვაჟისათვის მარგალიტის მიცემა ნიშნავდა ქალწულობის დაკარგვას. ვ. ნოზაძის მოსაზრებით კი „ვტ-ის „მარგალიტი“ არის დაქორწინების აღთქმის სიმბოლო ცხოლოდ“[2]. მაგრამ ეს დავა სრულიად ზედმეტი აღმოჩნდებოდა, რომ ზემოხსენებულ მკვლევართ გაეთვალისწინებინათ მოყვანილ ტაეპთან დაკავშირებით მოსაზრება თეიმურაზ ბატონიშვილისა: „საყვარელი ოდეს განსპეტაკებულს და ყოვლითურთ უბრყვილოსა და შეუმღვრეველს სიყვარულით აღვსილსა და წმინდის სჯნდისით განწმენდილს გულს მისცემს საყვარელსა, მარგალიტის მიცემა ამას ნიშნავს. თინათინმან ოდეს გული ავთანდილისა დააჯერა თავისის სიყვარულით, მაშინ ავთანდილის საწადელი სრულ იქმნა: რადგან მარგალიტი ძვირ-

---

[1] განმარტება პოემა ვეფხის-ტყაოსანისა ქმნული მეფის გიორგის მეათცამეტის ძის თეიმურაზის მიერ ქაჯალერისა და სრულიად როსსიის ს.-პეტერბურგის აკადემია ნაუკისა; პირველთა ჩლენთა შორის აღრიცხულისა პოჩეტნიი ჩლენისა და დანიის საკაროლოს კოპენღაღანის სამეფოს საანტიკუაროსა შეკრებულებასა შინა. პირველთა ჩლენთა შორის დაწესებულისა და პარიჟის სოსიეტე აზიატიკის ჩლენისა — 1843, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, S 3716, გვ. 201.

[2] ვ. ნოზაძე. ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება, ბუენოს აირეს, 1954, გვ. 132.

ფასი არის და სპეტაკი თეთრი, ჰეშმარიტი სიყვარული ამისთჳს მას ემსგავსება“[1].

შემდეგ ავტორი პოეტიკის თვალსაზრისითაც განმარტავს: „სახედ მარგალიტი მოუღიათ პიიტიკოსთა, და შევნიერნიცა ქალნი შესამკობელად თჳსად ხმარობენ; და ნიშნადცა შეერთებისა და პატიოსანისა სიყვარულისა, ძვირფასითა მარგალიტითა სატრფიალ და სატრფიალოსა მოიკითხავს და მიართმევს“[2].

თეიმურაზმა, ერთ-ერთმა პირველმა, შენიშნა პოემაში სახელთა გაზმნავების ფაქტი და სწორად ახსნა სახელის ფორმით წარმოდგენილი ზმნისწინების („შეის“, „გაის“) მნიშვნელობა.

ჩვენს საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა თეიმურაზის განგებო მითითება პოეტური აზრით სიტყვათა ხმარების შესახებ:

„აზიის მესტიხენი, მშვენიერის ტანსა, ალვას ამსგავსებენ“ (გვ. 45).

„ბროლნი მინასა შერთულნი. მშვენიერისა ელფერად დაუსახავთ აღმოსავლეთის მოშაირეთა“ (გვ. 53).

„აღმოსავლეთის მესტიხენი **ინდოთ რაზმსა.** — თვალის წამწმებს უწოდებენ“ (გვ. 82).

„**ნარგიზის ყვავილნი**“. — აღმოსავლეთის მოლექსეთ თვალებისათჳს უმსგავსებიათ“ (გვ. 147).

ბევრი რამ თეიმურაზს არასწორად აქვს გაგებული, მაგრამ მისი განმარტებანი მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში მაინც ყველაზე ღრმა და საფუძვლიანი შრომა იყო.

1895 წელს გამოქვეყნდა მოსე ჯანაშვილის ნაშრომი „მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი“, რომელშიც გაკვრით იყო აღძრული საკითხი რუსთველის პოეტური ენის შესახებ. მ. ჯანაშვილი წერდა: „ამბობენ, პირველად რუსთველმა შექმნა მაღალ ხარისხოვანი პოეტური ენაო, არც ეს აზრია მართალი, რადგან შოთას დრომდე ქართული ენა უკვე აყვავებული იყო და მით, ფრიად მკაფიოდ, გამოითქმოდა ღვთის მეტყველება, მეცნიერება. (შატბერდის „ქრისტომატია“ ბერაისა), გალობა („საგალობელი“ იოვანესი), პოეზია და სხ. მაგალითად იოანეს გალობისა და გიორგი მთაწმინდელის ენა-მზეობისა მოვიღებ ორიოდე ნიმუშს.

| „საგალობელი“ მე-X საუკ. | რუსთველი |
|---|---|
| „რომელმან სიბრძნით დაჰბადნა ცანი ძალითურთ | „რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა, |
| და შეჰქმნა ქვეყანაჲ ყოველით | ზეგარდმო არსნი სულითა |
| თანა-მკეიდრითურთ“. | ჰყუნა ზეცით მონაბერითა“[3]. |

---

1 განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გვ. 57.

2 იქვე.

3 მოსე ჯანაშვილი, მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, ტფილისი, 1895, გვ. 55-56.

ავტორი სავსებით მართალი იყო, როცა რუსთველამდელი ქართული ენის აყვავებული მდგომარეობის შესახებ მსჯელობდა; ის ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ დიდი ქართველი მგოსნის მოსვლას წინ უძღოდა მრავალსაუკუნოვანი მკვეთრად ჩამოყალიბებული ქართული აზროვნება და მეტყველების მდიდარი კულტურა. მაგრამ ერთი რამ მაინც ვერ გაითვალისწინა: მაღალხარისხოვანი პოეტური ენის შექმნა არ შეიძლებოდა რუსთველის სახელს დასცილებოდა... და თუმცა ავტორის მიერ მოყვანილი ნაწყვეტი იოანეს „საგალობლიდან“ (სინამდვილეში ეს საგალობელი, როგორც სამართლიანად შენიშნა გ. იმედაშვილმა, მიქელ მოდრეკილს ეკუთვნის) ქართული ენამზეობის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს, „ვეფხისტყაოსნის“ შესაბამის სტროფს თავისი პოეტური ძალით მაინც ვერ უტოლდება... და მაინც მ. ჯანაშვილის მოსაზრებას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ ენის ისტორიული თვალსაზრისით შესწავლის საჭიროების მხრივ. იგი გვანიშნებდა, რომ რუსთველის პოეტური კულტურა ვერ გაირკვევა მის წინამორბედთაგან შემქნილი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის გარეშე.

მაგრამ ამ მართებული შეხედულებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ მკვლევარს ანგარიში არ გაუწევია... და რადგან კვლევა იმის მიხედვით წარიმართებოდა, თუ რა იყო მისაწვდომი მკვლევრისათვის, ყველაფერი ის, რაც მიუწვდომელი აღმოჩნდებოდა, საეჭვოდ და ყალბად მიიჩნეოდა. თუ რა ფართო ხასიათი ეძლევა ასეთ შემთხვევაში სუბიექტურ შეხედულებებსა და თვითნებურ ჰიპოთეზებს, ამაზე ნათლად მეტყველებს ა ლ. ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი ს გამოკვლევა „ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები“, რომელიც ჟურნალ „მოამბეში“ იბეჭდებოდა 1895-1901 წლებში.

ა ლ. ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი არ ემყარებოდა იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც რუსთველის პოემის ენისა და სტილის შესწავლა მხოლოდ და მხოლოდ „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი წინამორბედი ქართული ლიტერატურის ძეგლების შედარების საფუძველზე იყო შესაძლებელი. იგი შესაძლებლად მიიჩნევდა რუსთველის პოეტური ენის გათვალისწინებას ოდენ პოემის ჩარჩოებში. ამიტომ ძალიან გამარტივებული გზით წავიდა. მან რუსთველისად ცნო ის სტროფები, რომელთა ცოტად თუ ბევრად გაგება არ გასძნელებია. იმ ადგილებს კი, რომელთა გაშიფრვა მხატვრული აზროვნების უნარს საჭიროებდა და რუსთველისეულ პოეტურ სახეებსა და სურათებს შეიცავდა, საეჭვოდ აღიარა. ა ლ. ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი ს კვლევის წმინდა სუბიექტური, თვითნებური, არამეცნიერული ხასიათის ნათელსაყოფად მისი პრეტენზიული შრომიდან ერთი საკმაოდ გრძელი ამონაწერის მოყვანით დავკმაყოფილდებით.

„ნესტან-დარეჯან, რა დააჯერა თავისი საყვარელი, რომ

ამ წიგნს მე ვწერო, ახლა იმას უამბობს, თუ რა მასალას და იარაღს ხმარობს წიგნის დასაწერად, და მათგან პირველი: „ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაღველთა ამონაწებიო“... ამ საკვირველს მეტაფორას, რომელმაც ლამის პოეტის ლექსს აჯობოს („მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული“ ხ. 4. გვ. 2), თეიმურაზ ბატონიშვილი ასე გვიხსნის: „რაჲცა გრძნობა ჩემ შორს არს (ანუ ჩემს გვამს შორის არის) კალმად მას ვხმარობ. და მწუხარება რადგანაც კაცის ნაღველიდან დაიწყება და ნაღველიც შავ არს, მელნად მას ვხმარობ“-ო. დ. ჩუბინაშვილი ამ ბინდ-ბუნდს აზრს თავის განმარტებას დასძენს: „ეს მწუხარებაზე არის ნათქვამიო: მწუხარებით ჩემი ტანი კალამსავით წვრილი გამხდარაო, რომელიც სინაღვლით გამხდარი არისო“. სჩანს, კომენტატორნი ცდილობენ ლექსის უგუნურობას გზა აუქციონ და სიტყვების გამოცვლით რაიმე აზრის ფერი დასდონ. ნესტან-დარეჯან რაიცა მისს გვამს შორის არს, იმას კი არა ხმარობს კალმად, არამედ თვით გვამს, „ტანსა“, და ეს ტანი-კალამი ნაღველთა ამონაწებია, ესე იგი გვამი იმაშია ამონაწები, რაიცა მას გვამს შიგან არის... რასაკვირველია, ეს მეტაფორა ზესთა შთაგონებული იდეა არის იმ საწერ-კალამისა, რომელიც მხოლოდ ამ საუკუნის დამლევს გამოიგონეს: კალამი, რომლის ტარიც მელნით არის ავსებული და წერის დროს ეს მელანი თან-და-თან ჩამოდის და კალამს ასველებს!.. არც დ. ჩუბინაშვილის კომენტარი ეშესაბამება ლექსის აზრს, რადგან ნესტან-დარეჯანი იმას კი არ ამბობს, ვითომც მწუხარებისაგან ტანი დასწვლილებოდეს, არამედ — ჩემი ტანი კალამად ვიხმარეო. გამხდარი იყოს, თუ მსუქანი, ტანი, კალმად ნახმარი, მაინც უგვანო ხატია, ყველა პოეტურს გრძნობას მოკლებული. ეტყობა კი, რომ ლექსის დამწერს ტანი კალამსავით გამხდარი და კალამი ნაღველში ამონაწები მწუხარების გამომსახველს მეტაფორად გაუგონია, მაგრამ იმდენი უნარი მაინც არა ჰქონდა, რომ ეს საშაირო მასალა გონიერად გამოეყენებინა.

ნესტან-დარეჯანის ტან-კალამსა და ნაღველ-მელანს შესაფერი ქაღალდიცა აქვს: „მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა ვაწებიო“, — აუწყებს ვითომც უფლის-წული თავისს საყვარელს. თუ ქალის ტანი საწერ-კალამად გამოდგება, მისი საყვარლის გული, დასტურ, ქაღალდად ვარგა, და ამ ორს მეტაფორაში მეორე, რასაკვირველია, ათას წილად სჯობია პირველს. მაგრამ საუბედუროდ, მელექსე ამას არ დასჯერდა და საყვარლის გული მის სატრფოს გულს რისთვისღაც დააწება. ამ უცნაურის საქმის მიზეზს თეიმურაზ ბატონიშვილი ასე განმარტებს: „როგორადაც რომ ქაღალდი ქაღალდზე დააწებოს და მას ზედა უფრორე, — ქარტის სიმტკიცისათვის, — უკეთ დაიწერება, ეგრეთვე ჩემსა და შენს გულზე. როგორადაც ორ ქაღალდს, ერთმანერთზე მიწებებულზედ, ჩვენი

სიყვარული და ერთმანერთის მოშორვების მწუხარება იწერება ხსენებულის კალმითა და ნაღველის მელნითა". მაშასადამე, ტარიელის გული — ქაღალდი ისეთი თხელი და სიფრიფანა ყოფილა, რომ საწერად ვეღარ გამოდგებოდა და, ძელაძი რომ არ ერთხმოდეს, მის გასამტკიცებლად და გასასქელებლად, ქალმა თავის გულზე დაიკრა...

ახლა კი ნესტან-დარეჯანს საწერი მასალა და იარაღი სრულად აქვს: კალამი, მელანი და კაი სქელი ქაღალდი, — რაღა დარჩა? წიგნის წერა... მაგრამ ქალი ჯერ არ ეშურება, საგონებელია იმიტომ, რომ ქაღალდის სიმტკიცეზე გული დაჯერებული არა აქვს: ეს გული გულზე ხომ დავაკარიო, ახლა, ვინ იცის, ვაი თუ ასძვრესო! — და ამისათვის ევედრება გულს, (თავისას თუ ტარიელისას, — ძნელი გამოსაცნობია): „გულო, შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ებიო!"... ტურფა და პოეზიით სავსე სურათი რამ არ იხატება ჩვენ თვალ-წინ? — ქალმა თავისს გულს საყვარლის გული ქაღალდად გააკრა და ზედ აწვება და სტკეპნის: ჰა, ნუ აეხსნები, მაგრად დაებიო! ეს ლექსი წინა ლექსების აზრის გაგრძელებაც რომ არ იყოს, თავადაც უგუნურია. მართლადა, რას ეხვეწება ნესტან-დარეჯანი ტარიელის, ან თავისს გულს: შავ-გულო (?!), ნუ აეხსნები და აწ ებიო? ნუთუ მათის კავშირისა და ერთობისა არა სწამსრა? ნუთუ ეჭვი აქვს თავის გულის სიმტკიცისა, ან ტარიელისაგან განწირვისა ეშინიან?

აი რამოდენა სისულელეს და უგვანობას მიაღწევს მეტაფორა უნიჯო მწიგნობარის ხელში"[1].

ნესტან-დარეჯანის წიგნი, სატრფოსადმი მიწერილი, ერთ-ერთი უძლიერესი ადგილია „ვეფხისტყაოსანში"... და ვისაც ოდნავ მაინც გააჩნია მხატვრული წარმოსახვის უნარი, არ შეიძლება მშვიდად წაიკითხოს იგი და ამაღლებულად არ გაიაზროს რუსთველის გმირი ქალის რაინდული სული. იმ სტროფში, რომელსაც ალ. სარაჯიშვილი დაუზოგავად ამასხარავებს, მეტაფორულადაა გამოსახული ადამიანური ბუნება ჰეშმარიტი მიჯნურისა. ნესტანი ქალმად ტანს მიიჩნევს, რომელიც ნაღველშია ამოვლებული. ამ ქალმით წერს იგი განუმეორებელ სიტყვებს, მაგრამ არა ქაღალდზე... ქაღალდად მას გული აქვს დასახული ძვირფასი მიჯნურისა, რომელზედაც იწერება სიყვარულის უწმინდესი და უტკბესი საგალობელი. ტარიელისა და ნესტანის გული, მთლიანობაში წარმოდგენილი, მშვენიერი პოეტური სიმბოლოა შეყვარებულთა აზრებისა და ფიქრების ერთიანობისა. მაგრამ ალ. სარაჯიშვილის ვულგარული გემოვნებისათვის ასეთი უმშვენიერესი მხატვრული სახე მიუწვდომელი აღმოჩნდა.

---

[1] ალ. ს — ლი, „ვეფხის-ტყაოსნის" ყალბი ადგილები — ჟურნ. „მოამბე", № III, 1900, გვ. 8-10.

ა. ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი ს თვალსაზრისი სწორი ესთეტიკური პოზიციებიდან გააკრიტიკა ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა მ. იგი წერდა: „მეტაფორების კონტექსტიდან იზოლირებულად განხილვის კარგ მაგალითებს გვაწვდის ა. ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი თავის ნაშრომში: „ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს ყ ა ლ ბ ი ა დ გ ი ლ ე ბ ი“ (ჟ. „მოამბე“, 1896 — 1900 წწ.). მან ყალბად გამოაცხადა მაგ. მთელი სტროფი, სადაც ნესტანი წერს ტარიელს: „ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაღველთა ამონაწები“ (იხ. ჟ. „მოამბე“, 1900 წ., № 3 გვ. 9). ამ მართლაც „საკვირველი მეტაფორის“ გახსნა მან ვერ შესძლო ნაწარმოების სტატიკურ ფორმად მიჩნევის გამო (სტილიური კომპონენტი მკვლევარს უბრალო „სამკაულად“ მიაჩნდა)“...[1]

ა. ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი ს წერილებს გამოეხმაურა მ. გ ი ო რ გ ი ძ ე (მოსე ჯანაშვილი). იგი საჭიროდ თვლიდა რუსთველის წინამორბედი ლიტერატურისა და ენის შესწავლას: „კიდევ ვამბობთ იმასვე, რაც გვითქვამს მრავალჯერ: ვიდრე „ვეფხისტყაოსნის“ ყალბ-მქმნელების გამოძებნას შევუდგებოდეთ, საჭიროა ზედმიწევნით შევისწავლოთ რუსთაველის წინა დროის ლიტერატურა და ენა ამ ლიტერატურისა, ვინაიდგან ეს ენა მიეცა რუსთაველს ხერხად და სახსრად გამოეთქვა თავისი უკვდავი პოემა“[2].

ა. ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი ს წინააღმდეგ მიმართულ მეორე წერილში მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა კიდევ უფრო გააღრმავა თავისი შეხედულება რუსთველისა და მისი წინამორბედი ქართული ლიტერატურის ურთიერთობის შესახებ და გამოთქვა მოსაზრება X-XI საუკუნეთა ქართული ენის საუნჯის შესწავლისა და გამოქვეყნების შესახებ: „ვეფხისტყაოსანი“ ცისნატეხისავით არ მოეჩვენა საქართველოს. ამისთანა დიდი თხზულება განყენებულად არ იბადება. გენიოსობა ერთის კაცისა საკმაო არ არის შესაქმნელად „წყობილ მარგალიტისა“. შოთაზედ უმდარესის ენით არ სწერდენ მისი თანამედროვენი და მის მიერვე შექებულნი მოსე ხონელი, სარგის თმოგველი. საუნჯე ქართულის ენისა შემოკრიბეს მე-X-XI საუკუნის მოღვაწეთ; ოპიზის, ანჩის, ტბეთის, ბანას, ათონის, გრემიყალთოს მოღვაწეთ დიდი ამაგი დასდეს სამშობლოს განათლებასა და კეთილდღეობას. მათი დიდდიდი და გაბრძმედებული ენით ნაწერი ნაშთები ცოტა არ არის.

ყველა ამას შესწავლა უნდა და შესწავლილს კი დაბეჭდვა“[3].

როგორც ზემოთაც აღინიშნა, მ. ჯანაშვილის ეს მოსაზრება პრინციპულად სწორი იყო; სამწუხაროდ შემდგომი ხანის წერილებში თავად ვერ შეძლო „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვათა განმარტე-

---

[1] ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი, 1948, გვ. 27.
[2] მ. გ ი ო რ გ ი ძ ე, მცირე შენიშვნა — სამ ალი თუ სამი ალი — გაზ. „ივერია“, № 3, 1899.
[3] მ. გ ი ო რ გ ი ძ ე, შოთას განჭიქება — გაზ. „ივერია“, № 47, 1899.

ბა ძველი ქართული პოეზიისათვის დამახასიათებელი მოვლენების საფუძველზე.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის მეცნიერულად შესწავლას დიდად შეუწყო ხელი ნ. მარის შრომებმა: «Возникновение и расцвет древнегрузинской светской литературы» (ЖМНП, XII, 1899), «Древнегрузинские одописцы» (1902), «Вступительныя и заключительныя строфы витязя в Барсовой коже Шоты из Рустава с этюдом «Культ женщины и рыцарство в поэме» (1910) და «Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Руставаи новая культурно-историческая проблема» (1917).

ნ. მარის სახელს უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სახეთა შედარებითი ანალიზი რუსთველის წინამორბედ და თანამედროვე ლიტერატურულ ძეგლებთან მიმართებით. ამ მხრივ საინტერესოა მის მიერ გავლებული პარალელები როგორც ლექსიკური მასალის, ისე სიტყვათა ფორმების მიხედვით. მართალია, ეს შედარებანი ერთგვარად ააშკარავებს ეპითეტების ნაწილობრივ მსგავსებასა და რითმების ერთგვაროვნობას, მაგრამ მხატვრული სახეები და მათი აგების საშუალებანი „აბდულმესიანში“, „თამარიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ სავსებით განსხვავებულია. მაინც, ეს შედარება ნათელყოფს, რომ ეს პოეტური ქმნილებანი ერთი ეპოქის კუთვნილებას წარმოადგენენ და ამ მხრივ პარალელების გავლება ინტერესმოკლებული არაა.

ნ. მარმა აღნიშნა „ვეფხისტყაოსანში“ ნასახელარი ზმნების (გამილომდეს, ვითხენ, გაალომნეს, იშვლეს, ითხეს...), აგრეთვე მაჯამების (ასადაგეს, დაებადა, ალამნეს...) გამოყენების შემთხვევები, თუმცა გარითმვის ამ ხერხს იგი სიტყვების თამაშს უწოდებს. მანვე მიიჩნია რუსთველის დამახასიათებელ პოეტურ ხერხად პარალელიზმი.

ნ. მარის აზრით, რუსთველის პოეტური „სტილის თავისებურებანი უნდა ვეძიოთ უპირველეს ყოვლისა ხალხურ, ყოველ შემთხვევაში ცოცხალ მეტყველებაში, რომელთანაც ასე ახლოს იყო“[1].

ნ. მარი რუსთველის ენის ამ სიახლოვეს ცოცხალ ხალხურ მეტყველებასთან დიდ ღირსებად თვლის. თანაც ეს მეტყველება გააზრებულია სომხურ-სვანურისა და მესხეთის მუსულმანურ ლექსიკასთან მჭიდრო კავშირში. სწორედ ამით ხსნის ნ. მარი იმ ფაქტს, რომ პოეტური პარალელიზმის ერთი წევრი ქართულია და მეორე — მუსულმანური (დიდებით და დავლა-მრავლად; მომღერალ-

[1] Н. Марр, Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема, Петроград, 1917, стр. 478.

ნი და მუტრიბნი). მაგრამ აქ არც სომხურ-სვანური და არც მუსულმანური ლექსიკა არაფერ შუაშია. ჯერ კიდევ თ ე იმ ურ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი წერდა: „ხოლო რომელნიცა, სხვათა ენის ლექსნი უხმარებიეს სტიხთა შინა. იგინი არიან ადრიდგანვე მრავალთა საუკუნეთა უწინარეს ქართულსა ენასა შინა შემოტანილნი. და ეგრეთ ვხმარობთ მათ, ვითარცა საკუთართა ლექსთა ჩვენთა; ვინაიდგან ჩვეულება სხვათა ყოველთა ენათა, რომელ მეზობლობისა ძლით ანუ ხშირად ერთისა რომლისამე ენისა სმენისა ძლით ურთიერთისა ლექსთა მიიღებენ და იხმარებენ თჳსთა შინა ენათა“[1].

1923 წელს გამოცემულ შრომაში — „მე-XII-ე საუკ. ქართული საერო მწერლობა და „ვეფხის-ტყაოსანი“ ი უ ს ტ ი ნ ე ა ბ უ ლ ა ძ ე რიგ ისეთ ენობრივ თავისებურებებს შენიშნავს, რაზედაც მანამდის ყურადღება ნაკლებად მახვილდებოდა (ერთნაირი მარცვლით დაწყებული სიტყვების გამოყენება ლექსში, უარყოფითი ნაწილაკების განმეორება, ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმით ხმარება, არსებითი სახელებისაგან შედარებითი და აღმატებითი ხარისხების წარმოება, ერთსა და იმავე ფორმაში ორი აზრის გამოხატვა...). შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივ თავისებურებათა ზოგიერთი არასწორი კვალიფიკაციის მიუხედავად, ი. ა ბ უ ლ ა ძ ე მ რუსთველის პოეტური ენის ბევრი დამახასიათებელი მხარე შენიშნა და მოაქცია მეცნიერული ინტერესის ფარგალში... და ამ მხრივ მკვლევრის დამსახურების შესახებ სრული წარმოდგენა არ გვექნებოდა, თუ არ მოვიხსენიებდით დიდი ცოდნით შედგენილ პოემის ლექსიკონს, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში დახმარებას უწევდა მკითხველთა ფართო მასებს რუსთველის პოეტური ლექსიკის სწორად გააზრებაში.

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტური ენის საკითხების შესწავლის მხრივ გარკვეული ღვაწლი მიუძღვის პოეტ კ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ეს. მიუხედავად ფორმალისტური კონცეფციისა, მისი „ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა“ (1925) ბევრ ისეთ დაკვირვებას შეიცავს, რომელთაც რუსთველის პოემის გამომსახველობით საშუალებათა ანალიზის პროცესში გვერდი ვერ აუვლება. იგი პირველი მონოგრაფიული შრომაა, რომელშიც კონკრეტულადაა გაანალიზებული „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახები მასალები.

კ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს რედაქციით, გამოკვლევითა და შენიშვნებით 1934 წელს გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“. ეს გამოცემა იმითაა საყურადღებო, რომ მას კ. ჭიჭინაძემ დაურთო პოემის სიმფონია. რითმათა ინდექსი და მაჯამები. რა ნაკლიც არ უნდა ჰქონდეს ამ სიმფონიას, იგი პირველი სერიოზული ცდა იყო რუსთველის ლექ-

[1] განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გვ. 200.

სიკური ჰარაგის დემონსტრაციისა და ამდენად თავის დროზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა „ვეფხისტყაოსნის“ ენის სიმდიდრის გათვალისწინების თვალსაზრისით. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს რუსთველის მხატვრული გამოსახვის ფორმათა გასარკვევად „ვეფხისტყაოსნის“ რითმათა ინდექსს. არანაკლებ საყურადღებოა მაჯამების ახსნა, თუმცა ტაეპთა არასწორი წაკითხვის გამო ბევრი მათგანის განმარტება სადავოა.

1927 წელს ს. კაკაბაძემ გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც წამძღვარებული ჰქონდა მისივე მოზრდილი გამოკვლევა. ამ შრომაში ავტორმა მცდარი შეხედულება განავითარა „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის შესახებ. იგი წერდა: „ვეფხისტყაოსნის ლექსიკა არის საყურადღებო იმითაც, რომ ის წარმოგვიდგენს საკმაოდ ბლომად ისეთ სიტყვებს, რომლებიც სპარსულიდან გადმოტანილად სჩანს წმინდა ლიტერატურული გზით. უნდა ითქვას, რომ ქართულ საერო პოეზიის ეხა მე-12 ს-ნეში, როგორც ეს ვეფხისტყაოსნის გარდა ცხადი ხდება შავთელის და განსაკუთრებით ჩახრუხაძის შესხმათაგან, ძლიერ დატვირთული ყოფილა სპარსულიდან ნასესხებ სპარსულ-არაბული სიტყვებით, რაც აშკარა მაჩვენებელია იმისი, რომ ქართული საერო პოეზია მე-12 ს-ნეში სპარსულ ლიტერატურულ ნორმების ზედგავლენის ქვეშ ვითარდებოდა“[1]. ამ მცდარი მოსაზრების გასამაგრებლად მას მოჰყავს სიტყვები: ლები (=გული), გულისათვის (=ვარდისათვის), ნივთი (=ყვავილი), ნები (=გაგება, შეგნება), სამი (სამთა ფერთა=ცისარტყელა). თუმცა აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულებს კონტექსტის მიხედვით ფრჩხილებში ჩასმულ სიტყვათა მნიშვნელობა არ შეესაბამება. ამავე ტენდენციის გამოვლენას წარმოადგენს ლექსიკონში განმარტებული ქართული სიტყვების არაბულ-სპარსულად მიჩნევა.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის საკითხს 1931 წელს გაკვრით შეეხო ზ. ავალიშვილი. იგი წერდა: „რუსთაველის ლექსი გვევლინება როგორც ხელოვნება პირდაპირი, წმინდა, უტენდენციო. მნათობთა ზოგადი სურათით პოეტი მკითხველის წარმოდგენაში მსოფლიო პეიზაჟსა ქმნის, რომლის სიდიადე მთელი ლექსის შთაბეჭდილებას ამაღლებს“[2]. ზ. ავალიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა „ვეფხისტყაოსანში“ მნათობებისადმი მიმართვის მხატვრული ფუნქცია. ეს დაკვირვება უთუოდ სწორი იყო. მაგრამ ავტორმა იგი თავისი მცდარი პოზიციის გასამაგრებლად გამოიყენა. ასე მაგალითად, მეტაფორად მიიჩნია რა გველის მიერ მთვარის ჩანთქმის ფაქტი, მან ამ პოეტური სახის წყაროდ ინდური მითოლოგია აღიარა. ინდური რწმენა კი, მისი აზრით, საფუძვლად უნდა დასდებოდა

---

1 ვეფხისტყაოსანი, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, 1927, გვ. CXXXVI.

2 ზ. ავალიშვილი, ვეფხის ტყაოსანი-ს საკითხები, პარიზი, 1931, გვ. 26.

იმ სპარსულ მოთხრობას, რომელიც თითქოსდა რუსთველმა გამოიყენა. თავისთავად სწორად გააზრებული მხატვრული მოვლენა ზ. ავალიშვილმა არასწორად მოიმარჯვა „ვეფხისტყაოსნის“ სადაურობის პრობლემის გადასაწყვეტად. ამგვარი კონცეფცია პრინციპულად მცდარია. მხატვრული ნაწარმოების ორგანიზმობის საკითხი ვერ გადაწყდება იმის მიხედვით, თუ საიდან მომდინარეობს ნაწარმოებში შენიშნული ცალკეული პოეტური სახეები. აქ განმსაზღვრელია არა ცალკე აღებული ეპითეტები და მეტაფორები, არამედ მხატვრულ სახეთა სისტემა, რომელშიც მანამდის არსებული გამოთქმები ახალ იდეურ და ესთეტიკურ გააზრებას პოულობენ.

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტური ენისა და სტილის საკითხებს 1932 წელს სპეციალურად შეეხო ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა ნაშრომში „რუსთაველი („ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის საკითხები)“. რუსთველის რიტმი, მეტრი, ალიტერაცია, ინტონაცია, სიუჟეტი და სხვა ავტორმა ურთიერთმიმართებაში განიხილა. ა. გაწერელიას ამ შრომის ღირსება ისაა, რომ მასში რუსთველის მხატვრული გამოთქმები ახსნილია პოემის შინაგან ფორმასთან და სიუჟეტურ მოტივებთან დაკავშირებით.

„ვეფხისტყაოსნის“ გამომსახველობით საშუალებათა ფართო, მეცნიერული ანალიზით განსაკუთრებით გამოირჩევა ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს შრომები. დაუსწრებელი პედინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სექციის I კურსისათვის განკუთვნილ „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ IV განაკვეთში (1934) ალ. ბარამიძე მოკლედ ეხება რუსთველის პოეტური მეტყველების საკითხებს, კერძოდ, მეტაფორას, კონტრასტული პარალელიზმის ხერხს, განმეორებას, ალიტერაციას. 1951 წელს მან „ლიტერატურული ძიებანის“ VII ტომში გამოაქვეყნა ვრცელი შრომა „ვეფხისტყაოსნის პოეტიკის საკითხები“, რომელიც მცირეოდენი ცვლილებებით შევიდა წიგნში „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან III“ (1952). ამ შრომის ძირითადი ნაწილი გამოყენებულია 1953 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიულ ნარკვევში — „შოთა რუსთაველი“ (გვ. 238 — 286). გარდა ამისა, ამ წიგნში ლაპარაკია „ვეფხისტყაოსნის“ ენის შესახებ საერთოდ (გვ. 232 — 237).

რუსთველის გამომსახველობით საშუალებათა ანალიზს ალ. ბარამიძე გვაძლევს შაირობისა და მიჯნურობის შესახებ დიდებული მგოსნის შეხედულებებთან ორგანულ კავშირში. იგი დაწვრილებით ეხება „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულ განმეორებას. მხატვრული ჩამოთვლის ხერხს, პარალელიზმს, მეტაფორას. ეპითეტს, შედარებას, ასონანსს, ალიტერაციას. ავტორი პოემაში შენიშნავს სიუჟეტურ-ეპიკურ, სიტყვათა უცვლელ, სინონიმურ განმეორებებს, აგრეთვე განმეორება-მიმართვებს.

ალ. ბარამიძის შრომაში განსაკუთრებით კარგადაა გაანალი-

ზებული რუსთველის მეტაფორული მეტყველება, მეცნიერულადაა გახსნილი მისი მხატვრული შინაარსი.

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის საკითხების რკვევისას ალ. ბარამიძისათვის ამოსავალია ლიტერატურათმცოდნეობის პრინციპები და ბუნებრივია, რომ მისი თვალსაზრისი მხატვრული ნაწარმოების შინაგანი სპეციფიკის გამოვლინებას ემსახურება. ამითაა შეპირობებული გამომსახველობით საშუალებათა კვლევის მეთოდიკაც.

რუსთველის ლექსის რიტმის საკითხებისადმია მიძღვნილი პ. ბერაძის შრომები: „დაბალი შაირის ბუნებისათვის ვეფხისტყაოსანში“ (1935) და „შაირისა და გრძელი შაირის გამოყენების კანონზომიერება „ვეფხისტყაოსანში“ (1937). ორივე ეს წერილი ცალკე საკითხების სახით შევიდა 1938 წელს გამოქვეყნებულ შრომაში „რუსთაველის ლექსის რიტმი“.

ავტორს კარგად აქვს აღწერილი გრძელი შაირის სხვადასხვა სახეობა, აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონისა და სტროფის დახასიათება. საინტერესოა პ. ბერაძის მოსაზრება გრძელი (დაბალი) შაირისა და ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრის შესატყვისობის შესახებ. მაგრამ არადამაჯერებელია მისი პოზიცია, როცა ცდილობს რიტმის გარკვეულ სახეს ესა თუ ის განწყობილება მოუძებნოს. არაა აუცილებელი, რომ მძიმე განწყობილება შენელებული რიტმით იყოს გადმოცემული და შედარებით სამხიარულო განცდები — ჩქარი ტემპით.

რუსთველის პოემის მხატვრული ენის საკითხებზე მრავალი საყურადღებო შრომა აქვს დაწერილი ვუკოლ ბერიძეს.

წერილში „ვეფხისტყაოსნის“ ენის თავისებურება“[1] ვ. ბერიძე არკვევს მცა ნაწილაკის ხმარების შემთხვევებს ენობრივ-სტილისტური ამოცანის გადასაწყვეტად. მხატვრულ სახეთა მრავალფეროვნების შექმნის, სიტყვამცირობის თავიდან აცილების, ტაეპის რითმულად და აზრობრივად გამართვის მიზნით.

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტური ლექსიკის გაშუქების თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა აქვს ამავე ავტორის საყურადღებო წერილს „ვეფხის-ტყაოსნის“ გარშემო (კ. ჭიჭინაძის ახალ გამოცემის გამო)“[2].

ნაშრომში „შოთას პოეტიკისათვის“[3] ვ. ბერიძე შენიშნავს რიგ ხერხებს, რომელთა გამოყენებითაც დიდი პოეტი აღწევდა სიტყვის დაუნჯებულად ჩამოსხმას (წინადადების წევრის ან კავშირის გამოტოვებით აზრის მოკვეთილად გადმოცემა, ეპითეტით საგნის გამოხატვა და ამ უკანასკნელის დატვირთვა ორი სიტყვის შინაარსით, არსებითი სახელისაგან შედარებითი ხარისხის წარმოება, სახელე-

---

1 ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 1-2, 1936.
2 ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, III, 1936, გვ. 153—163.
3 აკად. ნ. მარის სახელობის ენიმკის მოამბე, III, 1958, გვ. 172.

ბისა და ფორმაუცვლელი სიტყვებისაგან ზმნათა წარმოება, ტმესის მოვლენები). ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკური მარაგიდან თითქმის 40% ზმნას უჭირავს და იგი განსაკუთრებით ჭარბად იქაა გამოყენებული, სადაც შინაარსით გადმოცემულია ბრძოლა, მოქმედება, სისწრაფე და საზოგადოდ ექსპრესია. მართალია, გმირების სულის მოძრაობის გამოსახატავად რუსთველი ყველაზე ხშირად ზმნებს მიმართავს, მაგრამ როგორც ეს მოძრაობა არაა ყოველთვის სწრაფი, არც მისი გამომხატველი ზმნები შეიძლება იყოს მხოლოდ ბრძოლისა და მოქმედების გადმომცემი.

შრომაში — „რუსთაველის შაირისათვის“[1] ვ. ბერიძე არკვევს მაღალი და დაბალი შაირის ფუნქციებს და მათი გამოყენების საფუძვლად არსებითად გმირთა განწყობილებას მიიჩნევს. ამგვარი ახსნა რუსთველის პოემის სტროფთა მეტრულ-შინაარსობლივი ანალიზით არ დასტურდება.

1937 წელს რუსთველის საიუბილეო დღეებში ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“ № 11-12-ში დაიბეჭდა შალვა დოლაქიძის წერილი „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკა“, რომელიც მცირეოდენი ცვლილებით იმავე წელს გამოქვეყნდა კრებულში — „შოთა რუსთაველი სკოლაში“ სათაურით „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკიდან“. ავტორი კონკრეტულად იხილავს რუსთველის ჰიპერბოლებს, განმეორების სხვადასხვა სახეს, მხატვრულ ხერხებს (მეტაფორა, განპიროვნება, ეპითეტი, შედარება), ლექსთწყობას, რითმის სახეობებს (ფლექსიური, ზმნური; მდიდარი და შინაგანი რითმები). უნდა აღინიშნოს, რომ რუსთველის პოეტიკის შესწავლისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს შ. დოლაქიძის წერილში მოცემულ მდიდარ ფაქტობრივ მასალას.

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის საკითხებია აღძრული შ. ნუცუბიძის წინასიტყვაობაში, რომელიც მან დაურთო პოემის რუსულ თარგმანს (1941). მკვლევარმა სწორად განსაზღვრა რუსთველის მიერ შაირისა და გრძელი შაირის გამოყენების კანონზომიერების ფაქტი, როგორც მგოსნის თხრობის მანერის გამომხატველი საშუალებისა, ამბის განვითარებასთან დაკავშირებით. ამავე წინასიტყვაობაში ავტორმა რიგი საინტერესო მოსაზრება გამოთქვა „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულ თავისებურ ალიტერაციებთან დაკავშირებით.

რუსთველის პოეტური მეტყველების საკითხებზე საინტერესო შრომები აქვს გამოქვეყნებული გაიოზ იმედაშვილს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის პარალელები მეათე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში“. ავტორი შესადარებელი მაგალითების საფუძვლიანი ანალიზის შე-

[1] აკად. ნ. მარის სახელობის ენიმკის მოამბე, III, 1958.

დეგად აკეთებს დასკვნას: „რუსთაველი თავის პოეტურ სახეებში ბევრით არის დავალებული ჰიმნოგრაფების შემოქმედებისაგან, მხოლოდ რუსთაველს მეტად მაღალ საფეხურზე აუყვანია ქართული პოეტური სიტყვა საერო სტილის გემოვნების მიხედვით, რომლის ტრადიციები ძველ ქართულ პოეზიაში მანამდეც არსებულა“[1].

მნათობების დამახასიათებელი თვისებები „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულია გმირის სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად, მის განცდათა დიაპაზონის გამოსახატავად. ვინც ერკვევა მნათობთა ასტროლოგიურ დახასიათებაში, ის ადვილად ჩასწვდება რუსთაველის მხატვრული გააზრების შინაარსს. ასე მაგალითად, მნათობთადმი ავთანდილის მიმართვის პოეტური შინაარსის გასაგებად აუცილებელია ზოგიერთი დეტალის გათვალისწინება. სწორედ ამ საკითხს ეხება გ. იმედაშვილი ზუალისადმი მიმართვასთან დაკავშირებით. მეტად საგულისხმოა ავტორის მოსაზრება:

„შემომყარე კაეშანი, ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა,
მას უთხარ თუ ნუ გამწირავ, შენია და შენთვის ტირსა“.

აქ ვირი ზოდიაქალური ნიშანია და რუსთაველს არ შეეძლო მისთვის სავსებით აევლო გვერდი, ან სხვა ცხოველი ეხსენებინა, რადგან მან კარგად იცის ყოველი მათგანის სპეციფიკური ასტრალური მნიშვნელობა და საჭიროება.

აქედანვე ისიც ნათელია, რომ ამ სტროფის საერთო სახისათვის ეს სიტყვა ძირითადი ელემენტია და მის გააზრებაში აუცილებელი. ვირი თვითონ ზუალის ნიშანია, — ამით შინაგანადაა გამართლებული ამ ცთომილის ხასიათი, გმირის განწყობილებასთან დაკავშირებით. ავთანდილი ღვთაებას ეჯება, ამიტომ გასაგებია, რომ აჰ ღვთაებას სწორედ ვირს უხსენებს — მის ზოდიაქალურ ნიშანს, რომელიც ჩვეულებრივს წარმოდგენაშიც სიმძიმესთან, ტვირთის ზიდვასთან, გაჭირვება-დაღლასთან და უძრაობა-სიზარმაცესთანაა დაკავშირებული“[2]. ასტროლოგიური შინაარსის გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება მხატვრული შედარების სწორად გააზრება[3].

„ვეფხისტყაოსანში“ რამდენიმე ადგილასაა მოხსენებული ორი მზე. როგორც გ. იმედაშვილი არკვევს, ორი მზე, სამი მზე, ოთხი

---

[1] გაიოზ იმედაშვილი, ვეფხისტყაოსნის პარალელები მეათე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში — „ლიტერატურული ძიებანი“, II, 1944, გვ. 217.

[2] გ. იმედაშვილი, ზოგი რამ რუსთაველის შვიდი მნათობის შესახებ — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი XI, № 4, 1950, გვ. 266.

[3] სწორედ ამ შინაარსის გაუთვალისწინებლობით აიხსნება კ. ჭიჭინაძის სუბიექტური შეხედულება: „მე პირადად ძალიან სამწუხაროდ მიმაჩნია, რომ ისეთ დიდებულ ადგილს, როგორიც ავთანდილის მიმართვაა მნათობთადმი, ამახინჯებს შემდეგი უშნო შედარება: „შემომყარე კაეშანი, ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა“... — კ. ჭიჭინაძე, რუსთაველის გარშემო, ტფილისი, 1928, გვ. 52.

მზე და მთვარე ისტორიულად ფიქსირებულია მეხუთე საუკუნიდან ჩვენ წელთაღრიცხვამდე მატიანეებსა და ისტორიულ თხზულებებში როგორც ნამდვილი ამბავი. ამჟღავნებს რა სამყაროს აგებულების ცოდნასა და სინამდვილის მაღალმხატვრული ათვისების დიდ ოსტატობას, გ. იმედაშვილის შეხედულებით, „რუსთაველის ასტრალური მეტაფორები — ორი მზის, სამი მზისა და მთვარის, ანდა ორი მთვარისა და მზის მოხსენიებით რეალურად არსებული ციური მოვლენების პოეტურად ასახვაა, რაც უფრო შინაარსიანსა და გასაგებს ხდის „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ მეტაფორულ სახეს.

ქართულ პოეზიაში მათი სურათოვნება ისეთივე შინაარსის მეტაფორების წყაროდ ქცეულა, როგორც მზისა და მთვარის შეყრადაცილება, მზის დაბნელება და სხვა, მაგრამ თუ მსოფლიო მწერლობაში მზის მეტაფორა საერთოდ გავრცელებული პოეტური სამკაულია, ქართულ პოეტურ მეტყველებაში ორი მზისა და მთვარის ასტრალური მეტაფორა თითქოს ორიგინალური და მიუბაძველი ჩანს; ამით ქართული მწერლობის და კერძოდ რუსთაველის პოეტური სიტყვის დაუოუკიდებელი ოსტატობა უფრო საგრძნობლად გასაგები ხდება.

ორი ან რამდენიმე მზისა და მთვარის ეს სახეები, რომელთაც საფუძვლად სდებიათ რეალურად არსებული მოვლენები, რუსთაველმა აიყვანა ასტრალურ შედარებათა მაღალ საფეხურზე, ისინი აქცია ლიტერატურული სტილის ელემენტებად“[1].

ეს დაკვირვება ნათელს ჰფენს რუსთველის პოეტური მეტყველების რეალისტურ ხასიათს, დამთხვეულს მისი ლიტერატურული სტილის ბუნებასთან.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სახეების მთავარ კომპონენტებად ხშირადაა გამოყენებული ლომი და მზე. იგი ჩვეულებრივია ადამიანის ფიზიკური ძალისა და სილამაზის გამოსახატავად. მაგრამ რიგ შემთხვევებში მათი ერთად ხსენება ასტრალურ საფუძველს ემყარება. როცა მზე ლომის ბურჯში შედის, იგი არაჩვეულებრივ ლამაზია... იმისდა მიხედვით, თუ როგორია მზისა და ლომის ურთიერთმიმართება, რუსთველის პოემაში გადმოცემულია მიჯნურთა მძიმე სულიერი განწყობილება, ანდა უდიდესი სიხარული და ბედნიერება. სწორედ ამ საკითხისადმია მიძღვნილი გ. იმედაშვილის ფრიად საყურადღებო გამოკვლევა „რუსთაველის ლომი და მზე“[2]. ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ტაეპის ასტრალური შინაარსის გახსნით მზისა და ლომის მეტაფორას ორგანულად უკავში-

---

[1] გ. იმედაშვილი, ორი მზე ვეფხისტყაოსანში — „ლიტერატურული ძიებანი“, VI, 1950, გვ. 142.

[2] „ლიტერატურული ძიებანი“, VII, 1951, გვ. 241 — 250

რებს პოეტის გმირთა ურთიერთობას და ამის მიხედვით გააზრებულ მხატვრულ სახეებს რუსთველის პოეტურ მეტყველებაში მთელი სისტემის სახით წარმოგვიდგენს.

ასტრალური შინაარსის შემცველი გამოთქმა რუსთველისა — „მზიანი ღამე", რომელსაც ვახტანგ VI და თეიმურაზ ბატონიშვილი რელიგიურ ასპექტში განიხილავდნენ, ხოლო ჩვენს დროში იუსტინე აბულაძე სეფასიანთა კულტს უკავშირებდა, გ. იმედაშვილის აზრით, ნამდვილად მზიან ღამეს, ღამე მზის ამოსვლას, ან ღამე მზის არჩასვლას ნიშნავს. ავტორი სავსებით სამართლიანად აცლის რელიგიურ სამოსელს ამ ნათელ პოეტურ ფრაზას: „იდეა მუდმივი დღისა, დაუღამებელი ნათელისა საერთოდ პოეტურ მეტყველებაში ბუნების ნაკარნახებია. იგი, ბუნებაში რეალურად არსებული, პოეტურ ხატში გადაიზარდა გასიმბოლოებულ სინამდვილედ. ეს სახე ერთნაირად შეითვისა როგორც სასულიერო, ისე საერო პოეზიამ და ლიტერატურული სტილის დამახასიათებლად იქცა.

ამდენად თქმაში

„იტყვის, ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად".

მზე ღვთაების ან საყვარლის ეპითეტი თუა, ის მუდმივი დღის ხატი და სიმბოლოა, შედარებული დაუღამებელ დღესთან, ე. ი. მუდმივ ნათელთან, რომლის ერთადერთი პირობა თითონ მზეა. ასეთი გაგება მზისა, მისი მრავალფეროვანი გამოხატვა იმასთანაა დაკავშირებული, რომ მზეს საერთოდ რუსთველის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, არა მხოლოდ როგორც ეპითეტსა და მეტაფორის ძახალას, არამედ როგორც სამყაროს სიმბოლოს და ღვთაების სინონიმს"[1].

ვერ დავეთანხმებით ავტორს მხოლოდ იმაში, რომ დაუღამებელი ნათელის ცნება როგორც სასულიერო, ისე საერო პოეზიამ ერთნაირად შეითვისა. მზეს, როგორც პოეტურ ხატში გადაზრდილ გასიმბოლოებულ სინამდვილეს, მართალია, სასულიერო და საერო პოეზიაც იყენებდა, მაგრამ პირველმა მას რელიგიური შინაარსი მისცა, მეორემ კი იგი მისი რეალური თვისებებით მიიღო. დაუღამებელი ნათელი რელიგიური ცნებაა; მზიანი ღამე კი, როგორც საფუძვლიანად არკვევს ავტორი, რეალური ფაქტია. ეს ორი ცნება ერთმანეთზე არ დაიყვანება. ისინი თვისებრივად განსხვავებული ოდენობანია. თუმცა ნათელი თვისებაა მზისა, მაგრამ დაუღამებელ ნათელში ეს თვისება ქრისტიანული თვალთახედვითაა გააზრებული. მართალია ისიც, რომ სასულიერო მწერლობაში მზე მრავალგზის გვხვდება; მაგრამ აქ იგი ყოველთვის რელიგიურ ამბებს მიემართება. რუსთველმა კი მზე აითვისა როგორც

---

[1] გ. იმედაშვილი, მზიანი ღამე „ვეფხისტყაოსანში" — ლიტერატურული ძიებანი, VIII, 1953, გვ. 149.

ობიექტურად არსებული საგანი და იგი გამოიყენა ცხოვრებისეული მოვლენების მხატვრულად წარმოსახვისათვის. საკითხის ამგვარად გადაწყვეტაში ჩანს სასულიერო პოეზიასთან რუსთველის როგორც შეხვედრის, ისე დაშორების პუნქტები. სხვანაირად რუსთველის პოეტური მეტყველების შინაარსი არაფრით არ იქნებოდა განსხვავებული სასულიერო პოეზიაში დამკვიდრებული რელიგიური მხატვრული სტილისაგან.

გ. იმედაშვილის შრომები „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის შესახებ გვიხსნის, თუ როგორ აყალიბებდა უმშვენიერეს პოეტურ სახეებს გენიალური ქართველი მგოსანი რეალურად არსებული საგნებისა და მოვლენების მხატვრული გააზრების საფუძველზე.

რუსთველის მხატვრული გამოსახვის საშუალებათა შინაგანი ბუნების გამოსავლინებლად, გარდა ქართული მწერლობის ძეგლებთან მიმართებაში „ვეფხისტყაოსნის“ ენის ანალიზისა, ერთგვარი აუცილებლობით დგება საკითხი მეზობელ ერთა მწერლებისა და ჩვენი მგოსნის პოეტურ სახეთა შედარებითი ანალიზის შესახებ. ეს საკითხი გულისხმობს სხვადასხვა ხალხის ლიტერატურათა შემოქმედებითს ურთიერთობას და ასევე მათი ძირების გარკვევას ე. წ. გავლენათა ძიების გზით. სწორედ ამ პრობლემას ამუშავებს ირანულ ენაზე შექმნილი მწერლობის ცნობილი სპეციალისტი დ. კობიძე გამოკვლევაში „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობიდან“.

დ. კობიძე არ უარყოფს იმას, რომ რუსთველი იცნობდა ნიზამის, ფირდოუსისა და სხვათა მხატვრულ თქმებს, მაგრამ ამავე დროს გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მეტაფორებსა და შედარებებს სულ სხვა გააზრება აქვს.

„რუსთაველი, — წერს ავტორი, — ნიზამის მხატვრული თქმების ღრმა მცოდნედ მოჩანს. საგნებისა და მოვლენების მხატვრული გააზრებისათვის ორივე პოეტთან შეიძლება აქა-იქ ერთნაირი მეტაფორებიც დაიძებნოს, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ იმ მეტაფორებსა და შედარებებს, რომლებსაც კი შეიძლება რაიმე ნათესაობა გააჩნდეს საერთოდ სპარსულ პოეზიასთან და, კერძოდ კი, ნიზამის შემოქმედებასთან, სულ სხვა გააზრება და განლაგება აქვთ მიღებული, ვიდრე სპარსული პოეზიის რომელიმე ქმნილებაში.

ირანელ პოეტებთან ბაგე ძოწთან და აყიყთანაა შედარებული და კბილები მარგალიტებთან, მაგრამ სპარსულ პოეზიაში ვერ მოიპოვებთ ამ მეტაფორების ისეთნაირ განლაგებასა და გააზრებას, როგორც ეს რუსთაველის პოეზიაში გვაქვს:

„მათ მარგალიტი უჩვენის ძოწისა კარმან ღიამან“ (1324$_4$).

მართალია, ირანელი პოეტები ფირდოუსამდე და ფირდოუსის შემდეგაც თვალების აღმნიშვნელად ნარგისებს იყენებენ და ტი-

რილს, ცრემლების ღვრას ნარგისთან მარგალიტების, წყლის ან ვერცხლის წყლის გადმოღვრას ადარებენ, მაგრამ არცერთი ირანელი პოეტი არ ასულა ამ მეტაფორის (თვალი — ნარგისი) მხატვრული გააზრების (და ამრიგად ტირილის მხატვრულად წარმოდგენის) თვალსაზრისით რუსთაველის სიმაღლეზე:

„ნარგისნი ჭუხან, ცრემლსა წვიმს, ჩარცხის ბროლსა და მინასა“ (974$_4$).

რუსთაველი ახალი გზებით მიდის, ახალ განცდებსა და გრძნობებს იწვევს. იგი, პოეზიის უმაღლეს მწვერვალზე ასული, მხატვრული სახეების ახალ სამყაროს ჰქმნის“[1].

დ. კობიძე აღნიშნავს რუსთველის პოეტური მეტყველების ლაკონიურობას ნიზამთან შედარებით: „იმას, რასაც რუსთაველი ოთხი სტრიქონით გამოხატავს, ნიზამს ხშირად ოცი და მეტი ბეითიც არ ჰყოფნის“[2].

მსგავსი პოეტური შედარების შემთხვევებშიც კი დ. კობიძე ყურადღებას ამახვილებს ნიზამისა და რუსთველის პოეტურ სახეთა განსხვავებულობაზე. ამით ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ მხატვრული სახის ბუნებისათვის თავისთავად სიტყვიერი მასალის მსგავსება კი არაა ამოსავალი; მისი წარმოჩენისათვის თვით ამ მასალის მხატვრული გააზრებაა მთავარი და განმსაზღვრელი. ავტორი თავის ამ მოსაზრებას კონკრეტულადაც ცხადყოფს.

„რუსთაველი, — წერს იგი, — ერთგან ასე აგვიწერს ნესტან-დარეჯანის სილამაზეს:

„ჰკიდავს ბროლსა ყორნის ბოლო დაწუობილი, დანათხზენი“.

ნიზამი ლეილას სილამაზის შესახებ ამბობს:

„ზილფები მისი, ვითა ღამე, სახე მისი ჩირაღდანი, ანუ ლამპარი ყორნის კლანჭებში“.

პირველ სტრიქონში პოეტი ლეილას თმებს ღამეს ადარებს, ხოლო სახეს ჩირაღდანს, მეორე სტრიქონი კი ამ პოეტური სურათის განმეორებაა; აქ ლეილას სახე ლამპარია, თმა კი ყორანი, ე. ი. ლეილას სახე — ესაა ყორნის კლანჭებში ლამპარი. რუსთაველს, ზემოწარმოდგენილ სტრიქონში, ამავე შედარებისათვის მიუმართავს, მაგრამ ნიზამის საწინააღმდეგოდ. ჩირაღდანი და ღამე, ლამპარი და ყორანი ნიზამის ისე აქვს წარმოდგენილი, რომ ბნელი (ღამე, ყორანი) მაღლაა და ქვეშ ელვარება, სინათლე (ჩირაღდანი, ლამპარი). სინათლეს ბნელი ფარავს.

რუსთაველთან ყორნის ბოლოს (თმას) კი არა ჰკიდია ბროლი

---

[1] დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობიდან — „ლიტერატურული ძიებანი“, III, 1947, გვ. 209.

[2] იქვე.

(სახე), არაშედ ბროლს ჰკიდია ყორნის ბოლო; რუსთაველთან ბროლი, ელვარება, სინათლეა წინ წამოწეული, სინათლე ძლევს სიბნელეს"[1].

ვეფხისტყაოსნის" მხატვრული ენის სპეციფიკის გამოვლენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტექსტის სწორად წაკითხვასა და გააზრებას. ამ მხრივ საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს 1953 წელს პ. ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით გამოცემული „ვეფხისტყაოსანი", რომელიც სტროფული შედგენილობის თვალსაზრისით არ განსხვავდება პოემის 1937 წლის საიუბილეო გამოცემისაგან. მაგრამ „ვეფხისტყაოსნის" ინგოროყვასეული რედაქცია არსებითად შორდება დღემდე ცნობილ დაბეჭდილ ტექსტებს საკმაოდ მრავალი ადგილის გასწორების გამო. ეს გასწორებანი უმრავლეს შემთხვევაში ემყარება „ვეფხისტყაოსნის" ვახტანგისეული გამოცემისა და ხელნაწერთა ჩვენებებს; ზოგი მათგანი კი კონიექტურული ხასიათისაა. უნდა აღინიშნოს, რომ არსებითად პ. ინგოროყვას გასწორებანი ტექსტის დადგენის მეცნიერული პრინციპების გამოყენების შედეგს წარმოადგენს. ავტორის ტექსტოლოგიურ მუშაობაში ანგარიში ეწევა რუსთველის პოეტიკის სპეციფიკურ მხარეებს, შინაარსის გამართულობასა და გრამატიკულ-სტილისტიკურ ნორმებს. ეს განმსაზღვრელი მომენტები მკვლევარს საფუძველს აძლევდა პოემის ზოგიერთი ადგილის გასწორებისას „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერებიდან შეერჩია ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც უკეთ ეფარდებოდნენ დიდი მგოსნის პოეტურ სტილს და ეგუებოდნენ თხრობის შინაარსს. პ. ინგოროყვა ამასთან დაკავშირებით წერს: „წინამდებარე გამოცემაში ჩვენ არ შეგვისწორებია ყველა ის ადგილები, რომლებიც დაზიანების ნიშნებს ატარებენ. ჩვენ დავკმაყოფილდით მხოლოდ უდავო ხასიათის შესწორებებით, ისეთებით, რომელთაც ამართლებს ან დედნების დოკუმენტალური ჩვენება, ან-და სხვა სავსებით უდავო მაჩვენებლები (რუსთაველის პოეტიკაზე დამყარებული ანალიზი, პოემის პარალელური კონტექსტები და სხვ.)"[2].

პ. ინგოროყვას გასწორებანი უმრავლეს შემთხვევაში მართებულია და გვეხმარება „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული ენის სპეციფიკური ნიშნების გამოვლინება-დადგენაში.

„ვეფხისტყაოსანს" ლექსიკოლოგიურ-პოეტიკური თვალსაზრისით შეეხო ვიქტორ ნოზაძე შრომებში: „განკითხვანი ვეფხისტყაოსანისა. ფერთამეტყველება" (ბუენოს აირეს, 1954), „ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება", „ვეფხისტყაოსანის" მზის

---

1 დასახ. შრ. გვ. 210.

2 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, პაველ ინგოროყვას რედაქციით, 1953, გვ. 407.

მეტყველება“ (სანტიაგო დე ჩილე, 1957), „ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება“ (სანტიაგო დე ჩილე, 1958).

ამ შრომების პოზიტიური ძალა იმაშია, რომ გვაძლევს ბევრი სიტყვის ზუსტ მნიშვნელობას; ეს კი აუცილებელია „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკის გამოვლენისათვის.

ვ. ნოზაძის მოსაზრებით, რუსთველის ლექსიკას მხატვრული მიზანდასახულობა აქვს. ახასიათებს რა თვალთა რაობას, ავტორი აღნიშნავს მათს ფუნქციას: „ძვირფასნი ქვანი ანუ თვალნი პატიოსანნი გამოყენებული არიან უმთავრესად მხატვრული მიზნით. ეს მხატვრული მიზანია: **ფერთა ჩვენება და ამ ფერთა ჩვენების საშუალებით სილამაზის დახატვა**“[1].

ამგვარსავე ფუნქციას ხედავს იგი რუსთველის მიერ მარგალიტის გამოყენების შემთხვევაში: „ვეტ.-ში თვალ-მარგალიტნი ნახმარი არიან: — **ფერთა საჩვენებელად, და, ამ ფერთა შემწეობით, სილამაზის დასახატავად**“[2].

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის ესთეტიკური თვალსაზრისით განხილვის სანიმუშოდ ორ მაგალითს მოვიყვანთ.

მკვლევარი აანალიზებს ტაეპებს:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების“
(49,1-2).

„უმისოდ ნეხვთა ზედა ვზი ბულბული მსგავსად ყვავისა!“
(1253,4).

ავტორი ასკვნის: „**ნეხვა**... არის მყრალი სუნის ყვავილი, ვინაიდან იგი ვარდთან არის დაწინაალმდეგებული“[3].

მართლაცდა, პოეტური კონტრასტები შეუფერებელი იქნებოდა, ვარდის საპირისპიროდ ნეხვი რომ გვეგულისხმებინა დღევანდელი გაგებით და არა მყრალი ბალახი, რომელიც ვარდთან მიმართებაში მსგავსებასაც ავლენს (ორივე მცენარეა) და განსხვავებასაც (ერთი სურნელოვანია, მეორე — მყრალი). ეს კონტრასტული პარალელიზმი ზუსტადაა დაცული მეორე ტაეპში (დიდთა და წვრილთა); მისი დაცვა აუცილებელია პირველ ტაეპშიც. თუ ასე გავიგებთ და წავიკითხავთ ტაეპს, მისი პოეტური აზრი წმინდა რუსთველური იქნება. ეს მაგალითი საუკეთესო ნიმუშია იმისა, თუ როგორ გვეხმარება სიტყვის მნიშვნელობის სწორად გააზრება მხატვრული სახის ესთეტიკურად აღქმაში.

„ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს ტაეპი:

---

1 ვ. ნოზაძე, ფერთამეტყველება, ბუენოს აირეს. გვ. 122.
2 დასახ. შრ. გვ. 135.
3 დასახ. შრ. გვ. 153.

„ვბურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა ვხოცდი ლომსა"...
328,4.

ვ. ნოზაძის აზრით, ტარიელი კატაზე ვერ ინადირებდა, რადგან იგი წმინდა ცხოველად იყო მიჩნეული საერთოდ და პირველ რიგში — ინდოეთში. აქ უნდა გვქონოდა ყატა, რომელიც შემდეგში სიტყვის მნიშვნელობის მიუწვდომლობის გამო „კატად" გადააკეთეს. კატა — ყატა, ვ. ნოზაძის განმარტებით, არაბული სიტყვაა და უდაბნოს ქათამს ნიშნავს. ძალიან ბევრია არაბეთში. შეიძლება ნიშნავდეს კაკბის ერთ სახეობას. ავტორი მიუთითებს მსგავს ადგილზე, სადაც კატის ნაცვლად სირი (წვრილი ფრინველი) არის შედარებული ლომის კვლასთან:

„ჴირად არ მიჩნდის ლომისა მოკვლა, მართ ვითა სირისა"...
320,3.

აქედან მას გამოაქვს დასკვნა, რომ „ვეფხისტყაოსანში" მოხსენებული კატა, იგივე ყატაა, უდაბნოს ქათამი. ეს ვარაუდი საგულისხმოა რუსთველის პოეტური პარალელიზმების თვალსაზრისით ისე, როგორც ვარდთან მიმართებაში ნეხვის გაგება მყრალი ბალახის მნიშვნელობით.

ვ. ნოზაძის შრომებში ბევრი რამაა სადავო და მეთოდოლოგიურად მიუღებელი დებულებანი, მაგრამ ავტორის ტენდენცია — დაინახოს „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკაში პოეტის ესთეტიკური კონცეფცია, მგოსნის მხატვრული გააზრება — საყურადღებოა და ანგარიშგასაწევი.

რუსთველის ესთეტიკის საკითხებზე 1955-56 წლებში „ლიტერატურულ გაზეთში" და ჟურნალებში „საბჭოთა ხელოვნებასა" და „მნათობში" გამოქვეყნდა გ. ნ ა დ ი რ ა ძ ი ს წერილები. 1958 წელს გ. ნადირაძემ გამოსცა მონოგრაფიული შრომა „რუსთაველის ესთეტიკა". ამ წიგნში ცალკეა გამოყოფილი მხატვრული ენის საკითხი.

გ. ნადირაძის აზრით, „რუსთაველის ენა იმდენად ეპირისპირება პეტრიწის, შავთელისა თუ ჩახრუხაძის წერის მანერას, რომ სავსებით ბუნებრივი იქნებოდა, თუ ფაქტად ჩავთვლიდით ლიტერატურულ დისკუსიას ამ ორ ენობრივ სისტემას შორის მაშინდელ მწერლობაში"[1]. სადავოც არაა, რომ რუსთველის მხატვრული ენა არსებითად განსხვავებულია თავისი სპეციფიკური ნიშნებით წინამორბედთა პოეტური მეტყველებისაგან. მაგრამ ავტორს რომ გაეთვალისწინებინა რუსთველამდელი ქართული და ქართულ ენაზე ნათარგმნი ძეგლების ენობრივი თავისებურებანი, მგოსნის მიერ გამოყენებულ ისეთ ფორმებს, როგორიცაა: ვ ი ა კ ვ ა ნ ე, ვ ა ა თ-

[1] გ ი ო რ გ ი ნ ა დ ი რ ა ძ ე, რუსთაველის ესთეტიკა, თბილისი, გვ. 340.

ასე, ვაერთხელი, გამომელდა, გააღაწვეს, აწამწამეს და ე. წ. პარონომაზიული თქმები, მათ უხვად ნახავდა არათუ პეტრიწის შრომასა და თარგმანებში, თვით ბიბლიაში, სხვა სასულიერო ნაწარმოებებში და ისტორიული ხასიათის ძეგლებში. ამ წყაროთა უარყოფა ნიშნავს იმ ენობრივი მემკვიდრეობის უგულებელყოფას, რომელიც რუსთველმა მიიღო და მაღალ პოეტურ ხარისხში აიყვანა.

ავტორი ცდილობს, გაარკვიოს რუსთველის მხატვრული ენის თავისებურებანი. იგი სავსებით სწორად შენიშნავს: „ვეფხისტყაოსნის“ ენის ესთეტიკას არაფერს მისცემს პოეტური ხერხების სტატისტიკა. ეს უკანასკნელი გვეტყვის მხოლოდ, იმას, თუ რით ჰგავს რუსთაველი სხვებს, მაგრამ არაფერს გვეტყვის იმაზე, თუ რით განირჩევა იგი სხვებისაგან“[1].

„ვეფხისტყაოსნის“ ენის ხატოვანობის მთავარ საშუალებებად გ. ნადირაძე თვლის სიმბოლოებს, ფერებსა და ტონებს. მაგრამ ეს ნიშნები რომ მხოლოდ რუსთველისათვისაა დამახასიათებელი, ამისათვის საჭირო იყო რუსთველის პოეტური მეტყველების შედარებითი ანალიზი დიდი მგოსნის წინამორბედ და თანამედროვე მწერალთა ენისადმი. სწორედ ეს გაგვირკვევდა იმას, თუ რით განირჩევა რუსთველი სხვებისაგან. ამგვარი ანალიზის გარეშე რუსთველის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა არ შეიძლება გადაწყვეტილად მივიჩნიოთ.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ენათმეცნიერული თვალსაზრისით დადგენაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ა. შანიძეს. მისი დაკვირვებანი ნაწარმოების ტექსტზე არსებითად წარმოდგენილია წერილში „ვეფხის-ტყაოსნის ენის საკითხები II. პოემის მეცნიერული გამოცემისათვის“[2]. ეს გამოკვლევა შემდეგ შევსებული სახით ავტორმა წაუძღვარა მისივე ხელმძღვანელობით შედგენილ „ვეფხის-ტყაოსნის სიმფონიას“. ბევრი საგულისხმო დაკვირვებაა ამ შრომაში მოცემული, რომელსაც პოემის ტექსტის მეცნიერული გამოცემისას ანგარიში უნდა გაეწიოს.

„ვეფხის-ტყაოსანი“, — წერს ა. შანიძე, — მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული ქმნილებაა, — მაგრამ პირველ ყოვლისა ის არის ქართული ენის დოკუმენტი, რომელიც მაჩვენებელია გარკვეული ეტაპისა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში“[3]. ეს დებულება დასაზუსტებელია. როდესაც ვლაპარაკობთ რუსთველის პოემაზე, როგორც ქართული ენის დოკუ-

---

1 დასახ. შრ. გვ. 343.

2 ჟურნ. „მნათობი“, № 7, 1956, გვ. 136 — 145.

3 ვეფხის-ტყაოსნის სიმფონია შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისი, 1956, გვ. 018.

მენტზე, არაა საჭირო მასში ვეძიოთ ზუსტად ის ფორმები, რაც შეიძლება მართებული და გამართლებული იყოს ქართული ენის გრამატიკის იმ ნორმების მიხედვით, რაც მე-11-12 საუკუნეებში გვქონდა. „ვეფხისტყაოსანი“, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული ნაწარმოებია და არა ისეთი დარგის ძეგლი, რომელიც შედარებით უფრო ადვილად ითმენს და ემორჩილება გრამატიკის კანონებს. ამით იმის თქმა როდი გვსურს, თითქოს მხატვრული ქმნილება გრამატიკული წესების გარეთ იდგეს. ემყარება რა სალიტერატურო ენის ნორმებს, მას აქვს თავისი შინაგანი ბუნებაც, რომელზედაც შიშველი გრამატიკული კანონების მექანიკურად გავრცელება შეუწყნარებელია. ფრაზის გრამატიკულად გამართვაში პოეტებს ძალიან ეხმარება საერთო ლიტერატურული ენის საფუძვლიანად ცოდნა. მაგრამ გრამატიკული ცნებების მიხედვით მხატვრული ნაწარმოების გააზრება საერთოდ როდი გამოდგება.

ა. შანიძე თავის გამოკვლევაში „ვეფხისტყაოსნის“ ენის ფორმებს და სიტყვათა ურთიერთობას, მათს სემანტიკასა და პოეტურ აზრს წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით წყვეტს. გარკვეულ შემთხვევებში, როცა საქმე არ ეხება უშუალოდ მხატვრულ სახეს და პოეტურ მიზანდასახულობას, ასეთ თვალსაზრისს თავისი პოზიტიური ძალა აქვს და ამ მხრივ წარმოებული კვლევა-ძიება სარწმუნო ხასიათისაა. ამგვარად წარმართული ანალიზი აზუსტებს ფრაზის შინაარსს და მას უფრო საწვდომს ხდის. „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებში გვაქვს: „დავჯე, რუსთველმან გავლექსე. მისთვის გულ-ლახვარ-სობილი (7,3). ა. შანიძის დაკვირვებით, საჭიროა ეს ტაეპი ასე გასწორდეს: „დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულს ლახვარ-სობილი“. რუსთველის პოეტური აზრი აქ უფრო ნათელია, თუმცა უამისოდაც გასაგები იყო ფრაზა (ხომ ვამბობთ: „გულხელდაკრეფილი“ და არა: „გულს ხელდაკრეფილი!“). უეჭველად გარკვეულობა და ლოგიკური გამართულობა იგრძნობა აზრისა მკვლევრის მიერ გასწორებულ წინადადებაში: „რად აყივნებს, რაც არ სძულსა?!“ (ნაცვლად ფრაზისა: „რად აყივნებს, რაცა სძულსა?!“). 87,4-ში ვკითხულობთ: „იგი ტირს და არა ესმის, მისგან გაუუმეცარდა“. მკვლევრის აზრით, იგი მისგან კი არ გაუუმეცარდა, არამედ მას გაუუმეცარდა. საკმაო იყო სრულიად უბრალო ოპერაცია — მძიმის გადასმა, რომ ნათქვამს სიცხადე შესძენოდა: „იგი ტირს და არა ესმის მისგან, გაუუმეცარდა“.

სიტყვათა გრამატიკული მნიშვნელობის გათვალისწინებით ა. შანიძე ადგენს სწორ ფორმას და იძლევა ტექსტის მართებული წაკითხვის შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებოა 673,1-ის ანალიზი:

„მუნ მოვიდა, სადა იგი მისნი სპანი დაეყარნეს. ისე გამოდის, რომ „სპან“ სიტყვას ორი მსაზღვრელი აქვს: „იგი“ და „მისი“: იგი მისნი სპანი. არაა აქ ნამ-

დვილად სხვა ვითარებაა: „იგი“ ძველ ქართულში, სხვათა შორის, იმასაც ნიშნავდა, რასაც „ცა“ ნაწილაკი. (ამ შემთხვევაში მას დეფისით ვუერთებთ წინა სიტყვას): რომელმან-იგი (რომელმაც), რომელსა-იგი (ოომელსაც), ოდეს-იგი (როდესაც), სადა-იგი (სადაც) და მისთ. მოყვანილ ტაეპში „იგი“ სწორეთ ამ მნიშვნელობით არის ნახმარი და დეფისით უნდა შევუერთოთ „სადა“-ს: სადა-იგი (სადაც). მაშასადამე, ტაეპი ასეთ სახეს მიიღებს.

მუნ მოვიდა, სადა-იგი მისნი სპანი დაეყარნეს.

ეს თითქო ერთადერთი შემთხვევაა, სადაც „იგი“ ცა ნაწილაკის მნიშვნელობითაა ნახმარი პოემაში“[1].

ა. შანიძის გასწორებებს მეტი დამაჯერებლობა ეძლევა, როცა იგი პარალელური კონტექსტების მიხედვით ასაბუთებს თავის მოსაზრებას. საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ:

„28,2

არ ბედითად „ჰაი“ ზმიდეს. უნდა: არ ბედითად ჰაის ზმიდეს (შდრ. 521,1; გახსოვს, ოდეს ჰაის ჰზმიდი)[2].

„708,3

დრო სიცოცხლისა ჩემისა დღისითღა ჩანს ნასამალი. „დღისითღა ჩანს“ ამას ნიშნავს: მხოლოდ დღის სინათლეზე ჩანს (მაშასადამე, გამოდის, რომ ღამით არა ჩანს). აშკარა შეუსაბამობაა, რაც უმთავრესად ხმოვნის შეცვლისაგან არის წარმომდგარი. უ ნ დ ა: დღესითგან, რაც ნიშნავს: დღეიდან, ამას იქით. ტაეპი აღდგენილი სახით იქნება:

დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან ჩანს ნასამალი,

ე. ი. ჩემი სიცოცხლე დ ღ ე ი ს შ ე მ დ ე გ გამესამედებულიაო“.

მსგავსი მსჯელობაა გამოთქმული შემდეგ ადგილას:

ფრიდონს რა ესმა, ატირდა, ცრემლითა მოერწყო ველი.

მითხრა, თუ: ძმაო, დღესითგან ცუდ ჩემი ლხინი ყოველი! (644,4)[3].

სწორია ა. შანიძის გასაღები იმ შემთხვევებში, როდესაც ტექსტის დადგენა-გააზრებისას რუსთველისათვის სპეციფიკურ პოეტურ ხერხებს ემყარება. ამ მხრივ საყურადღებოა მისი გასწორება:

„952,1

ავთანდილ მისი გაყრილი ტირს, ხმა მისწვდების ცათამდის. „ცათამდის“ სარითმო სიტყვაა, მაგრამ სხვა სარითმოები ამ სტროფში ოდნავ სხვანაირად ჟღერს: კვლაცა მდის, და-ც-ამდის, კაცამდის. მაშასადამე, ამ სამში საერთოა აცამდის. ამას ვერ ეხმაურება პირველი ტაეპის ცათამდის. ამიტომ ბუნებრივია, დაისვას საკითხი: ხომ არ არის პირველი სარითმო სიტყვა გადაკეთებული, ხომ არ იყო წინეთ აქაც აცამდის? თითქო, ჰო.

---

[1] ვეფხის-ტყაოსნის სიმფონია... გვ. 028.
[2] იგივე, გვ. 020.
[3] ვეფხის-ტყაოსნის სიმფონია... გვ. 028.

პირვანდელი ფორმა რომ აღვადგინოთ, უნდა მოვიგონოთ, რომ შოთას ძალიან უყვარს ზმნის მნიშვნელობის გაძლიერება მისი ზმნისწინის განმეორებით.

მაგ.,:

ყმა გაყიდა ღამით გარ, გა (1078,4),
თვალთა წინა წაგვიყიდა ლაღი, კუშტი, ამაყი, წა (209,4).
საქმენი მომხვდეს, მო, რანი (1268,1) და მისთ.

ასეთივე ვითარება უნდა გვქონდეს აქაც, ოღონდ „მისწვდების" ზმნის ნაცვლად უნდა გვქონდეს „ასწვდების" (ძველი ორთოგრაფიით: ა ს წ უ თ ე ბ ი ს). თუ ვარაუდი სწორია, ზმნისწინის გასწორებით რითმაც გასწორდება:

ავთანდილ მისი გაყრილი, ტირს, ხმა ასწვდების, ა ცამდის.
იტყვის, თუ ღვარი სისხლისა კლაცა მდენია, კლაცა მდის.
აწ ეგრე გაყრა ძნელია, ვით მაშინ შეყრა და-ც-ამდის.
კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის.
აქ „და-ც-ამდის" ნიშნავს: დაამდის-ცა"[1].

ა. შანიძის ბევრი გასწორება ანგარიშგასაწევია, ბევრიც სადავოა. ასე მაგალითად, თუ მკვლევარს დავეთანხმებოდით და „ვეფხისტყაოსანს" მივიჩნევდით სამუალი ქართულის ტიპიურ წარმომადგენლად, პოემაში არ უნდა გვეძებნა ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი შეთანხმებანი საზღვრულ-მსაზღვრელისა. მაგალითად „გვაქვს **უთვალავით** ფერითა", ნაცვლად „გვაქვს უთვალავი ფერითა" (გვ. 019), „მით სახითა **ერთით** მზითა", ნაცვლად: „მით სახითა **ერთი** მზითა" (გვ. 023), „შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს, თქვენ ანათობთ **მთად** და ბარად", ნაცვლად: „შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს, თქვენ ანათობთ **მთა** და ბარად" (გვ. 031) და სხვ. თუ ასეთ ზუსტ შეთანხმებას მსაზღვრელ-საზღვრულისას პროზაული ნაწარმოებები ითმენდნენ, მაღალი მუსიკალური გემოვნების პოეტის — შოთა რუსთველისათვის ასეთი პედანტური მორჩილება ძველი ქართული ენის სინტაქსური ნორმებისადმი არ შეიძლებოდა ნორმალურად მიგვეჩნია. რუსთველის სიდიადე სწორედ იმაშია, რომ მან თავის თექვსმეტმარცვლოვან ლექსში თავისუფალი გაქანება მისცა ლიტერატურული ენის ბუნებრივ დინებას, მის მომჯადოებულ ინტონაციას და რუდიმენტად ქცეული თანხმოვნების ჩამოცილებით არაჩვეულებრივი ხმოვანება და ჟღერადობა შესძინა ქართულ პოეტურ სიტყვას. ამგვარად, მსაზღვრელ-საზღვრულის სრული შეთანხმების მიხედვით „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის გასწორება შეიძლებოდა მიგვეჩნია რუსთველის პოეტურ მეტყველებაზე გრამატიკის ძალდატანების ტენდენციის გამოხატულებად. ამგვარი თვალსაზრისი ა. შანიძის გამოკვლევაში აშკარად შეიმჩნევა იქ, სადაც გასწორება სარითმო სიტყვას შეეხება. საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიხმობთ:

[1] ვეფხის-ტყაოსნის სიმფონია... გვ. 031.

„966,4

მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა ჰგვანდის ბუსა. გამოდის, თითქო ავთანდილის ხმასთან შედარებით ბულბულის ხმა ბუს ჰგავდა. არა, ბულბულის ხმა მის ხმასთან შედარებით ბუს კი არ ჰგავდაო, არამედ ბუს ხმასო, ბ უ ს ა ს ო, ძველი ქართულით — ბუსსა-ო. მაშასადამე, უნდა ჩაემატოს მეორე „ს“ (გვ. 031—032).

დავეთანხმოთ ერთი წუთით მკვლევარს და ამის მიხედვით გავმართოთ სტროფი. მივიღებთ:

„თუ დავრჩეო, ესე მიჯობს, — სიცოცხლისა იტყვის თუსა,
— ნუთუ მომხვდეს ნახვა მზისა, ნუ ვიზახი მიწყივ უსა“.
მიიმღერის ხმასა ტკბილსა, არ დასწყვედდის ცრემლთა რუსა.
და მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა ჰგვანდის ბუსსა“.

აშკარადაა დარღვეული რითმა, რასაც „ვეფხისტყაოსანში“ ვერსად შეხვდებით. რუსთველმა კარგად იცოდა, როგორ უნდა ეწერა, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში ლექსის მუსიკალური კეთილხმოვნებისათვის გადაუხვევდა ხოლმე გრამატიკის კანონებს. მსგავსი რამ კი არა ერთი გვაქვს მსოფლიო პოეზიაში.

„ვეფხისტყაოსნის“ 1059-ე სტროფი 1951 წლის გამოცემის მიხედვით ასე იკითხება:

„ესე საქმე ქარავანსა გაეხარნეს მეტად დია;
მოვიდეს და თაყვანი-სცეს, ჰკადრეს: „ჩვენი იმედია,
რაცა აჯა ჩვენ გვმართებდა, იგი თქვენვე გიაჯდია,
მას ვმსახუროთ, ვისი პირი მზისა პირად გაგვიცდია“.

ა. შანიძეს საეჭვოდ მიაჩნია ამ სტროფის მე-3 ტაეპში ნახმარი ფორმა „გიაჯდია“ და ამასთან დაკავშირებით წერს:

„1059,3

რაცა აჯა ჩვენ გვმართებდა, იგი თქვენვე გიაჯდია. დ ზედმეტია (გიაჯია). მართალია, ამ შემთხვევაში რითმა აღარ იქნება კარგი, მაგრამ სჯობს, რომ ნაკლები რითმა იყოს, მაგრამ ფორმა სწორი, ვიდრე კარგი რითმა და მიუღებელი ფორმა“ (გვ. 032).

ეს მართალია: გრამატიკოსის თვალსაზრისით სწორი ფორმა სჯობს ნაკლებ რითმას... მაგრამ საკითხავია, რუსთველისათვის, როგორც პოეტისათვის, იყო თუ არა მისაღები საკითხის ამგვარად გადაწყვეტა? რუსთველზე ვერ ვიტყვით, რომ უგულებელყოფდეს ქართული ლიტერატურული ენის მართებულ ფორმებს. პირიქით, გენიალური შემოქმედია ქართული სიტყვისა. მაგრამ მის პოემაში არც რითმის დარღვევის შემთხვევებს ვხვდებით და არ იქნებოდა დიდი ცოდვა, რომ ლექსის შინაგანი კეთილხმოვანებისათვის მას ორიოდე შემთხვევაში გვერდი აექცია ძველი ქართული ენის გრამატიკული ნორმებისათვის. არასოდეს არ ყოფილა ქართული ენის კანონები მეცნიერული თვალსაზრისით ისე დამუშავებული, როგორც ეს დღესა

გვაქვს. ვერც ჩვენს პოეტებს ვუსაყვედურებთ გრამატიკის უცოდინარობას, მაგრამ ბევრგან შევხვდებით მისი წესების დარღვევის შემთხვევებს და ეს იმიტომ კი არა, რომ თანამედროვე ქართველი მწერლები ბუნტარულად არიან განწყობილნი ენის კანონებისადმი. ლექსის შექმნის დროს არის მომენტი, როცა ყველაფერს ანგარიშს ვერ გაუწევ... და თუ ყველა სიტყვას დახვეწ, ზოგჯერ ძას იმ შინაგან ელვარებას წაართმევ, რომლითაც ცოცხლობს მთელი სტრიქონი. დაგვრჩება გაპრიალებული ფორმები, მაგრამ უღიმღამო და სულგამოცლილი. ამიტომ არ შეიძლება პოეტური ქმნილების ყოველი ელემენტი გრამატიკულ კანონებს დავუქვემდებაროთ. თავად ა. შანიძემ რუსთველური რითმის დაცვისათვის ფრაზა: „ხმა მისწვდების ცათამდის" ხელნაწერთა ჩვენების გარეშე ასე შეცვალა: „ხმა ასწვდების, ა, ცამდის". მაგრამ როცა საქმე შეეხო სიტყვის ფორმას, საკითხი მის სასარგებლოდ გადაწყვიტა, ხოლო რითმა დაარღვია: 1445-ე სტროფის პირველ ტაეპში სიტყვა **მაფენი** მრავლობითის ფორმით წარმოგვიდგინა (მაფენნი). შედეგად ფრაზა გრამატიკულად გაიმართა, მაგრამ რითმა დაზიანდა:

„ზღვათა მეფესა ეტყოდეს სამნიე შუქთა **მაფენნი,**
კბილნი ბროლნი და ბაგენი სადაფთა მოსადაფენი"... (გვ. 036).

ამგვარი გასწორება აძნელებს რუსთველის მხატვრული ენის სპეციფიკის გამოვლენას.

ა. შანიძის ხელმძღვანელობით გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის სიმფონიას" თუმცა რიგი ნაკლოვანება აქვს[1], მაინც იგი რუსთველოლოგიის დიდ შენაძენს წარმოადგენს და საიმედო მასალას იძლევა განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსნის" ძირითადი ლექსიკური ფონდის გასათვალისწინებლად.

ჩვენ მიშოვიხილეთ ძირითადი ნაშრომები, რომლებიც პირდაპირ თუ შუალობით რუსთველის მხატვრული ენის საკითხებს ეხება. ეს ექსკურსი გვარწმუნებს, რომ ორ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში რუსთველის პოეტური მეტყველების საკითხებზე არა ერთი საყურადღებო მოსაზრება გამოთქმულა. როგორც ამ მიმოხილვიდან ჩანს, „ვეფხისტყაოსნის" ენას მკვლევრები ეხებოდნენ ლექსიკოლოგიურ-პოეტიკური, ტექსტოლოგიური, ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით. რუსთველის მხატვრული ენის სპეციფიკის გამოვლენისათვის პოემის შესწავლა ამ დარგთა მიხედვით, რა თქმა უნდა, აუცილებელია. „ვეფხისტყაოსნის" შექმნიდან დღემდე ბევრი სიტყვის სემანტიკურ-გრამატიკული შინაარსი შეიცვალა. ამის გამო ძნელდება ამ სიტყვებით

---

[1] დაწვრილებით „სიმფონია" განხილულია ჩვენს წერილში — „ვეფხისტყაოსნის" სიმფონიის გამოცემის გამო — „ლიტერატურული ალმანახი", წიგნი მეათე, სოხუმი, 1957, გვ. 214-221.

გადმოცემული მხატვრული აზრის გაგება. სწორედ ამიტომ მეცნიერულ დონეზე წარმართული ლექსიკოლოგიური და ლინგვისტური ანალიზი „ვეფხისტყაოსნის“ ენისა ერთ-ერთ გასაღებს წარმოადგენს რუსთველის პოემის მხატვრული ოსტატობის თავისებურებათა გამოსავლინებლად. მონათესავე დარგების მიხედვით გარკვეული მოვლენის შესწავლა გვეხმარება ამ უკანასკნელის დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინება-დადგენაში. მიუხედავად ზოგიერთი არასწორი ინტერპრეტაციისა, „ვეფხისტყაოსნის“ საკითხების ლექსიკოლოგიურ-პოეტიკური (თეიმურაზ ბატონიშვილი, დ. ჩუბინაშვილი, მ. ბროსე, ნ. მარი, ი. აბულაძე, ზ. ავალიშვილი, ვ.ნოზაძე), ტექსტოლოგიური (პ. ინგოროყვა, კ. ჭიჭინაძე, ა. შანიძე), ლინგვისტური (ა. შანიძე), ლიტერატურათმცოდნეობის (ალ. ბარამიძე, ვ. ბერიძე, პ. ბერაძე, შ. ნუცუბიძე...) ასპექტების მიხედვით გაშუქება მკვიდრ მეცნიერულ საფუძველს გვაძლევს რუსთველის პოეტური მეტყველების სპეციფიკური ბუნების გამოვლენისათვის. მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ვეფხისტყაოსანი“, უპირველეს ყოვლისა, სიტყვაკაზმული ლიტერატურის ძეგლია და მისი მხატვრული ენის თავისებურებათა შესწავლისას ამოსავალი უნდა იყოს ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისი, ესთეტიკური პრინციპები. რუსთველის გამოთქმების პოეტური სემანტიკის გახსნისათვის სხვა დარგებს მხოლოდ დამხმარე როლის შესრულება შეუძლიათ.

მართალია, ლიტერატურათმცოდნეობის პრინციპები განმსაზღვრელია პოეტური ენის საკითხთა კვლევა-ძიების პროცესში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მხატვრული საშუალებანი თვითმიზნად წარმოვისახოთ და მას დავუქვემდებაროთ ნაწარმოების ძირითადი საკითხების ანალიზი. ამგვარი თვალსაზრისი წმინდა ფორმალისტურია. რუსთველის გამომსახველობით საშუალებათა რკვევასთან დაკავშირებით ამ კონცეფციის გამომხატველია კ. ჭიჭინაძე.

„ვეფხისტყაოსნის“ კვლევის ისტორიიდან ისიც ცნობილია, რომ ზოგიერთი მკვლევარი, პირდაპირი მნიშვნელობით იგებდა რა რუსთველის პოეტურ სახეებს, ან პლეონაზმებად მიიჩნევდა მათ (მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი), ანდა სრულ უაზრობად, უნიჭობის გამოხატულებად, რის გამოც „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო სტროფებს ყალბად აცხადებდა. ამ სუბიექტურ-ვულგარული მიმართულების ყველაზე ტიპიური წარმომადგენელია ალ. საჯაშვილი, რომელსაც სრულიად დაუმსახურებლად ქებადიდებას ასხამდა ზოგიერთი ჩვენი საზოგადო მოღვაწე.

მხატვრული ენის სპეციფიკის დადგენისათვის აუცილებელია ნაწარმოების ფრაზეოლოგიისა და გამომსახველობით საშუალებათა შედარებითი ანალიზი სხვა ძეგლებთან მიმართებით. შედარებითი ანალიზის საჭიროებას გრძნობდა მ. ჯანაშვილი და ამ მხრივ აწარმოებდნენ კვლევას დ. ჩუბინაშვილი, ნ. მარი, ს. კა-

კაბაძე, ი. აბულაძე. ამავე მეთოდით მუშაობენ რუსთველის მხატვრულ სახეთა ბუნების კვლევისას დ. კობიძე და ვ. ნოზაძე. მაგრამ შედარებითი ანალიზის შედეგები მკვლევართა საქმიანობაში სხვადასხვანაირად წარმოგვიდგება. ადარებდნენ რა ერთმანეთს რუსთველისა და ირანელი მწერლების მხატვრულ გამოთქმებს, დ. ჩუბინაშვილი და ი. აბულაძე აღიარებდნენ სპარსული ლიტერატურის გადამწყვეტ გავლენას „ვეფხისტყაოსანზე“. ამავე გზას ადგა ს. კაკაბაძეც. რა თქმა უნდა, არც ერთი ზემოხსენებული მკვლევრის თვალსაზრისი არ იყო სწორი. შედარებითი ანალიზი არ უნდა კმაყოფილდებოდეს მხოლოდ მსგავსების ძიებით. იგი უნდა ავლინებდეს განსხვავებულ მომენტებსაც. ამ პოზიციაზე დგანან დ. კობიძე და ვ. ნოზაძე.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა დადებითად იმ შემთხვევაში გადაწყდება, თუ დავემყარებით მონათესავე დარგთა მიერ მოპოვებულ დასკვნებს, კვლევას წარვმართავთ ლიტერატურათმცოდნეობის პრინციპების მიხედვით და სხვა ძეგლების ენასთან ნაწარმოების პოეტური მეტყველების ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვავლინებთ სწორედ იმ განმასხვავებელ ნიშნებს, რომლებიც საკუთრივ რუსთველურია. კვლევა-ძიებისას ერთნაირად საზიანოა როგორც ფორმალისტური, ისე ვულგარული თვალსაზრისი. თითქმის არაფერს იძლევა ისეთი ძიება, რომელიც შედარებითი ანალიზის პროცესში მხოლოდ და მხოლოდ მსგავსი მომენტების წარმორჩენას ისახავს მიზნად.

## II

## მხატვრული ენის სპეციფიკისა და მისი ანალიზის საკითხისათვის

ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, ფართო ცნებაა. იგი თავისში შეიცავს და ამთლიანებს მეტყველების სახესხვაობებს, გამოყენებულს ადამიანის საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. საზოგადოების ყველა წევრისათვის საერთოა ეროვნული ლიტერატურული ენა, რომლის საშუალებითაც მასებს უკავშირდებიან პარტიული ორგანოები, სახელმწიფო დაწესებულებანი, სკოლები, გაზეთები. ამავე ენის კანონებს ემყარებიან თავიანთ მოღვაწეობაში მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურის დარგთა მუშაკები. მაგრამ მათი მეტყველებითი პრაქტიკა ენობრივ საშუალებათა თავისებურად გამოყენების გამო სავსებით განსხვავებულია ურთიერთისაგან. მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროში მოღვაწენი თავიანთი დარგისათვის სპეციფიკურ ტერმინოლოგიასა და გამოთქმებს მიმართავენ, რაც სხვა სპეციალობის ადამიანისათვის, თუ ის ენციკლოპედიურად განსწავლული არაა, შეიძლება სავსებით მიუწვდომელი აღმოჩნდეს. განსხვავებულია გადმოსაცემი შინაარსის დალაგების, მისი კომპოზიციის კანონზომიერებაც. ეს განსხვავებულობა ქმნის იმ სპეციფიკას, რაც ნიშანდობლივია ამა თუ იმ დარგის მუშაკთა მეტყველებისათვის. ენობრივი სტილის თავისებურება განსაკუთრებით მკვეთრად შეიმჩნევა მხატვრული აზროვნების შემთხვევაში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მხატვრული ლიტერატურისათვის დამახასიათებელია სახეებით აზროვნება. აზროვნება კი არ არსებობს მისი მატერიალური გარსის — ენის გარეშე. მაშასადამე, ენა, რომელსაც მხატვრული ლიტერატურა მოიხმარს, ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს უნდა იყენებდეს, რომლებიც შესაძლებელს ყოფს პოეტურ სახეთა შექმნას. ამგვარი მეტყველებაა საფუძველი მხატვრული ენისა. რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი მეტყველების პროცესში და თვით მეცნიერული აზროვნების მომენტშიც მიმართავენ ისეთ გამოთქმებს, რომლებიც ხატოვანია. განა ხალხიდან არ მოდის მოსხლეტილი თქმები, გონებამახვილური გამოთქმები, მყარი ფრაზეოლოგიური ერთეულები, იდიომები, ანდაზები, გამოცანები, რომელთაც, როგორც ფოლკლორულ ნაკადს, მწერლებიც

იყენებენ?... და მაინც პოეტური აზროვნება ინდივიდუალური აქტია. რომელიც, მართალია, ემყარება ხალხის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ მხატვრულ სახეთა ფორმულებს, მაგრამ ამავე დროს მათდამი შემოქმედებითს დამოკიდებულებასაც ამჟღავნებს და სიტყვაკაზმულ ლიტერატურას ამდიდრებს ორიგინალური გამომსახველობითი ფორმებით.

სასაუბრო ენისა და მეცნიერული აზროვნებისათვის მხატვრული მეტყველება არაა სპეციფიკური. იგი არსებითია მხოლოდ და მხოლოდ მხატვრული ლიტერატურისათვის. გამომსახველობით საშუალებათა საგანგებოდ შერჩევით, ენობრივი მასალიდან ისეთი პლასტების გამოყოფით, რომლებიც უზრუნველყოფს პოეტურ სახეთა შექმნას, ლიტერატურა აღწევს მხატვრულობასა და ტიპიურობას, რადგან პოეტური სახე, როგორც ესთეტიკური ფენომენი, ტიპიურ მომენტს წარმოგვიჩენს უთუოდ. ტიპიური ნიშნების წინ წამოწევა, განზოგადება დამახასიათებელი თვისებაა აბსტრაქტული აზროვნებისათვის. მაგრამ მხატვრული აზროვნება, სხვებისაგან განსხვავებით, სინამდვილის ტიპიურ ნიშნებს სწორედ სახეების საშუალებით გადმოგვცემს. ამდენად ბუნებრივია, რომ ლიტერატურაში ტიპიურობა ცოცხალი სახეების დახატვით მიიღწევა. სახის შექმნა მხატვრული ენის საშუალებითაა შესაძლებელი. მხატვრული ენის ფუნქცია პოეტური სახის შექმნაში მდგომარეობს. სწორედ ამაშია მისი სპეციფიკა. ეს შინაარსობრივად.

მხატვრული ენის ფუნქციური მხარე გულისხმობს სტრუქტურული მომენტის განსხვავებულობასაც. საგნისა თუ მოვლენის დამახასიათებელი ნიშნების შემჩნევა ჩვეულებრივი მეტყველების პროცესში გარკვეული ამბის თხრობის შედეგადაა შესაძლებელი. მეცნიერული აზროვნების დროს ამ ნიშნების წინ წამოწევა ლოგიკური მსჯელობის გზითაა შესაძლებელი. მხატვრული აზროვნება კი ადამიანს, მის სულიერ განცდებს, ცხოვრების მოვლენებს გამომსახველობითი საშუალებებით წარმოგვისახავს. ეს საშუალებებია: მხატვრული შედარება, ეპითეტი, მეტაფორა, განპიროვნება, ალეგორია, ჰიპერბოლა, განმეორება, პარალელიზმი და სხვა. გამოსახვის ეს საშუალებანი მხოლოდ და მხოლოდ მხატვრული ენისათვისაა დამახასიათებელი. მართალია, მათ იყენებენ ჩვეულებრივი საუბრისა და მეცნიერული აზროვნების დროსაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი სპეციფიკურად არ მიიჩნევა. მხატვრული ენის ფარგალში უნდა მოექცეს მეტყველების ისეთი მოვლენები, რომლებიც ესთეტიკურ მომენტთა მთლიანობას აპირობებენ. ამდენად, მექანისტური ელფერი დაჰკრავს ვ. ჟირმუნსკის შემდეგ მოსაზრებას: «Поскольку материалом поэзии является слово, в основу систематического построения поэтики должна быть положена классификация фактов языка, которую дает нам лингвистика. Каждый из этих фактов, подчиненный художественному зада-

ние, становится, тем самым, поэтическим приемом. Таким образом, каждой главе науки о языке должны соответствовать особая глава теоретической поэтики»[1].

მხატვრული ენის სტრუქტურულ შემადგენლობას ქმნის პოეტური ლექსიკა, სემანტიკა, სინტაქსი, ბგერწერა, რითმი და რიტმი. რა თქმა უნდა, არც პოეტური ლექსიკა, არც პოეტური სემანტიკა და ბგერწერა (ფონეტიკა) არ შეესატყვისება ენათმეცნიერების სათანადო დარგებს. თვალსაზრისითაც და სტრუქტურულადაც აქ განსხვავებულ მოვლენებთან გვაქვს საქმე. სწორედ ამის გამოა შესაძლებელი მსჯელობა მხატვრული ენის სპეციფიკურობის შესახებ. მხატვრული მეტყველება, როგორც ენის დანარჩენი სახესხვაობანი, საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს. მაგრამ, მათგან განსხვავებით, მას ეკისრება ექსპრესიული, ესთეტიკური ფუნქცია. ეს ფუნქცია მხატვრული შემოქმედების სხვადასხვა ჟანრში მეტ-ნაკლებად მუსიკალურ ამყოლობასაც საჭიროებს, რისთვისაც აუცილებელია ბგერათა ჰარმონია, მათი მაქსიმალური მოწესრიგებულობა. სწორედ ამ როლს ასრულებს ალიტერაცია, ასონანსი, ანაფორა, ეპიფორა, რითმა და რიტმი. ისინი მხატვრულ სახეს მუსიკალურ ბგერადობას ანიჭებენ და მით მკითხველის სმენას მძლავრი ესთეტიკური ხმოვანებით ატკბობენ.

მწერალს მხატვრული აზროვნების ორიგინალური ფორმა უნდა ჰქონდეს. საწინააღმდეგო შემთხვევაში ეპიგონობასთან გვექნებოდა საქმე. როცა ვარკვევთ მწერლის მხატვრული ენის სპეციფიკას, იმას კი არ უნდა წამოვწეოდეთ წინა პლანზე, რა გამომსახველობითს საშუალებებს მიმართავს შემოქმედი. მთავარია, გაირკვეს მხატვრული სახისათვის გამოყენებული ენობრივი მასალის ბუნება, მისი იდეური გააზრება და ის პრინციპი, რომლის საფუძველზედაც აგებულია პოეტური თქმები.

მხატვრული სახის აგების პრინციპები ერთბაშად როდი შემუშავებულა. მისი ისტორია ისევე ძველია, როგორც ისტორია თვით ლიტერატურისა. აქედან ის გამომდინარეობს, რომ მწერლის მხატვრული ენის სპეციფიკის გარკვევა ვარაუდობს პოეტური სახის წარმოქმნის პრინციპთა ისტორიულ-შედარებითს ანალიზს.

არის რიგი მხატვრული სახეები, რომელთაც დროთა განმავლობაში დაკარგეს თავიანთი ცხოველმყოფელი ძალა და ისეთ ფორმულებად იქცნენ, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულები, იდიომები. აკად. ა. ვესელოვსკი ამასთან დაკავშირებით წერდა:

«...Что до нас дошло формулой, ничего не говорящей воображению, было когда-то свежо и вызывало ряды странных ассоциаций.

---

[1] В. Жирмунский, Задачи поэтики — Вопросы теории литературы, Ленинград, 1928, стр. 39.

Эпитеты холодеют, как давно похолодели гиперболы»[1]. ამგვარი სახე-ფორმულები შეიძლება ხშირად შეგვხვდეს ამა თუ იმ მწერლის მხატვრულ ქმნილებებში. ამის საფუძველზე წარმოებს ძიებანი, რომელთა მიზანია გარკვეული გამოთქმების წარმომავლობის ამოცნობა. ასეთი კვლევის შედეგად, არცთუ იშვიათად, კეთდება დასკვნები პოეტური სახეების გადმოღებისა და სესხების შესახებ. ასეთ შემთხვევებში ყოველგვარი ანალოგია საფუძველს მოკლებულია. გაქვავებული სახე-ფორმულები თავისუფლად შეიძლება გამოიყენოს მწერალმა როგორც სიტყვათა ჩვეულებრივი შეხამებანი. ისინი არც მწერლის კუთვნილებას წარმოადგენს და არც ვისმესგან ნასესხებ სახეს.

მაგრამ ბევრმა ადრე შექმნილმა მხატვრულმა სახემ, როგორც საყოველთაოდ გავრცელებულმა ხატოვანმა გამოთქმამ, შესაძლებელია ცვლილებები განიცადოს სხვადასხვა პოეტის შემოქმედებითს პრაქტიკაში. ამგვარ შემთხვევებში ისტორიულ-შედარებითი ანალიზი აუცილებელია. იგი გაგვირკვევს მწერლის მხატვრული ენის თავისებურებას, იმას, თუ სად ემყარება შემოქმედი წინამორბედებს და სად სცილდება მათ. შედეგად ნათელი ხდება მხატვრული ენის სპეციფიკა.

ლიტერატურაში ცნობილია მწყურვალი ირმის წყლისადმი მისწრაფებასთან დაკავშირებით შექმნილი მხატვრული შედარება. „დავითნში“ ვკითხულობთ: „ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო“[2]. აქ წყლისადმი ირმის ლტოლვა ჭმინდა რელიგიურ-მისტიკური ამოცანის გამოსახატავადაა გამოყენებული. სახის იდეური დატვირთვა გამოგვიელენს მისი ავტორის ტიპიურ მისწრაფებებს. მწყურვალ ირემთან შედარება ჩვეულებრივ სახედ იქცა სასულიერო მწერლობაში. ეს სახე ზოგჯერ მზაკვრულ სურვილებისაგან განრიდების, ანდა საღმრთო წიგნების დაწაფების გამოსახატავადაა გამოყენებული: „ხოლო შენ ეკრძალე, ძმაო, და ნუ შეიწუნარებ მზაკუარისა მის ზრახებასა, არამედ იყავ შენ ვითარცა ირემი წყურიელი, რომელსა სურინ და მიისწრაფინ წყაროდ მიმართ წყალთაჲსა, რაჲთა სუას და განისუენოს წყურილისაგან“[3]. „...იყავნ შენ ვითარცა ირემი წყურიელი. და ვითარცა-იგი მან სურინ, გსუროდენ შენცა საღმრთოთა მიმართ წიგნთა, რაჲთა სუა მათგან და განიგრილო წყურილი იგი, რომელი ეგზების შენ თანა ვნებათა მიერ“[4]. ეს სახე შემდგომ საერო მწერლობამაც გამოიყენა. ასე მა-

---

1 **А. Н. Веселовский**, Историческая поэтика, Ленинград, 1940, стр. 92

2 დავითნი, დაბადება II, 1884, გვ. 93.

3 იოვანე ოქროპირი, მოთმინებისათჳს და ამის სოფლისა აღსასრულისათჳს— მამათა სწავლანი (ილ. აბულაძის გამოც.), 1955, გვ. 20

4 იგივე, იოვანე ოქროპირი, გვ. 76.

გალითად, იგი გვხვდება „ვისრამიანში“: „აღარ იხარებ, რომელ ჩემი მიჯნური იყავ, ჩემისა ნახვისათვის ასრე გსურდა, ვითა წყაროსათუის ირემსა“...[1] ამ საერო ნაწარმოებიდან, როგორც სამართლიანად ფიქრობს შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე[2], რუსთველი იღებს ხსენებულ სახეს როგორც „კაცთა“ ამბავის მაუწყებელს:

„სამსახურსა მიბრძანებდი, უხუცესი ვითა მრწემსა,
შენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა“. 1654, 3-4.

მაგრამ რუსთველი სხვა ადგილას სცილდება მისთვის მახლობელ ამ წყაროსაც და საკუთარ მხატვრულ შედარებას ქმნის ნაწილობრივ იმავე და უმეტესად ახალი ენობრივი მასალის გამოყენების საფუძველზე:

„გამოჰრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად“. 855,3

აქ ირმის მისწრაფება წყლისადმი ჩვეულებრივი სურვილის ფარგლებს სცილდება (სახლიდან გამოჰრა და წყლის ძებნა). თუ პირველ შემთხვევაში ირმისაგან წყაროს მოსურვება კონკრეტულად არ იყო ნათელი, მეორეგან იგი წარმოგვიდგენს სახლიდან გამოჰრილ ავთანდილს, რომელიც ისე გახელებული დაეძებს თავის ძმადნაფიცს, როგორც მწყურვალი ირემი — წყალს. აქ სურვილი მოქმედების მძაფრ დინამიკაშია გამოვლენილი და გავრცელებული მხატვრული შედარებისადმი სწორედ ასეთ შემოქმედებითს დამოკიდებულებაში ჩანს და იგრძნობა რუსთველის პოეტურ სახეთა სპეციფიკური ბუნება (შდრ. წყურილისაგან განსუენება და განგრილება რუსთველის მიერ სურვილის გამოვლენის დინამიკურ ფორმებს). ამ მხატვრული სახის ბიხედვით ცოცხლად წარმოჩვიდგება

---

[1] ვისრამიანი, 1938, გვ. 220. ამ ადგილთან დაკავშირებით ი. ა ბ უ ლ ა ძ ე წერდა: „სპარსულ ორიგინალში ვპკითხულობთ: იხ. 282 გვ., მე-8 ლექსი. „შენ არ იყავი ის, რომ ჩემს იქით არაფერი გახსოვდა (არაფერს იგონებდი) და ჩემი ფეხის მიწისგან სურმას (გუნდა-ლახოსტაკს) იკეთებდიო“. ამ ადგილის ნაცვლად მთარგმნელს შემოუტანია შემდეგი ადგილი, იხ. ფსალმ. დავითისი, 41 თავი: „(შენ იგი), რომელ ჩემი მიჯნური იყავ, ჩემისა ნახუისათუს ასრე გსურდა, ვითა წყაროსათუს ირემსა“. ამნაირად წმინდა აღმოსავლური სპარსული შედარება, სადაც ლაპარაკია მიჯნურის მიერ საყვარლის ფეხის ტალახისაგან სურმის გაკეთებაზე ქრისტიან მთარგმნელს შეუცვლია ფსალმუნის გავლენით.

სწორედ ასევე ფსალმუნის გავლენით შექმნილი ფრაზა ხვდება რუსთაველსაც. იხ. 1512.4 ან 790,3. „შენთვის ასრე მომწყურდების, წყაროსათვის ვით ირემსა“, ან „გამოსრულვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად“... (ი უ ს ტ ი ნ ე ა ბ უ ლ ა ძ ე. მე-XII-ე საუკ. ქართული საერო მწერლობა და „ვეფხის-ტყაოსანი“, გვ. 234-235, ტფილისი, 1923).

ჩვენი აზრით, „ვისრამიანის“ აღნიშნული ადგილი ქართველმა მთარგმნელმა ქართულ საერო გემოვნებას შეუფარდა და იგი დაცლილია რელიგიურ-მისტიკური შინაარსისაგან, რასაც იგი „დავითნში“ ატარებდა. ეგეც ითქმის „ვეფხის-ტყაოსნიდან“ მოყვანილი სტროფების შესახებაც.

2 შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე. ვეფხისტყაოსნის ლიტერატურული წყაროები — რუსთველის კრებული, 1938, გვ. 171.

რუსთველის საყვარელი გმირის კეთილშობილური ხასიათი. მისი. როგორც ტიპის, დამახასიათებელი ნიშანი.

მაგრამ ამ სახის ტყვეობაში, რა თქმა უნდა, არ დარჩენილა ქართული მწერლობის შემდგომი თაობანი. ქართველი. მკითხველის გულთან ახლოსაა გალაკტიონ ტაბიძის ცეცხლოვანი სტრიქონები:

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა...
დროშები ჩქარა!“

აქ საესებით გადალახულია ირმისა და წყაროს ურთიერთობის საფუძველზე შექმნილი მხატვრული შედარების საზღვრები და იგი გააზრებულია სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმაღლეებიდან. თანაც საესებით განსხვავებულია შედარების წევრთა მხატვრული ინვენტარი და სტრუქტურული მხარე. აქ თავისუფლებისაკენ მიმსწრაფი სული წყაროს მძებნელი ირმის უბრალო სურვილს კი არაა შედარებული; იგი დაჭრილ ირემთა გუნდის ანკარა წყაროსაკენ ლტოლვასაა შეტოლებული. ბუნებრივია, რომ მოცემულ შემთხვევაში შესადარებელ წევრთა მასშტაბიცა (დაჭრილ ირმების გუნდი) და თვისებრივ-ემოციური მომენტიც („დაჭრილი ირმები“, „წყარო ანკარა“) არსებითად განსხვავებულია მანამდის არსებულ სახეთაგან და სწორედ ეს აძლევს მას ორიგინალურ, თავისებურ, გალაკტიონისათვის სპეციფიკურ შინაარსს. ამ ერთი მხატვრული სახის ისტორიული ექსკურსი გვარწმუნებს, რომ პოეტური თქმები, რომელთაც საფუძვლად უძევთ ხალხური ფრაზეოლოგიური ფორმულები, შეიძლება სხვადასხვა მწერლის შემოქმედებაში სპეციფიკურ მხატვრულ ფორმებში წარმოგვიდგეს. ამიტომ სახეთა დაყვანა ფრაზეოლოგიურ ერთეულებამდის და ამის მიხედვით ანალოგიებისა და გავლენების ძიება დადებითს მეცნიერულ შედეგებს ვერ მოგვცემს. მხატვრული სახის მასალობრივი მხარის, მისი სტრუქტურული და ფუნქციური მომენტების მთლიანობა განსაზღვრავს პოეტური ენის სპეციფიკას, მის შინაგან ბუნებას. ამგვარი თვალსაზრისი იქნება ჩვენთვის ამოსავალი რუსთველის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემის გადაწყვეტისას.

* * *

რაში შეიძლება გამოჩნდეს კონკრეტულად „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკა? იგი შეიძლება გამოვლინდეს პოეტის მიერ გამოყენებულ სიტყვათა რაოდენობის, დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულებისა და მათი ფორმების ურთიერთმიმართებაში, მათს მხატვრულ დანიშნულებაში, ნაწარმოების ენის მასალობრივი მხარის ხასიათისა და სტრუქტურულ-ფუნქციურ მომენტთა მთლიანობაში. ეს გულისხმობს შემდეგი საკითხების გარკვევას:

1. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკური შემადგენლობის საკითხი.
2. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის მასალობრივი მხარე და მისი ხასიათი.
3. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სტრუქტურულ-ფუნქციური მხარე.

ამ საკითხთა კვლევისას ჩვენ ვემყარებით ისტორიულ-შედარებითს მეთოდს, რომლის საფუძველზედაც წარმოებული ანალიზი დაგვანახვებს რუსთველის კავშირს ქართული მწერლობის ენობრივ მემკვიდრეობასთან და გვიჩვენებს გენიოსი მგოსნის დამოუკიდებელ სახესაც ჩვენი ეროვნული პოეტური მეტყველების განვითარების ისტორიაში.

## III

## „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკური შემადგენლობის საკითხი

შემოქმედის მხატვრული ძალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს მის მიერ გამოყენებული ლექსიკური მარაგის სიმდიდრე წარმოადგენს. სიტყვათა სიუხვე მწერლის პოეტური აზროვნების მაღალი კულტურის მაუწყებელია. ის, ვინც წამდაუწუმ მიმართავს ერთსა და იმავე სიტყვას, გამოთქმებს, სახეებს და არ შესწევს ძალა გადმოსაცემი შინაარსის ახალი და ახალი ნიუანსებით გამოხატვისა, ერთფეროვანია თავისი სტილითაც და აზროვნებითაც. გენიალური მხატვარნი ადამიანთა სულისა არა მხოლოდ მაქსიმალურად იყენებდნენ კოლექტივის მიერ შექმნილ და ისტორიულად განმტკიცებულ ლექსიკურ მარაგს, თავადაც შეჰქონდათ წვლილი მის შემდგომ დახვეწასა და გამდიდრებაში. ამით ისინი აღწევდნენ პოეტური აზრის იდეალური სრულქმნილობით გამოხატვას. ამგვარ შემთხვევებში პოეტური ფორმა ორგანულადაა შერწყმული გადმოსაცემ შინაარსთან და ეს ორი მომენტი ურთიერთისადმი ადეკვატურია.

მწერლის ლექსიკურ მარაგში შედის ისეთი სიტყვებიც, რომლებიც ყოველდღიურ ხმარებაშია და არსებითი მნიშვნელობა არა აქვს მხატვრული სახის შექმნისათვის. შემოქმედი იძულებულია გამოიყენოს ისინი, მაგრამ არა როგორც აქტიური კომპონენტი გამომსახველობით საშუალებათა წარმოქმნისათვის; ეს სიტყვები საჭიროა და აუცილებელი როგორც ფრაზის გამართვის ჩვეულებრივი საშუალება. ამდენად ისინი შედიან მწერლის საერთო ლექსიკურ მარაგში, მაგრამ არ წარმოადგენენ იმ განსაზღვრულ ელემენტებს, რომლებიც საფუძვლად ედებიან მხატვრულ სახეს. ასეთი სიტყვებია ჩვეულებრივ უდეტრები. მათ გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს პოეტური ფუნქცია და ისიც მაშინ, თუ მწერალი დიდი სიტყვათშემოქმედია[1]... და მაინც ამგვარი ლექსიკური ერთეულები პოეტური საგანძურის ყველაზე პასიურ პლასტს წარმოგვიდგენს. მხატვრული სახის ხერხემალს ქმნის ის სიტყვები, რო-

---

[1] ამის შესახებ იხილეთ ავტორის — „პოეტური განმეორების ენობრივი გამოხატვის საშუალებანი „ვეფხისტყაოსანში“ ქართველი მწერლების მხატვრული ოსტატობის თავისებურებანი, სოხუმი, 1957, გვ. 15-21.

მელთაც ძალუძთ ფორმათა ცვლილებისას სემანტიკური განხრაც გვიჩვენოს და ამის საფუძველზე ფრაზა ახალი ექსპრესიული ნიუანსებით დატვირთოს. სწორედ ისინი წარმოადგენენ მწერლის ლექსიკური მარაგის აქტიურ ფენას.

როცა „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკას ვეხებით, საჭიროა გავარკვიოთ პოემაში სიტყვათა საერთო რაოდენობის, დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულების განუმეორებლად და სხვადასხვა ფორმით ხმარების საკითხები.

რუსთველოლოგიურ კვლევა-ძიებასთან დაკავშირებით, ალბათ, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ზოგი რამ შეიცვლება, მაგრამ ეს გარემოება ნაწარმოების ლექსიკის საერთო სურათზე არსებითს გავლენას ვერ მოახდენს. ამიტომ არასწორია შეხედულება, თითქოს პოემის ძირითადი საკითხების შესწავლა შეუძლებელი იყოს მისი ტექსტის საბოლოოდ დადგენამდის. ჩვენი დაკვირვებანი ძირითადად ემყარება „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემას. ამასთან ერთად ანგარიში ეწევა მკვლევარ პ. ინგოროყვას ზოგიერთ გასწორებას, რომლებიც არაა გათვალისწინებული პოემის უკანასკნელ გამოცემაში.

ჩვენი გამოკვლევით „ვეფხისტყაოსანში“ ნახმარია 7.066 დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული. ცალკე ლექსიკურ ერთეულად მიჩნეულია ფორმები ქცევისა: „საარვისო — აგვავსებ, სათავისო — აივსეს, სასხვისო — აუვსო. გვარისა: მოქმედებითი—აგვავსებ, აივსეს, აუვსო (მოცემულ შემთხვევაში მოქმედებითი გვარისა და საარვისო, სათავისო, სასხვისო ქცევიანი ზმნები ფარავენ ურთიერთს და ლექსიკური განსხვავებულობისათვის ამოსავალია ქცევის კატეგორია), ინიანი ვნებითი—ავივსები, ენიანი ვნებითი—ავსია და ა. შ., კონტაქტისა: უშუალო — ავიღე, შუალობითი — ავაღებინე... დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებადაა გაგებული აგრეთვე სწყისი და მიმღეობა. სახელებში ერთი სიტყვის სხვადასხვა ფორძას გვაძლევს ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიები. ისინი არ ცვლიან ლექსიკურ მნიშვნელობას და მათი დართვის შედეგად მიღებული ფორმები ახალი სიტყვის გაგებას არ იძლევიან. ამდენად აქ საქმე გვაქვს ერთი და იმავე სიტყვის ვარიანტებთან, რომლებიც ფორმალური განსხვავებულობის ფარგლებს არ სცილდება.

„ვეფხისტყაოსანში“ ნახმარი 7.066 დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულიდან 3.768 მხოლოდ ერთჯერ გვხვდება, რაც პოემის სიტყვიერი მარაგის 53,5%-ს შეადგენს (იხ. დამატება I, 1). როცა შემოქმედის ლექსიკური ფონდის ნახევარზე მეტი ერთჯერ გვხვდება ნაწარმოებში, ოდენ ეს ფაქტიც კი გამოდგებოდა მისი ენის ამოურწყეველი სიმდიდრის ნათელსაყოფად, მაგრამ ამგვარი კვალიფიკაცია მაინც ვერ გაგვირკვევდა რუსთველის პოეტური ენის სპეციფიკურ მხარეს. არსებითი მაინც ისაა, რამდენად

აქვს დაკისრებული ამ ერთხელ ნახმარ სიტყვებს მხატვრული ფუნქცია. ჩვენი გამოკვლევით, აღნიშნული ლექსიკური ერთეულებიდან 2.123 სიტყვა სწორედ პოეტური მიზნითაა გამოყენებული. კერძოდ 1933 სიტყვა რითმის შედგენაში იღებს მონაწილეობას, რაც რუსთველის მიერ ნახმარ სარითმო სიტყვათა თითქმის $^1/_3$-ს შეადგენს (ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, თითქოს რუსთველის დანარჩენი რითმები ხშირად მეორდებოდეს). ამავე სიტყვებიდან 287 მხატვრული სახის, სურათის ან აოეტური ხერხის ერთ-ერთ ელემენტსაც წარმოადგენს (იხ. დამატება I, 4). ეგევე ფუნქცია აქვს დაკისრებული ერთჯერ ნახმარ 190 სიტყვას, რომლებიც რითმათა შესადგენად არაა გამოყენებული (იხ. დამატება I, 5). როგორც აქედან ჩანს, ერთჯერ ნახმარი სიტყვების ნახევარზე მეტი (56,2%) „ვეფხისტყაოსანში“ მხატვრული მიზნითაა გამოყენებული.

რუსთველის ლექსიკა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ კომპოზიტთა მეორე ნაწილის საკმაოდ დიდი რაოდენობა პოემაში მხოლოდ ერთჯერ გვხვდება. მაგალითად: ალმუღობა (ცვამლ-ალმუღობა), ალქატისა (არ-ალქატისა), ამწყვედელი (მომსპობ-ამწყვედელი), აღებული (ზარ-აღებული), აშლილი (ულვაშ-აშლილი), ახვად (გლოვა-ახვად), ახმით (ოთხ-ახმით), ახმული (თვალ-ახმული), ბადახშეულმან (ბროლ-ბადახშეულმან), ბადახშოსანი (ბროლ-ბადახშოსანი), ბაკმათასა (ბროლ-ბაკმათასა), ბაკმიანი (პირ-ბაკმიანი), ბაკმული (ბროლ-ბაკმული), ბანდი (ბინდ-ბანდი), ბარგოსანი (არ-ბარგოსანი), გაარმებულმან (სიცოცხლე-გაარმებულმან), გაგლეჯილი (თავ-გაგლეჯილი), გათენება (არ-გათენება), გამეხებული (პირ-გამეხებული), გამკრთალია (არ-გამკრთალია), გამოწვდილი( ხმალ-გამოწვდილი), გამჭრქალისა (ფერ-გამჭრქალისა), განპყრობით (ხელ-განპყრობით), განპყრობილი (ხელ-განპყრობილი), გარდაგებულსა (ოქსინო-გარდაგებულსა), გარდამწყდარია (იმედ-გარდამწყდარია), გასათხოელი (კიდე-გასათხოელი), გაუმწარავი (სიცოცხლე-გაუმწარავი), გახსნილი( ხელ-გახსნილი), გვირგვინოსანსა (სკიპტროსან-გვირგვინოსანსა), დაბურვასა (ჩაცმა-დაბურვასა), დადრეკით (თავ-დადრეკით), დაზმულობა (ხან-დაზმულობა), დათესულისა (დანერგულ-დათესულისა), დათოვნა (არ-დათოვნა), დათხეული (ცრემლ-დათხეული), დალეული (სულ-დალეული), დამზმელნი (არ-დამზმელნი), დამყოფელი (ვერ-დამყოფელი), დანამალსა (არ-დანამალსა), დანარცხებული (ქვე-დანარცხებული), დანაწყლულები (გულ-დანაწყლულები), დარაკიანი (ხრმალ-დარაკიანი), დასამრუდენი (არ-დასამრუდენი), დასტურობა (ვერ-დასტურობა), დაუთმობელსა (სულთადგმა-დაუთმობელსა), დაუკარები (კაც-დაუკარები), დაუსობელსა (ლახვარ-დაუსობელსა), დაუფახელსა (თვალ-დაუფახელსა), დაფახული (თვალ-დაფახული), დაცემული (მტერ-დაცემული), დაჯრილი (არ-დაჯრილი), დედლად (საქმე-დედლად), დენილი (ცრემლ-დენილი), ემოყვრებოდა (თანა-ემოყვრებოდა), ვადამან (მა-

გარ-ვადამან), ზიარსა (ბუნება-ზიარსა), თეძო (მხარ-თეძო), თმიანი (ყორან-თმიანი), ივიან (ივაგლახ-ივიან), კიდებულნი (ლარ-კიდებულნი), კიდობა (კიდის-კიდობა), კლებასა (შედრეკილობა-კლებასა), მაგრობა (გულ-მაგრობა), მაგრობდა (წვივ-მაგრობდა), მალული (არ-მალული), მარიხიანი (გულ-მარიხიანი), მახულები (ხრმალ-მახულები), მინადენია (ცრემლ-მინადენია), მიუთხრობელი (ბრძანება-მიუთხრობელი), მიუმხვდარეთა (კაც-მიუმხვდარეთა), მიხვდომილმან (ვერ-მიხვდომილმან), მიხვდომისა (ვერ-მიხვდომისა), მლმობელმან (მოწყალე-მლმობელმან), მმალავსა (ვერ-მმალავსა), მოდრეკილი (თავ-მოდრეკილი), მოიეფეო (შუქ-მოიეფეო), მონავანითა (შუქ-მონავანითა), მორტყმულობა (წელ-მორტყმულობა), მოსაგებავთა (მიგებულ-მოსაგებავთა), მოტანისა (ვერ-მოტანისა), მოტეხით (ყელ-მოტეხით), მოცხებული (სისხლ-მოცხებული), მსუქანი (პირ-მსუქანი), მსწრებელი (ზედა-მსწრებელი), მტლეში (მტლა-შა-მტლეში), მცირობა (სიტყვა-მცირობა), მძიმობა (სულ-მძიმობა), მიუწდომნია (სიკეთე-მიუწდომნია), ნაბდიანი (ტან-ნაბდიანი), ნაკბენია (გველ-ნაკბენია), ნაკვთიანი (ტან-ნაკვთიანი), ნაკიდები (შუქ-ნაკიდები), ნაკრთობი (ძილ-ნაკრთობი), ნაკრთომისა (შუქ-ნაკრთომისა), ნალმობარია (გულ-ნალმობარია), ნაფასები (ძვირ-ნაფასები), ნაფახულები (ცრემლ-ნაფახულები), ნაფენამან (შუქ-ნაფენამან), ნაფიცარისა (ძმად-ნაფიცარისა), ნაღებად (არ-ნაღებად), ნაცქაფავი (არ-ნაცქაფავი), ნაწთომი (ცრემლ-ნაწთომი), ჟლეტად (ცემა- ჟლეტად), სვიანობა (სვე-სვიანობა), სიძვირით (არ-სიძვირით), სიხაფეთანი (სიჩალხე-სიხაფეთანი), სმული (ღვინო-სმული), საადვილოსა (არ-საადვილოსა), საბერძნეთით (ინდო-არაბ-საბერძნეთით), სადაგნი (გულ-სადაგნი), საზომისა (არ-საზომისა), ტაიჭოსანი (თეთრ-ტაიჭოსანი), ტყვიანად (ალაფიან-ტყვიანად), უიცართა (არ-უიცართა), უკუყრილი (სადავე-უკუყრილი), უმაგრონია (ციხე-უმაგრონია), უწდომი (თვალ-უწდომი), უხშირონი (არ-უხშირონი), ღირსებული (არ-ღირსებული), შედგმული (თავ-შედგმული), შეზრდილი (თანა-შეზრდილი), შეუვალითა (შიშ-შეუვალითა), შეფრობილი (ვერ-შეფრობილი), შეცვლილი (ფერ-შეცვლილი), შეცვლილობა (ფერ-შეცვლილობა), შიმშერისა (ფარ-შიმშერისა), შეესწროსა (თანა-შეესწროსა), ჩავლა (არ-ჩავლა), ჩამოგდებით (თავ-ჩამოგდებით), ჩახსნილი (ღილ-ჩახსნილი), ცმულობა (აბჯარ-ცმულობა), წახდომა (არ-წახდომა), ხმიერად (გულ-ხმიერად), ხრდლურად (ჯაბან-ხრდლურად).

ერთხელ ნახმარი სიტყვებიდან უმეტესობას სახელები შეადგენს (2121); შემდგომ მოდის ზმნები (1.565), ხოლო უდეტრებს უკანასკნელი ადგილი უჭირავს (82). სახელთაგან რუსთველი ხშირად მიმართავს მიმღეობებს. ამასთან დაკავშირებით ფორმათა წარმოების თვალსაზრისით მისი სიტყვათშემოქმედება მართლაც რომ სა-

ზღვარდაუდებია[1]. განსაკუთრებით აღსანიშნავია გა, გამო, დანა-აფიქსებით დაწყებული მიმღეობები (გამანათებლად, გამახარებ-ლად, გამომგებარე, გამომსალამე, გამომკრთალსა, გამომჭვირალი, გამონდობილნი, გამოსაგები, დანაბეჭდულევი, დანადენი, დანათე-სსა, დანათხზენი, დანაკიცნია, დანამტკიცართა, დანაღვარი, დანა-ყბედსა, დანაწერი...).

რუსთველისეულ ფორმებად უნდა იქნას მიჩნეული აბსტრაქ-ტული მნიშვნელობის სიტყვები: აბჯარ-ცმულობა, ავთანდილობა, აზრობა, აკაზმულობა, ალობა, ამბობა, ბურთობა, გამოსრულობა, გვარობა, დაკოდილობა, დანაწერობა, დარაზმულობა, დიადობანი, ვერ-დასტურობა, თქმულობა, კვამლ-ალმულობა, დათამამება, და-წამწამება...

რუსთველის ლექსიკის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარ-მოგვიდგენს კომპოზიტური ფორმების სიუხვე (ანგარიშ-მიუწთომე-ლი, ბროლ-ბადახშეული, ბროლ-ბადახშოსანი, ბროლ-ბადახშ-მინი-სა, ბროლ-ბაკმათასა, ბროლ-ბაკმული, ბროლ-ვარდსა, ბროლ-მინა, ბროლ-სადაფნი, ბროლ-ფიქალისა, ბრძანება-მიუთხრობელი, ბუნე-ბა-ზიარსა, გონება-შეიწრებული, გულ-გამწყრალსა, გულ-გამკრთა-ლია, გულ-დანაწყლულები, გულ-ტკბილად, დანერგულ-დათესუ-ლისა, ენა-დაუშრომელსა, ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა, ლახვარ-დაუსო-ბელსა, ლახვარ-სობილი, ლახვარ-ხებული, უფერო-ქმნილი), არ და ვერ ნაწილაკთა დართვით მიღებული უარყოფითი მნიშვნელობის სიტყვები (არ-მადლიერი, არ-მოსრულისა, არ-პირ-ხმელი, არ-საად-ვილოსა, არ-სასმენლისა, არ-საქებელო, არ-უხშირონი, ვერ-სათქმე-ლო, ვერ-საქებო, ვერ-შეფრობილი...).

სპეციფიკური პოეტური ფუნქციითაა აღბეჭდილი სახელთა და უდეტრებისაგან ნაწარმოები ზმნური ფორმები: ეაგეთა, იაბეზ-როს, ვააზავრე, უათასეთ, ეათასების, უათასდა, ათასობენ, უათდა, ვიაკვანე, მიაკვანე, აალმასნა, ვაალქატე, იბარგა, ბროლდა, გამებაზ-რა, გამომელდა, გასისხლმდინარდა, მადესა, სდებია, სდედებია, ენდა (ენა), ვარდა, აზეწარებს, ასუდარებს, ადილებს, იე, იირმოს, მინდა (მინა), ეოცების (=ოცად უჩნს), არემა-რე, არიდენო (=რი-დედ აქციე), მესამაროს, მესაღამოების, იქედგოროსა, უშვიდეთ, იშვლეს, უხებს, იხოს, მეხოს, ახიოს, მახია, ითხეს, უშნა, უობს, აერთხელეს, იანაზდენით, ვიწინაშე, ახვალეს...

7.066 დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულიდან „ვეფხის-ტყაოსანში“ 3.298 სიტყვა მეორდება 2 და 2-ზე მეტჯერ. მათ შორის მხოლოდ 2-ჯერ მეორდება 1.076 სიტყვა, 3-ჯერ — 458 (იხ. დამა-ტება I, 2, 3), 4-ჯერ — 347; 5-ჯერ — 213; 6-ჯერ — 162; 7-ჯერ — 112. ამრიგად, 2-დან 7-ჯერ განმეორებულ დამოუკიდებელ

[1] ი ვ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, სიტყვათწარმოების თაისებურებანი ვეფხის-ტყაოსანში, თეზისები, თბილისი, 1944, გვ. 7.

ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა პოემაში უდრის 2.368-ს. დანარჩენ 930 სიტყვიდან განმეორებულ ერთეულთა რაოდენობა თანდათან კლებულობს. ასე მაგალითად, 8-ჯერ მეორდება 90 სიტყვა, 9-ჯერ — 63; 10-ჯერ — 54; 11-ჯერ — 54; 12-ჯერ — 44; 13-ჯერ — 27; შემდეგ ზოგან მერყეობა იჩენს თავს (მაგ.; 14-ჯერ მეორდება 36 სიტყვა...). საერთოდ კი შეიმჩნევა: რამდენადაც მეტი გვაქვს განმეორების შემთხვევები, იმდენად ნაკლებია განმეორებულ დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა. ყველაზე უფრო ხშირია უდეტერმინისა და ნაცვალსახელების განმეორება. ასე მაგალითად, 487-ჯერ მეორდება კუთვნილებითი ნაცვალსახელი „ჩემი“, 687-ჯერ — უარყოფითი ნაწილაკი „არ“, 1029-ჯერ — ჩვენებითი ნაცვალსახელი „იგი“ (38 ფორმაში) და 2.487-ჯერ — კავშირი „და“.

ქართული მწერლობის არც ერთ ძეგლში ლექსიკური შემადგენლობის შიგნით, მეტყველების აქტიური ფორმების გამოვლინების თვალსაზრისით, ისეთი სურათი არა გვაქვს, როგორც „ვეფხისტყაოსანში“. დიდმა ი. ჭავჭავაძემ ადრევე შენიშნა რუსთველის ფრაზეოლოგიაში ზმნათა ხმარების გასაოცარი სიუხვე[1].

ვ. ბერიძის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ 45.000-მდე სიტყვაა ნახმარი და აქედან თითქმის 40% ზმნას უჭირავს[2].

ჩვენი გამოკვლევითაც დასტურდება ის შთაბეჭდილებანი, რასაც რუსთველის ლექსიკის მრავალფეროვნება ახდენს მკითხველზე, მაგრამ ზოგი რამ აქაც დასაზუსტებელია. შორს წაგვიყვანდა ქართული მწერლობის ძეგლებთან მიმართებით „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის საერთო სურათის გარკვევა, მაგრამ იმავე პერიოდისა და ფორმის თვალსაზრისით თითქმის იმავე სახის ნაწარმოებების — „ქება მეფისა თამარისი“-სა და „აბდულმესიანის“ შედარებითი ანალიზის გზით შესაძლებელია რუსთველის პოემის სიტყვიერი მარაგის ზოგიერთი თავისებურების დადგენა. ეს გარკვევით ჩანს შემდეგი ცხრილიდან.

| მეტყველების სახეები | სიტყვათა საერთო რაოდენობა | | |
|---|---|---|---|
| | „თამარიანი“ | „აბდულმესიანი“ | „ვეფხისტყაოსანი“ |
| სახელი | 2 386 (68,2%) | 2 456 (73,3%) | 24 380 (54,9%) |
| ზმნა | 757 (21,6%) | 553 (16,5%) | 11 980 (27%) |
| უდეტერმინისა | 352 (10,2%) | 341 (10,2%) | 8 072 (18,1%) |
| | 3 495 | 3 350 | 44 432 |

[1] აი ისტორია — ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, 1955, გვ. 89.
[2] ვ. ბერიძე, შოთას პოეტიკისათვის — ენიმკის მოამბე, III, 1958, გვ. 178.

| მეტყველების სახეები | ფორმათა რაოდენობა | | | დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | „თამარიანი“ | „აბდულმესიანი“ | „ვეფხისტყაოსანი“ | „თამარიანი“ | „აბდულმესიანი“ | „ვეფხისტყაოსანი“ |
| სახელი | 1 682 (71,5%) | 1 894 (78%) | 8 080 (53,1%) | 1 180 (73%) | 1 375 (78 8%) | 3 887 (55%) |
| ზმნა | 583 (25%) | 431 (17,8%) | 6 717 (44,2%) | 366 (22,6%) | 290 (16,7%) | 2 923 (41,4% ) |
| უდეტერი | 89 (3.5%) | 101 (4 2%) | 406 (2,7%) | 70 (4.4%) | 79 (4,5%) | 256 (3,6%) |
| | 2 354 | 2 426 | 15 203 | 1 616 | 1 744 | 7 066 |

რა ირკვევა ამ ცხრილის მიხედვით? როგორც სიტყვათა საერთო რაოდენობის, ისე ფორმათა და დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობის მხრივ რუსთველი უფრო ჭარბად ხმარობს სახელებს, შემდეგ ზმნებს და ბოლოს — უდეტერს. სიტყვათა საერთო რაოდენობაში ზმნა და უდეტერი თითქმის თანაბრადაა წარმოდგენილი. სიტყვის ფორმათა და დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობითს მხარეში კი სურათი მნიშვნელოვნად იცვლება. აქ ზმნა თითქმის უთანაბრდება სახელს. უდეტერი კი მინიმუმამდისაა დაყვანილი (2,7% — 3,6%).

რა მდგომარეობა გვაქვს „ქება მეფისა თამარისის“-სა და „აბდულმესიანში“?

აქაც ყველაზე ხშირად სახელი იხმარება, შემდეგ — ზმნა და უდეტერი. მაგრამ ყველგან (სიტყვათა საერთო რაოდენობა, ფორმათა რაოდენობა, დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა) სახელი სჭარბობს მნიშვნელოვნად ზმნასა და უდეტერს და ამ მხრივ პროცენტული შეფარდება თითქმის სტაბილურია („ქება მეფისა თამარისი“-საში — 68,2% — 71,5% — 73%; „აბდულმესიანში“ — 73,3% — 78% — 78,8%). თუ სიტყვათა საერთო რაოდენობაში რუსთველთან ზმნა სახელის ნახევარს უდრიდა, ხოლო სხვა შემთხვევაში თითქმის უთანაბრდებოდა მას, „ქება მეფისა თამარისი“-საში იგი სახელის მესამედჯერ და ზოგ შემთხვევაში მესამედზე ნაკლებჯერაც გვხვდება, ხოლო „აბდულმესიანში“ სახელთან შედარებით ზმნა კიდევ უფრო ნაკლებადაა ნახმარი (73,3% — 16,5%; 78% — 17,8%; 78,8% — 16,7%). თუ რაოდენ მცირეა „აბდულმესიანში“ ზმნის ხვედრითი წონა, ამას შემდეგი მაგალითიც დაგვანახვებს:

სჯულისა ღარი, ქვეყნის სალარი,
გამდიდრებული ფრიად ყოველითა!
უწყის ყოველნი ქამნი და წელნი,
შეყინვა ნიეთთა ცით მომრგელებითა;
ქვეყნის უფალი, მჭვრეტთ სატურფალი,
საყნოსლად მათთვის სურნელებითა.
თვით ღმი გმირი: ნუთუ ეგ მირი
თქვენ ჰგონოთ მისებრ ძლიერებითა?! (69).

ამ სტროფში 33 სიტყვიდან 28 სახელია და 2 ზმნა, დანარჩენი — უდეტერი. მსგავსი მდგომარეობა სხვა სტროფებშიც დასტურდება.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ აქედან?

„ვეფხისტყაოსანში“ ზმნის ხვედრითი წონა საგრძნობლად დიდია. განსაკუთრებით იგრძნობა ეს ფორმათა წარმოებისა და დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულების რაოდენობაში. სიტყვათა საერთო რაოდენობის მხრივ რუსთველის პოემაში უდეტრების წილიც საგრძნობია (18,1%), მაგრამ მისი ფორმების რაოდენობა მეტყველების სხვა ნაწილებთან შედარებით 2,7%-ს, ხოლო დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა 3,6%-ს უდრის. მთავარი ის კი არაა, რამდენ სიტყვას ხმარობს მწერალი; არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენ დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულს ფლობს და რამდენ ფორმას აწარმოებს მათგან. რუსთველის სიძლიერე სიტყვათშემოქმედების თვალსაზრისით სწორედ აქაა და ამ მხრივ მის მიერ ხმარებულ სიტყვათაგან ერთ-ერთი მთავარი მოქმედი ელემენტი ზმნაა, რომელიც ადამიანის მრავალფეროვან განცდათა გამოვლენის ყველაზე მნიშვნელოვან ენობრივ ფერმენტს წარმოადგენს. ზმნა — ქართული ენის დედაძარღვი—რუსთველის პოემის სუნთქვა და სულიცაა.

თუ რამდენად პროდუქტიულია რუსთველი ფორმათა გამოყენების მხრივ, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ზმნა „გნახავ“, რომელიც, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული, პოემაში 71 ფორმითაა წარმოდგენილი:

„ოდეს გნახავ მხიარულსა“... 823,1.
„...ვნახავ, დიდად გავიხარებ“... 279,1.
„გლახ, დაგიგდია, არ ვნახავ...“ 899,4.
„არას ნახავს პირ-მეტყველსა“... 1001,3.
„მაგრა ნუ გნახავთ კელაცაღა ჩვენს წინა გაწბილებულსა!“ 470,4.
„ვნახავთ, თქვენცა გემაგრების“... 1388,1.
„უშენოსა ნუმცა ვნახავთ ნუ პატრონსა“... 652,1.

„ველარ **გნახვენ** თვალნი რეტნი!“ 821,2.
„მას **ნახვენ** და ძღვენსა სძღვნიან“... 1069,1.
„მუნა კაცთა ვერ **მნახვიდი** გაცინებით მოღიმართა“. 1625,4.
„ერთმანერთსა **მნახვიდიან**, საწადელნი გაუსრულდეს...“ 1663,2.
„მე ნუ გამწირავ, **მნახევდი**“... 1657,2.
„ვირე **ვნახვიდე**, სოფელო, მინდი სალხინოდ აღარად!“ 714,4.
„**გნახე** სულთა გაუყრელმან...“ 873,2.
„ნეტარმცა სიზმრად **გნახეო**!“ 725,4.
„სიკვდილიცა სიცოცხლედ მიჩნს, ოდეს **გნახენ** მხიარულნი“. 1453,3.
„ბაღჩა **ვნახე** უტურფესი...“ 341,1.
„თქვა: „**ვნახეო**, ვინცა მინა“. 1380,1.
„ჴირნი **ვნახენ** და მო-ცა-მხედა ნაცვალი ჴირ-ნახულისა“... 1319,1.
„თუმცა **მნახე**, სახელისა ცოდნასაცა ინატრიდე!“ 460,4.
„უთხრა: „ჰკოვეა, პატიჟნი **მნახენ** ძებნითა ვისითა?“ 695,4.
„მენავემან **მნახა** ზმული“. 586,4.
„ვინმცა **გნახა** კაცნიერად, რაზომ გინდა ამაყობდეს!“ 107,2.
„...**ნახა** სარო, მორჩი ტანი“... 983,3.
„შორით **ნახნა**, მენავენი მოდიოდეს შიგან ზღვასა“... 969,2.
„შენ მინდორს **გნახეთ** გაჴრილი“... 287,1.
„მივედით, **ვნახეთ** ქალაქი... 612,3.
„ჩვენ ერთხელ კვლაცა **ვნახენით**...“ 424,3.
„შორს **მნახეს**, ადრე გამექცეს“... 1023,4.
„**ნახეს** უცხო მოყმე ვინმე“... 84,1.
„ჴირნი არ **ნახნეს** კაფისა“... 1416,3.
„მოდი, **მნახე**, მარტო ვარო“... 1259,4.
„**ნახე**, თუ ოქრო რასა იქმს“... 1196,4.
„აგერა მივა, **ნახეო**, იგი მზეებრ და მთვარებლად“. 210,2.
„შენ აქა **ნახენ**, კმარიან იქა **ნახვისად** ყმანია“. 551,4.
„მოდი, **გვნახენ**, გავიარდეთ ქვეყანასა შენსა ვირე“... 1430,1.
„მარტო **მნახეთ**, ვით შევება“... 1040,3.
„აწ **ნახეთ**, თუ გოლიათი გული ვითა ამაგარა!“ 1597,4.
„მე შევიდი, **ვნახი** ხალვით“... 1144,4.
„რა წყალი **ნახის**, გარდახდის...“ 840,2.
„სადაცა **ნახნის**, ეუბნის, მგზავრნი ზღვის პირსა რებულნი“... 1028,1.
„ეაჴრობისა საქმისაგან მოვიცალით, იგი **ვნახით**“... 1162,3.
„რა **ნახიან** ერთმანერთი, არ-შეხედვა ვერ დათმიან“. 573,4.
„...კვლაცა **გნახო** ალვა მორჩი, განაზარდი“. 666,4.
„თქვენვე **გნახნე** მხიარულნი“... 796,3.
„იგი **ვნახო**, სიყვარული მისი ჩემთვის დავამტკიცო“... 664,1.
„ცხენსა შეჯდომა მწადიან, **ვნახნე** წყალნი და ველია“. 356,3.
„მკვდარი **მნახო**, დამიტირე“... 307,3.
„თუ **მნახო**, ჩემი უამბე, გკითხავს ამბავსა ძმისასა“. 947,4.
„სჯობს რომე **გვნახნე**, თავისა სისხლთა ნუ ეზიარებით“. 388,4.

„თუ მკვდარი **მნახოს**, დამმარხოს“... 852,3.
„ვინცა **გნახოს**, ჩემგან მისსა საუბარსა ვერა სცნობდეს“... 383,2.
„წმიდისა წყალი ვერ **ნახოს** მყინვარე. ვერცა ლიპია“... 581,2.
„თქვეს: „ფატმან **ვნახოთ**...“ 1427,4.
„ტკბილად **ვნახნეთ** ერთმანერთი“... 429,4.
„ესე რა **ჰნახოთ** ბრძანება, აქამცა მოიარებით“... 388,2.
„მეკობრისა ნავისანი სისხლნი **ჰნახნეთ** მონაღვარნი“. 1040,4.
„რა მკვრეტელთა იგი **ნახონ**, მზე მათთანა გააფლიდონ“... 988,3.
„უფერო-ქმნილნი **მინახვან** ვარდნი და ისი იანი“... 233,2.
„ამას მით ვაზრობ, **მინახავს** მე უბედურსა შობილსა“. 849,4.
„თუცა არ მიცნობ, **გინახავ**, თაე ვით გიაზრებია“... 286,3.
„დღეს ერთმანერთი **გინახავს** და ტურფად მოგწონებია“... 492,3.
„მასვე წამსა დაიკარგა, — არ **უნახავს** თვალსა ჩვენსა“... 97,2.
„ვის არ **უნახვან** პატიენი“... 877,2.
„ვისგან ნაკრავნი **გვინახვან** მხეცნი ვერ წალმა წარებით“. 80,4.
„აქანამდის მნახაიცა კაცი შენი არ **მენახა**“... 291,1.
„ყმა გენახა უცხო ვინმე...“ 128,2.
„თვესა ერთსა სულიერი კაცი არსად არ **ენახა**“... 194,3.
„...მომკალ, უჩემოსა **ენახამცა** ვისცა ისც ხე!“ 629,4.
„თქვენმცა მაშინ **გენახენით**, ლაღნი ვსხედით, არ საპყრულნი!“ 974,3.
„მას უცილოდ დამიმაღლებთ, ოდეს **ჰნახოთ** მსგავსი მზისა“... 1169,3.

რა თქმა უნდა, ეს ფორმები რუსთველს არ შეუქმნია. მაგრამ მისი ოსტატობა იმაშია, რომ ქართული ენის ზმნის მიმოხრის მრავალფეროვანი შესაძლებლობანი მხატვრული მიზანდასახულობის შესაბამისად მაქსიმალურად აქვს გამოყენებული.

რუსთველისათვის დამახასიათებელ მიმღეობებს, აბსტრაქტულ ცნებათა გამომხატველ საწყისებს, კომპოზიტებსა და სახელთა და უდეტრებისაგან მიღებულ ზმნურ ფორმებს მრავალჯერ ნახმარი სიტყვები აღარ წარმოგვიდგენენ. სწორედ აქა ჩანს რუსთველის ლექსიკის სპეციფიკური მხარე. ბევრჯერ განმეორებულ სიტყვებს პოემაში არსებითად ეპიკური მომენტების გადმოცემის ფუნქცია აქვს დაკისრებული; შედარებით ნაკლებნახმარი სიტყვები კი ლექსის რითმული მხარის მოწესრიგებაში ან გამომსახველობით საშუალებათა შექმნაში იღებენ მონაწილეობას. მაგრამ არ იქნებოდა სწორი, საქმის ვითარება ისე წარმოგვედგინა, თითქოს მრავალჯერ გამოყენებულ სიტყვებს არავითარი მხატვრული დანიშნულება არ ჰქონდეს „ვეფხისტყაოსანში“. ასე მაგალითად, ნაწარმოებში 7-ჯერაა ნახმარი ბაღჩა, ბროლ-ბადახში, იაგუნდი, ტბა, ძოწი, 8-ჯერ — ნარგისი, 9-ჯერ — სათი, 10-ჯერ — დება (=ნთება), ია, ედემი, ყვავილი, 11-ჯერ — ტევრი, ყორანი, წყარო, 12-ჯერ — სარო, 14-ჯერ —

ღვარი, წამწამი, 21-ჯერ — ვეფხი, თვალი (ძვ. ქვა), 23-ჯერ — ელვა, 24-ჯერ — ნათელი (არს. სახელი), 25-ჯერ — გიშერი, 26-ჯერ — ლალი, მნათობი, 29-ჯერ — ალი, 30-ჯერ — ტირილი, 31-ჯერ — ინდო, 34-ჯერ — ალვა, ბროლი, ხე, 36-ჯერ — ცხელი, 52-ჯერ — მთვარე, 55-ჯერ — ენა, 62-ჯერ — ტანი, შუქი, 71-ჯერ — ლომი, 98-ჯერ — თვალი (მხედვ. ორგ.), 111-ჯერ — ცეცხლი, 126-ჯერ — ვარდი, 201-ჯერ — ცრემლი, 305-ჯერ — გული, 331-ჯერ — მზე, რომელთაც მხატვრული სახეების შექმნაში მთავარი როლი აქვთ დაკისრებული. გარდა ამისა, ისინი სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებული ნიუანსის მატარებელია. ეს ნიუანსები კი თავის მხრივ ქმნის მწერლის ლექსიკური მარაგის სფეციფიკას, რაც მხატვრული ენის ნიშანდობლივ მხარეს წარმოგვიჩენს. „ვეფხისტყაოსანში“ მრავალჯერ ხმარებული სიტყვის მნიშვნელობის დიფერენციაციის თვალსაზრისით განვიხილავთ სხვა ლექსიკურ ერთეულებთან „გულის“ დაკავშირების ნიადაგზე შექმნილ ფრაზეოლოგიას.

„გული“ „ვეფხისტყაოსანში“ 305-ჯერაა ნახმარი. იგი აგრეთვე გვხვდება კომპოზიტის ერთ-ერთ ელემენტად, ან გამოყენებულია ახალი ლექსიკური ერთეულების შესაქმნელად. ბუნებრივია, რომ ამ ორ უკანასკნელ შემთხვევაში მათი მნიშვნელობა განსხვავებულია „გულის“ ეტიმოლოგიისაგან. ამიტომ მათ არც შევეხებით.

სიტყვა „გული“ აქტიურ მონაწილეობას იღებს ადამიანის სულიერი ცხოვრების მოვლენების გადმოცემაში; იგი უშუალო კავშირშია ემოციური და ინტელექტუალური მნიშვნელობის აღმნიშვნელ სიტყვებთან. აღგზნება, გახელება, სასოწარკვეთილება, სევდა. მწუხარება, სიხარული, მხიარულება, წყენა, სიბრალული, სიძულვილი, სიყვარული, თავდადება და მრავალი სხვა ადამიანის გულის მოძრაობას უკავშირდება რუსთველის სიტყვათშემოქმედებაში.

დღევანდელ სალიტეოატურო ქართულში ჩვეულებრივია მყარი ფრაზეოლოგიური ერთეული „გულზე ცეცხლი მოედო“. სიტყვათა ამ თავისებურ კომბინაციაში გადმოცემულია ადამიანის მძაფრი სულიერი მდგომარეობა. ამგვარი ვითარების გამოსახატავად რუსთველი 9 სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებულ ნიუანსებში წარმოგვიდგენს სიტყვა „გულს“.

„ვიგონებდი, ცეცხლი უფრო მედებოდა გულსა ალვად“... 369.2.
„მას დაუმძიმდა, მოედვა კვლა გულსა კვამლ-ალმულობა“... 1483,3.
„მითხრა: „დღე ეგე სირცხვილად მედების გულსა ალობა“... 374,1.
„ვითა მნუკეეს, ეგრე დავბრთო გული ცეცხლთა მოსადებლად“... 750,2.
„შემასმენდა ჯავრიანი, გული ედვა ცეცხლებრ წვითა“... 1209,2.
„უცხოდ რადმე ამოსკვნოდა გული ცეცხლთა ნადებარი“... 88,3.
„ჯერთ ქორწინებად არა მცალს, აწ გული ცეცხლ-ნადებია“... 1240,2.

„იქი ვერ მიეალ, მრცხვენიან, გულსა სახმილი დებულა“... 1511,2.
„ავთანდილსცა აეტირა, მისმან ცეცხლმან გულსა ჰმურა“... 326,2.

გულზე ცეცხლის ალვად მოდება, გულს კვამლ-ალმუხლობის, ალობის მოდება, გულის დართვა ცეცხლთა მოსადებლად, გულის დება ცეცხლებრ წვით, ცეცხლთა ნადებარი, ცეცხლნადები გული, გულს სახმილის დება, ცეცხლისაგან გულის მურვა (=გულს ცეცხლის მურის მოდება) სინონიმურ გამოთქმებს წარმოადგენენ; ამავე დროს გარკვეულ ნიუანსებს შეიცავენ და გულზე ცეცხლის მოდებას ხან კვამლის, ხან ალის, ხანაც ცეცხლებრ წვის სახით წარმოგვისახავენ. ამით მწერალი აღწევს მხატვრულ სახეთა მრავალფეროვნებას.

ქართულს ენაში ძველთაგანვე ცნობილია თქმა „გული დაეწვა“. ამ შესიტყვებაში გამოვლენილია სუბიექტისაგან მდგომარეობის მწვავედ შეგრძნობა. ქართული მეტყველების ამ მტკიცედ შეკრულ ფრაზეოლოგიურ ერთეულს „ეფხისტყაოსანში“ რამდენიმე ვარიანტი მოეძებნება:

„ნუთუ გაბრჯოს, გული ჩემი ვით იწვის და ვით ენთების“... 769,2.
„შეუყვარდა ერთმანეთი, სწვიდეს მიწყივ გულსა დაგნი“... 668,3.
„წიგნი ენახე, მისი იყო, ვისი მდაგავს ალი გულსა“... 376,1.
„აწ ვახსენებ, ვისგან ჩემი დაუდაგავს გული ალსა!“ 325,4.
„დღენი გამოხდეს და გული უფრორე დამწვეს კელა ალთა“... 361,1.
„მერმე ცეცხლი დაუვსია, აღარა მწვავს გულსა მურად“... 154,3.
„რად სიცხე გულსა ნიადაგ მწვავს გზირთა სამს ალებისა?“ 1026,1.
„მოვახსენე: „რათგან ჩემი შეუქმნია გული ავლად,
ვერას ირგებ, არ დავდგები, სხვა ვიუბნო რაღა მრავლად?“ 932,3-4.
„მუნ ეგრე გულსა უნთებდა ცეცხლი მცხინვარე, ცხებული“... 869,4.
„შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,
გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად!“ 1297,1-2.
„მომცა წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა“. 153,4.
„ცეცხლმან ცხელმან ვით ვერ დაგწვა, გულო, ასჯერ დადაგულო?!“ 309,4.

სემანტიკურად ამავე რკალს განეკუთვნებიან გამოთქმები: სახმილისაგან გულის ცხლად გახდომა, გულის ბავთება (მწუხარება), ცეცხლისაგან გულის სადაგად (საწვავად) ქცევა:

„ამისთვის ვიწვი, სახმილი გულსა ეცხელა, ებავთა“. 1510,4.
„ცეცხლთა, მანდით მოდებულთა, გული ჩემი ასადაგეს“. 137,4

გულის წვა და ნთება, ალით გულის დადაგვა, ალით გულის წვა, გულის მურად წვა, სიცხით გულის ნიადაგ წვა, გულის ავლად შექმნა და დარჩომა, გულზე მცხინვარე ცეცხლის ნთება, დადაგული (დამწვარი) გული, ასჯერ დადაგული გულის ცხელი ცეცხლისაგან დაუწველობა, სახმილისაგან გულის ცხლად გახდომა და დამწუხრება, ცეცხლისაგან გულის სადაგად (საწვავად) ქცევა სხვადასხვა მხრივ

გვიხასიათებენ ადამიანის მწვავე სულიერი ცხოვრების სურათებს. თუმცა აქ ყველგან გულის წვა და მისი სემანტიკური შესატყვისი გულის დაგვა მონაწილეობს, მაგრამ სხვა სიტყვებთან ურთიერთობაში ისინი განსხვავებულ იერს იძენენ. მათ მეტაფორული გააზრებაც აქვთ. მაგალითად, რუსთველის სიტყვები „მერმე ცეცხლი დაუსვია, აღარა მწვავს გულსა მურად“ ნიშნავს, რომ მონთებული ცეცხლი ჩაქრა და დარდი აღარ მიწუხებს გულსო. გულის ავლად (ფერფლად) შექმნა და დარჩომა სულიერი ტკივილების უმძაფრესი გამომხატველია. იგი გულის წვის პროცესსა ან თუნდაც მის დაუსრულებელ აღგზნებულობაზე კი არ მიგვითითებს, არამედ ამ მუდმივი ნთების ლოგიკურ შედეგზე — გულის ფერფლად ქცევაზე. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ რუსთველის სწორუპოვარი გმირებისათვის, როგორც მოყვანილი სტრიქონებიდან ჩანს, გულის ავლად დარჩომა არაა დამახასიათებელი და ისინი არც გულის ფერფლად ქცევას (შექმნას) ურიგდებიან.

ქართული პოეზიის მშვენება თავისი საყვარელი გმირების განწყობილებას ისე წარმართავდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო გულის მწველთა შემცირება. ტრფობის ცეცხლით ანთებული ტარიელი ავთანდილს მოუთხრობს:

„გამიკვირდა, სხვად ვითამცა ვქმენ გულისა მწველთა სითხე?“359,3.

(=გამიკვირდა, სხვაგვარად როგორ ვქნა გულის მწველთა შემცირება?).

რუსთველი მთელ რიგ სინონიმურ გამოთქმებს მიმართავს გულის დასევდიანებასთან დაკავშირებით:

„გულსა სევდა შემეყარა“... 516.4.
„სევდად მაწვა გულსა მით ხე“. 359,4.
„...დაღრეჯილსა გულსა სევდა მიიეფდა“... 405,1.
„...სევდა რამე შემომექცა გულსა მურად“. 1127.4.
„შეექმნა გულს კაეშანთა ჯარები“... 313,1.
„დახსნილ ვარ ლხინსა ყოველსა, მით გული ჰირსა მოებისა“. 643.4.
„...გულსა ჰქონდა ჰმუნავა დიდი“... 819,1.
„იგი ყმა საწოლს მარტო წვა გულითა ჯავრიანითა“... 1115,1.
„ვა თუ გაწყრეს, გაგულისდეს, კუშტი გულსა შეაურვებს“. 1486,2.
„მიკვირს, რად სცალს წყლიანობად, რად არ გულსა შეიურვებს“. 764,2.
„ნაცვლად მათთა წყალობათა, გულნი მათნი შეჰაურვენ“. 856.4.

გულს სევდის შეყრა, შემოწოლა, მიეფება (მოხშირება), სევდის მურად შემოქცევა, კაეშანთა ჯარების შეყრა, ჰირის მღობმა, გულში დიდი ჰმუნავის ქონება, ჯავრიანი გულით წოლა, გულის შეურვება თუმცა მნიშვნელობის მხრივ ახლოს დგანან ერთმანეთთან, სავსებით მაინც არ ემთხვევიან ურთიერთს. გარკვეული ეთარების ამსახველი გამოთქმები განსხვავებულ ფორმებითაა გადმო-

ცემული და ამავე დროს მნიშვნელობის ოდნავ დიფერენციაციაზედაც მიუთითებენ. მაშინაც კი, როცა მგოსანი „გულთან“ ერთსა და იმავე ლექსიკურ ერთეულს ხმარობს, მათ სხვადასხვა ფორმით აყალიბებს („კუშტი გულსა **შეაურვებს**“, „რად გულსა **შეიურვებს**“, „გულნი მათნი **შევაურვენ**“). ამით პოეტი თავს აღწევს ერთფეროვნებას.

სევდიანი განწყობილების გამომხატველ ფრაზეოლოგიას პოეტი ზოგჯერ ისეთ კონტექსტში ხმარობს, რომ გვიჩვენებს პერსონაჟების ოპტიმისტურ სულს. გავიხსენოთ ველად გაჭრილი ტარიელის სიტყვები:

„ნუთუ მხეცთა სიახლემან **უკუმყაროს გულსა ურვა!**“ 650,2.

სევდიან განწყობილებას გამოხატავს ავტორი აგრეთვე გამოთქმებით — გულის ლხენით არყოფნა და უგულო გულით ჯდომა:

„როგორ გასრულვარ, შენ იცი, **გული არღა არს ლხენითა**“. 960,4.
„სახლი და შვილი მომძულდა, **ვჯდი უგულოთა გულითა**“... 1215,1.

გულის სევდა-მწუხარებას მგოსანი სიტყვათა სხვანაირი კომბინირებითაც გამოსახავს. ამ გზით იგი მრავალმხრივ გვისურათებს თავისი პერსონაჟების სულიერ სამყაროს, ამდიდრებს მათს ხასიათს ახალი და ახალი ნიშნებით, უთვალავი, უსაზღვრო ფერებით. მწუხარე განწყობილების გადმოსაცემად დამახასიათებელია სიტყვების — ბნელი, ბინდი, დაბნელება, შებნედა, დაბინდვა, დაბანდვა, ჩრდილი — დაკავშირება გულთან:

„შენთა შუქთა შემომადგამ, **ბნელსა გულსა ზედა მჭვირსა**“... 416,3.
„შენსა მე ვეძებ ნათელსა, შენ ხარ **გულითა ბნელითა**“... 735,3.
„შევიქეც, ვნახენ მეფენი, მყოფნი **გულითა ბნელითა**“. 1002,4.
„მათ ვერა მარგეს, მე **გულსა ბინდი დამეცა ბნელისა**“... 362,1.
„მაგრა რა ექმნა უშენოსა **დამეცემის გულსა ბინდი!**“ 781,3.
„მოეშორვების ნათელსა, **გული ამისთვის ბნელდების**“... 1313,2.
„თავსა იყო დაკოდილი, **შეებნიდა სისხლსა გული**“... 197,3.
„ამა დღემან დამავიწყა, **გული ჩემი ვინ დაბინდა**“... 298,1.
„მისი ნახვა **გულსა ჩემსა ვითა ბადე დაებადა**“... 734,1.
„მუნა გნახო, მადვე გსახო, **განმინათლო გული ჩრდილი**“... 1305,3.

მოყვანილ მაგალითებში ხაზგასმული ფრაზეოლოგიური ერთეულები სხვადასხვა მხრივ არკვევს მწუხარე გულის მდგომარეობას. ამავე მოვლენის გადმოსაცემად რუსთველი სხვა სიტყვებსაც იყენებს:

„მერმე ავდეგ სევდიანი, **მიღამებადა გულსა მური**“... 592,2.
„**გული შავად შემიღებე**, სიბნელესა მიმეც ხშირსა“... 958,2.

გულის მურით შეღამება და შავად შეღებვა სინონიმებია „გულს ბინდის დაცემისა“.

მსგავს ვითარებას გადმოსცემს შესიტყვება „გულს მიფარება“:

„ვთქვი: „თქვენი ძისა არა-სმა გულსა ვით მაეფარების“... 510,1.

ის, რაც ეფარება, იწვევს ჩრდილის მიყენებას, ბინდის დაცემას მასზე, რასაც ეფარება. ამდენად, ცხადია, სემანტიკურად ეს შესიტყვებაც იმავე რკალში შემოდის, რასაც გულის დაბინდვა და დაბნელება განეკუთვნება.

დაბნედილ მდგომარეობას უკავშირდება „ვეფხისტყაოსანში“ გამოთქმები — გულს სისხლის გარდანთხევა, გულზე წყლის სხმა, გულის გარდაბანვა წყლით:

„კელა დავეცი დაბნედილი, გულსა სისხლი გარდმეთხია“. 350,4.
„დაბნედასა მიეწურა, ასმათ ასხა გულსა წყალი“... 322,3.
„ასმათს უთხრა: „მოდი, მოჰე, თანა წყალი მომიტანე,
დაბნედილსა მაპკურებდი, გული მითა გარდამბანე“... 307,1-2.

სევდიანი გულის ვაებას გამოხატავს შესიტყვებანი: ვერდამთმობარი გულამოსკვნილი გულით ტირილი, მდუღრად ანატირი გული, გულის ატირება, გულის უცრემლოდ არყოფნა, გულის მომდედრება (ატირება), გულის აჩუქება (ატირება, ამოჯდომა), გულის ამოსკვნა, ვაება, უობა, სულთქმა (ოხვრა):

„ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა“. 84,4.
„სრულად ლაშქარნი მტიროდეს გულითა მართლად, არ ენით“... 648,3.
„შემოიქცეს, აატირეს გული, კელაცა ანატირი“... 941,3.
„როსტან მისთეის აატირა გონიერი გული, ლბილი“. 146,4.
„თავსა იცემდეს, არ იყო გული უცრემლო, ულები“. 175,4.
„ზრდანი ჩემნი მოიგონენ, გული შენი მოიმდედრე“. 159,4.
„თვალთათ ცრემლნი გარდმოსცვიდეს, გული უფრო აუჩუქდა“... 986,2.
„უცხოდ რადმე ამოსკვნოდა გული ცეცხლთა ნადებარი“... 88,3.

გულის ტირილი ამ მაგალითების მიხედვით სხვადასხვა ასპექტშია წარმოსახული. რუსთველის პერსონაჟები გულამოსკვნილნი, ვერდამთმობარი გულით ტირიან; ეს არაა მოჩვენებითი ტირილი. იგი გულთანაა დაკავშირებული. ამ კონტექსტში სავსებით გასაგებია გულით, ე. ი. მართლა, ნამდვილად ტირილი. შეიძლება ითქვას, რომ „გული“ რუსთველთან სინამდვილის სწორად შეგრძნობის ერთ-ერთი მძლავრი, სანდო საშუალებაა.

რუსთველის გმირები კონფლიქტში არიან არსებულ ყოფასთან. მათი დამოკიდებულება მოუწესრიგებელი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ ისეთ მძაფრ ფორმებში სახიერდება, რომ ისინი მზად არიან შმაგი გულით ეკვეთონ დაბრკოლებას. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ფრაზეოლოგიური ერთეულები: გულის ხელება,

ხელი გულის გახელება, ხელი გულით გახდომა, ხელი გულით წასვლა, ხელი გულით მოკვლა, გულის გაშმაგება, შმაგი და რეტი გული, გულის გამხეცება, მხეცქმნილი გული, მხეცისაებრ დება გულისა. სიტყვათა ამ მყარ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში რუსთველი გამოსახავს ადამიანის გულის მოძრაობის დაძაბულ მომენტებს. აქ თითოეული გამოთქმა გარკვეულ მხატვრულ სურათს ქმნის:

„დაჯდა, მისთა შემხედველთა გული მათი მართლად ხელეს“... 731,1.
„იგი შეხვივნეს, მშვენოდეს, ვახელებ გულსა ხელთასა“.. 479,2.
„შემებრალნეს და გავშმაგდი, გავხე გულითა ხელითა!“... 1002,2.
„აჰა, გამზრდელო, მოგშორდი, წავე გულითა ხელითა!“ 807,2.
„ვეღარ გავუძელ, იგიცა მოვკალ გულითა ხელითა“... 911.4.
„გული სრულად გამიშმაგდა, თავი მხეცთა დავადარე“. 649,4.
„ყმა წამოვიდა გაყრილი, მივა გულითა რეტითა“... 712.2.
„კაცთა კრძალვასა ვაწვევდი გულსა შმაგსა და რეტასა“... 484,3.
„გული სრულად გამიმხეცდა, არ ეუსმენდი არც ვაზირსა“... 589,2.
„მედვა გული მხეცისაებრ, ათასჯერცა მინდორს ვარო“... 535,3.
„გული მხეც-ქმნილი გასჭრია მხეცთაცე თანა რბოლითა“... 1252,4.

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი გმირი წინააღმდეგია გულის მინდვრად გაშრისა; ამ მოსაზრებას დიდი პოეტი ასე გამოათქმევინებს გონიერსა და დინჯ ავთანდილს:

„გული მინდორს არ გაიშრას, არ იირმოს, არცა ითხოს“... 667,2.

გულის მინდორს არ გაშრა ესაა მოწოდება მშვიდი ადამიანური ცხოვრებისაკენ. ამ კონტექსტში გული მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის სულიერი მდგომარეობის გამოსახატავად. გულის მინდორს გაშრა აფორიაქებს კაცის სულს, უკარგავს მას სიმშვიდეს, არღვევს ცხოვრების კანონზომიერების რიტმს. მაგრამ რუსთველის გმირები ისე მწვავედ განიცდიან სიყვარულის გრძნობას, რომ ძალიან ხშირად ადვილ საქმედ მიიჩნევენ ისრის საგნად (სამიზნედ) გულის დებას, გულში დანის დაცემას, გულს ლოდისა და მჯიღის კვრას. ყოველივე ეს სიტყვათა გარკვეული დაჯგუფებითაა გადმოცემული:

„გული ძეს საგნად ისრისა, მესრვის საკრაედ სამალი“... 708,2.
„მოეწერა: «გიბრძანებსო», ვისი მესვა გულსა დანა“... 392,2.
„შენი მკლვიდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი“... 133,4.
„მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიჰმართის დანასა“... 179,2.
„უცილოდ თავსა მოვიკლავ, გულსა დავიცემ დანასა“... 1194,1.
„ყმა ატირდა, ცრემლით უთხრა: „ხამს, თუ დანა გულსა ვიცი“... 746,1.
„მეტმან სევდამან მიმწურა გულსა დაცემად დანისად“... 517,1.
„გული უფრორე დამიჭრა ათიათასმან დანამან“... 358,2.
„ორგნით ჩანს ლები მჯიღისა, მართ გულსა გარდნაკარისა“... 498,2.
„მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამიწყულა“... 862,1.

„გულსა მეცა, გამიცუდდეს სიჩაუქე, სიალფენი“... 503,2.
„იზახდის და წამ-წამ იკრის გულსა ლოდი, თავსა კეტი“... 269,3.

გულში დანის დაცემასა და ლოდის კვრასთან შინაარსობლივად ახლოს დგას გულის დალეწვა. გამარჯვებული ტარიელის მოახლოებით შემდრკალი მტერი ასე მიმართავს სწორუპოვარ გმირს:

„გული თქვენი სასაკუთრო ბედმან ასრე დამილეწა“... 1609,4.

აქ საგულისხმო ისაა, რომ ბედის სისასტიკე მტრის მიერ უმძაფრეს ფორმებშია განცდილი. გულის დალეწვა მის სრულ განადგურებას უდრის. მართალია, გულის წამების, მისი ვნების ნიუანსები რუსთველის დადებითი გმირების სულიერი ტკივილების განცდის დროსაც შეიმჩნევა, მაგრამ იგი გარდაუვალი ხასიათისად მაინც არ გვეჩვენება. რუსთველის ყველა პერსონაჟი როდი ურიგდება გულის დაკრას ცეცხლითა და გულში ნარის დასმას:

„მითხრა: „ვაშად ამოგიღე, არ გასვია გულსა ნარი“... 393,3.
„მიშველე რა, გული ცეცხლმან არ დამიჭრას, არა ხრახალ“ 737,4.
„უთხრა: „დათმე, ნუ მოჰკვდები, გულსა სრულად ნუ დასჭრი, დალ“ 914,2.

როგორც აქედან ჩანს, საპირისპირო ვითარება ავტორს გადმოცემული აქვს სიტყვა „გულის“ ჩართვით სხვადასხვა კონტექსტში.

ჩვეულებრივ გულის სიმრთელესთანაა დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლიობა. გულის განგმირვა სიცოცხლის მოსწრაფებას უდრის. როცა რუსთველს სურს რაიმე მოვლენის მოქმედების ძალის ჩვენება, პოეტი მას გულის განგმირვის ობიექტად სახავს:

„გონიერსა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“... 904,2.
„თინათინის ხელმწიფობა მტერთა თქვენთა გულსა ჰგმირო“... 143,2.
„დაწერა წიგნი, მსმენელთა გულისა გასაგმირალი“... 16.2.
„არ ძალ-უც ხრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა“... 1292,3.
„ბრძენოდეს შავნი წამწამნი, გულისა გასაგმირონი“... 123.3.

წარმოდგენილ მაგალითებში გულის განგმირვა ხან უგუნურს ეხება, რომელსაც მწვრთნელი არ უყვარს, ხან იმ მოშაირეთა უუნარობაზე მიუთითებს, რომელთაც გულის გასაგმირავ სიტყვათა სრულქმნა არ ძალუძთ, ხანაც გულის გამგმირავ მოტივად თინათინის ხელმწიფობა, მისი შავი წამწამები და ნესტან-დარეჯანის მიერ მიჯნურისადმი მიწერილი წიგნია მიჩნეული. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში სიტყვათა ამგვარ დაჯგუფებას გარკვეული ფუნქცია აქვს დაკისრებული. იგი გვიჩვენებს ადამიანის გონების, ძალაუფლების, სიტყვის ძალის, სილამაზის სიდიადეს და ამდენად მრავალსახოვან ასოციაციებს იწვევს მკითხველში. აღსანიშნავია ისიც, რომ „გულთან“ დაკავშირებული სიტყვები სხვადასხვა ფორმით

გვევლინება (ჰგმირდეს, ვჰგმირო, გასაგმირალი, გასაგმირეთა, გასაგმირონი).

მწუხარების ან სიხარულის მძლავრ განცდასთანაა დაკავშირებული გულის დადნობა. რუსთველი ამ გამოთქმასაც იყენებს:

„თავიდაღმა რად არ იცი, ჩემი გული რაგვარ დნებისა!“ 905,4.

მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები როდი არიან განწყობილნი გულის დადნობისათვის.

„გულსა შუქი შემომადგა, მაგრა გული არ დამიდნა“. 520,4.

„ღმერთმან გული განმინათლა გახეთქილი, გა-ცა-მწკრალი“. 1436,2.

იგონებს ტარიელი ნესტან-დარეჯანთან შეხვედრის მომენტს.

„დღეთა მეტად ნუ მოჰკვდები, გული ჩემი ნუ დადნებისა“... 190,2.

ეუბნება თინათინისაგან განშორებული ავთანდილი თავის თავს.

ნათელია, რომ რუსთველის გმირების მისწრაფება იყო გულის განათლება და გულსა შუქის შემოდგომა. სწორედ ამიტომ გახეთქილ, გა-ცა-მწკრალ გულს მათს წარმოსახვაში უპირისპირდება ოპტიმისტური შუქით განათლებული გული.

გულის დადნობის ოდნავ დიფერენცირებულ სემანტიკურ ვარიანტს წარმოადგენს „გულის დანაბვა“. რუსთველი ამ გამოთქმას მთელს პოემაში მხოლოდ ერთხელ ხმარობს:

„მით გული ჩემი სახმილმან აწ ასრე დანაბა დია“... 304,2.

სახმილი ამ წინადადებაში მეტაფორული გაგებითაა ნახმარი და ნიშნავს დარდს, სევდას. ამ ადგილის მიხედვით გარკვევით ჩანს, რომ „გულს“ რუსთველი სხვა სიტყვებთანაც ხმარობს, რაც „გულის დადნობის“ ოდნავ დიფერენცირებულ ვარიანტს გვაძლევს. სწორედ ეს ოდნავ დიფერენცირებული ვარიანტებია რუსთველის მხატვრულ სახეთა მრავალფეროვნების საფუძველი და დიდი ქართველი მგოსნის პოეტური აზროვნების სპეციფიკურობაც იმაშია, რომ ასეთ გამოთქმებს მრავალჯერ არ მიმართავს.

რუსთველი „გულთან“ ხმარობს სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებს: დატყვევებას, შეპყრობას, აგრეთვე დაბმას, რომელიც სემანტიკურად ახლოს დგას პირველ ორ ლექსიკურ ერთეულთან. სიტყვა „გულთან“ მათი დაკავშირებით დიდი მგოსანი განსხვავებულ ფორმებში გადმოგვცემს განსხვავებულ მოვლენათა შინაარსს. ამით იგი მხატვრულ სახეთა მრავალფეროვნებასაც აღწევს და მოვლენათა მრავალმხრივი თვალსაზრისით დახასიათებასაც.

მაგალითები:

„შეუპყრიხარ სიყვარულსა, გული შენი დაუტყვია“. 129,4.

„გული ჩვენი გაუშვებლად დაეტყვევნეს მისით მახით“. 1162,4.

„დიდხან ვერა თქვა, სევდამან გული შეუპყრა, დარია“... 346,2.

„დღეს გული ცეცხლსა უშრეტსა დაბმით დამიბა, მახია“... 715,3.
„გულო, შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ები!“... 1293.4.
„აჯაბთა მჭმნელნი მჯვრეტელთა გულსა მუნ დააბმიდიან“..., 620,2.

სიყვარულისაგან გულის დატყვევება, მახით გულის გაუშვებლად დატყვევება, სევდისაგან გულის შეპყრობა, უშრეტი ცეცხლით გულის დაბმა... აი რა მრავალნაირ ნიუანსებშია წარმოსახული გულის დამორჩილების მომენტები.

პოეტურ სახეთა შექმნის თვალსაზრისით რუსთველის პოემაში გარკვეულ როლს თამაშობს ფრაზეოლოგიური ერთეულები: სალი გულის ლახვარი, ლახვართა შენახევი გული, გულში ლახვრის კვრა, მრავალჯერ ნაკრავი ლახვრის გულში ჩასობა, გულს ლახვარ-სობილი, გულს ლახვრის ცემა, ლახვარხებული გული, გულში ლახვრის ხება, დალახვრული გული.

ნათელყოთ.

„ალმასისა ხამს ლახვარი ლახვრად გულისა სალისა!“ 342,4.
„ფატმანის გული მას აქათ ლახვართა შენახევია“... 1282,1.
„ყმა დაჭმუნდა, ვითამც რამე ჰკრეს ლახვარი გულსა შუა“... 845,1.
„ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული“... 4,4.
„დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულს ლახვარ-სობილი“... 7,3.
„ქალსა შეეხედენ, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა“... 344,2.
„ასმათმან დამსვა შორს-გვარად გულსა მე ლახვარ-ხებული“... 522,3.
„მაშა მაშინ რაგვარ დავრჩე, რა ლახვარი გულსა მეხოს!“ 532,4.
„ნეტარ, რა ქმნას უშენომან გულმან, შენგან დალახვრულმან!“ 1295,3.

ამასთან ერთად ზოგიერთ ფრაზაში გულისაგან ლახვრის მოშორებისა და გარიდების ტენდენციაცაა გადმოცემული:

„მას ლახვარსა მოაშორვებს, თუცა პირველ გულსა უხებს“... 633,2.
„ქალი ადგა, წამოვიდა; მე ლახვართა გულსა მრიდეს“... 386,1.

ლახვრისა და გულისაგან შედგენილ გამოთქმებს „ვეფხისტყაოსანში“ შინაარსობრივად უახლოვდება გულის დადაღვა და გულს დაღის დამჩნევა, თუმცა მათთან შედარებით ნაკლები ძალისანი არიან:

„მიკვირს, თუ გული ალმასი შავმან წამწამმან დაღა რად!“ 714,3.
„არ მეამის კაცთა ნახვა, მიდაღვიდეს გულსა დაღნი“... 591,3.
„მითხრა: „ეგრე წასლვისათვის ნუ გაჩნია გულსა დაღი“.... 397,2.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები მწვავედ განიცდიან სოფლის, ცხოვრების უკუღმართობას. ისინი უკმაყოფილონი არიან წუთისოფლის მოუწესრიგებლობით, რაც გულს ხვდება:

„გულო, გაგსაჯა სოფელმან, არ ეიცი და, გლახ, რას ები!“ 1243,4.

სოფლისაგან გულის გასაჯვა კარგად გახაზავს ადამიანის შე-

ვიწროებულ მდგომარეობას მოუგვარებელი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში. ავთანდილი ვერ ურიგდება გულიდან სიხარულის აღმოფხვრას და ასე მიმართავს ღმერთს:

„იტყვის: „ღმერთო, სამართალნი შენნი ჩემთვის რად ამრუდენ?
მე ეზომნი სიარულნი კიდე რად, გლახ, გამიცუდენ,
გულით ჩემით სიხარულნი აღაფხვრენ, ჰირნი დააბუდენ?“ 189,1-3.

გულიდან სიხარულის აღმოფხვრა პიროვნების უნუგეშო მდგომარეობაზე მიუთითებს, მაგრამ დიდი ქართველი პოეტის პროტესტანტული სული აქ თავს იმაში იჩენს, რომ თავის საყვარელ გმირს ღმერთისადმი საყვედურს გამოათქმევინებს მისი სამართლის ასე გამრუდებისათვის.

მეგობრები მძაფრად განიცდიან ურთიერთის სიშორეს. იგი გულის ტკივილს, ვნებას იწვევს, რის გამოსახატავადაც პოეტი „გულს“ უკავშირებს ზმნას „ივნებს“:

„თუ ერთისა მოშორება მზისა ზამთრის გაგვამცივნებს;
მე, გლახ, ორნი დამიყრიან, გული ამად რად არ ივნებს?“ 956,1-2.

ეგევე ვითარება გადმოცემულია შესიტყვებაში „გულის დატევება“:

„გულმან გაყრისა ხიძნელე კვლა უფრო დამიტია-რე!“ 396,4.

შინაარსობლივი თვალსაზრისით ამ შესიტყვებებთან უშუალო კავშირშია „გულის ლევა“, რაც დაცილებას, გაშორებას ნიშნავს:

„გულმან, გლახ, რა ქმნას უგულოდ, თუ გული გულსა ელია?!“ 942,2.

ადამიანის ცხოვრებაში არაიშვიათად გვხვდება ფაქტი, რაც გულსა და სულზე, გრძნობებზე მძლავრ შთაბეჭდილებას ახდენს. ამგვარი მდგომარეობის გამოსახატავად რუსთველი მიმართავს სიტყვათა შენაერთებს: გულის შემძრველი, გულის შემარხეველი. ფატმანის სატრფიალო წერილს ავთანდილისადმი პოეტი მსმენელთა გულის შემძრველ და შემარხეველ წიგნს უწოდებს:

„დაწერა წიგნი საბრალო, მის ყმისა მისართმეველი,
მისისა მიჯნურობისა, მისთა პატიჟთა მცნეველი,
მისთა მსმენელთა გულისა შემძრველი, შემარხეველი!“ 1084.1-3.

აღშფოთების გამოსახატავად „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულია ფრაზეოლოგიური ერთეული — გულის შეძრწუნება:

„თვალნი მზეებრ გამირეტდეს, გული მეტად შემიძრწუნდა“... 90,3.

რუსთველის პერსონაჟები, როგორც ამქვეყნიური ცხოვრების ხორცშესხმული ტიპები, გულის ტკივილებს არა მარტო ფსიქიკურად, არამედ ფიზიკურადაც განიცდიან. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გამოთქმა „გულის ლები“. ლები ნაცემ ადგილს, დალურჯე-

ბულს ნიშნავს. გულის ლები ცემისაგან დალურჯებულ გულს აღნიშნავს. ავთანდილის წასვლით გულ'შეწუხებული ქვეშევრდომნი

„თავსა იცემდეს, არ იყო გული უცრემლო, ულები“. 175,4.

მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ვერ ურიგდებიან გულის ლებს. ბრძენი ავთანდილი ცდილობს როგორმე უწამლოს მას:

„აწ გაპარვაა წამალი ამა გულისა ლებისა“. 778,2.

„ვეფხისტყაოსნის“ მოქმედ პირთ არ აკმაყოფილებთ საწუთრო. ეს განწყობილება სათანადო ფრაზეოლოგიაშია ასახული:

„ცუდად მაშვრალნი მოვიდეს, მათსავე გულსა ზადია“. 116.4.

ამასვე უკავშირდება გამოთქმა „გულის მომდურვება“:

„უბრძანებდა: „გული შენი, ვიცი, ამად მომემდურვა“... 1655,2.

გულის დაკარგვის, წარტაცების გამოსახატავად პოეტი იყენებს გამოთქმას „გულის წაღება“:

„მან მისთა მჭვრეტთა წაუღის გული, გონება და სული“... 33,3.
„გული წამსავე წამიღო, — ვერათ ვერ შევინახე, — მან“... 738,4.

უმძაფრესი სულიერი მდგომარეობის გამოსახატავად ქართულ ენაში ცნობილია თქმა „გული მომიკვდა“. რუსთველი ამავე მნიშვნელობით ხმარობს ფრაზებს „გავხე გულითა მკვდარითა“, „გულის კვდომა“ და „გულისაგან სიკვდილის წადება“:

„მისი მჭვრეტელი დავიწვი, გავხე გულითა მკვდარითა“. 1140,4.
„პირის-პირ მიჯდა იგი მზე, გული ვისთვისცა კვდებოდა“... 482,2.
„კვლა იტყვის: „გულო, რაზომცა გაქვს სიკვდილისა წადება,
სჯობს სიცოცხლისა გაძლება, მისთვის თავისა დადება“... 727,1-2.

თუმცა ამ უკანასკნელ მაგალითში გულისაგან სიკვდილის წადებაზეა ლაპარაკი, მაგრამ მეორე ტაეპში მის მიმართ უპირატესობა ეძლევა სიცოცხლისათვის გაძლებას, მისთვის თავის დადებას. ამრიგად, გულის მიერ სიკვდილის წადილი აქ დაძლეულია სიცოცხლის სიყვარულის უმშვენიერესი გრძნობის უპირატესობის აღიარებით.

არა ერთხელ გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, თუ როგორ მძაფრ ფორმებში აქვს რუსთველს წარმოსახული თავისი გმირების გულის ტკივილები. ასმათს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე იმას შესწირა, რომ დაცემული მოძმისათვის ტანჯვა შეემსუბუქებინა, ლმობილი გულის შელმობად (=მტკივან გულზე კვლავ ტკივილის დაჩენად) მიაჩნია ტარიელის ამბის თხრობა და მოსმენა:

„ენა დაშვრების, გაცვთების, გულსა შეელმის ლმობილსა,
ამას მით ეაზრობ, მინახავს მე უბედურსა შობილსა“. 849,3-4.

ამგვარივე მნიშვნელობით გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ ფრაზეოლოგიური ერთეულები: **გულის დაწყლულება** („მოყვარემან ვარდის კონა **გულსა** მკრა და **დამიწყლულა**“... 862,1), **გულის წყლული** („შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად, **გულისა** ერთობ **წყლულისა** და ასრე დაღაგულისად!“... 1297,1-2), **წყლული გულის მომტკივნება** („გამოძრწა და გამომელდა, **გულსა წყლულსა მოიმტკივნებს**“... 761,2).

მაგრამ ოპტიმისტ პოეტს არ სურდა, უმოქმედოდ და უბრძოლველად დაეტოვებინა თავისი გმირები. მათ გული სტკივათ, როცა უსამართლოდ იტანჯებიან, როცა რაიმე მოვლენას მწვავედ განიცდიან. მაგრამ დიდი მგოსანი ან თავად, ან სხვა გმირთა პირით ყოველთვის უჩვენებს გამოსავალს ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად.

**„ხამს განაღამცა საქმნელად, რაცა თქვენ გულსა გლმობია“**... 38,3.

ეუბნებიან ვაზირები როსტევან მეფეს.

**„მუნამდის გაძლო სულთადგმა, გული რაზომცა მტკიოდეს“**... 1088,3.

სწერს ავთანდილს ფატმანი.

**„წასლვა ჩემი გულსა თქვენსა არ ეწყინოს, არ დაჰმუნდეს“**... 740.1.

უთვლის ავთანდილი როსტევან მეფეს.

გულის ლმობა, გულის ტკივილი, გულის წყენა-დაჰმუნება აქ ისეთ კონტექსტებშია წარმოდგენილი, რომ გვიჩვენებენ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების უარყოფითს დამოკიდებულებას პესიმისტური განწყობილებისადმი. მათი ოპტიმისტური მსოფლშეგრძნება დადებითი ფორმითაცაა გამოხატული. ამ მხრივ აღსანიშნავია გამოთქმები: წყლული გულის გამრთელება, წყლული გულის გარკინება, წყლული გულის წამლობა, მდედრი გულის გაქვიტკირება, გულის წყლულობის დათმობა (გაძლება), გულის სლვა დარმანთათეის (წამალთათვის), მრთელი გული.

მაგალითები:

**„გამიმრთელდა გული წყლული, ახლა დავჯე ცეცხლთა შრეტად“**. 1119,4.
**„მანვე ქმნა და მო-რე-ვჯობდი, გული წყლული გავარკინე“**. 354,4.
**„მოდი, ჰმუნავა გამიქარვე, გულსა წყლულსა მეწამლეო“**... 105,3.
**„მოიშორვა კაეშანი, გული მდედრი აქვიტკირა“**... 1634,3.
**„სული დაიღო მან ქალმან, დათმო გულისა წყლულობა“**... 224,1.
**„ვთქვი: „საწუთროო, ვის წეღან გული დარმანთა მიარე,**
**მაშინ მოგეცა იმედი, ლხინი რად გამიზიარე?“** 396,2-3.
**„მე მოვახსენე: „პატრონო, გული აწ უფრო მრთელია“**... 356,2.

გულის წყლულის წამლობის მნიშვნელობით ხმარობს რუსთველი „გულის წამალს“:

„მე ვუთხარ: „დაო, შენგან ვეძებ ამა გულისა წამალსა“... 398,1.
„ვპოვე წამალი გულისა აქამდის დადაგულისა!“ 704,4.

რუსთველის პოეზია გულისა და სულის პოეზიაა. გულის მოძრაობის ყოველ ნიუანსშია ასახული ადამიანის სულიერი ცხოვრების ოდნავი გამონაკრთომიც კი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ფრაზეოლოგიური ერთეულები: გული კრთომა, შე და გამო (შიგნით და შიგნიდან) გული კრთომა, მი და მო (იქით და აქეთ) გული კრთომა, მი და მო გული სვლა, მი და მო გული ლალვა:

„წესია, გული გაჰკრთების ამბავსა გასაკრთობელსა“... 1432,2.
„ფერი ჰკრთა და გაუფიცხა შე და გამო გულმან კრთომა“... 1544,2.
„ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრთებოდა“. 512,4.
„გული მი და მო მიარდა, კრთებოდა და მელალოდა“... 380,3.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები არარეალური ადამიანები იქნებოდნენ, რომ მათს გულს მხოლოდ ბინდი, სევდა, ლახვარი, წყლული, დაღი აჩნდეს. ცხოვრების ძნელ განსაცდელთა გადალახვის პროცესში მათ არა ნაკლები სიმტკიცე, შეუპოვრობა და სიმამაცე ახასიათებთ... და მინორული ტონი ბრძოლისა და შემართების მაჟორული აბგერებით იცვლება. ეს ვითარებაც ასახულია გულთან დაკავშირებულ ისეთ სიტყვებში, რომლებიც ოპტიმისტურ იერს აძლევს ფრაზას.

რუსთველის ადამიანები ვერ ეგუებიან ჩრდილ, ბნელ, გახეთქილ, გამწკრალ (გალეულ) გულს. ისინი იქითკენ მიისწრაფვიან, რომ გაინათლონ ჩრდილმიყენებული და ბნელით მოსილი გული, ნათელი მოჰფინონ მას. ამასთან დაკავშირებით „ვეფხისტყაოსანში“ მოგვეპოვება გამოთქმები: ჩრდილი გულის განათლება, გულში ბნელის განათლება, გახეთქილი, გამწკრალი (გალეული) გულის განათლება, ბნელი გულის განათლება, გულში შუქთა ფენა, გულში შუქის შემოდგომა, გულის განათება, გულის სიამით აფეთქება.

მაგალითები:

„მუნა განახო, მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი“... 1305,3.
„გულსა ბნელი განმინათლდა, ზედა ლხინი ადგა სეტად“. 409,2.
„ღმერთმან გული განმინათლა გახეთქილი, გა-ცა-მწკრალი“... 1436,2.
„მან განანათლოს მკვრეტელთა გული, რაზომცა ბნელია“. 475,3.
„მისთა შუქთა შვენებანი ნათლად მადგეს გულსა ფენით“. 418,4.
„გულსა შუქი შემომადგა, მაგრა გული არ დამიდნა“... 520,4.
„რა შეხედნა, ყმასა გულმან გაუფეთქნა, გაუნათდა“... 867,1.

მხნე განწყობილების, სიხარულის გამოსახატავად „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს შესიტყვებანი. მხიარული გული და გულის გახარება:

„მიაცორვებს და იმღერის მხიარულითა გულითა“... 1333,1.
„მოახსენა: „უშენომან გულმან რამცა გაიხარა/“... 160,3.

ეგევე განწყობილება რუსთველს გადმოცემული აქვს „გულთან“ სხვა სიტყვების დაკავშირებითაც, რაც მის გამომსახველობითს საშუალებებს მძლავრ ემოციურ იერს სძენს. ეს გამოთქმებია: გულის ლხინი, გულის ლხინის მიცემა, გულის ლხინების მიცემა, გულის მიცემა ლხენისათვის, გულის სახმილთა (დარდთა) ლხენის მოვლენა, გულის ლხენა, გულის ლხენა, ლხინთა მდომელი გული, გულის მლხენელი, გულის სალხენელი, გულის სალხინოს დასახვა.

მაგალითები:

„მას ზედა დასვა იგი მზე, ლხინი მჭვრეტელთა გულისა“. 1188,4.
„დავჯე, მივეც გულსა ლხინი, საწუთროსა დამგმობარსა“... 410,3.
„მეფესა მეტად ეამა, მიეცა ლხინი გულისა“... 1170,3.
„კაცნი გავგზავნენ, მე გულსა უფრო მომეცა ლხინები“... 389,1.
„ავთანდილს ღმერთმან წადილი მისცა, გულისა ლხინება“. 248,4.
„მისგან დამწყარნი მისცნიან გულნი ჰვრეტითა ლხენასა“. 1538,4.
„ღმერთი იწადებს, მომივლენ გულის სახმილთა ლხენანი“. 1475,2.
„გულსა ალხინე ჩემისა მოშორებისა მთმობელსა“... 1307,3.
„მე ეგრეცა ვცან მართალი, მით გულსა მოვალხენიე“... 1271,2.
„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი,
გული — ჟამ-ჟამად ყოველთა ჰირთა მთმო, ლხინთა მნდომელი“... 718.1-2.
„არს თინათინის გონება მისად სალხენლად გულისა“. 1025,2.
„ესე დღე არის იმედი, ჩემის გულისა მლხენელი.... 774,2.
„წევს, იტყვის: „გულსა სალხინო რამცაღა დაუსახეო?“ 725,1.

აქ გულთან დაკავშირებულია ერთი ძირის სიტყვები, მაგრამ ისინი მნიშვნელობის მხრივ ან სავსებით განსხვავებულია ურთიერთისაგან, ანდა ოდნავ სხვა ნიუანსის შემცველია. ერთ შემთხვევაში ვვაქვს გულის ლხინი სხვადასხვა ფორმით, მეორეში — გული, რომელსაც ლხინი სწადია... შემდეგ: გულის სალხენელი ობიექტი... გულის სალხინო ობიექტის დასახვა... ყოველივე ეს სიტყვა „გულს“ ახალ და ახალ კონტექსტში სხვადასხვა ელფერს აძლევს, რაც მკითხველს შესაძლებლობას უქმნის გარკვეული ვითარების მრავალსახოვნად განცდისათვის. ზემოთ აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს უახლოვდება გამოთქმა „გულით ამოსლვა დარდისა“:

„სიცილით ღაღობს, მიეცა გულით ამოსლვა დარდისა“. 82,4.

ადამიანს ცხოვრებაში გარკვეული სურვილები ამოძრავებს. იგი რაღაცისაკენ მიისწრაფვის, რაღაცას ინატრის, რაღაც სწადია, უნდა. ყოველივე ეს მის გულთანაა დაკავშირებული. ამის შესაბამისად რუსთველის სიტყვათშემოქმედების ფონდში გვხვდება ასეთი ერთეულები: გულის წადილის მოხვდომა, გულის წადილის სრულ-

ქმნა, ბრძენი გულით წადილი, გულის ნების მიხედომა, გულის ნების გასრულება, გულის წადილის მიცემა, გულით წადება, გულში (ვიღაცის) ნდომის შესვლა, გულის ნდომა. სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან მნიშვნელობით ახლოს მდგომი, სიტყვების „გულთან“ კომბინირებით რუსთველი განსხვავებულ ასპექტში წარმოგვიდგენს თავისი გმირების გულისთქმის მრავალფეროვნებას. ამაზე მეტყველებს სათანადო მაგალითები:

„მზე ეტყვის: „მომხვდა ყოველი ჩემი წადილი გულისა“... 704,1.
„მოხვიდე, სრულ-ვქმნა მაშინღა შენი წადილი გულისა“... 153,2.
„სადაცა გწადდეს, მუნ იყავ მითვე წესითა მაგითა,
გწადდეს — გულითა ბრძენითა, გწადდეს — ცნობითა შმაგითა“... 935,1-2.
„ვითა მე მივჰხვდი წადილსა, ჩემის გულისა ნებასა,
აგრემცა ღმერთი ნურას იქმს ძმისა თქვენისა ვნებასა!“ 213,1-2.
„რა გამისრულდენ ესენი ჩემნი გულისა ნებანი,
მაშინღა მიეალ არაბეთს, მომხვდენ მის მზისა ხლებანი“... 1479,1-2.
„ჰკადრა: „რა კაცსა სოფელმან მისცეს წადილი გულისა,
ხსოვნა არა ხამს ჰირისა, ვით დღისა გარდასრულისა“... 696,1-2.
„იმას, გლახ, ჩემი სიკვდილი გულითა სწადდა, არ ენით“. 1208,4.

(გულით წადება ამ კონტექსტის მიხედვით იმას უდრის, რასაც — ნამდვილად ეწადა, საქმით ეწადა...).

„გაუმარჯვდა ომი მათი, ვითა სწადდა მისსა გულსა“. 1045,1.
„ფატმან ხათუნს ავთანდილის გულსა ნდომა შეუვიდა“... 1082,1.
„გამაღარიბე, დამაგდე, გულსა, გლახ, ვისთვის ენები“... 822,3.
„აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება“... 6,1.
„არ გული უნდა ფიცის და პირისა გასრულებასა?“. 847,3.

აქ ერთმანეთს ენაცვლებიან მნიშვნელობის მხრივ გულის წადილის მოხვდომა და გულის ნების მიხვდომა, გულის წადილის სრულქმნა და გულის ნების გასრულება, გულის ნებვა („გულსა, გლახ, ვისთვის ენები“) და გულის ნდომა. გულის ნდომის რუსთველისეულ გაგებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს მხატვრული ნაწარმოების უშუალობის ჰეშმარიტი გარკვევისათვის. დიდი მგოსანი მხატვრული გამოსახვისათვის 3 აუცილებელ პირობას ასახელებს: 1. ენა, 2. გული, 3. ხელოვანება (ოსტატობა). ჩვენს სპეციალურ საკითხთან დაკავშირებით ცალკე გამოვყოფთ მეორე ელემენტს, რომელიც ენასა და ხელოვნებასთან ერთად უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სინამდვილის მხატვრული ასახვის პროცესში. ცნობილია, რომ რუსთველის პოეტურ წარმოსახვაში სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების ყოველი მომენტი მის გულის მოძრაობაშია ასახული. მხატვრული სახე რომ ამაღელვებელი იყოს, საჭიროა მას გული ახლდეს, გულით იყოს ნაგრძნობი. ის, რასაც გამოვთქვამთ, რის შესახებაც ვწერთ, წრფელი გულით უნდა იყოს

განცდილი. გულწრფელობა, — აი, რა აძლევს პოეტურ სახეს უშუალობის იერს და ანიჭებს ქმედითს ძალას. სწორედ ამიტომ გამოთქმის ანუ მხატვრული სახის ჩამოყალიბებისათვის პოეტი საჭიროდ თვლის არა მარტო ენასა და ოსტატობას, არამედ გულსაც. აქედან სავსებით გასაგებია მისი ღრმა მნიშვნელობის ტაეპი:

**„აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება“...**

ზოგიერთი გამოთქმა, რაც „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს, რუსთველამდისაც გვხვდება, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ პოეტი მათ ხშირად არ ხმარობს; გარდა ამისა ამ შესიტყვებებს როცა მიმართავს, ისე აყალიბებს, რომ წინამორბედ მწერალთა მიერ გამოყენებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ზუსტად არ იმეორებს. ესეც რუსთველის პოეტური ენის ერთ-ერთ თავისებურებად მიგვაჩნია.

* * *

„ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ძირითადი იდეა გმირობაა. გმირული სულია დამახასიათებელი ამ დიდებული პოემის ყველა დადებითი პერსონაჟისათვის. რუსთველის დიდბუნებოვანი ადამიანების გმირულ შემართებას, მათს უდიდეს ფიზიკურ და სულიერ ძალას გამოხატავს შესიტყვებანი: კლდის ტინის გული, კლდის უმაგრესი გული, გულის სალივით შექმნა, გულის გამაგრება, რკინის მსგავსი გული:

**„აწ მიკვირს, მისსა გამყრელსა გული მიც კლდისა ტინისა!“ 419,4.**
**„რად გული კლდისა ტინისა შემქმნია სამ სალებისა?“ 1026,2.**
**„მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა“ 1301,4.**
**„სრულად გაექვავდი, შემექმნა გული მართ ვითა სალია“. 584,4.**
**„აწ ნახეთ, თუ გოლიათი გული ვითა ამაგარა“ 1597,4.**
**„დიდხან უპვრეტს გაკვირვებით, თუცა გული უმაგარდა“... 87,2.**
**„გულო, გიჯობს, გაუმაგრდე, თავი სრულად გაიკლდეო“... 921,3.**
**„კაცნი წავიდეს, დაბრუნდა ყმა გზასა თავის-წინასა,**
**ვისი ჰგავს ტანი საროსა და ვისი გული რკინასა“. 975,1-2.**

„ვეფხისტყაოსნის“ გმირებს გულოვნობა, მამაცობა ახასიათებს, რაც გადმოცემულია „გულთან“ მისივე ძირისაგან ნაწარმოები ზმნური ფორმის დაკავშირებით:

**„მტერთა მკლავნი შეაძუნტნეს, გულნი ჩვენნი აგულვანნეს“... 1547,4.**

გულის სიმაგრის, სიმამაცის ერთ-ერთი პირობაა თვით გულის ქონა. „ვეფხისტყაოსანში“ არის გამოთქმები, რომლებიც ასახავენ გულის ქონას თავისთვის ან სხვისთვის, ანდა გულში რაღაცის ქონას:

„გული მას აქვს გულოვანსა“... 739,2.
„გული მიც, თუცა მელია“... 511,1.
„...გული უც მისთვის მწყრომარე“... 91,1.
„უშენოსა მოწონება ვისიცაო გულსა მიცა... 417,3.
„მაგრა ჰქონდა გულისათვის გული გულსა განაცვალი“. 693,4.
„გული ჰქონდა გულისათვის, სიყვარულსა ავალებდა“. 138,4.
„გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად“... 41,1.

გულის სიმტკიცესთანაა დაკავშირებული „გულის დადება“, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ რამდენიმეჯერ გვხვდება:

„ვერას ვარგებ, გულსა დავსდებ, ჩემი ფიცი არ გატყდების“. 739,4.
„გული დადევ, დაიჯერე, ვერ წაგიტან, ვერა, ვერა!“ 783,4.
„ერთაი ესე ასმათი და დამრჩეს ორნი მონანი,
ჩემნი გულისა მდებელნი და ჩემნი შემომგონანი“. 590,1-2.

გულის დადება განწირვის, თავდადების მნიშვნელობითაცაა ნახმარი რუსთველის პოემაში:

„ამას ეტყვის: შენთვის დავსდებ გონებასა, სულსა, გულსა“... 902,1.

გულოვანთან, გულადთან ქართულს ენაში დაკავშირებულია ძალის ქონების ცნება. ძალა და გული ხშირად „ვეფხისტყაოსანში“ სინონიმებად ან საზღვრულ-მსაზღვრელადაა მიჩნეული:

„მისთვის გაჭრილი მინახავს, წევს ლომი ფერ-ნამკრთალი სად;
გამცუდებელად თავისად, მის გულისა და ძალისად“. 1264,3-4.
„აწ მე მწადს, თქვენსა წინაშე მეცა ვცნა ძალი გულისა“... 314,3.

გულადობის, გულის სიმძლავრის, სიმამაცისა და ვაჟკაცობის აღსანიშნავად „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულია გამოთქმები: გულს შიშის არქონება, შიშშეუვალი გულით წადგომა:

„გულსა შიში არა ჰქონდა, ამოდ დგეს და ნებიერად“... 1413,3.
„ნავისა თავსა გულითა წადგა შიშ-შეუვალითა“... 1041,3.

„გულს“ ავტორი ოსტატურად უკავშირებს ადამიანის რთული სულიერი ცხოვრების მოვლენებს, მის მრავალსახოვან განცდებს. გული ვერ გაუძლებს ნიადაგ შავ წამწამთა სობას, რადგან იგი მგრძნობიარეა. გული ვერც მეტისმეტ ლხინს გაუძლებს, მით უმეტეს თუ იგი მოულოდნელად ეცემა მას. ეს ჩვეულებრივი განცდები უმეტეს შემთხვევაში მწვავედ აღიბეჭდება ხოლმე ადამიანის გულში. ამ ჰეშმარიტებას დამაჯერებელ პოეტურ სახეებში გამოთქვამს დიდი მგოსანი:

„გული ვერ გასძლებს ნიადაგ შავთა წამწამთა სობასა“... 1087,3.
„ჩქარად ეცეს, ვერ გაუძლებს გული ლხინსა მეტის-მეტსა“. 1343,4.
„მისსა ვით გასძლებს გაურასა გული ალმასი, წთობილი!“ 327,4.

მაგრამ გულის ასეთი ვერგაძლება დროებითი მოვლენაა რუსთველის გმირებისათვის. მისი ზოგადი არსი კი ჰირთა დათმობაში (გაძლებაში) მდგომარეობს:

„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი,
გული—უამ-ჟამად ყოველთა ჰირთა მთმო, ღხინთა მნდომელი;
გული—ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი“... 718,1-2-3.

გულის მოძრავი ბუნებიდან გამოჰყავს პოეტს მისი ქმედითობა. გული რაღაცას უნდა შვრებოდეს, უნდა მოქმედებდეს. ავტორმა კარგად იცის, რომ თუ გული გულს მოსცილდება, უგულო გული ვერაფერს იზამს:

„გულმან, გლახ, რა ქმნას უგულოდ, თუ გული გულსა ელია?!. 942,2.

ამიტომ იგი გულს სრულ თავისუფლებას ანიჭებს; მოქმედების, ქმნის პროცესში პრიორიტეტს მას განუკუთვნებს:

„ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდ რა ვინ გივაზიროს!“. 883,4.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რუსთველს გული გამოთიშული ჰქონდეს ინტელექტუალური მოვლენებისგან. მისი აზრით, გულთან მჭიდრო შინაგან კავშირშია ცნობა და გონება და ისინი ერთმანეთს განაპირობებენ; მაგრამ ცენტრალური ადგილი მათ შორის მაინც გულს უჭირავს:

„გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან:
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკე მიდიან“... 848,1-2.

ამ მოსაზრებას ადასტურებს მომდევნო ტაეპი:

„უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან“. 848,3.

რუსთველის პოეტურ ლექსიკაში გული ადამიანთა აზრებისა და ფიქრების მთლიანობის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენს; იგი უტყუარი, სწორი, ჭეშმარიტი ადამიანური ურთიერთობის სიმბოლოა. გული ადამიანის ფასდაუდებელ განძადაა დასახული: მისთვის სულის გაწირვაც ადვილად შეიძლება და დიდი განსაცდელის გადატანაც. გულში თავის გამოხატულებას პოულობს სიყვარულიც და მტრობაც; ადამიანის მოქმედება მისი გულის მსგავსია; გულია საზომი ქცევისა, მაგრამ მას თავად საზომი არა აქვს. ის, რასაც გული მოიქმედებს, არ შეიძლება გადახდილ იქნას, რადგან უსაზღვროა მისი მოქმედების სფერო. გულის მხურვალება კაცს ათბობს; ყველაზე საყვარელი არსება ნამდვილი გულის გულია. ასეთ შეხედულებებს გულზე რუსთველი განყენებულად კი არ გამოთქვამს, არამედ ადამიანთა ცოცხალი, კონკრეტული, რეალური ურთიერთობის ჩვენების საფუძველზე. „ვეფხისტყაოსანში“ ერთ-ერთი უძლიერესი ადგილია წიგნი ნესტან-დარე-

ჯანისა, მიწერილი სატრფოსადმი. ეს უმშვენიერესი გმირი ქალი ნაღველში ამოვლებული კალმით სწერს უძვირფასეს მიჯნურს:

„მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა ვაწები“... 1293,3.

ნესტან-დარეჯანი ქაღალდად გულს წარმოისახავს, რომელიც მიჯნურის გულთანაა შეწებებული. ამ ორი არსების გული, ურთიერთთან ორგანულად შერწყმული, ჰეშმარიტ მიჯნურთა განცდების მომხიბლავ სიმბოლოს წარმოადგენს. აქ გული რეალური ვითარების გამომხატველი მეტაფორაა, რომელიც საფუძვლად ედება მხატვრული სახის შექმნას.

ის სიტყვაა ძლიერი, რომელიც გულს ხვდება. ჩვენი აზრით, ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული რუსთველის მიერ გამოყენებული ფრაზეოლოგიური ერთეული „გულის სიტყვა“:

„რა გულსა უთხრნა გულისა სიტყვანი საგულისონი.
მან მარგალიტნი მოიხვნა მის მზისა სამეყვისონი“... 719,1-2.
„ტარიელ ფრიდონს უბრძანა დღე-ერთ სიტყვები გულისა“... 1469,1.

სპეციალურ შრომებში გულის სიტყვა განმარტებულია როგორც განზრახვა, აზრი[1], ფიქრი[2]. ამ სამი განმარტებიდან რუსთველის გამოთქმას ყველაზე მეტად ორი უკანასკნელი შეეფერება მძლავრი ემოციური ნიუანსით. მართლაცდა, რუსთველის გმირი სიტყვების აღსაბეჭდავ ქაღალდად გულს რომ მიიჩნევდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ეს სიტყვები მთელი არსებით იყო თქმული. გულში კვალგაკვლეული სიტყვა კი არასოდეს არ ავიწყდება არც მკითხველსა და არც მსმენელს. რუსთველის პერსონაჟების სიტყვები გულიდან ამოდის. ამიტომ არის, რომ მეხსიერებიდან მათი ამოშლა შეუძლებელი საქმეა. თუ ამ გაგებიდან ამოვალთ, ადვილი გასაგები იქნება, თუ რატომ ასე ხშირად გაასაუბრებს ხოლმე გულთან რუსთველი თავის გმირებს:

„მკვრეტელო, გულსა ეტყოდი: „ნუ აეხსნები, იქ ები!“ 1551,4.
„აწ გულსა ეტყვის: „ვითამცა გდის ცრემლი, არ გაგხმობია“... 965,1.
„კელა გულსა ეტყვის: დათმობა ჰგვანდეს სიბრძნისა წყაროთა“... 726,2.
„გულსა ვუთხარ: „ნუ მოჰკვდები, არას გარგებს ცუდი წოლა“... 585,2.
„გულსა უთხრის, თუ: „დათმეო,“ ამად არ დია ბნდებოდა“. 180,2.
„გულსა ვარქვი, თუ: „ლახვარნი ეგე ვით დაგაღონებენ?“ 365,1.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტაეპებში გამოყენებული შესიტყვებანი ყველგან ერთსა და იმავე აზრს გადმოსცემენ, რუსთველი მათ სხვადასხვა ფორმით გვაწვდის, გარდა 2 შემთხვევისა.

---

[1] ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი, 1948-1949, გვ. 113.

[2] ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, თბილისი, 1953, გვ. 438.

გულში არა მარტო სიტყვები იკვლევს გზას, არამედ საყვარელი არსების სახეც. ასმათთან საუბარში ავთანდილი თინათინს შესახებ ამბობს:

„მისი სახე გულსა ჩემსა ხატად ასრე გამოვხატე,
ჩისთვის ხელმან, გამოჭრილმან, ლხინი ჩემი ვაალქატე“. 251,1-2.

გულში სახის გამოხატვა ერთი მომენტია სიყვარულის განცდისა. ავტორი უფრო მძლავრ ფორმებში გადმოგვცემს ამ ვითარებას ნესტან-დარეჯანის მიერ ტარიელისადმი მიწერილ წერილში:

„მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა“... 1306,2.

სიყვარულის გულში ჩატანა და ჩარჩენა დამახასიათებელია ამ უმშვენიერესი გრძნობით აღგზნებული ადამიანებისათვის და რუსთველიც ორიგინალურ პოეტურ სახეებში წარმოგვიდგენს მათი განცდების სიღრმეს.

სიყვარულის შეგრძნებით ცოცხლობენ რუსთველის გმირები და მათი გამიჯნურება, დიდი მგოსნის გაგებით, იგივეა, რაც გულის გამიჯნურება. იგი უპირველეს ყოვლისა გულს ეხება:

„აჰა, გული გამიჯნურდა, მიჰხედომია ველთა რბენა!“ 10,2.

მაშინაც კი, როცა მიჯნურები ერთმანეთს შორდებიან, ისინი წუხან იმაზე, თუ ვის დარჩა გული. გულის დარჩომა არკვევს მიჯნურის პოზიციას:

„თქვის: „საყვარელო, მოგშორდი, გული შენ დაგრჩა, ვთქვა ვისად?“. 181,3.

გულში სამტრო განწყობილებაც პოულობს თავის ადგილს. ავთანდილთან პირველი შეხვედრის შედეგად აღძრულ გრძნობას ასმათი ასე გადმოგვცემს:

„წეღან საქმე მტერობისა გულსა ჩემსა შთამოსთესი“... 252.3.

განსჯა, სამართალი ბრძენი გონების ფუნქციას წარმოადგენს, მაგრამ, რუსთველის აზრით, იგი მაშინ მიდის გულამდის, როცა მართალი გულის ნაყოფია. სწორედ ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები თავიანთ მოქმედებას გულმართლობით წარმართავენ. მათი ხასიათის ეს თავისებურება ასახულია შესაბამის ფრაზეოლოგიაში: მართალი გულის სამართალი, ბრძენი გულით მართლის ბჭობა, გულის სიბრძნე, ბრძენი გული:

„ცან სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად“. 1308,2.
„მერმეღა გაბრჭეჳ მართალი მაგა გულითა ბრძენითა“... 906,2.
„მო და უყავ სამართალი, გაებრჭობის გული გულსა“... 959,2.
„სადაცა გწადდეს, მუნ იყავ მითვე წესითა მაგითა,
გწადდეს — გულითა ბრძენითა, გწადდეს — ცნობითა შმაგითა“... 935,1-2.
„მეკეთა ესე თათბირი, სიბრძნე გულისა მისისა“... 384,1.

„ვეფხისტყაოსანში“ „გული“ სინონიმური მნიშვნელობითაა

ნახმარი ისეთ სიტყვათა რიგში, როგორიცაა: იმედი, სიცოცხლე, გონება, სული:

„იმედო და სიცოცხლეო, გონებაო, სულო, გულო,
ვინ მოგკვეთა, არა ვიცი, ხეო, ედემს დანერგულო!“ 309,2-3.

ამ სიტყვათა სიახლოვე მხატვრული გააზრების თვალსაზრისით პოეტს შესაძლებლობას აძლევს მათი კავშირის საფუძველზე შეადგინოს ფრაზეოლოგიური ერთეულები: გულის იმედი, გულის ირგვლივ საიმედო იის დარგვა:

„შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად“... 1297,1.
„გულსა გარე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე“... 131,3.

ადამიანის მოქმედების ავკარგიანობას რუსთველი გულის თვისებებს ადარებს. ქველმოქმედება კეთილი გულის მსგავსია, ლმობიერი გადაწყვეტილება — ლმობიერი გულისა:

„უბრძანა: „დაო, ეგეა მსგავსი შენისა გულისა“... 274,1.
„ეგე არს მსგავსი გულისა ლმობიერისა თქვენისა“... 1477,2.

იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათისაა კაცი, გულიც სხვადასხვაა. ამას უკავშირდება მრავალი ეპითეტი, რომელიც „გულს“ სხვადასხვა ასპექტით ახასიათებს.

ნათელვყოთ.

გონიერი, ლბილი გული: „როსტან მისთვის აატირა გონიერი გული, ლბილი“. 146,4.

ქველი გული: „მათი ბადრაგა ავთანდილ უძღვის გულითა ქველითა“. 1037,2.

მარგი გული: „მიელენ სამნივე გულითა ერთმანერთისა მარგითა“. 1577,4.

მოწყალე და მლმობელი გული: „მუნ შემიწყალოს თქვენმაცე გულმან მოწყალე-მლმობელმან“. 802,4.

სულწასრული გული: „შეჰფრფინვიდიან ავთანდილს გულითა სულწასრულითა“. 1010,4.

კრული გული: „გული კრულია კაცისა“... 718,1.
„აწ ვაზირო, მაგა პირსა გული კრული ვით მოგთმინდეს?“ 749,1.

ხარბი და გაუძღომელი გული: „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი“... 718,1.

ბრმა, ხედვის ურჩი გული: „გული—ბრმა, ურჩი ხედვისა“... 718,3.

ვერას ვერ გამზომელი გული: „გული — ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი“... 718,3.

„გახეთქილი, გამწკრალი გული: „ღმერთმან გული განმინათლა გახეთქილი, გა-ცა-მწკრალი“... 1436,2.

წდობილი გული: „ტიროდეს; მათთა მჴვრეტელთა გულნიმცა ესხნეს წდობილნი“. 1568,4.

ცივი, გაუმთბარი გული: „მაგრა ჩემი რად დააგდე გული ცივად, გაუმთბარად?“ 955,4.

ღმრთის საესავი გულით ყოფნა: „ხელ-განპყრობილი გულითა არს ღმრთისა საესავითა“. 1327,4.

ზოგჯერაც გულის მიხედვითაა დახასიათებული ადამიანის ბუნება, მისი თვისებები:

გულით ქებული: „აცნობეთ თქვენსა პატრონსა: „მოვლენ გულითა ქებულნი“. 1602,4.

გულის მფხანელი: „თუ მო-ვითა-ჰკლა იგი ყმა ჩემად გულისა მფხანელად“... 1111,3.

გულის მოსაფხანი: „მან მითხრა მოციქულობა გულისა მოსაფხანია“... 421,3.

გულის მონაზიდობა: თუ მოყვარეა, გულისა ქმნას ჩემკე მონაზიდობა“. 1488,3.

გულით მისანდობელი: „მოასხნა ოთხნი მონანი, მისანდობელნი გულითა“... 1019,1.

გულის მონაცემი: „ჩემთა რა გაცნევს ამბავთა, გულისა მონაცემთაო!“ 1592,2.

გულის საკამათე: „ამად შევიქმ სიხარულსა მართ გულისა საკამათსა“. 1632,4.

რამდენადაც „ვეფხისტყაოსნამდე“ არსებული ლიტერატურული ძეგლების ამ თვალსაზრისით შესწავლა გვარწმუნებს, რუსთველის მიერ ნახმარ ამ შესიტყვებათაგან ორიგინალური ჩანს: მლომბელი გული, მარგი გული, სულწასული გული, ქრული გული, ხარბი გული, გაუძღომელი გული, ბრმა გული, ხედვის ურჩი გული, ვერას ვერ გამზომელი გული, გამწკრალი გული, გულის მფხანელი, გულით მისანდობელი, გულის მონაზიდობა. რუსთველისავე სიტყვათშემოქმედების მაგალითებად უნდა მივიჩნიოთ გულისაგან მიღებული კომპოზიტური ფორმები: გულტკბილად შემხედვარი, გულ-მარიხიანი, გულის-გული. ეს ფრაზეოლოგიური ერთეულები ბუნებრივია, რეალურია. ისინი გადმოგვცემენ ადამიანის ხასიათის მრავალფეროვნებას, რის გათვალისწინებაც ტიპიური ნიშნების გამთლიანებისათვის აუცილებელია.

ის მოქმედებაა გეგმაშეწონილი, რასაც გული აძლევს დასტურს, რაც გულს მოსწონს. ამის გამოსახატავადაც „ვეფხისტყაოსანში“ შესატყვისი ფრაზეოლოგიური ერთეული გვაქვს: „გულის თნევა“:

„ეზომ დიდი შემართება გულსა მისსა უთნევია“... 375,3.

მაგრამ ადამიანის საქმიანობაში ბევრი რამაა ისეთი, რაც მოწონებას არ იმსახურებს. ხშირად მტერი მოყვრის სამოსელშია გა-

ხვეული. მცოდნე, გონიერი კაცი მას გულით არ უნდა მიენდოს. გულით მინდობა მისი საიდუმლოების გამჟღავნებას მოასწავებს:

„მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია;
არ მიენდობის გულითა, თუ კაცი მეცნიერია“... 1211.2-3.

სამაგიეროდ მეგობრები, მიჯნურნი ერთმანეთს გულსა და სულს აძლევენ გულისათვის, სიყვარულის სიმბოლოდ, ურთიერთპატივისცემისათვის. ადამიანებს შორის ამგვარი დამოკიდებულებაც სათანადოდაა გაფორმებული „გულთან“ დაკავშირებულ მთელ რიგ სიტყვებში:

„თქვა: „დიაცსა ვინცა უყვარს, გაექსვის და მისცემს გულსა“... 1093,1.
„გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“... 703,2.
„გული მივეც თმობა-ქმნათა აუგისა საკრძალველად“... 371,4.
„მაგრა მის ყმისა მჭერეტელთა გული მიეცა, გლახ, ალსა“... 1012,4.
„გული მომეც გაუყრელად, ჩემი შენთვის დაიჭირე!“ 414,4.
„სულთა მოგცემ გულისათვის, სხეა მეტიმცა რა გაქონე!“ 247,4.

გულს რუსთველი სულზე უფრო მაღლა აყენებს. გულისათვის თურმე სულის გაყიდვაც შესაძლებელი ყოფილა:

„სულთა ვჰყიდდი გულისათვის, კოშკი ამად გამებაზრა“... 536,1.

ეს თვალსაზრისი ერთხელ კიდევ გახაზავს იმ ფაქტს, თუ რაოდენ მიმზიდველი იყო რუსთველის გმირებისათვის ამქვეყნიური, რეალური ცხოვრება.

კეთილი გულის ნამოქმედარის გადახდა შეუძლებელია, რადგან მისი არც აწონა შეიძლება და არც გაზომვა. ავთანდილი წერილში ფრიდონისადმი წერს:

„ამა მონათა ჩემზედა გარდაუხდელი გულია“... 1323,1.

ნესტანი მაღალ შეფასებას აძლევს ასმათის თავდადებას მიჯნურთათვის და ამბობს:

„მე გულსა შენსა ეზომსა, არ ვიცი, გარდვიხდი რითა!“ 1452.4.

ადამიანის გულის გათბობა მას შეუძლია, ვისაც თავად აქვს თბილი გული. რუსთველთან გულის სითბო შეცვლილია უფრო მაღალი გრძნობის აღმნიშვნელი ფრაზით — გ უ ლ ი ს მ ხ უ რ ვ ა ლ ე ბ ი თ:

„ტარიელ უთხრა: „მე შენი გული აწ მემხურვალების“... 299,1.

რუსთველის მიხედვით გულის მოძრაობას ეფარდება ადამიანის ქცევის ფორმები. სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ მიზეზი იმ მრავალფეროვნებისა, რასაც სხვადასხვა სიტყვების „გულთან“ დაკავშირება გვაძლევს. ადამიანის გულის მოწესრიგება, რუსთველის აზრით, ძნელი საქმეა. იგი ჭირშიც და ლხინშიც ხელივითაა. სწორედ ამიტომ

„აგრეცე გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია“... 1348,1.

ეს ფრაზა გახაზავს გულის თავისებურებას, მის დაუდეგარ ბუნებას, რომელიც ადვილად არ ემორჩილება ჩვენს სურვილებს. ეგევე შეხედულება სხვანაირადაც აქვს პოეტს გამოთქმული:

„რაც ა აჯა დათმობისა, გულმან ვისმცა მოუსმინა!“ 724,4.

(=რაც მოთმინების, გაძლების სათხოვარია, მას გული ვის მოუსმენს!).

სხვა ადგილას გულის მიერ მოსმენა ერთგვარ ნატვრადაა მიჩნეული:

„რათამცა ვით ვპოვებ, მას ვიქმ, გულმან სხვამცა რა ისმინა!“ 1091,4.

ხარბი და გაუძღომელი გულის საპირისპიროდ რუსთველის იდეალია ისეთი მიჯნური, რომელიც გულს ერთს დააჯერებს, როგორი კუშტიც არ უნდა იყოს იგი. ამას შეესაბამება ახალი ფრაზეოლოგიური ერთეული „გულის დაჯერება“:

„გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიჰხვდეს, თუნდა ჭუში“... 25,3.

„ვეფხისტყაოსანში“ ხშირად გვხვდება ვედრების გამომხატველი მიმართვა ღმერთის, ბუნების ძალებისა და ადამიანებისადმი:

„ღმერთო, ღმერთო, გეაჯები, რომელი ჰფლობ ქვენათ ზესა“... 810,1.
„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა“... 957,2.
„მუხლ-მოყრილი გეაჯები, ნუღარ აწვევ იმათ ალსა“... 1522,3.

ამათ რიგს განუკუთვნებს რუსთველი გულსაც. ავთანდილი, სანამ ღმერთსა და ბუნების ძალებს მიმართავდეს ვედრებით, საკუთარ გულს ეაჯება, რომ როგორმე გაძლოს, მოითმინოს და მიჯნურობა არ გამოამჟღავნოს:

„დათმობასა ეაჯების გულსა: „შენ რა მოუგვარე!“ 728,3.

გულის გაძლებასთან ახლოსაა მნიშვნელობით გულის დაწყნარება და მშვიდი გულით ყოფნა. სიმშვიდისა და გულდაწყნარებული მდგომარეობისაკენ მიისწრაფვიან „ვეფხისტყაოსნის“ გმირები:

„ხამს, უძებნოს ცვარი წყლისა, მისთვის თავი ყოველგან აროს,
ვერ უპოვოს, რა ქმნას, ანუ გული რითა დაიწყნაროს!“ 767,3-4.
„აქვს თავისაგან იმედი, ვიყვნეთ გულითა მშვიდითა“. 1036,3.
„ანაზდად გვიცნობს, გაკრთების, გულსა შეჰლამის დაღებად“... 1376,3.

გულის დაღება გულის დაწყნარებას ნიშნავს (გულსა შეჰლამის დაღებად=გულს დაუპირებს დაწყნარებას).

ტარიელის საძებრად მეორედ წასული ავთანდილის გონება მეგობრისკენაა მიმართული და სწადია, რომ გულიც მისკენ დაბრუნდეს. გონება და გული რუსთველს აქაც შინაგან კავშირში აქვს წარმოდგენილი, რაც შესაფერისი ფრაზეოლოგიური ერთეულითაა გამოხატული:

„თქვა: „ჩემო, შენი შორს-მყოფი კრულია, ვინცა დადუმდეს,
რათგან შენ დაგრჩა გონება, გული შენკენვე დაბრუნდეს“... 833,1-2.

რუსთველის წარმოსახვაში შინაგანადაა დაკავშირებული მისი პერსონაჟების ფიქრები და გულის მოძრაობა. სწორედ ამიტომ პოეტი ზოგჯერ ერთსა და იმავე აზრს მსგავს კონტექსტებში ამ სიტყვათა ურთიერთშენაცვლებით გადმოსცემს:

„სხვაგან ქრის მისი გონება[1], მისმან თავისა წონამან!“ 89,1.
„სხვაგან იყო გული მისი, სხვასა რასმე იგონებდა“... 1182,2.

გონების (ფიქრების) სხვაგან ქროლა და გულის სხვაგან ყოფნა მნიშვნელობის მხრივ ერთმანეთს უდრის.

ადამიანების მეგობრული დამოკიდებულება უშუალოდ გულზე მოქმედებს, მასში აისახება, რაც გარკვეული შესიტყვებითაა წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსანში“:

„ამა ყმამან შემიკვეთა, გული მისკე მიმიბრუნდა“. 609,1.

„გულის მობრუნება“ ამა თუ იმ პირისადმი ასახავს ადამიანთა გარკვეული დამოკიდებულებით გამოწვეულ ცვლილებებს სუბიექტის სულიერ განწყობილებაში.

ანალოგიური ვითარება გამოხატულია გულის ვისთვისმე განკუთვნილობით, რაც სხვადასხვა ფრაზეოლოგიური ერთეულებითაა გადმოცემული:

„არს გული თქვენი საჩემოდ უფროსი ძმისა სრულისა“... 1469,2.
„მე ვიცი გული საშენოდ შენისა საყვარელისა“... 1489,1.
„გული თქვენი მიპოვნია, მისი შენდა, შენი მისად“... 250,4
„ამოდ მმსახურეს, თქვენიმცა გული ამათთვის სრულიან“. 1323,2.
„ტარიელ ეტყვის: „მეფეო, აწ გული შენ გემონების“... 1517,2.

გული და ადამიანის მოქმედება, მისი ქცევა და განწყობილება რუსთველთან ზოგჯერ ფარავენ ურთიერთს. გულის ცოდნა უდრის ადამიანის ცოდნას:

„თქვა: „არ იცის გული ჩემი, ვინ მაშიკობს ვისსა ვისი“... 1089,3.

ანიჭებენ რა გულს ასეთ დიდ მნიშვნელობას, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები მიისწრაფვიან იქითკენ, რომ როგორმე უშველონ, დაიხსნან, გადაარჩინონ იგი. ეს მისწრაფება გამოხატულია შესიტყვებით „გულის დახსნა“:

„მეფე ბრძანებს: „რა შევიგნათ, გული ჩვენი რით იხსნების?“ 1183,1.

...და თუ დრო და დრო სიყვარულის უმძაფრესი განცდით გახელებული მიჯნურები გულში ლახვრის ცემას არ უკრთიან, სხვა

[1] გონება აქ ფიქრს ნიშნავს.

შემთხვევაში თვით მხეციც კი ცდილობს, რომ გული მოარიდოს უთანასწორო ბრძოლას და მით იხსნას თავი გამოუვალი მდგომარეობიდან. „გამოჰრიდნა ვეფხმან გული“-ო (909,3), — ამბობს ტარიელი ლომისგან გაქცეულ ძუ ვეფხვზე.

დიდებას ღმერთისადმი, როგორც ჰირთა მომლხენლისა და ირგვლივ წყალობის მომფენლისადმი, ავთანდილი გულით გამოთქვამს:

„გულითა ღმერთსა ადიდებს ავთანდილ ცრემლთა მდენელი“... 1250,1.

„ვეფხისტყაოსნის“ მოქმედი პირები ვერ ურიგდებიან გულის ცივ და გაუმთბარ მდგომარეობაში ყოფნას. ავთანდილი მზისადმი მიმართვაში ამასთან დაკავშირებით გარკვეულ შესიტყვებას ხმარობს:

„მაგრა ჩემი რად დააგდე გული ცივად, გაუმთბარად?“ 955,4.

გულის ცივად, გაუმთბარად დაგდება არანორმალურ მდგომარეობას იწვევს ადამიანში; ეს კი მას აიძულებს საყვედური გამოთქვას არსებული ვითარებისადმი. შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დადებითი გმირების მთელი საქმიანობა სწორედ ამ გაცივებული გულის გათბობის, მზის სხივებით მისი მოფენისაკენაა წარმართული. მზის მოახლოება გულიდან ჩრდილის მოშორების მაუწყებელია:

„მზე მოგვეხლა, მოგვეცა ჩვენ მოშორვება ჩრდილისა“. 1359,4. (შდრ. „მუნა გნახო, მაღვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი“... 1305,3).

თუმცა გული ყველაზე აუცილებელი რამაა ადამიანისათვის, მაგრამ ყოველი კაცი მას როდი აფასებს ჯეროვნად:

„აჰა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“. 30,4.

ამ ტაეპში სულისა და გულის სიდიადე და ავი კაცის ბუნების სრული უბადრუკობა კლასიკურადაა დახასიათებული. იგი განზოგადებული შინაარსის მატარებელია და თანაბრად ეხება ყოველ ავ კაცს, რომლის ფარ-ხმალი ავი სიტყვაა.

ურიგო საქციელის მსაჯული გულია. იგი ზრახავს, გმობს ადამიანისათვის შეუფერებელ ქცევას. ამას გამოხატავს „ვეფხისტყაოსანში“ ხმარებული ფრაზეოლოგიური ერთეულები: გულსა შინა დაზრახვა, გულსა შინა საზრახავის (დასაგმობის) დაზრახვა:

„გულსა შინა დავუზრახე. „რა მპოვაო, ანუ ვინა?!“ 363,4.
„ესეგვარი საზრახავი დაუზრახა გულსა შინა“... 1091,1.

ჩვენ აღვნიშნეთ „ვეფხისტყაოსანში“ „გულის“ ხმარების სხვადასხვა შემთხვევა და მათი მხატვრული დანიშნულება. მაგრამ პოემაში ბევრია ისეთი სტროფი, რომელშიც ეს სიტყვა არ გვხვდება, მაგრამ იგულისხმება. მხატვრული სახის იმგვარად აგება, როცა მისი ერთ-ერთი მთავარი კომპო-

ნენტი არ ჩანს და პოტენციალურად ივარაუდება, დამახასიათებელია რუსთველის პოეტური მეტყველებისათვის. ამ სახის მაგალითები შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებშია წარმოდგენილი:

1. გულს ცეცხლის დება (შდრ. 369,2).

„სხვამან ვერავინ შემატყო დება ცეცხლისა ცხელისა“. 362,2.
„იგი მთვარე ჩემი იყო, მით მედების ცეცხლი მდაგად“... 631,3.
„მის ყმისა ცეცხლი მედების, წვა მჭირს მისისა მწველისა“.. 733,1.
„მიმელის და ვერ მისრულვარ, ესე მიდებს ცეცხლსა ცხელსა“...736,2.
„სული დაიღეს, დადუმდეს, ორთავე ცეცხლი ხდებოდა...“ 922,1.
„მე რომე ცეცხლი მედების, არ ნაგზებია კვესითა“. 927,2.
„მას გააგონენ, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებიან“. 964,4.
„მის ყმისა ცეცხლი მედების, ეტირი ცრემლითა ცხელითა“...1002,1.
„აწ გაყრისა მომლოდნესა ედებოდა ცეცხლი, სწვიდა...“ 1020,3.
„შენ მომასწარ, თვარა შენგან მე უფრო მჭირს ცეცხლთა დება“... 1095,2.
„მე, გლახ, მარტომან რა ვუყო, მიმატებს ცეცხლთა დებასა!“ 1152,1.
„მას უკანით გაუწყვედლად დება მჭირდის ცეცხლთა ცხელთა... 1214,3.
„ფატმან ეჭვდა თავისათვის, ამად ცეცხლსა კვლა იდებდა“... 1251,2.
„ფატმან ხათუნს, მისსა მჭვრეტსა, ედებოდა ცეცხლი ნელი“... 1435,1.
„მე, მეფეო, ნახვა თქვენი მიდებს ცეცხლსა დაუშრეტსა...“ 1444,2.
„ჩვენ გეიჩვენა პირი თქვენი, აღარა გვწვავს ცეცხლთა დება“... 1548,2.
„ქალსა უთხრა: „შემიყრიხართ, აღარა გწვავს ცეცხლთა დება“... 1548,2.

2. გულს ცეცხლის მოდება:

„მეფემან ბრძანა: „პე ღმერთო, რად ცეცხლსა მომიდებ ნელად?“ 1586,4.
„ვაზირმან თქვა: „შენი ცეცხლი მეცა ცეცხლად მომედების“... 751,1.
„მისთვის პირი ღხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს“. 28,4.

3. გულს დებული ცეცხლი:

„მან არ იცოდა აქამდის მის ყმისა ცეცხლი დებული...“ 150,3.

4. გულს ცეცხლ-მოდებული:

„მას წამავალსა ეკითხეედი, დამწვარსა, ცეცხლ-მოდებულსა“... 851,1.

5. გულს ცეცხლთა მომდებარი:

„უღონიოდ არის სადმე ჩემი ცეცხლთა მომდებარი“...1284,3.

6. გულს ცეცხლ-ნადები:

„ესე ქალი არ დამაგდებს, — არს მისთვისვე ცეცხლ-ნადები“... 656,3.

7. გულს ცეცხლ-ნადებარე (შდრ. 88,3):

„ვერა ვერ არგო დამწვარსა, სრულად ცეცხლ-ნადებარესა“... 1341,3.

8. გულს ალის დება:

„მის ქალისა სიბრალული ამანთებს და მიდებს ალსა...“ 1246,1
„თქვა: „მაშინვე მზესა ჰგვანდა, აწ მედების ვისგან ალი!“ 322,4.

9. გულს ალის მოდება:

„ვა, რად დაგვწვენ უცხომ უცხო, რად მოგვიდევ ცეცხლებრ ალი!“ 973,4.

10. გულის დაწვა:

„აწ შემიხვეწე, ნუ დამწვავ კვლა წვითა უცხელესითა“... 927,1.

11. გულის დაწვა ცეცხლით (შდრ. 309,4):

„ველარ მივჰხვდით ჟამიერად, ჩვენ ვისნიცა ცეცხლნი გვწვიდეს“. 222,2.
„მე ასმათ მკვიან, რომელსა წვა მაქვს ცეცხლისა ცხელისა...“ 260,3.
„მე თუ ვიტყვი, დამწვავს ცეცხლი ცხელი, შემიქმს ალად, მურად“. 300,4.
„კვლა, ნუთუმცა სრულად დამწვა ცეცხლთა ცხელთა ანაგზითა“. 305,4.
„აღარა ნახავს სოფელსა, ცეცხლი სწვავს ახალ-ახლები...“ 690,4.
„მით ვიწვი, რათგან ჩემებრვე ცეცხლი სწვავს მოუთმინები...“ 697,3.
„მაგრა მან ყმამან ცეცხლითა დამწვა, ალვისა სახემან...“ 738,3.
„შენ არ გინახავს, არ იცი, მას რომე ცეცხლნი სწვიდიან“. 848,4.
„გითხრამცა ვინ, რა მჭირს, ანუ რა ცეცხლი მწვავს, როგორ ცხელი! 920,4.
„მაგრა არა მცალს დღე-კრულსა, ცეცხლი მწვავს მოუთმენები...“ 1015,3.

12. გულს ალის სახმილის დება:

„ვჰკადრეთ, თუ: „მზეო სახმილი გვედების შენგან ალისა...“ 1157,2.
„იგი მუნ იყვის, მედების ვისგან სახმილი ალისა!“ 329,4.

13. გულს სახმილთა გზნების დება:

„ცოტასა ხანსა გა-ვე-ძლო დება სახმილთა გზნებისა“... 1587,3.

14. გულს ალის სადებლად:

„გამოვუხვენ და წავედით ჩემად სადებლად ალისა...“ 342,2.

15. გულს ალის დება:

„იგი იქვრეტს უკუღმავე, ედებოდეს ამით ალნი“. 1573,3.

16.გულს სახმილის გზება:

„ასმათი შეჰყვა, შევიდა, მათებრ სახმილი ჰგზებოდა...“ 922,2.

17. გულს სოფლის ნაკვესთა წინწალის დაცემა:

„ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყივ ავისა მქმნელია,
მისთა ნაკვესთა წინწალი დამეცეს ხანგრძლად მწველია“. 339,3-4.

18. გულის წულულთა მიზეზი (შდრ. 105,3; 354,4; 1119.4):

„ცნას მიზეზი შენთა წულულთა, ქმნას, რა ღონე დაედების“. 301,4.

19.გულის ცეცხლის შრეტა:

„მე სიცოცხლე არ მეგონა, შენ მომესწარ ცეცხლთა შრეტად...“ 900,3.
„ლხინმან ბნელი განმინათლა, დაშრტეს, ცეცხლნი რომე მწვიდეს“. 386,2.

„მერმე სულად მოაქცია, ცეცხლნი წყლითა დაუშრიტნა...“ 499,3.
„ძალი არ მჭონდა ტყეე-ქმნილსა მე ამა ცეცხლთა შრეტისა“. 489.3.
„რა შემომხედნის, შევხედნი, ცეცხლმან დამიწყის შრეტასა...“ 484,2.
„შევე, წაედეგ ნოხთა პირსა, მე დამიწყო ცეცხლმან შრეტად...“ 409,1.

20. გულის ცეცხლის დავსება:

„მერმე, ცეცხლი დაუვსია, აღარა მწვავს გულსა მურად“. 154,3.
„მათ მიუგეს: „დაგვიწყნარდი, გვიშველე რა, ცეცხლნი ავსენ...“ 198,2.
„დაივსო ცეცხლი შემწველი მისითა მან მიზეზითა“. 214,4.
„დარბაზს ეიშვებდი, დამევსო ცეცხლი წვად მოუთმინები...“ 389,2.
„ავთანდიღ მაღლი უბრძანა: „ცეცხლნი დამივსენ ცხელნი...“ 1249,3
„დამივსეო ცეცხლი ცხელი, მაგრა წყალი არე მარე...“ 1532,2.
„იტყვის, თუ: „ცეცხლი დამევსო ცხელი, აწ დამწვა მე ნელმან...“ 1627,2.

21. გულს დებული ცეცხლის დავსება:

„ცოტად ეგრეცა დაუვსებს, ცეცხლი რაზომცა სდებოდეს“. 924,3.
„სახედ ვამსგავსე მიჯნურთა, ცეცხლნი დამევსნეს დებულნი“. 908,2.

22. გულის სახმილის დავსება:

„ვერ დაივსებდა სახმილსა, იწვის ცეცხლითა ხშირითა...“ 953,2.
„ფიცხლად დამივსე სახმილი შენ ჩემთა ცეცხლთა გზნებისა“... 1269,2.

23. გულის ალის სავსებლად:

„მან პოვა სისხლი ლომისა, მოაქვს სავსებლად ალისად...“ 1345,3.

24. გულს ცეცხლთა დამავსებლად:

„შენგან კიდე არვინ მიეის ცეცხლთა ჩემთა დამავსებლად“. 804,4.

ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში პოტენციალურად ყველგან იგულისხმება სიტყვა „გული“, მაგრამ მის ხმარებას მგოსანი ერიდება, რომ არ დაამძიმოს პოეტური ფრაზა ზედმეტი სიტყვებით და იგი მკვეთრი და ლაპიდარული გახადოს. ესეც ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისებაა რუსთველის ლექსიკისა.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსანში“ „გულის“ ხმარების ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ მას სხვადასხვა სიტყვასთან დაკავშირებით განსხვავებული ნიუანსის გადმოცემა აქვს დაკისრებული. ეს განსხვავებულობა საფუძველია პოეტურ სახეთა იმ მრავალფეროვნებისა, რომელსაც რუსთველი ერთი სიტყვის ხშირად ხმარების დროსაც კი აღწევს. ადამიანის სულიერი ცხოვრების მრავალსახოვნობა, მისი ხასიათის, შინაგანი ბუნების, თვისებების, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მომენტები ერთი სიტყვის სხვადასხვა

კონტექსტში ჩართვისას სრულყოფილადაა ასახული რუსთველთან. ესაა მისი მხატვრული ენის, სიტყვათშემოქმედების ერთი მთავარი თავისებურებათაგანი.

ცნობილია, რომ ლექსიკური ფონდი ენისა არ ყალიბდება ერთ რომელიმე ეპოქაში. იგი საუკუნეთა წყების პროდუქტია. ის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება, რუსთველამდელ ლიტერატურულ ძეგლებშიცაა გამოვლენილი.[1] ცხადია, რუსთველი ვერ იტყოდა უარს ამ ისტორიულ მემკვიდრეობაზე. მაგრამ აქაც გვაქვს გარკვეული თავისებურება: დიდი მგოსანი მათ განსხვავებულ კონტექსტში იყენებს, ახალ ელფერს აძლევს, ერთი სიტყვით, არ იმეორებს ზუსტად. მაშინაც კი, როდესაც იგი ერთსა და იმავე ლექსიკურ ერთეულს „გულთან“ რამდენიმეჯერ ხმარობს, მათ სხვადასხვაგვარი ფორმით წარმოგვიდგენს და ამ გზით შესაძლებელს ხდის მათი მნიშვნელობის დიფერენცირებულად აღქმას. სემანტიკურად ახლო მდგომი სიტყვების „გულთან“ კომბინირებით რუსთველი ქმნის სინონიმურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც სიახლოვესთან ერთად განსხვავებულ ნიუანსებსაც ამჟღავნებენ. ამგვარი ფრაზეოლოგიური ერთეულები მოვლენის მრავალმხრივი თვალსაზრისით დახასიათებასაც განაპირობებენ და მხატვრულ სახეთა ორიგინალობასაც.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის ერთ-ერთი სპეციფიკური მხარის წარმოსაჩენად ჩვენ მხოლოდ სიტყვა „გულის“ ხმარების სხვადასხვა შემთხვევა ავიღეთ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სხვა სიტყვებზე ანალოგიური ანალიზის ჩატარება ნაკლებ შედეგებს მოგვცემდა. რუსთველის სიტყვათშემოქმედების ჩვენ მიერ აღნიშნული თავისებურება თავის ძალას იხარჯუნებს თითქმის ყველა იმ სიტყვის მიმართაც, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ ხშირად მეორდება.

---

1. „ვეფხისტყაოსანში“ „გულის“ ხმარების შედარებითი ანალიზი მის წინამორბედ და თანამედროვე ქართული მწერლობის ძეგლებთან მიმართებით მოცემულია ჩვენს წერილში — „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის ერთი თავისებურების შესახებ“ (ნარკვევები ქართველი მწერლების მხატვრული ენის საკითხებზე, სოხუმი, 1955, გვ. 6—49).

## IV

## „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის მასალობრივი მხარე და მისი ხასიათი

მრავალი საინტერესო გამოკვლევა დაწერილა რუსთველის პოეტურ სახეთა და ხერხთა შესახებ, მაგრამ ეს შრომები არსებითად აღწერითი ხასიათისაა. ამ სახის სამუშაოები უდავოდ საჭიროა, მაგრამ საკმარისი არაა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკური მხარეების წარმოსაჩენად.

მწერლის პოეტური მეტყველების სპეციფიკა რომ გავარკვიოთ, აუცილებელია ვიცოდეთ რა ენობრივ მასალას იყენებს შემოქმედი, როგორია მისი დამოკიდებულება ამ მხრივ წინამორბედებისა და თანამედროვეებისადმი, რა ანათესაებს ძათთან და რით განსხვავდება მათგან.

მხატვრული ენის მასალის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი ჩაგვახედებს მწერლის შემოქმედებითი პროცესის სიღრმეში, გამოგვივლენს მისი პოეტური ინდივიდუალობის თავისებურებებს, გაგვირკვევს გამომსახველობით საშუალებათა კავშირს ნაწარმოების საერთო მიზანდასახულობასთან.

აქვს თუ არა კავშირი „ვეფხისტყაოსანს“ ენობრივი მასალის მხრივ ქართული ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურის ძეგლებთან?

უთუოდ აქვს.

ეს კავშირი უპირველეს ყოვლისა ჩანს ნაწარმოების პირველი სტრიქონებიდანვე. ღმერთისადმი მიმართვა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში, როგორც ეს ჩვენს მკვლევრებს აქვთ აღნიშნული, ნაწარმოების აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს. იგი ერთგვარი ფორმულაა, რომლის ანალოგიებს მრავლად შეხვდებით სასულიერო მწერლობის ძეგლებში.

ნათელვყოთ.

„უფალო ყოვლისა მპყრობელო... რომელმან შეჰქმენ ცანი და ქუეყანა ყოვლითურთ სამკაულით მათით, რომელმან შეჰკარ ზღუა სიტყჳთა ბრძანებისა შენისათა, რომელმან პყრობილ ჰყვენ უფსკრულნი და დაჰბეჭდენ საშინელითა მით დიდებულითა სახელითა შენითა, რომლისაგან ყოველივე იშიშვის და ძრწის პირისაგან ძლიერებისა შენისა“.[1]

[1] ნეშტთა წიგნი, ლოცვა მანასე მეფისა — დაბადება I, თბილისი, 1884, გვ. 961.

„ცანი ცათანი უფლისანი არიან, ხოლო ქუეყანა მოსცა ძეთა კაცთასა“... [1]

„რომელმან სიბრძნით დაჰბადა და შექმნა წყალთა გან ქოვყანაჲ ესე ძალითოვრთ და სამყაროჲთ და გამოაბრწყინხვ ძას შინა ნათელი ესე მცხინვარებისა მზისაჲ და კაცთა მოჰმადლა ცხოვრებაჲ ესე“. [2]

„რომელმან ოდესმე დასაბამსა ოვხილავისა ძალისა წამის ყოფითა დააფოვძნა ქოვეყანაჲ წყალთა ზედა დაოვსაბამომან ღმერთმან, რომელმან პირველ განათვსნა წყალნი შორის წყალთა და გამოაჩინა ქოვეყანაჲ შორის მათსა“[3].

„რომელმან სიბრძნით დაამყარნა ყოველით ძალითურთ და დააფუძნა ქოვეყანაჲ წყალთა ზედა“[4].

„რომელმან სიბრძნით დაჰბადნა ცანი ძალითურთ
და შეჰქმნა ქუეყანაჲ ყოველით თანა-მკვიდრითურთ“[5].

„ვ-დ რ-ნ* იგი დასაბამსა დაამყარნა ცაჲ და დააფუძნა ქუეყანა[ჲ] და აწცა მისცემს ოდენ და ყოველად-ძლიერითა განზრახვითა სიმტკიცესა და დგომასა“...[6].

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“. [7]

აქ საერთოა ფორმულის დასაწყისი სიტყვა „რომელმან“; მეორე სიტყვა „შეჰქმენ“ ან ფორმის ცვლით ანდა სინონიმური ლექსიკური ერთეულების შენაცვლებითაა წარმოდგენილი (შექმნა, დაჰბადა, დაჰბადნა, დააფოვძნა, დაამყარნა). ეს შექმნა ეხება ცასა და ქვეყანას, ზღვასა და უფსკრულს, სულიერ არსებებს („შეჰქმნა ქუეყანაჲ ყოველით თანა-მკვიდრითურთ“, „ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა“). ლაპარაკია იმის შესახებაც, რომ ღმერთმა „ქუეყანა მოსცა ძეთა კაცთასა“, „კაცთა მოჰმადლა ცხოვრებაჲ ესე“ (შდრ. „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“). ამას მოჰყვება ღმრთისაგან ხელმწიფის წარმოშობილობის იდეა, რაც საერთოდ ცნობილი ამბავია ისტორიული ხასიათის

---

1 დავითნი — დაბადება, II, 1884, გვ. 160.

2 ძვ. ქართული სასულიერო პოეზია, დასდებელნი ჰაბოჲსნი, პ. ინგოროყვას გამოც. თბილისი, 1913, გვ. 177.

3 იგივე, დამატება A, IV, გვ. 401.

4. იგივე, დასდებელნი ნათლისღებისანი, გვ. 206.

5. იგივე, მიქელ მოდრეკილი, გვ. 263.

6 მიტროფანე ზმვრნელი, თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ. ტფ. 1920, გვ. 18.

7. ვეფხისტყაოსანი, 1, 1—4.

* სიტყვის შემოკლების ნიშნის — ქარაგმის უქონლობის გამო აქაც და შემდგომაც დეფისია გამოყენებული.

ნაწარმოებებშიც. ამის მიხედვით ირკვევა, რომ რუსთველი იღებს იმ ფორმულას, რაც დამკვიდრებული იყო ძველ ქართულ მწერლობაში და მას სრულყოფილ პოეტურ სახეს აძლევს. უშუალო კავშირი წინამორბედთაგან შექმნილი ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი აქ ცხადლივ იგრძნობა; ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ რუსთველი მტკიცედ იდგა ეროვნულ ნიადაგზე. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს დიდი ქართველი მგოსანი შეზღუდული იყო საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული და განმტკიცებული პოეტური ფორმულებით. პოემის ძირითადი ნაწილის სტროფთა ანალიზი დაგვარწმუნებს, რომ რუსთველი მხატვრული მეტყველების მასალად იღებდა ისეთ ენობრივ პლასტებს, რომელნიც პოეტის ესთეტიკურ შეგრძნებას რეალისტურ ელფერს სძენდა.

რაში ჩანს, სახელდობრ, „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივი მასალის რეალისტური ხასიათი?

რუსთველი მხატვრული სახეების შექმნის მიზნით მიმართავდა რეალურად არსებულ საგანთა და მოვლენათა ამსახველ ლექსიკას. დიდი მგოსნის პოეტური სიმბოლოები, სურათები გაშლილია ამ ქვეყანაში, მისი წარმტაცი ბუნების ფონზე, მნათობთა, ცხოველთა და მცენარეული სამყაროს, ფერთა სიუხვით შემკული უსულო საგნების მრავალსახოვან ფორმათა მხატვრული გააზრების საშუალებით. რუსთველის ესთეტიკური წარმოსახვისათვის ოდენ ლექსიკური მასალა როდია რეალური ხასიათის; ამ მასალისადმი თვით პოეტის დამოკიდებულებაცაა რეალისტური. ამით განსხვავდება რუსთველის მხატვრული ენა მთელი წინამორბედი და თანამედროვე ქართული სასულიერო მწერლობის (მათ შორის თარგმნილი ლიტერატურის) გამომსახველობითი საშუალებისაგან.

როგორი ვითარება გვაქვს ამ მხრივ რუსთველამდელ და პოეტის თანამედროვე ქართულ მწერლობაში?

რეალურად არსებული საგნებისა და მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვები აქაცაა გამოყენებული მხატვრული სახეებისათვის. ორიგინალურ და ნათარგმნ სასულიერო მწერლობის ძეგლებში არა ერთი ისეთი მიმზიდველი მხატვრული სახე გვაქვს, რომელთა ენობრივი მასალა ამქვეყნიური სინამდვილიდანაა აღებული. „დავითნში“, მაგალითად, პოეტური განპიროვნების ხერხის გამოყენებით განსულიერებულად წარმოგვიდგება მთანი და ბორცვნი.

„მთანი იმღერდეს ვითარცა ვერძნი, და ბორცუნი ვითარცა

კრავნი ცხოვართანი“.[1] ეს მხატვრული სახე თითქმის უცვლელად გადმოვიდა და დამკვიდრდა ქართულ სასულიერო პოეზიაში:

„მას ჟამსა **მთანი და ბორცოჲნი იმღერდეს**“[2].

„იხარებენ ცანი ყოვლით ძალითოვრთ. განსცხრების ქოვეყანად თანა მკვდრითოვრთ. **მხიარულ არიან მთანი და იმღერიან ბორცოჲნი**“[3].

„ამის თჳსცა **მთანი იხარებენ** წინაშე ოვფლისასა და ბორცოვნი სიხაროვლით განსცხრებიან“[4].

ასევე განსულიერებულადაა წარმოსახული ბუნების სხვა საგნებიცა და მოვლენებიც:

„ღროვბელთა. რომელთა ცოვარი აქოვნდა. მოიწინეს ესენი დღეს ეტლითა იორდანესა და ცოვროდეს იგინი ცოვარსა სიხაროვლისასა“.[5]

„ნისლი იგი ცოდვსაჲ განიბნია და მზეჲ სიმართლისაჲ გამობრწყინდა“.[6]

„მაშინ მოჰბერონ ქართა და აღმოვიდენ ღრუბელნი სულისანი და წჳმანი მადლისანი, და გამოიღოს სულმან ნაყოფი სიტკბოებისაჲ შესაწირავად ღმრთისა“.[7]

„გიხილეს შენ წყალთა-ღმერთო, გიხილეს შენ წყალთა, და შეეშინა, შეძრწუნდეს უფსკრულნი დიდ ძალითა ოხრითა წყალთათა, ხმა მოსცეს ღრუბელთა, და რამეთუ ისარნი შენნი ვლენან, ხმა ჭუხილისა შენისა ურმის თჳალსა, გამოჩნდეს ელვანი შენნი სოფელსა, შეიძრა და შეძრწუნებულ იქნა ქუეყანა“.[8]

„დღეს დოვმან მდინარენი და ოხრიან აერნი. ღროვბელნი სამყაროთანი აცოვრევენ ცოვარსა საღმრთოსა“[9].

როგორია ამ რეალური საგნებისა და მოვლენებისადმი ავტორთა დამოკიდებულება, როგორ ასპექტშია ისინი გააზრებულნი? აქ ყველგან რეალური საგნების ამსახველი ლექსიკა რელიგიური საღებავებითაა შეფერილი, ირრეალური თვალითაა დანახული („მთანი იხარებენ წინაშე ოვფლისასა“; „ნისლი იგი ცოდვსაჲ“;

---

1. დავითნი — დაბადება, II, გვ. 159.
2. ი. მტბევარი — ძვ. ქართ. სას. პოეზია, გვ. 109.
3. ძვ. ქართ. სას. პოეზია — დასდებელნი ნათლის ღებისაჲ, IV, გვ. 216.
4. იგივე, დამატება A, IV, გვ. 401.
5. იგივე, ი. მტბევარი, გვ. 111.
6. იგივე, დასდებელნი ნათლის ღებისაჲ, II, გვ. 206.
7. მაკარი, გულის-სიტყუათათჳს მწიკლულევანთა — მამათა სწაელანი (ილ. აბულაძის გამოც.), თბილისი, 1955, გვ. 309.
8. დავითნი — დაბადება, II, გვ. 123.
9. დასდებელნი ჰაბოჲსნი — ძვ. ქართ. სას. პოეზია, გვ. 185.

„ღრუბელნი სულისანი“; „წჳმანი მადლისანი“; „ღროჳბელნი სამყაროთანი აცოჳრევენ ცოჳარსა საღმრთოსა“...)[1].

ასეთივე თვალსაზრისითაა წარმოსახული ბუნების სურათები:

„მთანი საფუძველიდგან შეიძვრიან წყალითურთ, კლდენი ვითარცა ცჳლი დადნების წინაშე პირთა შენთა“...[2]

„ქუეყანა შეიძრა და ცანიცაჲ შეძრწუნდეს, და ღრუბელნი ცროდეს წყალთაჲ და მთანი შეიძრნეს პირისაგან უფლისა ელოისა“[3].

ბუნების მოვლენებს სასულიერო ხასიათის ნაწარმოებებში დაკისრებული აქვს უფლის თაყვანისცემის ფუნქცია. ისინი მიჩნეული არიან ღვთის ქმნილებებად და, ბუნებრივია, რომ ამ ძეგლების მიხედვით მათი მიმართება უფლისადმი რელიგიური ნიშნებითაა გადმოცემული:

„აკურთხევდით ყოველნი ძალნი უფლისანი უფალსა, უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა. აკურთხევდით მზე და მთვარე უფალსა, უგალობდით, და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა. აკურთხევდით ვარსკულავნი ცისანი უფალსა, უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა. აკურთხევდით ყოველნი წჳმანი, და ცუარი უფალსა, უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა“[4].

სარწმუნოებისათვის თავდადებულთა ხსოვნა სასულიერო მწერლობის ძეგლებში სასწაულებრივი ძალითაა განათებული. მნათობებისათვის დამახასიათებელ ნათელსა და ბრწყინვალებას აქ ქრისტეს რწმენისათვის წამებული ადამიანები გამოსცემენ მკვდრეთით. დავითისა და კონსტანტინეს მარტვილობის ავტორი გვაუ-

[1] უსულო საგნების განსულიერების ხერხს მიმართავს „აბდულმესიანის“ ავტორი შავთელიც. საერო მწერლობის ამ შესანიშნავი ჰიმნოგრაფის მხატვრული სახეები შექმნილია „დავითნისა“ და ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ძლიერი გავლენის შედეგად; ამიტომ ეს სახეები მკაფიოდ გამოხატული რელიგიური ფერებითაა დაბინდული:

„როს მესა მესით, თჳით მესამე სით,
დაჯდეს განკითხვად სულთა ყოველთა.
ოხრვიდენ ზღვანი, გვრგვინვიდენ ცანი,
ზარი გამოჩნდეს ცეცხლთა შემწველთა,
მსწრაფლად-ღა სტვირი ძნელ-დასაყვირი
წარმოადგენდეს სულთა ყოველთა,
მაშინ გალხინოს, თჳით მიგაელინოს
თქჳენ უოხჳნოთა მათ საშვებელთა“. 94-ე სტროფი.

2 იგდითის წიგნი — დაბადება, I, გვ. 1153.

3 მსაჯულთა წიგნი — დაბადება, I, გვ. 499.

4 წიგნი დანიელისი — დაბადება, II, გვ. 740.

წყებს, რომ „შთამოდგეს ზეცით სამნი სუეტნი ნათლისანი ტბასა მას ზედა ფრიად ბრწყინვალენი. რამეთუ ღამესა მას უკუნსა განათლდეს ველნი და ტყენი ბრწყინვალებისა მისგან, რომელნი გამოჰკრთებოდეს სუეტთა მათგან ნათლისათა და განიხსნნეს საკრველნი ხელთა და ფერხთაგან წმიდათაჲსა და მოეძარცუნეს ლოდნი იგი ქედთა მათთაგან, და იტჳრთნა ბეჭთა თჳსთა ზედა უსულომან მან ტბამან, ვითარცა სულიერმან გუამნი იგი წმიდათა მოწამეთანი, და ბრწყინვიდეს წყალთა მათ შინა, ვითარცა მთიებნი განთიადისანი“[1].

სასულიერო მწერლობაში ცნებები: „ნათელი“, „ნათელი დაუღამებელი“, „ნათელი შეუხებელი“, „ნათელი მიუწდომელი“, „ნათელი მიუახრდილებელი“, „ნათელი დაუსაბამოჲ“ ღმერთის, ქრისტეს ატრიბუტულ დახასიათებას გვაძლევს. იგი მოკლებულია „ნათლის“ ჩვეულებრივ, ამქვეყნიურ გაგებას. სასულიერო პოეზიაში ეს სიტყვები იდეური დატვირთვის მხრივ მხატვრული სახის ერთ-ერთ უძლიერეს ელემენტებს წარმოადგენენ:

„ცისკარი აღმოგვბრწყინდა საღმრთოჲსა ნათლისაჲ და აჩრდილი იგი შჯოვლისაჲ განქარდა“[2].

„ვარსკოვლავად მნათობად გამოჰბრწყინდი. მხნეო მოწამეო აბო. და საღმრთოჲთა ნათლითა განანათლენ ქართლისა მყოფნი“[3].

„დღეს დაიდვა მღუმესა ბნელსა და აჩრდილთა სიკოვდილისათა თჳთ მნათობი ნათელი დაუღამებელი“[4].

„მოვალს დღეს გალილეაჲთ შეოჳხებელი თჳთ მნათობი ოჳსხეოვლოჲ ნათელი ნათლის ღებად იორდანისა წყალთა“[5].

„ღმერთი ჩუენი ნათელი არს მიუწდომელი“[6].

„დაშჯილთა წყოვდიადსა იხილეს ნათელი მიოჳაჩრდილებელი ღმრთეებისაჲ“[7].

„რა ჟამს ქრისტე საფლავით აღმობრწყინდა დაუსაბამოჲ ნათელი და განანათლნა კიდენი სოფლისანი“[8].

„ნათელის“ რელიგიურ გაგებას იცავს შავთელი.

მაგალითები:

---

1 ძვ. ქართ. ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, 1946, გვ. 239.

2 ი. მტბევარი — ძვ. ქართ. სას. პოეზია, გვ. 74.

3 დასდებელნი პაპოჲსნი — ძვ. ქართ. სას. პოეზია, გვ. 179.

4 ძვ. ქართ. სას. პოეზია, დამატება A, გვ. 376.

5 დასდებელნი ნათლის ღებისანი 1 — ძვ. ქართ. სას. პოეზია, გვ. 205.

6 ეფრემ ასური — მამათა სწაელანი, გვ. 193.

7 დასდებელნი აღდგომისაჲ III — ძვ. ქართ. სას. პოეზია, გვ. 287.

8 მიქელ მოდრეკილი — ძვ. ქართ. სას. პოეზია, გვ. 175.

„მან უცოდველმან, ყოველთ მხედველმან,
ზესთ არსმან ზესთა თვითებისამან,
მიუწვდომელმან, დაუწყებელმან
ნათელმან ერთმან სამებისამან:
მამისა ნიჭმან, სულისა ნიშმან,
ძის თანა სწორად განსაზღვრებულმან —
გჳმნა ცისკრად ღისად, მთიებად მზისად,
ვარსკვლავად ცისად, თვით უბინდომან“[1].
„ვაქებდეთ, ერნო, ყრმანო და ბერნო,
საუნჯედ ჩვენთვის მონიჭებულსა
ქრისტეს მხედარსა, მხნე ახოვანსა,
პირად-პირადად განშვენებულსა,
ნათლად ბნელისა გარდმოფენილსა,
ეთერთა ელვად დასახებულსა,
სიწმინდის ბაზმად, არ ბილწ’ად, კაზმად,
ნათლის ემბაზად დაარსებულსა“[2].
„ხარ სიბრძნის ვაზი, ნათლის ემბაზი,
სულისა ქნარი, ღმრთის მხილველობა“[3].

ჩანს, რომ „აბდულმესიანი“, საერო ხასიათის ჰიმნოგრაფიის კლასიკური ძეგლი, მხატვრული სახეების შექმნისათვის გამოყენებული ლექსიკური მასალის ხასიათის მხრივ არსებითად სასულიერო ჰიმნოგრაფიის პოზიციაზე დგას.

რეალური საგნებისა და მოვლენების ამსახველი ლექსიკა სასულიერო მწერლობაში გამოყენებულია ღმერთის ძლიერების, მისი უზენაესობისა და ყოვლისშემძლებლობის გამოსავლინებლად. ეს სიტყვები უმეტესად ეპითეტების ფუნქციით გვევლინება და ღმრთისადმი მიმართვას წარმოადგენს. მხატვრული სახის ენობრივი მასალის კონკრეტული შინაარსი ამ შემთხვევაში მოკლებულია ასახვის გრძნობადს ფორმებს. მხატვრული აბსტრაქცია აქ დამახასიათებელი ნიშნების ცოცხლად წარმოსახვის გზით კი არ მიიღება; იგი იმთავითვე გვეძლევა როგორც მზამზარეული სქემა და მის შესამკობლად და სადიდებლად მოხმობილია ნამდვილად არსებულ საგანთა გადმომცემი ლექსიკა. ბუნებრივია, რომ ეს მასალა ამ სქემის შინაარსის მიხედვითაა გაცნობიერებული. სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს, ვთქვათ: სასულიერო მწერლობაში ნამდვილად არსებული საგნებისა და მოვლენების მხატვრული მიზნით გამოყენება ღმრთო

---

1 იოანე შავთელი, აბდულმესიანი — ჩვენი საუნჯე, 2, თბილისი, 1960, 64-ე სტრ. გვ. 500.

2 იგივე, 76-ე, სტრ. გვ. 503.

3 იგივე, 99-ე სტრ. გვ. 509.

ამოცანებს ემსახურება და ამიტომ მათ ირ-
რეალური შინაარსი აქვთ მიღებული.

როგორაა გამოყენებული ბუნების საგნები და მოვლენები ფილოსოფიურ, საისტორიო და საეროო მხატვრულ მწერლობაში? შეიძლება ითქვას, რომ რეალისტური თვალსაზრისით. აქ სიტყვები ზოგჯერ ხატოვნად, მაგრამ პირდაპირი გაგებითაა ნახმარი, ანდა მხატვრული მიზნით შერჩეული ფრაზეოლოგია მაღალი რანგის პიროვნების გარეგნობასა და თვისებებს გვითვალისწინებს. ენობრივი მასალის ხასიათიცა და მისი პოეტური ფუნქციაც ამ შემთხვევაში რეალურ ვითარებას ასახავს. ამით განსხვავდება მწერლობის აღნიშნული დარგები სასულიერო ლიტერატურისაგან ლექსიკური მასალის გამოყენების მხრივ. ამითვე ენათესავება რუსთველი ამ უკანასკნელთ. ქართული პოეზიის მშვენება არც სასულიერო მწერლობის ენობრივ მემკვიდრეობას უარყოფს, მაგრამ მისი პოემის მხატვრული მეტყველების უშუალო წყაროს მაინც ქართული ფილოსოფიური, საისტორიო და საერო სიტყვაკაზმული ლიტერატურა წარმოადგენს.

მივმართოთ ტექსტებს:

„ვინაჲ ამისთჳს იტყოდა არისტოტელი «თჳრათენად», რომელ არს ესე ვითა **ნაკადი მზისა შარავანდთაჲ** სარკუმელთაჲთ და არ შიგნით". [1]

„...რომელი ჩანს, ვითარ **მზე უღრუბლოჲ ჰაერსა**"...[2]

„შვილი მათი თამარი, **ნათელი და ბრწყინვალებაჲ** თუალთა მათთაჲ და მანიაკი ყოველთა მეფეთაჲ და გვრგვნი ყოველთა ხელმწიფეთაჲ"[3].

„აღმყუანელთა საყდართა და საჯდომთა პაპეულთა აღსუეს **მზე იგი მზეთაჲ და ნათელი ნათელთაჲ, ელვებრ და მზეებრ მაშუქებელი სხუათაჲ**.." [4]

„შენ **მწუნობი ხარ მნათობთა**" [5] (შდრ. „ფიცა მზე თინათინისა, მის **მზისა მოწუნარისა**"; „რა გაიზარდა, გაიესო, **მზე მისგან საწუნარია**"...).

ლექსიკური მასალის ხასიათისა და მისი მხატვრული ფუნქციის თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანი" ძალიან ახლოს დგას ნაწარმოებებთან — „ვისრამიანი" და „ქება მეფისა თამარისი". მართალია, ამ ნაწარმოებთა ავტორების კონცეფციები ბევრ რამეში

---

1. იოანე პეტრიწის შრომები, ტომი II, თბილისი, 1937, გვ. 58.
2. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, თბილისი, 1941, გვ. 69.
3. იგივე, გვ. 69.
4. იგივე, გვ. 74.
5. ძველი ქართველი მეხოტბენი, I, ჩახრუხაძე, ქება მეფისა თამარისი, ი. ლოლაშვილის რედაქციით, გვ. 205, თბილისი, 1957.

არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ მათ აქვთ ერთი საერთო ძირი: საერო ხასიათი და მიმართულება. სწორედ ეს განსაზღვრავს მათი ენობრივი სამყაროს სიახლოვეს მისი შინაარსისა და ხასიათის მხრივ.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

„შუქნი კრთებიან, ემუქფებიან,
ზუალ იჩინებს დაქადებულად". (ჩახრ. 184,5). [1]
„ლერწამ ტანისა, საროსა ხისა
მიმსგავსებულ ხარ განკვირვებულად!" (ჩახრ. 184,7).
„თამარ წუნარი, შესაწუნარი,
ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი
მზე-მცინარი, საჩინარი,
წუალი მჭნარი, მომდინარი". (ჩახრ. 189, 24). [2]
„ცად, საყდრად, ღრუბლად, ღაწვ-ბროლ-ვარდ-შუბლად,
თამარ, შენ გიცნობ განცხადებულად" (ჩახრ. 206,80).

„შეკაზმე მზისა მსგავსი პირი შენი"... („ვისრამიანი", გვ. 45)[1].

„მისი გუირგუინისაგან მთუარე ელვიდა, პირისაგან მზე, კბილთაგან მასკულავნი და ყელისაგან მთიებნი" (ვისრ. გვ. 184).

„ნაკუთად ყუელა საროსა ჰგავს" (ვისრ. გვ. 64).

„ვისის ნაკუთისა მიმსგავსებითა სადაცა ნაძუი ნახის, თუალნი

---

1. პირველი ციფრი ნაწარმოების 1957 წლის გამოცემის გვერდზე მიუთითებს, მეორე — სტროფზე.

2. გამოდიოდა რა ჩახრუხაძისა და რუსთველის იგივეობის მცდარი მოსაზრებიდან, ნ. მარი ამ ადგილს პარალელს უძებნიდა „ვეფხისტყაოსანში" და წერდა: „განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის, რომ თამარის ეს ეპითეტები, სახელდობრ, წუნარი, პირმცინარი, მზე (მცინარი), ხმა [=სიტყვა] ნარნარი მეორდება რომანტიკული პოემის იმ ოთხტაეპოვან ლექსში (1458.1-3), რომელშიც აგვიწერს ნესტან-დარეჯანს:

„მ ზ ე მოეგება პ ი რ ი თ ა ტურფითა, მ ც ი ნ ა რ ი თ ა,
აკოცა მისთა მშველელთა ლაღმან ცნობითა წ უ ნ ა რ ი თ ა,
მათ მდაბლად მადლი უბრძანა ს ი ტ ყ ვ ი თ ა მით ნ ა რ ნ ა რ ი თ ა".

(Н. Я. Марр, Древнегрузинские Одописцы — Тексты и разыскания по армяно-грузинской филологiи, книга IV, С. — Петербург, стр. 62).

ნ. მარის მიერ ხაზგასმული ეპითეტები, მართალია, საერთოა ჩახრუხაძისა და რუსთველისათვის, მაგრამ ისინი გვხვდება საისტორიო მწერლობის ძეგლებშიც. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" 84-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ამას ესევითარისა უცხოჲსა და ურიგოჲსა საქმისა შემოსლვასა შინა ითმენდა თამარ წ უ ნ ა რ ი და ნ ა რ ნ ა რ ი, ცნობიერი და გონიერი".

[3] ადგილები აქაც და ქვემოთაც ციტირებულია 1938 წელს ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვასა და კ. კეკელიძის რედაქციით გამოცემული „ვისრამიანიდან".

ვერ მოსწყვიტნის; სადაც წალკოტსა შიგან წითელი ვარდი პოვის, მისისა პირისა მიმსგავსებისათჳს მას კოცნიდის“... (ვისრ. გვ. 52).

მზე, მთვარე, სარო, ლერწამი, ვარდი, საერთოდ ხე „ვეფხისტყაოსნის“ საყვარელ ეპითეტებს, მეტაფორებსა და შედარების ობიექტებსაც წარმოადგენენ; თანაც, მხატვრული მნიშვნელობის დიფერენციაციისა და მრავალსახოვანი პოეტური ასოციაციების შექმნის თვალსაზრისით რუსთველის პოემაში ეს სიტყვები მეტ სემანტიკურ და ემოციურ ძალას ამჟღავნებენ.

ქართულ მწერლობაში ღრმა ემოციური, დინამიკური შინაარსის ფრაზეოლოგიური ერთეულებია შექმნილი მწუხარების გრძნობის, ტირილის გადმოსაცემად. ჩვეულებრივ იგი წარმოსახულია ცრემლების ნაკადის, ცრემლების ნაკადულის, ცრემლთა მდინარის, ცრემლთა წყაროს, ცრემლების ღვარის სახით; ცრემლების დენა შედარებულია წვიმას, სისხლს... შეიძლება ითქვას, რომ მწუხარების წარმომსახველი ამგვარი ფრაზეოლოგია საერთოა ქართული სასულიერო, ფილოსოფიური, საისტორიო და საერო მხატვრული ლიტერატურისათვის (აგრეთვე ნათარგმნი ძეგლებისათვის).

მაგალითები:

„აჰა დასცხრეს ნაკადოვლნი ცრემლთანი ოვბიწოთა მათ გან თოვალთა“[1].

„ოვბიწომან სძალმან ღმრთის მშობელმან მარიამ შეცვალა სიხაროვლად საოვკოვნოდ და ცრემლთა ნაკადოვლითა აღხოცა ხელით წერილი ოვრჩებისა ბრალთაჲ[2].

„და მორწყე იგი ნაკადულითა ცრემლთა შენთაჲთა“[3].

„ნაკადულნი წყალთანი გარდამოდიოდეს თვალთა ჩემთა, რამეთუ არა დავიცევ შჯული შენი“...[4]

„შეოვრვებოვლნი გოვლითა გეგლოვდა შენ და ცრემლთა მდინარისა ნაკადოვლნი გარდმოდიოდეს ოვბიწოთა გან თოვალთა მისთა“[5].

„და ყოველითურთ დაფარნა იგინი სამ მოქცევთა შინა მდინარებრთა ცრემლთა ნაკადულისა“[6].

„გარდამო საქანელნი წყალთანი გარდმოადინნეს თვალთა ჩემთა“...[7]

---

1 ძვ. ქართ. სას. პოეზია, დამატება A,[1] I, გვ. 378.

2 იგივე, დასდებელნი აღდგომისანი II, გვ. 264.

3 დასდებელნი ანტონი მოღოვაწისანი — ძვ. ქართ. სას. პოეზია, გვ. 235.

4 დავითნი — დაბადება, II, გვ. 168.

5 დასდებელნი აღდგომისაჲ. I — ძვ. ქართ. სას. პოეზია, გვ. 251.

6 ცხორებაჲ შიოჲსი და ევაგრესი — ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1955, გვ. 103

7 გოდებანი იერემია წინასწარმეტყუელისა — დაბადება, II, გვ. 601.

„ასრე მეწყალი რომე თვალთაგან
ცრემლთა ნაკადი ღვარულად მოდის“...[1]

„...შეიტკბო ასული იგი თვსი, და სახედ წმისა დამოადინნა ცრემლნი“[2].

„დიოდეს მდინარენი ცრემლთანი მეფეთა და მთავართა და ყოველსა ერსა“[3].

„სუეტისა მიერ ნათლისა გამოცხადებითა და მოსწავებითა აღაშენე ხევი ეგე უდაბნოჲსაჲ, ვითარცა სამოთხეჲ შუენიერი, —

დანერგვითა მას შინა ნათელმყოფელთა ქრისტეჲსთა, —

რომელი ირწყვებოდეს და აღეშენებოდეს მდინარეთაგან ცრემლთა შენთაჲსა“...[4]

„ვინ მოსცეს თავსა ჩემსა წყალი და თუალთა ჩემთა წყაროჲ ცრემლთაჲ და ვტიროდი დღე და ღამე“[5].

„წყაროჲს მსგავსნი ცრემლნი გარდამოსთხივნის თუალთაგან, რომელნი დაალტობდეს მიწასა ამას“[6].

„რომელნიმე ცრემლთა წილ სისხლთა დასთხევდეს მათთა ზედა წმიდასა“[7].

„და დაშრიტე აწ. შემწოვველობაჲ ცოდვისაჲ. ნაკადოვლითა. სისხლისა და წყლისაჲთა“[8].

„რომლითაცა ენითა გამოთქუან ანუ რომელიცა შემოვიდა სახე უსახოჲსა მის დღისაჲ? რანი გლოვანი, რანი ტყებანი, რანი ვაებანი, რანი სისხლ-არეულთა ცრემლთა ნაკადნი ათასკეცნი,. რანი მოთქუმანი და მოხსენებანი ადამისნი აბელის მართლისადმდე, დავითისნი იონათანისადმდე და იაკობისნი იოსებისადმდე?“[9].

„და თამარი, პირი იგი ეთეროვანი და უკიმირო ჰაერი და უმრუმო ნათელი, შეიზღუდა ბნელითა, დამფხურელი თმათაჲ, და

---

1 ძვ. ქართ. მეხოტბენი I, ჩახრუხაძე, ქება მეფისა თამარისი, 1957, გვ. 198.

2 ცხორებაჲ ნინოჲსი — ძვ. ქართ. ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ. 218.

3 ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა — ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955, გვ. 115.

4 ბასილი საბაწმინდელი, მამისა საბაჲსი დასდებელნი — პაულე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1955, გვ. 0100.

5 ეფრემ ასური, სიცილისათჳს და უჯეროდ განცხრომისა — მამათა სწავლანი, 1955, გვ. 229.

6 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 101.

7 ცხორება გიორგი ათონელისაჲ — ძვ. ქართ. ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 211.

8 ძვ. ქართ. სას. პოეზია — დაბადება, A, I, გვ. 372.

9 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 73.

უსწრობდა წყაროჲ სისხლისაჲ წყაროსა ცრემლთასა“[1].

„და მოადინენ ვითარცა ღუარნი ცრემლნი დღე და ღამე, ნუ სცემ განფრთხობასა თავსა შენსა, ნუ დადუმდებიედ გუგანი თუალთა შენთანი“[2].

„ზოგჯერ სისხლისა ცრემლითა კალთანი დაისოველნის“[3].

„ზოგჯერ სულღებით თუალისაგან სისხლისა ცრემლსა იდენდის..“[4]

„თუალთაგან სისხლისა ნაკადი გასდიოდა“[5].

„აჩუენებდა ნამეტნავსა მწუხარებასა გულისასა ცრემლთა ცხელთა დათხევითა ქედსა მისსა ზედა“[6].

მძაფრი სულიერი ტკივილების გადმოსაცემად „ვისრამიანში“ გამოყენებულია აგრეთვე ბუნების ისეთი მოვლენების საფუძველზე შედგენილი ფრაზეოლოგია, რაც აღნიშნულ ტექსტებში არა გვაქვს. მაგალითად:

„თუალთაგან ათასისა ღრუბლისა ღუარნი გარდმოსდიოდეს“...[7]

„მისნი შუენიერნი ნარგისისა მსგავსნი თუალნი დღე და ღამე ღრუბლისაებრ წუიმან“...[8]

„ვითა ღრუბლისაგან წყალი გამოვალს, ეგრე მისთა თუალთაგან სისხლი“...[9]

პოეტურ სახეთა მასალობრივ-სტრუქტურული ნიშნების მხრივ რიგ შემთხვევებში რუსთველი ყველაზე ახლოს დგას მის თანამედროვეებთან, კერძოდ ჩახრუხაძესთან.

მაგალითები:

„ბროლისა ველსა თვალ-უწდომელსა,
ინდონი ეყვნეს დამონებულად“ (184,5)..

---

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 72.

2 გოდება იერემია წინასწარმეტყუელისა — დაბადება, II, გვ. 598.

3 ვისრამიანი, გვ. 45.

4 იგივე, გვ. 43.

5 იგივე, გვ. 286.

6 ცხორ. შიოჲსი და ევაგრესი — ასურელ მოღვაწ. ცხოვრ. წიგ. ძვ. რედაქციები, გვ. 109.

7 ვისრამიანი, გვ. 179.

8 იგივე, გვ. 65.

9 იგივე, გვ. 243.

„მ ე ლ ნ ი ს ა ტ ბ ა ნ ი დგანან მ ო რ ე ვ ა დ“. (197,50).
„ვინ მ ე ლ ნ ი ს ტ ბ ე ბ ა დ გთქვეს დასახებად,
გიშრისა სარო დანატრებულად“... (208,86).

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი სახე უფრო კონკრეტულ ფორმებში ბიბლიაშიც გვხვდება:

„ქედი შენი ვითარცა გოდოლი სპილოს ძვალისა, თ ვ ა ლ ნ ი შ ე ნ ნ ი ვ ი თ ა რ ც ა ტ ბ ა ე ს ე ბ ო ნ ს ა შ ი ნ ა“...[1]

ასეთია არსებითს მომენტებში მასალობრივი მხრივ ის ენობრივი მემკვიდრეობა, რაც წინ უძღოდა რუსთველს. გენიოსმა შემოქმედმა მიიღო ეს მემკვიდრეობა, მაგრამ არა მექანიკურად. რუსთველის პოემის მხატვრულ სახეთა სისტემა ერთ მთლიან კონცეფციაზეა აგებული: ადამიანის, საზოგადოების, ბუნების ორგანული მთლიანობის პრინციპს ემყარება იგი. ადამიანი დგას რუსთველის შემოქმედების ცენტრში, მაგრამ არა როგორც საზოგადოებისა და ბუნებისაგან გათიშული, არამედ მათი ინტერესებით ამოქმედებული, მათი შინაგანი კანონზომიერებით ამოძრავებული. ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისათვის არაა უცხო მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობები და საზოგადოებრივ წყობასთან კონფლიქტის შემთხვევაში ველად გაჰრა და ბუნების კალთებისათვის თავის შეფარება.

რუსთველის მხატვრული ენის მასალის მნიშვნელოვან კომპონენტს პეიზაჟური სახეები წარმოადგენენ. მართალია, ბუნება „ვეფხისტყაოსანში“ არ გვევლინება გამოსახვის დამოუკიდებელ ობიექტად, მაგრამ მისი სურათების გარეშე ძნელი გასააზრებელი იქნებოდა ნაწარმოებში მოცემული სიტუაციები, მოტივები და მხატვრული სახეები.

მხოლოდ ისეთ დიდ შემოქმედს, როგორიც რუსთველი იყო, შეეძლო ბუნების მოძრაობის დინამიკის ასე ძლავრად გამოსახვა:

„რა ზედა წვიმდეს ღრუბელნი და მთათა ატყდეს ღვარია,
მოვა და ხევთა მოგრაგნის, ისმის ზათქი და ზარია.
მაგრა რა ზღვათა შეერთვის, მაშინ ეგრეცა წუნარია“. 1410,2-4.
„აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვარითა“... 1329,1.

ამ ულამაზეს პეიზაჟებში გადმოცემულია თვით ავტორის კონცეფცია ბრძოლისა და მოძრაობის ფონზე ადამიანის სულიერი მოვლენების წარმოსახვისა.

შეუდარებელ მხატვრულ სურათს ქმნის პოეტი ბუნების მოვლენათა აღმნიშვნელი ლექსიკის საშუალებით გმირის გულისთქმის გადმოცემისას. ტარიელის საძებრად წასულ ავთანდილს

[1] ქებათა ქება — დაბადება, II, გვ. 261.

„ღამე ალხენდის, დღე სჯიდის, ელის ჩასლვასა მზისასა;
რა წყალი ნახის, გარდახდის, უჰვრეტდის ჰაელსა წყლისასა,
მას თანა-ჰრთვიდის ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა“... 840,1-3.

სისხლის ცრემლთა ნაკადი ჩვენ სხვა ნაწარმოებებშიც შეგვხვდა, მაგრამ წყლის ჰაელს შერთული სისხლის ცრემლთა ტბის ნაკადი, ეს ულამაზესი მხატვრული სახე, ქართული მწერლობის არც ერთ ძეგლში არ წარმოგვისახავს ასეთი უჩვეულო მხატვრული ძალით ბუნებისა და ადამიანის ორგანულ სიახლოვეს. ხომ ლამაზია მზის ჩასვლის ჟამი, წყლის ჰაელი, ჩქერთა ლიელივი, მაგრამ რუსთველის გმირისაგან ამ მომხიბლავი სურათების შეგრძნება უფრო მაღალ და უმშვენიერეს ფორმებში გვიხატავს გმირის გულისა და სულის მოძრაობას. ამ პეიზაჟისადმი პერსონაჟის სულიერი დამოკიდებულების გაცნობიერება გასაგებს ხდის ავთანდილის შემდგომ მოქმედებას:

„მას თანა-ჰრთვიდის ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა“...

ბუნება და ადამიანი რუსთველისათვის ის ორი დიდი ძალაა, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და სრულქმნილი შინაარსითა და ფორმით წარმოგვიდგენენ დიდი შემოქმედის რეალისტური ესთეტიკის უმაღლეს იდეალს. ადამიანი ბუნებასთან უშუალო კავშირში პოულობს თავის ძალასა და სახეს და ბუნებაც იმითაა დიადი, რომ იგი თავისი უთვალავი ფერით კაცთათვისაა შექმნილი. როგორც ალ. ბარამიძე ამბობს, „ბუნება ავტორს ეხატება ადამიანის თანამეგობრად და თანამგრძნობლად“[1]. თუ ეს ასეა, შეცდომა იქნებოდა „ვეფხისტყაოსანში“ ბუნების მიჩნევა პერიფერიული ესთეტიკური სფეროების არედ[2]. ბუნება აქ, მართალია, ხან ფონია, ხან ჩარჩო და ხანაც რეზერვუარი პერსონაჟების პორტრეტებისათვის, მაგრამ იგი მაინც არაა მოკლებული თავისთავადობას[3]. პირიქით, ამ თავისთავადობაში ჩანს მისი მხატვრული ფუნქცია. ამითაა შეპირობებული ბუნებასთან კავშირში მყოფი ადამიანის განცდათა სილამაზე და მომხიბლაობა. ბუნებისა და ადამიანის ამ შინაგანი კავშირიდან გამომდინარეობს პეიზაჟის გამომსახველი ლექსიკური საშუალებების როლი გარკვეული სიტუაციის მხატვრული გადმოცემისას.

რუსთველის პოემაში არა მხოლოდ ბუნების ცოცხალი ძალები ეხატება ადამიანს თანამგრძნობლად, არამედ ბუნების უსულო საგნებიც კი განსულიერებულ სახეს იღებს, რომ თანაზიარად გაუხდეს

---

[1] ალ. ბარამიძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1952, გვ. 195.

[2] გ ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, თბილისი, 1958, გვ. 172.

[3] იქვე.

პიროვნებას. რუსთველმა ბუნების საგნებისა და ადამიანთა ურთიერთობა ისეთ ორგანულ ასპექტში წარმოგვისახა, რომ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლებოდა მისთვის ადამიანის სულისა და ბუნების დიადი მოძრაობის უდიდესი მხატვარი გვეწოდებინა. ამის დასტურად, სხვა რომ არა იყოს რა, შემდეგი სტრიქონებიც იკმარებდა:

„რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისსე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,
ისმენდიან, გაკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან...“1. 967,1-3.

მსგავსი ადგილების დაძებნა მსოფლიო პოეზიის შედევრებშიც კი გაძნელდებოდა. ფერწერის ოსტატებისათვის, ალბათ, მარად მშვენიერ თემად დარჩება ისეთი პეიზაჟის შექმნა, სადაც გამოსახული იქნება წყლიდან გამოსხდომილი ქვები სმენის, გაკვირვებისა და ტირილის უნარით დაჯილდოებულნი.

უთვალავ ფერებში წარმოსახული ბუნების უმშვენიერესი სურათები უძევს საფუძვლად რუსთველის პოეტურ სახეებს. ალ. ბარამიძეს მოჰყავს ერთი ბრწყინვალე ნაწყვეტი „ვეფხისტყაოსნიდან“:

„ესე თქვა, ნელად ატირდა და წვიმა თოვლსა არია,
ნარგისთათ იძრვის ბორიო, ვარდსა ზრავს, იანვარია“. 1456,3-4.

ამ ნაწყვეტს მკვლევარი ასე აანალიზებს: „წვიმა თოვლსა არია: წვიმა ცხარე ტირილით გამოწვეული ცრემლებია, თოვლი — თეთრი პირისახე, მიბნედილი, ფერმკრთალი სახე; ნარგიზნი — თვალები, ნარგიზებიდან (თვალებიდან) აძრული ბორიო (ცივი სიო) ცრემლების წვიმით სუსხავს, ზრავს ღაწვებს. ჰეშმარიტად სუსხიანი იანვრის პეიზაჟიაო, ასკვნის რუსთველი მშვენიერი

---

1 ამ მხატვრული სურათის თანადამთხვევად არ შეიძლება მივიჩნიოთ ვ. შიშმარიოვის მიერ მოყვანილი ადგილი „ვისრამიანის“ ირანული ორიგინალიდან: „როცა რამინი ზოგჯერ ჩანგზე დაკვრას იწყებდა, სიამოვნებისაგან წყლის ზედაპირზე ქვები ამოდიოდნენ“ (ვ. შიშმარიოვი, შოთა რუსთაველი (რამდენიმე პარალელი და ანალოგია) — ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 233). აქ დამთხვევა სიტუაციური ხასიათისაა და არა გამოსახვის მხრივ. რუსთველის მხატვრულ სახეთა ოვაისთავადობა „ვისრამიანის“ ირანული ორიგინალიდან მოყვანილ ადგილთან შედარებით ამ შემთხვევაში არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ანალოგიებისა და პარალელების გზას რომ გავყვეთ, რუსთველის ეს ტაეპები შეიძლებოდა შემდეგ სტრიქონებთანაც დაგვეკავშირებინა: „და რ-ეს იკითხავნ წ-სა სახარებასა ნადირნი ველისანი შემოკრბიან ქუეწარმძრომითურთ ქ-უნისადთ და ფრინველნი ცისანი გარემოადგებიედ მას და ისმენედ კითხვასა მისსა სამჟამითგან ე-ე ცხრად ჟამამდე“ (ცხოვრება ნისიმესი, კიმენი, ტომი I, ტფილისი, 1918, გვ. 240). ამგვარი პარალელები კი ყოველი ინდივიდუალური შემოქმედების უარყოფამდის მიგვიყვანდა.

პოეტური შედარების ნიადაგზე. ვფიქრობ, ალბათ, სხვა, მეორე, ამისი ბადალი მდიდრული პოეტური ფრაზა იშვიათად მოიპოვება მსოფლიო პოეზიაში"[1].

რუსთველისეული მეტაფორების ბუნება აქ მეცნიერული სიზუსტითაა გახსნილი. თოვლი, წვიმა, ნარგისთაგან აძრული ბორიო, ვარდის ზრობა ბუნების მოვლენების რეალისტურად განცდის საფუძველზე შექმნილი ულამაზესი პეიზაჟია, რომელიც მძლავრ პოეტურ ფორმებში გამოგვივლენს პერსონაჟის სულიერ მდგომარეობას. ჩვენი აზრით, პეიზაჟის ამსახველი სიტყვების მეტაფორიზაციის ხერხი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რომელსაც პოეტი მიმართავს მხატვრული სახეების შექმნისათვის; თანაც ეს სახეები თავიანთი შინაარსითა და ფორმით მრავალგვარია. ბუნების მოვლენების მხატვრულად გამოსახვა რუსთველის პოეტურ აზროვნებას რეალისტურ ელფერს სდებს და სწორედ ესაა, რომ მის იდეათა სამყაროს, მისი გმირების ფიქრებს, გრძნობებსა და განცდებს უკვდავ-უბერებელ იერს აძლევს. პეიზაჟის საფუძველზე წარმოქმნილ პოეტურ სახეს პირობითად შეიძლება სახე-პეიზაჟები ვუწოდოთ. სახე-პეიზაჟები სპეციფიკური ფორმაა რუსთველის მხატვრული ენისა. იგი სურათოვნებას ანიჭებს მის პოეტურ მეტყველებას და ამასთან ერთად შესაძლებელს ხდის გარკვეული მოვლენის განზოგადებულად აღქმას. მხატვრული აბსტრაქცია ამ შემთხვევაში მიიღება ცოცხალი, ბუნებრივი, ადამიანის მდგომარეობისა და მოქმედების რეალისტურად წარმოსახვის საფუძველზე.

სახე-პეიზაჟები რუსთველს გამოყენებული აქვს პერსონაჟთა პორტრეტული დახასიათებისათვის, მათი ბუნების, სულიერი მდგომარეობის, მოქმედების მხატვრულად ჩვენებისათვის. მეტიც: პეიზაჟი უძევს საფუძვლად იმ ძირითად სიმბოლურ სახეს, რომელიც კომპოზიციურად კრავს და ამთლიანებს პოემის მაგისტრალურ ნაწილებს.

„ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა კეჟხი პირ-გამეხებული,
არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული"... 522,1-2.

ნათქვამია პოემაში განრისხებული ნესტანის შესახებ. მშვენიერ პეიზაჟს ქმნის კლდის ნაპრალზე მწოლიარე პირგამეხებული ვეფხისათვის ნესტანის მრისხანე სახის შედარება. ბუნების ამ ულამაზესი სურათის ფონზე წარმოსახულ ნესტანს არცა მზე ჰგავდა, არც მთვარე და არც ედემს ხედ ნაზარდი ალვა[2]. ეს უარყოფითად

[1] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1952, გვ. 187.

[2] „ედემს ხებული ალვა" ბიბლიიდანაა აღებული, მაგრამ ისინი ისეთი რეალური საგნების (მზე, მთვარე) გვერდითაა ნახსენები, რომ უნდა ვიფიქროთ, რუსთველის პოეტურ გააზრებაში მას დაკარგული აქვს რელიგიური გაგება.

გამოხატული შედარებანი ერთგვარად ავსებს ნესტანის, როგორც ბუნების სრულქმნილი შვილის, გარეგნულ სილამაზესა და სულიერ მომხიბლაობას. სწორედ ამგვარად წარმოსახული მიჯნურია ნიადაგ-აცრემლებული ტარიელის იდეალი; სწორედ ამიტომ შეიმოსება იგი ვეფხის ტყავით და, ადამიანებზე გულაყრილი, ბუნების წიაღში დაეძებს თავისი სულიერი აშლილობის დამშვიდების წყაროს. როგორც ცნობილია, აქ ეძებნება ახსნა თვით პოემის სახელწოდებასაც. ამგვარად, ბუნება მხოლოდ სამოქმედო ასპარეზი კი არაა რუსთველის გმირებისათვის. იგი თვით პოეტური ჩანაფიქრის სრულყოფის შინაფორმაა. რუსთველმა თავისი გმირების სახის აღნაგობა, მათი გამომეტყველება, ნაკვთთა მოძრაობა, სულისა და გულის საიდუმლოება ბუნების კონკრეტული მოვლენების მრავალფეროვნებაში გამოგვისახა. რა შეედრება სურათოვნებით რუსთველისეულ პეიზაჟებს, რომლებიც პერსონაჟის სხეულის ნაწილების დასახასიათებლადაა გამოყენებული?

მივმართოთ თუნდაც ავთანდილის პორტრეტულ დახასიათებას:

„ბროლისა ველსა სტურფობდეს გიშრისა მუნ საყენია". 193,4.

„ვარდისა ბაღსა უჩრდილობს ჩრდილი წამწამთა ქოხისა". 1260,4.

„ლერწმისა სარსა დასდრეკდა, გიშერსა დააკარვებდა". 891,3.

ბროლის ველი, ვარდის ბაღი (პირისახე), გიშრის საყენი (წამწამები), გიშრის დაკარვება (წამწამების კარავი), ლერწმის სარი (ტანი), ჩრდილი წამწამთა ქოხისა დიდებული სახე-პეიზაჟებია, შედგენილი ისეთი რეალური და ესთეტიკური განცდების აღმძვრელი ლექსიკისაგან, რომელიც გმირის სხეულის სხვადასხვა ნაკვთს მაღალი ოსტატობით გამოგვისახავს. დამახასიათებელია, რომ პერსონაჟის ტანისა („ლერწმისა სარსა დასდრეკდა") და წამწამთა („გიშერსა დააკარვებდა") მდგომარეობა ავტორს დინამიკურად აქვს დახატული. ამით გმირის ხასიათის მოძრავი და მოქმედი ბუნებაცაა გახაზული. სწორედ ესაა რუსთველის სახე-პეიზაჟების ერთ-ერთი სპეციფიკური თვისება.

ნესტანის წამწამთა მოძრაობის გადმოსაცემად რუსთველი ქმნის ულამაზეს სახეებს, რომელთაც საფუძვლად პეიზაჟისებური მოვლენები უძევთ:

„ცრემლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, წამწამთაგან მოქრის ბუქი". 1143,4.

„მისთა წამწამთა ნიავი ქრის, ვითა ქარი არავი"... 1513,3.

აქ ბუნებრივი მოვლენების ამსახველი ლექსიკის საშუალებით ერთიმეორის გვერდითაა განლაგებული მეტაფორა, შედარება, მხატვრული სურათი. ამ ტაეპების მიხედვით ბუნება თავისთავადაც

შეიგრძნობა და მისი საშუალებით გამოხატული პერსონაჟის თვისებებიც ესთეტიკურად აღიქმება.

მსგავსი სურათი გვაქვს ფრიდონის განცდათა გადმოსაცემად:

„თვალთათ ცრემლნი გარდმოსცივდეს, გული უფრო აუჩუქდა,
მონაჭროლმან ვარდი დაზრა, წამწამთაგან ბუჭი ბუჭდა“... 986,2-3.

ტარიელის საძებრად წასული ავთანდილი პოეტმა მზის სახით დაგვიხატა, რომელიც თავის სხივებს ველად მიაფრქვევს:

„ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფინების მზე ველად“... 96,3.

„ვეფხისტყაოსანში“ მზე დადებითი პერსონაჟების სინონიმს წარმოადგენს; გმირის მოქმედების პროცესი რომ ველად მზის მოფენის სახითაა წარმოსახული („მიეფინების მზე ველად“), ეს გამოსახვის ფორმის თვალსაზრისით ბრწყინვალე პეიზაჟია, რომლის საშუალებითაც თითქოს წინასწარ გვანიშნებს, რომ მისი მოგზაურობა ნათელმოსილად დაგვირგვინდება.

ბუნების სურათების ფონზე გამოსახავს რუსთველი თავისი გმირების სულიერ მდგომარეობას. ნესტანის ამბის ცნობით ტარიელს მეტისმეტი ლხინისაგან გულმა ვერ გაუძლო, „სულნი გაიქცნეს“ და უცნობო იქმნა. უსულოდ ქვემდებარე მიჯნურის გულის წყლულებს ავტორი ასე გვიხატავს:

„ზამთარი ვარდთა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცივიან,
ზაფხულის მზისა სიახლე დასწვავს, გვალვასა ჩივიან,
მაგრა მას ზედა ბულბულნი ტურფასა ხმასა ყივიან, —
სიცხე სწვავს, ყინვა დააზრობს, წყლულნი ორჯელვე სტკივიან“. 1347,1-4.

აქ ბუნება დამოუკიდებლადაც წარმოგვიდგება და ადამიანის სულიერი ტკივილების ფონადაც განიცდება. ბუნების სურათების გადმომცემი სიტყვების ამ ორმაგ ფუნქციაში ჩანს რუსთველის მხატვრული ენის ერთ-ერთი სპეციფიკური თვისება; ამითაა იგი განუმეორებელი და სხვათაგან განსხვავებული. პოეზიაში ცოტა როდია იმის მაგალითი, როცა სიტყვა მხოლოდ ფორმალური ელემენტის როლს ასრულებს და დაცლილია შინაგანი შინაარსისაგან. რუსთველის მხატვრული სიტყვის ძალა კი იმაშია, რომ იგი მაღალ პოეტურ ფორმაში თავის შინაგან მნიშვნელობასაც ინარჩუნებს და ამით სხვებისათვის მიუწვდომელ სრულქმნილობას აღწევს. მხატვრული სახის სპეციფიკა აქ ბუნების ცოცხალი სურათების უშუალო შეგრძნებითაა შეპირობებული.

ზამთარი, ვარდთა გახმობა, ყინვისაგან მათი დაზრობა, ეს რეალური სურათები, მძლავრ ფორმებში გამოგვიელენს რუსთველის გმირების განცდათა სიმძაფრეს. მომენტი ვარდის ზრობისა, როგორც

პერსონაჟთა სულის წამების პოეტური გამოხატულება, ავტორს გააზრებული აქვს ბუნების პირქუში სურათების სახით.

„ქარი, ველთა მონაქროლი, ლალის-ფერსა ვარდსა ზრვიდა“... 860,3.
„ბროლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, ტანსა მკვეცსა ათრთოლებდა“. 138,3.

ამბობს პოეტი აეთანდილის შესახებ.

„მზე ღრუბელსა მოჰფარვოდა, ჭუშდებოდა, ვარდსა ზრვიდა“... 1530,3.

ნათქვამია ტარიელის შესახებ.

ბროლი და ვარდი ღაწვია, რომლის ზრობის მომენტი გამოსახავს გმირის სულიერი ტანჯვის პროცესს. ეს მდგომარეობა კი ავტორს წარმოუდგება ველზე მონაქროლი ქარის, სეტყვის, ღრუბელს მოფარებული მზისა და პირქუში ბუნების სახით. ამგვარად, ადამიანის მძაფრი სულიერი ტკივილები რუსთველის მხატვრულ წარმოსახვაში ბუნების მრისხანე სურათების ამსახველი პოეტური ფრაზეოლოგიითაა გამოხატული. ეს სურათებია, რომ მხატვრულ გააზრებას რეალისტურ შინაარსს აძლევს და სწორედ ამიტომ გვგონია, რომ ისინი პოეტური სახის აგების მხოლოდ საშუალება კი არაა, მისი საფუძველიცაა.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სახეები, რომლებიც გმირთა სამწუხარო განცდებს გამოსახავს, აგებულია, ერთი მხრივ, ცრემლისა და, მეორე მხრივ, პეიზაჟის შინაარსის შემცველ სიტყვათა დაკავშირების საფუძველზე. ამგვარად, მათს განმსაზღვრელ ელემენტს პეიზაჟი წარმოადგენს. იგია, რომ ქმნის მხატვრული სახის სპეციფიკურ შინაარსს. ამ მხრივ რუსთველი დიდ მრავალფეროვნებას იჩენს და ამით იგი ისეთ მიუწვდომელ სიმაღლეზე ადის, რომელსაც თვალს ვერ შეუმართავს ვერც ერთი მისი წინამორბედი და თანამედროვე ოსტატი მხატვრული სიტყვისა.

მაგალითები:

„ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა“. 84,4.
„ახალმან ფიფქმან დათოვა, ვარდი დათრთვილა, დანასა“... 179,1.
„მათ ორთავე აშვენებდა ფიფქსა თოვნა, ვარდსა ნამა“. 686,3.
„ვარდსა ზედა ყორნის ბოლო ნამსა თხელსა აკურებდა“. 1362,3.
„ღვარმან, ზედათ მონადენმან, გააწყალნა ფიფქნი თხელნი“. 1137,4.
„ესე თქვა და მკერდსა ხელნი იკრნა, ცრემლნი გარდმოსწვიმდეს“. 222,3.
„ავთანდილ მალვით ცრემლსა სწვიმს, სდის ზღვათა შესართავისად“...1253,1.
„ყოლა სიტყვა არ მოშიგო, ოდენ ცრემლთა გარდმოსწვიმდა“... 519,3.
„მუნვე წვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღარი სად“... 86,3.
„ვიცი, რომე გაუწყვედლად თვალთათ ცრემლი გისეტყვია“... 129,3.
„თვალთათ ვითა მარგალიტი ცრემლი ცხელი გარდმოთოვა“. 630,4.
„ნარგისთათ წვიმა ბროლისა წვიმს, ვარდი ნაწვიმარია“... 1320,3.
„ბროლ-ლალსა ღვარი ნარგისთათ მოსდის გიშრისა ღარითა“... 1140,3.
„ნარგისნი ქუხან, ცრემლსა წვიმს, ჩარცხის ბროლსა და მინასა“. 975,4.

„ მუნ ცრემლნი, მისგან ნადენნი, ქვათაცა დასალბონია;
გიშრისა ტევრსა აგუბებს, ვარდისა ველსა ფონია"... 1254,1-2.
„ვარდისა ბაღსა მოგუბდა ცრემლისა საგუბარია". 244,3.

საილუსტრაციო მაგალითებში ყველგან თვალთაგან მონადენი ცრემლები იგულისხმება და იმისდა მიხედვით, თუ რა სიძლიერისაა ამა თუ იმ მომენტში მწუხარების განცდა, მწერალი მათ ხან თრთვილისა და ნამის, ხანაც წვიმის, თოვნის, ღვარის, სეტყვის, ქუხილის, გუბეების სახით გვიხატავს. ეს ლექსიკური მასალა ბუნების საგნებსა და მოვლენებს ასახავს და მისი გამოყენება მხატვრულ სახეს პეიზაჟისებურ იერს აძლევს (ვარდის დათრთვილვა, თოვნა, დანამვა, ღვარისაგან თხელი ფიფქის გაწყალება, ვარდზე თხელი ნამის დაპკურება, ბროლის წვიმა, ნაწვიმარი ვარდი, „ცრემლი გისეტყვია", „გიშრისა ტევრსა აგუბებს, ვარდისა ველსა ფონია"...).

ნწერლის ესთეტიკური წარმოსახვა აქ ყველგან რეალისტურ გააზრებას ემყარება, რაც რუსთველის მეტაფორულ აზროვნებას მტკიცე საყრდენს უქმნის. ასე მაგალითად, ფიფქის დათოვა სითეთრის წარმოსახვას იწვევს, რაც ცრემლისათვისაცაა დამახასიათებელი. ამის შემდეგ ადვილად საწვდომია ვარდის (სახის) დათრთვილვა, დანამვა. რუსთველის პოეტური სახეების რეალისტური ხასიათი სწორედ ამ რეალური საგნებისა და მოვლენების მხატვრული გაცნობიერებიდან მომდინარეობს. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ რუსთველის გმირთა ემოციები, მათი განცდები ხელშესახებად, კონკრეტულად, ცოცხლად გვეხატება, როცა ამ უკვდავ პოემას ვკითხულობთ.

რუსთველის ის მეტაფორები, რომლებიც ცრემლის დენის პროცესს გამოხატავს, პერსონაჟთა მწვავე სულიერი მდგომარეობის ობიექტურ სურათს გადმოსცემს. ცრემლები რუსთველისათვის არ წარმოადგენს თვითმიზანს. ამ მხრივ მისი ლექსიკის ხასიათი არსებითად განსხვავებულია სასულიერო მწერლობის ფრაზეოლოგიის შინაარსისაგან. რუსთველის გმირები ცრემლებს ღვრიან, მაგრამ არა იმისთვის, რომ მათ სწადიათ ტირილი. პირიქით, ავთანდილის ანდერძში ვკითხულობთ:

„არას გარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა"... 795,1.
„ნუ დაადინებ თვალთაგან ცრემლსა, სისხლითა ფრქვეულსა". 806,4.

იოვანე ოქროპირის ერთ-ერთ ნაწარმოებში კი ცრემლი ღმერთთან მისაახლებელ საშუალებადაა მიჩნეული: „აწ უკუე შეურაცხყავ ყოველი ხილული და მოიგე ლმობიერობაჲ მარადის და განახუენ გარდამოსადინელნი ცრემლთანი, რომელთაგან ფრიადი სარგებელი იპოების, რამეთუ არარაჲ მიგუაახლებს. ღმერთსა უფროჲს ცრემლთა ლმობიერთა". [1]

[1]. იოვანე ოქროპირი, სინანულისათჳს — მამათა სწავლანი, გვ. 132.

„ვეფხისტყაოსანში“ ცრემლთა დენის გამოსახატავად გამოყენებულია წყაროს სხვადასხვა სახეობა. ცრემლის წყაროს, როგორც ვნახეთ, რუსთველის წინამორბედნიც მიმართავდნენ, მაგრამ, მათგან განსხვავებით, დიდი მგოსანი ამ მხატვრულ სახეს ამძაფრებს:

„ვერ გავახმე წყარო ცრემლთა, თვალთა ჩემთა გადმომღვრელთა“. 1214,4.
„მან არა გვითხრა, გაუშვა წყარო ცრემლისა ცხელისა“. 1230,3.
„ცხელი სდის წყარო ცრემლიბა, მართ ვითა ქვაბი ცხელდების“... 1574,3.

ნესტანის განუზომელი მწუხარების გამოსახატავად პოეტმა შექმნა უძლიერესი სახე-პეიზაჟი ასნაკეცი წყარო:

„ას-ნაკეცი წყარო ვნახე ცრემლთა, მისთა მონაწოთმთა“. 1139,4.

„ასნაკეცი“ „ვეფხისტყაოსანში“ უშუალოდ ცრემლსაც მიემართება:

„ქალსა ცრემლი გარდმოსცვიდა ას-ნაკეცი, ბევრის-ბევრად“...272,1.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ თამარის დედის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარების გამოსახატავად იყენებს ჰიპერბოლურ გამოთქმებს: „რანი გლოვანი, რანი ტყებანი, რანი ვაებანი, რანი სისხლარეულთა ცრემლთა ნაკადნი ათას-კეცნი“... (გვ. 73). შეიძლება გვეჩვენოს, რომ რუსთველმა „ცრემლთა ნაკადნი ათას-კეცნი“, როგორც ფრაზეოლოგიური წყარო, გამოიყენა თავისი სახე-პეიზაჟისათვის, მაგრამ აქ ლექსიკურად სხვადასხვა ოდენობასთან გვაქვს საქმე (ათას-კეცნი და ას-ნაკეცი); გარდა ამისა, მათთან სხვადასხვა სიტყვაა დაკავშირებული. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ესთეტიკური გააზრების გარეშე გადმოგვცემს ფაქტს. რუსთველი კი ნესტანის თვალთაგან ჩამონაწვეთი ცრემლების ჰიპერბოლიზაციის საშუალებით ქმნის უმშვენიერეს მხატვრულ სახეს, რომელიც გმირის სულიერი მდგომარეობის სიმწვავესაც გახაზავს და ბუნების მომხიბლაობასაც წარმოგვისახავს. გარდა ამისა, იგი არ შეიძლება „ვეფხისტყაოსანზე“ ადრინდელ ძეგლად ვიგულვოთ.

ტარიელისა და ავთანდილის თვალთაგან დადენილ ცრემლებს ავტორი წყაროს თვალს ადარებს:

„თვალთათ, ვითა წყაროს თვალით, ცრემლი ველთა მოადინეს“... 949,3.

მხატვრული შედარების ობიექტად ბუნების ამ მჩქეფარე მოვლენის გამოყენებით რუსთველმა თავის გმირთა განწყობილება მძლავრ დინამიკურ განცდებში გამოგვიელინა.

„ვეფხისტყაოსანში“ ცრემლთა დენის გადმოსაცემად გამოყენებულია ისეთი ფრაზეოლოგია, რაც სხვა ორიგინალურ და ნათარგმნ ძეგლებშიც გვხვდება, მაგრამ აქვს საკუთარი გამოთქმებიც: ცრემლთა ტბა, სისხლის ცრემლთა ტბის ნაკადი, ცრემლთა რუ:

„დაჯე წერად ჭირთა ჩემთა, მელნად შოგცემ ცრემლთა ტბასა“[1]... 962,3.

„მას თანა-პრთვიდის ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისა-სა“... 840,3.

„მუნ დაადენდეს ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისა-სა“... 1022,3.

„მიიმღერის ხმასა ტკბილსა, არ დასწყვედდის ცრემლთა რუსა“... 966,3.

„ტარიელს ეტყვის ავთანდილ: „რუ გახმა ცრემლთა დენისა!“ 946,1.

„მას პაემნამდის მოვიცდი, რაზომცა გამდის რუები“... 852,2.

ცრემლის ტბის გამოყენება მელნისათვის ჰიპერბოლურად წარმოგვისახავს ავთანდილის ჭირთა სიმრავლეს. მათი დაკავშირება ამ კონკრეტული შემთხვევით არ იფარგლება. ცრემლის სათავე თვალია და პოემის გმირთა სწორედ ამ მომხიბლავი ობიექტისა და მისი ფერის წარმოსახვისათვის რუსთველი იყენებს უმშვენიერეს მეტაფორებს „მელნის ტბასა“ და „მელნის მორევს“. ამრიგად, ცრემლის ტბა, მელანი და მათი დაკავშირების საფუძველზე შექმნილი „მელნის ტბა“ და „მელნის მორევი“ გადადის რა ერთიმეორეში, ორგანულად ერწყმის ურთიერთს.

მაგალითები:

„მე შემომხედის ღამაზად მის მელნის ტბისა თვალითა“. 394.4.

„მელნისა ტბათა მიჯარვით ბურავს გიშრისა ჭერითა“. 1009,4.

„მელნისა ტბათათ იღვრების სავსე სათისა რუბები“... 1146.3.

„შიგან მელნისა მორევსა ეყარის გიშრის შუბები“... 1146.2.

„ავთანდილ მალვით ცრემლსა სწვიმს, სდის ზღვათა შესართავისად,
შიგან მელნისა მორევსა, ცურავს გიშრისა ნავი სად“... 1253.1-2.

„მელნის ტბა“, „მელნის მორევი“, როგორც „თვალის“ მეტაფორები, ჩახრუხაძესაც აქვს გამოყენებული, მაგრამ მელანთან ცრემლის ტბის დაკავშირება და შემდეგ მელნის ტბისა და მორევის მიჩნევა „თვალის“ მეტაფორებად მხატვრულ სახეთა ასოციაციის თვალსაზრისით რუსთველთან სისტემური და მოტივირებული ხასიათად ჩანს... და თუ ამ მეტაფორების მიხედვით ჩახრუხაძისა და რუსთველის მხატვრულ სახეთა ნათესაობაზე ვილაპარაკებთ, აქ ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ ქართული საერო პოეზიის სტილი, რომელიც ყველაზე ნათელ პოეტურ ფორმებში „ვეფხისტყაოსანში“ გამოიხატა.

წყაროს, ნაკადისა და წყლის საშუალებით რგულის, ბაღის, ხის მორწყვას რუსთველთან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პეი-

---

[1].თვალთაგან დადენილი ცრემლების გამოსახატავად პოეტი იყენებს აგრეთვე „გიშრის ტბას“, რაც კვლავ მელანთან დაკავშირებითაა ნახმარი:

„მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნარხეული“... 4,3.

ზაჟისებური სახეების შექმნაში. ისინი აცოცხლებენ და მარადი სინედლის სურნელს აფრქვევენ ადამიანურ გრძნობათა საუფლოს.

„წყლად ეფრატსა უხვად ერწყო ედემს რგული აღვა მკევრი“... 694,2

ასე გვიხატავს ავტორი თინათინს.

„ეპოვე ხე, ტანი აღვისა, სოფლისა წყალთა რწყულისა“... 693,3.

ამბობს ავთანდილი ტარიელის შესახებ.

„რა სჯობს, რა კაცმან გიშერი ბროლ-ლალსა თანა ახიოს,
ანუ ბაღს ალვა საროსა ახლოს რგოს, მორწყოს, ახიოს“... 711,1-2.

წერს პოეტი.

ადამიანთა ჰეშმარიტი დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსანში“ გმირთა შეხვედრისას ვლინდება. მწუხარებაცა და სიხარულიც აქ ცრემლებითაა გამოხატული. რუსთველი დიდი ოსტატობით გადმოგვცემს, თუ როგორ რწყავს წამწამებიდან გადმონადენი მდუღარე ცრემლები ავთანდილისა და ფრიდონის სახეებს:

„მუნ ვარდსა წყლითა ცხელითა რწყვენ ტევრთა საგუბარითა“*. 1005,4.

---

* ამ ტაეპთან დაკავშირებით პ. ინგოროყვა შენიშნავს: „ცხელი“ წყლით მორწყვა არ ხდება“ (პ. ინგოროყვა, ვეფხის-ტყაოსნის ტექსტისათვის — შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1953, გვ. 467) და ტაეპს ასე ასწორებს:

„მუნ ვარდსა წყლითა ცრემლთათა რწყვენ ტევრთა საგუბარითა“.

ამ გასწორებაში უგულებელყოფილია სიტყვის მეტაფორული მნიშვნელობა და სადავოდაა მიჩნეული რუსთველის პოეტური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფრაზეოლოგია. ჯერ ერთი, ფრაზა — „წყლითა ცრემლთათა“ — მეტის-მეტად ხელოვნურია და, მეორეც, განა „ცხელი წყალი“ აქ ჩვეულებრივი გაგებითაა ნახმარი? ანდა „ვარდი“ პირდაპირი მნიშვნელობის მატარებელია? ვარდი სახეა რაინდებისა (იგულისხმება ავთანდილი და ფრიდონი), ხოლო „ცხელი წყალი“ რუსთველის პოეტურ ენაზე ცხელი ცრემლია, რომელიც გადმოდის ტევრთა საგუბრიდან, ე. ი. წამწამებიდან და რწყავს ტარიელის ძმადნაფიცთა სახეებს. წყალი ცრემლის მნიშვნელობით სხვაგანაც გვხვდება პოემაში. ტარიელი ეუბნება ასმათს:

„სწყუროდეს, წყალსა ვინ დაღვრის კაცი უშმაგო, ცნობილი?
„მე თვალთა ჩემთა, მით მიკვირს, რად ვარ ცრემლითა ღტობილი!
უწყლოობა ჰკლავს, წყალი სდის, არ გახმობილი!“ 919,1-3.

უკანასკნელ ტაეპში „წყალი“ უდავოდ ცრემლია, რომელიც პოეტმა არ გაიმეორა მხოლოდ იმიტომ, რომ წინა ტაეპში ჰქონდა ნახმარი. ამრიგად, „წყლითა ცხელითა“ უდრის „ცრემლითა ცხელითა“. „ცხელი ცრემლი“ კი, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეული, სპეციფიკურია რუსთველის მხატვრული ენისათვის (93,1; 152,2; 160,2; 174,4; 245,1; 308,4; 405,2; 547,2; 630,4; 651,2; 760,4; 781,1; 1002,1; 1137,2; 1230,3; 1280,4; 1326,1; 1574,3; 1623,2).

ტევრი, უდაბური ტყე წამწამებს აღნიშნავს, რომლის საგუბრიდან გადმოსული წყალი (ცრემლები) ვარდს (სახეს) რწყავს. აქაც ცრემლთა დენა, პერსონაჟთა ადამიანური განცდები უმშვენიერეს პეიზაჟებში სახიერდება.

თვით „ვეფხისტყაოსნის“ გმირებიც საკუთარ ფრაზეოლოგიაში ბუნების თვალწარმტაცი სურათების საშუალებით გამოთქვამენ თავიანთ გულის წადილს. უსაზღვრო მადლობის გრძნობით მიმართავს ტარიელი ავთანდილს:

„ვითა ზე-მთისა წყარომან, მოჰრწყუ ყვავილი ბარისა,
დამწყვიდე დენა ცრემლისა, ნარგისთა ნაგუბარისა“... 1353,3-4.

ავთანდილის მოქმედება, მისი დიდი ღვაწლი აქ სახე-პეიზაჟის საშუალებითაა გადმოცემული.

ბუნების ისეთი რეალური საგნები, როგორიცაა მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ვარდი, სარო, სოსანი, ლერწამი, ალვა, საერთოდ ხე რუსთველის მხატვრული ენის ძირითად მასალას წარმოადგენს. ისინი ეპითეტებად, მეტაფორებად და მხატვრული შედარების ობიექტებადაა გამოყენებული. ჩვენ არ შევჩერდებით მნათობებისა და ვარდის ესთეტიკურ ფუნქციებზე, რაც საკმაო სისრულითაა გარკვეული ზ. ავალიშვილის, ვ. ნოზაძის, გ. იმედაშვილისა და გ. ნადირაძის შრომებში. სარო, ალვა, სოსანი, ლერწამი და საერთოდ ხე, „ვეფხისტყაოსანში“ მიემართებიან პერსონაჟთა ტანს,[1] იძლევიან მის დახასიათებას როგორც სტატიკური, ისე დინამიკური მხრივ. „ვისრამიანში“ უმეტესად საროსა და ნაძვთანაა მიმსგავსებული ნაწარმოების გმირები. „ვეფხისტყაოსანში“ კი ხე და მისი სახეობანი ძირითადად პერსონაჟთა ნაცვლადაა ნახმარი:

„მონა ფიცხლად მოეგება, ნახა სარო, მორჩი ტანი“... 983,3.
„შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან“....
771,1.
„აქადაღმა ათ დღე მიხვალ ნაკვთად სარო, ფერად ლალი“... 973,3.
„ეპოვე ხე, ტანი ალვისა, სოფლისა წყალთა რწყულისა“... 696,3.
„დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი“... 72,1.
„ვინ მოგკვეთა, არა ვიცი, ხეო, ედემს დანერგულო!“. 309,3.
„მოგშორდი, ედემს ნაზარდო ტანო ლერწამო და ხეო“... 725.2.

ხის სხვადასხვა სახეობის დასახვა პერსონაჟთა სინონიმებად მეტყველებს რუსთველის რეალისტურ კონცეფციაზე. ბუნების უღამაზეს მცენარეებთან მიმართებაში პოეტი გვიჩვენებს ადამიანის ნაკვთის მომხიბლაობას, მათს რეალურობასა და სიცოცხლისუნარიანობას; გვანიშნებს იმას, რომ ეს ხე დანერგულია, ნაზარდია, ახალგაზრდაა. მართალია, მგოსანი ზოგჯერ ხის წარმომავლობას

[1] ა. გაწერელია, ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი, 1948. გვ. 18.

ედემს უკავშირებს, მაგრამ ამ სიტყვას რუსთველის პოეტურ წარმოსახვაში დაკარგული აქვს რელიგიური ელფერი; იგი ცხოვრებისეული ნიშნებითაა აღბეჭდილი. ამიტომაა, რომ თავის გმირებს ზოგჯერ ხეზე უმჯობესადაც მიიჩნევს:

„ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა,
საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა"... 40,1-2.
„გამოეგება ტარიელ, ჰმართებს ორთაეე მზე დარად,
ანუ ცით მთვარე უღრუბლო შუქთა მოჰფენდეს ქვე ბარად,
რომე მათთანა ალვისა ხეცა ვარგიყოს ხედ არად"... 281,1-3.
„ქმარი არ მინდა უშენოდ, მომხვდეს ხისაცა რგულისა!" 153,3.

ხესთან მიმართებით რუსთველი პერსონაჟის ტანს დინამიკურ მდგომარეობაშიც წარმოგვიდგენს. ნესტანის შესახებ პოემაში ნათქვამია:

„იგი რა ნახა მეფემან, საროსა მსგავსი ნარები,
გაკრთომით უთხრა: „ჰე, მზეო, აქა ვით მოიგვარები?" 1179,3-4.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმო დაკვირვება აქვს ა. გაწერელიას: „ტანის მოყვანილობისა და უსიტყვო სიარულის ხაზგასმით გადმოცემა „ვეფხისტყაოსანში" ჰბადებს პანტომიმურ სურათებს"[1].

პერსონაჟის ნაკვთის სინონიმად ხის მიჩნევა გახაზავს, რომ რუსთველი ბუნების იმ საგნების ამსახველ ლექსიკას იყენებს მხატვრულ სახეთა შესაქმნელად, რომელთაც სიახლგაზრდავე, ზრდა მოძრაობა ახასიათებს. ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული რუსთველისეული გაგება სიყვარულის, როგორც ბუნებრივი გრძნობისა.

„პირველ, შენ მოხველ მშვიდობით, მპოვნელი დაკარგულისა,
მერმე, ზრდა სიყვარულისა გაქვს, ჩემგან დანერგულისა"... 704,2-3.

ჟუბნება თინათინი ავთანდილს.

„მომიგონებდე, გახსოვდე მე შენთვის დაკარგული სად,
ვზი მზრდელი სიყვარულისა მის ჩემგან დანერგულისად". 1297,3-4.

ამ მაგალითების მიხედვით გარკვევით ჩანს რუსთველისეული სიყვარულის ადამიანური, ამქვეყნიური, ბუნებრივი ხასიათი, რაც მიწიური ცნებების აღმნიშვნელი ლექსიკითაა გადმოცემული. მართალია, „ვეფხისტყაოსანში" ეგევე ლექსიკა ღვთიური ძალის გამოსახვლინებლადაცაა გამოყენებული („იგია მზრდელი ყოველისა

[1] ა. გაწერელია, ლიტერატურული ნარკვევები, გვ. 18.

დანერგულ-დათესულისა!“ — 929,4), მავრამ ეს იმაზე მეტყველებს, რომ რუსთველის მსოფლგაგებაში ღვთაებრივსა და ადამიანურს შორის გაუვალი ზღვარი არ არსებობს. რუსთველის თავისუფალი აზროვნება ამიტომ არ შეიძლება ქრისტიანული ფილოსოფიის მეტაფიზიკის ვიწრო ჩარჩოებით შემოვზღუდოთ[1].

„ვეფხისტყაოსანში“ ბუნების საგნებისა და მოვლენების გადმომცემი ლექსიკის, სახე-პეიზაჟების საშუალებითაა აგებული ისეთი მხატვრული შედარებანი და მეტაფორული გამოთქმები, რომლებიც პერსონაჟთა მძაფრ სულიერ მდგომარეობას გვითვალისწინებს:

„საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ეხოცების,
ვითა ვერხვი ქარისაგან, ირხევის და იკეცების“... 140,1-2.

„ვით ყვავილსა თრთვილისაგან, პირსა ფერი მოაკლდების,
ჰხედავთ, ვარდსა უმზეობა როგორ ადრე დააჩნდების!“ 717,3-4.

„ვარდი ჰნებოდა, ღრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა;
ბროლი და ლალი გათლილი ლაჟვარდად გარდიქცეოდა“... 945,1-2.

„მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსჭვრეტთ ღამესა ჩვენ უმთვაროსა“. 35,4.

„ვითა მზე ჯდა მოღრუბლებით, დიდხან შუქნი არ ადარნა“... 308,2.

„ვა, წახდეს შუქნი, რომელნი მზისაებრ ველთა ჰფენოდეს!“ 1212,4.

„დადუმდი, ვარდსა ნუ აზრობ, ცრემლითა ნუ ითოვებისა“. 259,4.

„ვეფხისტყაოსნისათვის“ სპეციფიკურია პერსონაჟების სინონიმებად ან შედარების ობიექტებად მზისა და მთვარის ხმარება. მათი თვისებების გადატანა ადამიანებზე რუსთველისეულ თქმებს მეტაფორულ შინაარსს აძლევს. ამასთან ერთად ეს გამოთქმები პეიზაჟისებურია, რამდენადაც მთვარისა და მზის დამახასიათებელი ნიშნები ბუნების სურათების ფონზეა გამოვლენილი. ასე მაგალითად, თინათინის პირის სინათლეს ავტორი მთვარის მოვანებას ადარებს:

„უგავს პირისა სინათლე მთვარისა მოვანებასა“. 106,2.

ნესტანის პირისპირ შეყრას ტარიელთან ავტორი ასე გადმოგვცემს:

„გამოჩნდა მთვარე ნათლითა გარე შუქ-მონავანითა“. 408,2.

---

1 შდრ. გ. ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, გვ. 28.

მთვარის გავსების მომენტი, ირგვლივ შუქმოსილი, ნათელი მთვარის გამოჩენა მშვენიერი მხატვრული სურათია, რომელიც დიდებულ იერს აძლევს რუსთველის რაინდი ქალების სახეებს.

.ტარიელი და ავთანდილი მზისა და უღრუბლო მთვარის დარად არიან მიჩნეულნი:

„გამოეგება ტარიელ, ჰმართებს ორთავე მზე დარად,
ანუ ცით მთვარე უღრუბლო შუქთა მოჰფენდეს ქვე ბარად“... 281,1-2.

აქაც გმირთა სახეები ულამაზესი პეიზაჟის ფონზეა დახატული. უღრუბლობა და შუქთა მოფენის თვისებები გახაზავენ პერსონაჟთა შინაგან ბუნებას, მათს რაინდულ სულს და პორტრეტულადაც ეხმაურებიან რუსთველის უკეთილშობილეს ოცნებას — მისწრაფებას სინათლისადმი[1]. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა „ნათელის“ რუსთველისეული ინტერპრეტაცია. როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, „ნათელის“ ცნება სასულიერო და თვით საერო ჰიმნოგრაფიულ პოეზიაშიც ქრისტიანულ რწმენას უკავშირდება. „ვეფხისტყაოსანში“ ნათელი პერსონაჟთა სახის ბრწყინვალებას, ელვარებას, სხივოსნობას გადმოსცემს. იგი ეპითეტად მიემართება მზესა და მთვარეს როგორც ნაწარმოების გმირთა აღმნიშვნელ მეტაფორებს. სასულიერო მწერლობაში „ნათელი“ ქრისტეს, ღმერთის მეტაფორაა; რუსთველთან კი იგი პიროვნების სახის სილამაზისა და მისი მაღალი სულიერი თვისებების გადმომცემი სიტყვაა:

„ეტყვის: „მზეო, ვითა გაჭო, ნათელო და დარიანო“... 1537,1.
„ესე ჰკადრე: «რათგან, მზეო, ჩემთვის ნათლად აღმოჰხდები»... 382,2.
„მათ ღომთა ნახეს ქალაქი, მთვარე დგას მუნ ნათელია“... 1392,2.
„შევხედენ, დავჰკრთი ელვასა ღაწვთა მზეებრ ნათელთასა“. 479,4.
„კვლა ვჰკითხეთ: „გვითხარ მართალი საქმე შენ მზებრ ნათელისა“... 1230,1.
„მისთა შუქთა შეენებანი ნათლად მადგეს გულსა ფენით“... 418,4.
„შერმადინს ეტყვის, უბრძანებს პირ-მზე, ნათელთა მფენელი“... 774,1.

სასულიერო პოეზიაში ჩვეულებრივია მეტაფორული გამოთქმა „ნათელი დაუღამებელი“. თითქოს ამ ფრაზეოლოგიის ვარიაციას გვაძლევს „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპები:

„იგი სახლი განანათლეს, არ ნათელი შეაღამეს“... 1541,3.
„თინათინს ჰკადრა შერმადინ, ნათელსა მას უღამოსა“... 682,1.

უღამო ნათელი და ნათლის არშეღამება ოდენ სასულიერო პოეზიის კუთვნილებას არ წარმოადგენს; ნათელი, რომელიც ბნელს,

[1] ისე როგორც ნათელი, რუსთველის გმირთა სახის ბრწყინვალებას გადმოსცემს შუქი და ელვა. ელვა სახესთან ერთად კბილთა ელვარებასაც აღნიშნავს.

ღამეს გამორიცხავს, დამკვიდრებული ეპითეტი იყო საერო მწერლობაშიც. „ვეფხისტყაოსანში“ ეს სიტყვები ამქვეყნიურ არსებას, პიროვნებას მიემართება და, ბუნებრივია, რომ იგი ქრისტიანულ რწმენას დაუღამებელი ნათელის შესახებ არ გამოხატავს[1].

ამით ვამთავრებთ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის მასალობრივი მხარის განხილვას. ამ ექსკურსმა გვიჩვენა, რომ რუსთველის მხატვრული ენის მასალა ნამდვილად არსებული საგნები და მოვლენებია. იგი თავისი ხასიათით, მიზანდასახულობით, მხატვრული გააზრებით რეალისტურია და სრულყოფილად ასახავს დიდი მგოსნის უმაღლეს ესთეტიკურ იდეალს ადამიანის, საზოგადოების, ბუნების ჰარმონიული მთლიანობის შესახებ. ამ მასალის ანალიზმა ისიც დაგვანახვა, რომ რუსთველი შეუდარებელი პეიზაჟისტია. მისთვის ბუნება როდი წარმოადგენს მკვდარ ძალას. მისი პოეტური სახეების უკვდავებას ის ქმნის, რომ მათ უმშვენიერესი პეიზაჟები უძევთ საფუძვლად, რომლებიც მხატვრულ ჩანაფიქრს სულს უდგამს, ხორცს ასხამს, აცოცხლებს და ამეტყველებს. რუსთველისეული სახე-პეიზაჟები ადამიანის ფიზიკურ და სულიერ ძალთა პოეტური გამოხატვის შინაფორმაა. უთვალავი ფერით გაშლილი ქვეყნის სილამაზე რუსთველმა თავისი გმირების სულის მოძრაობაში გამოსახა და, ამრიგად, ბუნებაცა და ადამიანიც სამყაროს კანონზომიერებაში მთელის ორგანულ ნაწილებად წარმოგვიდგინა. სწორედ ამიტომაა რუსთველის ადამიანები ბუნებრივი და რუსთველისეული პეიზაჟები — ადამიანური შეგრძნების თვისებით აღბეჭდილი. სწორედ ეს ასხვავებს რუსთველს წინამორბედთა და თანამედროვეთაგან მხატვრული ენის მასალისა და მისი ხასიათის მხრივ. მისი პოეტური მეტყველების ერთ-ერთი განმსაზღვრელი სპეციფიკური ნიშანიც ესაა.

---

[1] სპეციალურად არ ვეხებით „ვეფხისტყაოსანში“ ესთეტიკური მიზნით ძვირფასი ქვების გამოყენების შემთხვევებს, რამდენადაც ეს საკითხი ამ თვალსაზრისით სრულყოფილად აქვთ გარკვეული დოქტორ ვ. ნოზაძეს შრომაში „ვეფხისტყაოსანის“ ფერთამეტყველება“ და გ. ნადირაძეს წიგნში — „რუსთაველის ესთეტიკა“.

## V

## „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სტრუქტურულ-ფუნქციური მხარე

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკური ნიშნები არსებითად რუსთველის პოეტური მეტყველების სტრუქტურულ-ფუნქციურ მხარეში ვლინდება. მხატვრული ენის სტრუქტურას ქმნის თავისებური ბგერითი კომპლექსები, რიტმი, რითმა, სიტყვათა ორიგინალური ფორმები, პოეტური ფრაზის გამართვის განსხვავებული მანერა. თითოეულ მათგანს გარკვეული მხატვრული ფუნქცია აქვს დაკისრებული ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებითს პრაქტიკაში. ამიტომ ნაწარმოების პოეტური ენის ანალიზისას აუცილებელია სტრუქტურულ თავისებურებათა გარკვევა მათს ფუნქციებთან დაკავშირებით. ეს უფრო ნათლად გამოგვივლენს მწერლის მხატვრული მეტყველების არსს, მის შინაგან კავშირს შემოქმედის ესთეტიკურ კონცეფციებთან. ჩვენი ანალიზის ფარგლებში სრულიადაც არ შემოდის იმისი გათვალისწინება, თუ რა მხატვრულ ხერხებს იყენებდა რუსთველი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დიდი ქართველი პოეტი უხვად იყენებდა მეტაფორებს, ეპითეტებს, შედარებებს, განმეორებებს... ამათი ჩამოთვლა რუსთველის მხატვრული ენის სპეციფიკას ოდნავადაც ვერ გაგვირკვევს. წინა თავში აღვნიშნეთ, თუ საიდან იღებდა გენიოსი მგოსანი მასალას მხატვრული სახეების ასაგებად. ამ თავში შევეცდებით ნათელვყოთ „ვეფხისტყაოსნის“ გამომსახველობით საშუალებათა სპეციფიკა სტრუქტურული ნიშნების კონკრეტული ანალიზის საფუძველზე.

§ 1. დავიწყოთ რუსთველის პოემის ბგერწერიდან. ამ საკითხს მიუძღვნა კ. ჰ ი ჰ ი ნ ა ძ ე მ სპეციალური შრომა „ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსახია“ პოობლემა“ (1925). ამ ნაშრომის მეცნიერულ-ლიტერატურული ღირებულება, უპირველეს ყოვლისა, იმაშია, რომ ავტორმა დოკუმენტურად დაამტკიცა „ვეფხისტყაოსანში“ ალიტერაციის სიუხვე და მით თვალსაჩინო გახადა რუსთველის მხატვრული ენის მუსიკალობა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომის I (შესავალი) და II (ალიტერაცია „ვეფხისტყაოსანში“) თავი. კ. ჰიჰინაძის აზრით, „ალიტერაციის ძარღვი შეუწყვეტლად მიუყვება ამ უზარმაზარ პოემას პირველი სტრიქო-

ნიდან უკანასკნელამდე. მთელ პოემაში არ არის ისეთი სტრიქონი, რომ მარტივი ალიტერაცია მაინც არ იყოს შიგ, არ არის შიგ ისეთი გვერდი, სადაც რამდენიმე სტრიქონი მაინც არ მოიპოებოდეს ურთულესი ალიტერაციით გამაოთულ.ი. „ვეფხის ტყაოსანის“ ყოველ თავში ნახავთ ერთ რომელიმე ბგერაზე აგებულ ცალკე ტაეპებს, რომლის მაგალითი ორი-სამი თუ მოიძებნება მთელს დანარჩენ ქართულ ლიტერატურაში. გარდა ამისა, მთელ პოემაში არა ერთგან და ორგან შეხვდებით ორ მეზობელ ტაეპს, სადაც გამეფებულია ერთი მთავარი ბგერა — ამის მაგალითს არც ერთი სხვა ქართული ლექსი არ იძლევა“[1].

ეს დებულება თვალნათლივ ცხადყო კ. ჭიჭინაძემ რუსთველის ტაეპების კონკრეტული ანალიზით. მაგრამ მის ნაშრომში შეიმჩნევა უკიდურესობაც. „ალიტერაცია და საერთოდ ბგერების მუსიკალური შეხამება, — წერდა იგი, — აი ის მთავარი ნიშანდობლივი თვისება რუსთაველის ლექსის, რომლის საშუალებით საბოლოოდ უნდა გადაიჭრას კარდინალური საკითხები „ვეფხის ტყაოსანის“ გარშემო“[2].

კონკრეტულად გააანალიზა რა რუსთველის პოემაში ერთი და იმავე ან მსგავსი თანხმოვანი ბგერების განმეორების შემთხვევები და აღნიშნა მათი მხატვრული ფუნქცია, კ. ჭიჭინაძემ ალიტერაცია უნივერსალურ გამოსახველობით საშუალებად მიიჩნია. იგი წერდა: „ჩვენ თამამად გამოგვაქვს დასკვნა, რომ „ვეფხის ტყაოსანის“ ავტორმა თავისი ფსევდონიმი შეურჩია სახელს ბგერების მიხედვით: შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი. ეს არ არის არც გადაჭარბება და არც ხუმრობა ჩვენის მხრით. პირიქით, არა თუ რუსთაველი, ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ისეთი პოეტი, თუ კი ის ნამდვილი ხელოვანია, რომ ფსევდონიმი ამ მოსაზრების გარეშე აირჩიოს, — რა აზრი ექნება მაშინ ფსევდონიმს პოეტისათვის? ნუ თუ მხოლოდ ის, რომ ხალხს აცნობოს თუ რომელ სოფელში დაიბადა იგი, ან რა ერქვა სახელათ დედამისს?“[3]. ასეთი განზოგადება ალიტერაციის ყოვლისშემძლებელი ძალისა მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს.

კ. ჭიჭინაძემ ალიტერაცია თვითმიზნურ კატეგორიად დასახა, რომელსაც რუსთველი თურმე შინაარსსა და აზრსაც კი სწირავს: „ზოგჯერ რუსთაველი ერთსა და იმავე სიტყვას სამჯერ იმეორებს სტრიქონში სულ სხვა და სხვა ფორმით.

აი სტრიქონი, რომელშიაც ქარ-ცეცხლივით არის დატრიალებული ერთი სიტყვა:

---

[1] კ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსანის“ პრობლემა, თბილისი, 1925, გვ. 12.

[2] იქვე.

[3] დასახ. შრ. გვ. 89.

„ნახეს და ნახვა მოუნდათ უცხოსა სანახავისა“.

უცნაურია ეს სტრიქონი აზრის მხრით: „ნახეს“ და იმავე წამში „ნახვა მოუნდათ!“ ეს არ შეიძლება. იმათ კი არ მოუნდათ ნახვა, პოეტის მუსიკალურ სმენას დასჭირდა ამ სიტყვის განმეორება სამჯერ, რის შემდეგ მთელი სტრიქონი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ფოლადის სპირალი იყოს შიგ ჩაგრეხილი“[1].

გამოდის, რომ რუსთველი აზრის მიხედვით უცნაურ სტრიქონს აყალიბებს იმ განზრახვით, რომ მისი „მუსიკალური სმენის საჭიროება“ იქნეს დაკმაყოფილებული. ეს რომ ასე ყოფილიყო, რუსთველი უკიდურესი ფორმალისტი იქნებოდა და არა გენიალური მხატვარი, რომლის პოეზიაში გამომსახველობითი საშუალებანი და გამოხატული შინაარსი ადეკვატურ შესატყვისობაშია. მკვლევარს სწორად არ ესმის რუსთველის სიტყვათა მნიშვნელობა. ჯერ ერთი, ნახეს, ნახვა და სანახავი არაა ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმა. ისინი ლექსიკური მნიშვნელობის მხრივ განსხვავებული ოდენობანია. გარდა ამისა, სიტყვა „ნახეს“ რუსთველისეული გაგება მოცემული კონტექსტის მიხედვით არ უდრის მის დღევანდელ მნიშვნელობას. და მართლაც, როსტევანსა და ავთანდილს სინამდვილეში ხომ არ უნახავთ წყლის პირას მჯდარი უცხო მოყმე? მათ დაინახეს მხოლოდ იგი. ეს ფორმა რუსთველისათვის გაუდიფერენცირებელი მნიშვნელობისაა. თუ ერთ შემთხვევაში მასთან პოეტი დანახვას გულისხმობს, მეორეში — ნახვას ვარაუდობს[2]. ერთი ძირის სიტყვებისათვის ამ სხვადასხვა მნიშვნელობის გამოვლინებით რუსთველი კლასიკურად

---

[1] დასახ. შრ. გვ. 34.

[2] „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა „ნახეს“ დანახვასაც აღნიშნავს და ნახვასაც დღევანდელი გაგებით. ამის გარკვევა კონტექსტის მიხედვითაა შესაძლებელი. ეს სიტყვა პირველი მნიშვნელობით გვხვდება შემდეგ ტაეპებში:

„მინდორს ვნახეთ, ტარიელ ჯდა, ცრემლთა ღვრიდა, ველთა რწყვიდა“... 993,2.

„იგი რა ნახეს, მესროლთა, სროლასა მოეშლებოდეს,
ალყა დაშალეს, მოვიდეს, მოეხვეოდეს, ბნდებოდეს“... 981,1-2.

„მინდორს ნახა სპა ლაშქართა და ნადირთა ჰგვანდეს მსრველსა“... 977,2.

„შორით ნახნა, მენავენი მოდიოდეს შიგან ზღვასა“... 969,2.

„ნახა, შავი შამბთა პირსა დგა სადავე-უკუყრილი“...866,3.

„ექვსნი რამე ცხენოსანნი, ნახა, მისკენ მივიდოდეს“... 196,2.

მაგრამ ეგეთე სიტყვა პოემაში გვხვდება მეორე (დღევანდელი) მნიშვნელობითაც:

„მათ მასწავლეს, ხატაელნი ვნახენ მისგან დაკოდილი“... 997,2.

„ვინცა ჯაჭ. ნახნის უცხონი, ჰმსახურებდიან, ჰყმობდიან“... 976,1.

ახერხებს ფორმისა და შინაარსის მაღალ მხატვრულ ხარისხში აყვანას. რუსთველის მუსიკალური სმენა სრულ შესატყვისობაშია ტაეპში ნახმარი სიტყვებით გამოხატულ მნიშვნელობასთან და მისი ალიტერაციების ნიშანდობლივი თვისებაც სწორედ ამაშია.

ალიტერაციის საკითხს „ვეფხისტყაოსანში“ შეეხო შ. ნუცუბიძე წინასიტყვაობაში, რომელიც მან დაურთო პოემის რუსულ თარგმანს. საგულისხმოა მკვლევრის დაკვირვება რუსთველის ალიტერაციული ოსტატობის შესახებ: «... Руставели иногда доводит аллитерацию до высшей гаммы звучания. Тогда он аллитерует оба полустишия, причем в одном он дает трехчленную аллитерацию, а в другом двухчленную, на другой звук, а между этими двумя звуками ставит звук, сигнализирующий об аллитерации, которая помещается во втором полустишии.

Для наглядности приведем сначала грузинскую строку в русской транскрипции:

1160 Гвелни **мошлит моекецнес** || **баги шегма шерашенда.**

Как ясно и для русского читателя, не владеющего грузинским языком, настоящая Руставелевская аллитерация дана во втором полустишии; в первом полустишии два раза мо, а между ними звук ш, чем Руставели предупреждает, что приближается аллитерация на ш. Здесь дана вершина Руставелевского аллитерационного мастерства»[1].

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს დაკვირვება მხოლოდ ერთ შემთხვევას ეხება და ამდენად მკვლევრის დასკვნა რუსთველისეული ალიტერაციების სპეციფიკურ თვისებად ვერ მიიჩნევა.

საინტერესო გამოკვლევაში „ვეფხისტყაოსნის“ პარალელები მეათე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში“ გ. იმედაშვილმა აღნუსხა ალიტერაციის გამოყენების შემთხვევები სასულიერო პოეზიაში და აღნიშნა, რომ რუსთველმა ისარგებლა უკვე შემუშავებული მხატვრული მეტყველების ელემენტებით და ქართული პოეტური სიტყვა მეტად მაღალ საფეხურზე აიყვანა საერო სტილის გემოვნების მიხედვით. არა მხოლოდ ორიგინალურ სასულიერო პოეზიაში, თარგმნილ სასულიერო პროზაშიც კი მთარგმნელები ცდილობდნენ ალიტერაციის მიხედვით გაემართათ ფრაზები.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

„და მოწევნითა წ-თა მოწამეთაჲთა ადგილსა მას მადლი დაემკვიდრა“[2].

---

[1] Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, поэма в стихах. перевод с грузинского Шалва Нуцубидзе, Москва, 1941, стр. 17.

[2] წამებაჲ კჳროსისა და იოვანჱსი — კიმენი, ტ. I, პროფ. კ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფილისი, 1918, გვ. 114.

„მორჩილთა მოიგებდა კეთილითა და ურჩთა მოსრვიდა მახვილითა“...[1]

„და შ-დ აღსრულებისა აღსარეებისა აღუთქმიდა წმიდასა მას რ-ა შეინანოს ყ-ლი უკეთურებაჲ თჳსი“..[2]

„აწ ოვკოვე მიემსგავსენით მოძღოვარსა მას თქ-ნსა თეკლას რ-ნ მიიღო წამებისა გჳრგჳნი ოჳწინარეს ყ-ლთა დედათა და სოვრვიელად შოვრი აღიღეთ მართლაღსარებისა და სიწმიდისა, მისისა და მიემსგავსენით ღოვაწლთა და მოთმინებათა მისთა და მის თანა მიიღეთ გჳრგჳნი იგი ზეცისა სასძლოჲსაჲ“...[3]

აქ საინტერესო ისიცაა, რომ ალიტერაციულ ბგერებს სიტყვის დაბოლოებანიც ეხმაურება (ეპიფორული ალიტერაცია).

მაგრამ რუსთველამდელ ქართულ მწერლობაში ალიტერაციის გამოყენების შემთხვევები მაინც სპორადული ხასიათისაა. ისინი ერთფეროვნების შთაბეჭდილებას ტოვებს. რუსთველის პოემაში კი ალიტერაცია მრავალსახოვანია, საგანგებოდ შერჩეულია და ბგერათა არაჩვეულებრივი კომპლექსები ისე ჰარმონიულადაა შერწყმული აზრთან, რომ პოეტური ამბავი აღმავალ მუსიკალურ გრადაციებში განიცდება.

ალიტერაციის სიუხვე, მისი მრავალფეროვნება „ვეფხისტყაოსანში“ ამომწურავადაა გაშუქებული კ. ჰიჰინაძისა და ალ. ბარამიძის შრომებში. ჩვენი მიზანია გავარკვიოთ რუსთველისეული ალიტერაციების სპეციფიკური შინაარსი; ეს კი, უპირველეს ყოვლისა, მის მხატვრულ ფუნქციაში გამოჩნდება. ალიტერაციის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება ისაა, რომ მუსიკალური ჟღერადობა მიანიჭოს სტრიქონს. ეს სადავო არაა. მაგრამ მუსიკალური სმენა მხოლოდ სასიამოვნო ბგერითი კომბინაციების შერჩევას როდი გულისხმობს. მოვიგონოთ რუსთველისავე ნათქვამი:

„ხამს, მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკმობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,
ყოვლსა მისთჳს ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთჳს ე ნ ა მ უ ს ი კ ო ბ დ ე ს“.

მუსიკალობა პოეტის ნაჭირვების, მისი შემოქმედების სპეციფიკური თვისებაა; მისი არსი გარკვეული ობიექტის შემკობაში, მისი მშვენიერების იდეალურად წარმოსახვაში მდგომარეობს. მძლავრი მუსიკალური შთაბეჭდილება არ აღიძვრება მაღალი პოეტური აზრის გარეშე. ალიტერაციის მხატვრული ფუნქცია ნაწარმოებში მოცემული სიტუაციის, ადამიანური განცდების ფართო

---

[1] წამებაჲ მიქაელისი — კიმენი, ტ. I, გვ. 169.

[2] ცხორებაჲ სჳმეონ მესვეტისაჲ — კიმენი, ტ. I, გვ. 323.

[3] წამებაჲ კჳროსისა და იოვანჱსი — კიმენი, ტ. I, გვ. 109.

მუსიკალურ რეგისტრში გამოხატვას ვარაუდობს. ხელოვანის მუსიკალური ხმოვანება აქ ერწყმის მისსავე პოეტურ ხმას და თუ ნაწარმოებში ერთიცა და მეორეც მაღალ ხარისხშია აყვანილი, მაღალი ესთეტიკური განცდის აღძვრაც უზრუნველყოფილი იქნება. რუსთველისეული ალიტერაციების სპეციფიკური ბუნება სწორედ ამგვარი შთაბეჭდილების შექმნაში მდგომარეობს. ისინი გვეხმარებიან მოქმედების პროცესის დინამიკურად აღქმაში.

ტარიელი ხატაელებს ეომება. მრავალკეცი რაზმის პირისპირ მდგომი გმირი თავის მოქმედებაში ელვისებურ სისწრაფეს იჩენს, რაც პოეტმა შესაფერისი ბგერითი კომბინაციების ხშირი განმეორებითაც გამოხატა:

„ერთსა წავსწედი უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად". 445,3.

„ვეფხისტყაოსანში" მოქმედების მძლავრი ტემპის გადმოცემის თვალსაზრისით არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ტოვებს როსტევანისა და ავთანდილის ნადირობის სურათის აღწერა: აქ მხოლოდ ტაეპის ლექსიკური შინაარსით როდი ვსწვდებით ამ სურათის სიდიადეს; ამ შინაარსს სიმტკიცესა და ვაჟკაცურ ჟღერას სძენს ერთგვარი ბგერების მრავალჯერ განმეორება:

„ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქთა წაუხმიდეს.
მიჰხოცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხლთა მიასხმიდეს". 76,1-2.

საინტერესოა სტრუქტურული მხრივ ის, რომ განმეორებული ბგერები სიტყვის თავშიც გვხვდება, ბოლოშიც და შიგნითაც (ცხენთა, მათთა შუქთა; მიჰხოცდეს. მიისროდეს, მინდორს, მიასხმიდეს).

რუსთველისეული ალიტერაციები სტრუქტურულად იმგვარადაა აგებული, რომ იგი მუსიკალურ ინტონაციასთან ერთად პოეტური რიტმის როლსაც ასრულებს: გრძნობთ, რომ მახვილი განმეორებულ ბგერებზეა დამართული. საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითით დავკმაყოფილდებით:

„ქარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე"... 558,1.
„დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა"... 582,4.
„ხელი მოჰკიდა, მიწასა დაასკვნა, დაკლა დანითა". 1115,4.

რუსთველისეული ალიტერაციის სპეციფიკურ სახეობად უნდა მივიჩნიოთ ერთი ძირისაგან წარმოქმნილი განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვების ხმარება ფრაზაში, რომელსაც პ. ინგოროყვამ ვერბალური ალიტერაცია, სახეების ალიტერაცია უწოდა[1].

ალ. ბარამიძის დაკვირვებით „ვერბალური ალიტერაციის"

---

[1] პ. ინგოროყვა, შოთა რუსთაველი და მისი პოემა — შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1937, გვ. XL III.

ადრეული ნიმუშები ჩვენ მოგვეპოვება ძველ ქართულ მწერლობაში, იოვანე ბოლნელის საგალობელში გვხვდება ასეთი ადგილი:

[ამას] ესევითარსა ზრახვასა ზრახვიდეს.
და ამას ესევითარსა ზრუნვასა ზრუნვიდეს.

მაშასადამე, რუსთაველი ამ მხრითაც აგრძელებს ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ტრადიციებს"[1].

შეიძლებოდა რუსთველამდელი პოეტური მემკვიდრეობის საზღვრები ამ მიმართულებით უფრო შორეული წარსულისაკენაც გადაგვეწია.

მაგალითები:

„გამოვიდა ცეცხლი რისხვისაგან მისისა, და ვინ არს რომელმან დაშრიტოს იგი ელვარებასა ელვა და ვინ არა შეშინდეს"...[2]

„და უცხო თესლთაგანცა იოსაფატს ძღუენსა სძღუნობდეს"...[3]

„ხოლო ესრეთ განვიზრახავ მე განზრახვით"[4].

„რამეთუ მოაქციეს შენ ზედა ბოროტებით, იზრახნეს ზრახვანი, რომელთა ვერ უძლონ დამტკიცებად..."[5]

„და იაკობ ვიდოდა გზასა თჳსსა, და აღმხილველმან, იხილა ბანაკი ღუთისაჲ დაბანაკებული"...[6]

„და იყო კურთხეულ და ვაკურთხნე მაკურთხეველნი შენნი, და მწყევარნი შენნი ვწყევნე..."[7]

„ისათხევლოდეს სათხევლითა, რამეთუ მთხევლარ იყვნეს"[8].

ამგვარივე კონსტრუქციები ჩვეულებრივია ჰიმნოგრაფიული პოეზიისათვის. უჩვეულო არაა იგი არც საისტორიო და ფილოსოფიური მწერლობისათვის.

მაგალითები:

„უძღუნა ძღუენი დიდი და მიუწდომელი"...[9]

---

1 ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბილისი, 1958, გვ. 259.

2 ეზდრას წიგნი — დაბადება, I, გვ. 1109.

3 ნეშტთა წიგნი — დაბადება, I, გვ .915.

4 მეფეთა წიგნი — დაბადება, I, გვ. 661.

5 დავითნი — დაბადება, II, გვ. 74.

6 წიგნი მოსესი — დაბადება, I, გვ. 64.

7 იგივე, გვ. 20.

8 მათე — ქართული ოთხთავის ძვ. რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (ა. შანიძის გამოცემა), 1945, გვ. 9.

9 მატიანე ქართლისა — ქართლის ცხოვრება, ტომი I, 1955, გვ. 280.

„და იმედ ყვეს იმედი იგი ყოველთა ქრისტიანეთა წმიდა აღდგომა“[1].

„მაშინ უბოძა საბოძუარი“...[2]

„და უწოდა სახელი ახოვნისა მის მამისა თჳსისაჲ, რომლისათჳსცა ყუავილი უკუდავთა ნაწილისაჲ აღმოგუეყუავლა“[3].

„რომელთაგან საცნაურ არს, რომელ არარაჲ აქუს სიტყჳერისა სულისა ზიარებაჲ მათ, და რამეთუ უჯერო არს, თუმცა უტყჳ სიტყჳერად ისიტყუბოდა“[4].

„ხოლო აწ ვინაჲვე შეუძლებელ, რათამცა მიუდრეკელი მიუდრეკელისაგან მიდრკ“[5].

„რამეთუ არისტოტელი თან მიეხმავების ხმითა ბრწყინვალითა“...[6]

„რამეთუ ამის ცხოვლობისა მიერ ცხოველ იქმნა და გაცხოველდა ესე ყოველი ხილული“[7].

როგორც ჩანს, ერთი ძირისაგან წარმოქმნილი სხვადასხვა ლექსიკური ერთეული ხშირად ქმნის სინტაქსურ წყვილებს და ამგვარ ფორმებს დიდი ხნის ტრადიცია აქვს მთელს ქართულ მწერლობაში. რუსთველი ამ ტრადიციებს ემყარება და იყენებს წმინდა პოეტური მიზნით. ამიტომ ვერ დავეთანხმებით პატივცემული მკვლევრის ალ. ბარამიძის მოსაზრებას: „რუსთველური პოეტური ფრაზის ორიგინალობა და სიდიადე ისაა, რომ ავტორს შესწევს სითამამე მსგავსი მოულოდნელი კონსტრუქციის გამოყენებისა. ის სიტყვებს, სიტყვათა შეწყობას უძებნის ისეთ ფორმას, ჩვეულებრივობისათვის სრულიად შეუფერებელსა და შეუხამებელს, რომლითაც აღწევს არაჩვეულებრივ გარეგნულსა და შინაგან აზრობლივ სიძლიერეს“[8]. ჩვენ კი ვფიქრობთ, რუსთველის სიდიადე იმაშია, რომ ქართულ ენაში განმტკიცებული ჩვეულებრივი ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები დაუდო მან საფუძვლად ალიტერაციული სახეების შექმნას, სადაც აზრისა და ფორმის მთლიანობა უნივერსალურ სრულყოფას აღწევს. ის, რაც მიუღწეველი იყო რუსთვე-

---

1 ლეონტი მროველი — ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 72.

2 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 112.

3 იგივე, გვ. 97.

4 ნემესიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისა (ი. პეტრიწის თარგმანი), 1914, გვ. 48.

5 იგივე, გვ. 39.

6 იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს, 1937, გვ. 214.

7 იგივე, გვ. 47.

8 ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, გვ. 258.

ლის წინამორბედთათვის, ადვილად საწვდომი გახდა გენიოსი შემოქმედისათვის, რადგან ფუძეთა განმეორების ხერხი ისეთ სიტყვებს მიუყენა, რომლებიც გარკვეულ მხატვრულ ემოციებს იწვევს და პოეტურ სახეთა შექმნას ედება საფუძვლად. სწორედ ეს უნდა მივიჩნიოთ რუსთველისეული ალიტერაციების მეორე სპეციფიკურ ნიშნად.

ერთი ძირისაგან წარმოქმნილი განსხვავებული ლექსიკური ერთეულების დაკავშირების საფუძველზე მიღებული ალიტერაციის საშუალებით რუსთველი სრულყოფილად წარმოგვისახავს პერსონაჟის პირისახის მომხიბლაობას:

„ვარდისა ბაღსა უჩრდილობს ჩრდილი წამწამთა ჭოხისა". 1260,4.

როგორც წინა თავში გაირკვა, ეს ტაეპი უმშვენიერეს სახე-პეიზაჟს წარმოადგენს, რომლის შედგენაში მთავარ როლს ასრულებს წამწამთა ჭოხის ჩრდილი და ვარდის ბაღი (სახე); ახლა კი იმასაც დავსძენთ, რომ „უჩრდილობს ჩრდილი", როგორც ალიტერაციული გამოთქმა, ამ სახე-პეიზაჟს ფერადოვნებასთან ერთად (ჩრდილის დაფენის ნიუანსი) მუსიკალურ ხმოვანებასაც აძლევს და, ამრიგად, ასახვის ობიექტს რეალურად წარმოსადგენი ემოციური თვისებებით ამკობს.

ნესტან-დარეჯანის სახის ბრწყინვალება რომ გადმოსცეს, პოეტი ალიტერაციისათვის საგანგებოდ მიმართავს ისეთ სიტყვებს, რომელთა ლექსიკური შინაარსი და ბგერითი ტონი ნათელი ფერისა და მომჯადოებელი ხმის უჩვეულო სიმფონიას გვაძლევს და იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ფერთა ელვარება ბგერათა ტონალობაში ინთქებოდეს და სიტყვათა მუსიკალური დენა სინათლის ტალღათა უსაზღვროებაში იკარგებოდეს:

„ღაწვთა მისთა ელვარება ელვარებდა ზესთა ზესა"... 1132,2.
„ვუპერიტეთ პირსა მნათობსა, ელვათა მაელვარებსა"... 1228,1.

ალიტერაციებისათვის გამოყენებული სიტყვებით პოეტი განუმეორებელ მხატვრულ ფორმებში გამოსახავს გმირთა სულიერ განწყობილებას, მათი მოქმედების დინამიკას:

„მონაკროლმან ვარდი დაზრა, წამწამთაგან ბუკი ბუქდა"... 986,3.
„იგი ჭედი ჩაიკროლეს, ბუკისაგან უფრო ბუქდეს". 1600,4.

სიტყვის ძირთა განმეორების გზით მიღებული რუსთველისეული ალიტერაციები ჰიპერბოლური სახეების შექმნას ემსახურება. ამ სიტყვათა დაკავშირება ბუნებრივია, რეალისტური პოეტური ხედვითაა გააზრებული და მძლავრ მუსიკალურ აკორდთან ერთად პერსონაჟთა მოქმედებისა და მდგომარეობის მკვეთრად გამოსახულ სურათებს გადმოსცემს. ამ მოსაზრების ნათელსაყოფად მივ-

მართავთ „ვეფხისტყაოსნის“ ნკვლევართაგან მრავალგზის ილუსტრირებულ მაგალითებს:

„იგი ნახნეს დაღრეჯილნი, მზე დაიღრეჯს მათი ღრეჯით“. 950,4.

„მან გაახაფოს ხმა ხაფი, კვლა უფრო გასახაფაე“... 1315,3.

საესებით სწორად მიიჩნია ალ. ბარამიძემ ზმნისეულ პრეფიქსთა განმეორების მაგალითები ალიტერაციის სპეციფიკურ, საკუთრივ რუსთველურ სახედ

(ვითა მონა, სამსახურად გაღანამცა წავე, წა, მე. 134,4.
თვალთა წინა წაგვივიდა ლაღი, კუშტი, ამაყი, წა. 209,4.
დავაპირე შეტევება, ეთქვი, წაეიდე მათკე, მე წა. 627,3.
ავთანდილსცა ცრემლი წასდის წამწამთაგან ერთ-სახე, წა. 695,3).

ეს მხარე „ვეფხისტყაოსნის“ ბგერწერისა იმდენად დამაჯერებლადაა გაშუქებული მკვლევრის მიერ, რომ მას ამ თვალსაზრისით სპეციალურად აღარ შევეხებით. მაგრამ ზმნისეული პრეფიქსის განმეორებას სხვა ფუნქციაც აქვს, რასაც თავის ადგილას განვიხილავთ.

რუსთველს იმდენი ალიტერაციული სახეები აქვს, რომ მათი უბრალო ჩამოთვლაც კი გაძნელდებოდა. ჩვენ მიერ გაანალიზებული მაგალითები, ვფიქრობთ, საკმარისია „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული ალიტერაციების სპეციფიკური ნიშნების გასათვალისწინებლად.

როგორც ვნახეთ, რუსთველისეული ალიტერაციები ემყარება ქართულ ენაში განმტკიცებულ ჩვეულებრივ ფორმებს და ფორმათა შეზამებას. რუსთველის მხატვრული ენის თავისებურება ბგერწერითს ხელოვნებაში ისაა, რომ ბგერათა შერჩევა და შეხამება როგორც სტრუქტურული, ისე პოეტური ფუნქციის, პოეტური სათქმელის მხრივ ჰარმონიულადაა შერწყმული სალექსო ტაეპის აზრობრივ მომენტთან. რუსთველისეული ალიტერაციები უდიდეს როლს ასრულებს მოქმედების დინამიკის გადმოცემაში, პოეტური რიტმის, მხატვრული ემოციებისა და სახეების შექმნაში, ფერებისა და ტონების ჰარმონიულად შეხამებაში.

§ 2. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის მეორე სპეციფიკურ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ რიტმი, რასაც პოეტი აღწევს სალექსო

---

1 ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1952, გვ. 193-194.

ტაეპში სიტყვათა გარკვეული თანამიმდევრობით განლაგების საშუალებით. რუსთველის პოეტური ხელოვნების ეს თავისებურება სტრუქტურული მხრივ გარკვეული აქვთ პ. ბერაძეს ნაშრომში „რუსთაველის ლექსის რიტმი“ და ა. გაწერელიას წიგნში „ქართული კლასიკური ლექსი“. თუმცა ა. გაწერელიას მრავალმხრივ საინტერესო შრომა „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულ რიტმს ქართული კლასიკური ლექსის საერთო საკითხებთან დაკავშირებით ეხება, მაინც, ჩვენი აზრით, მისი ავტორი რუსთველის პოეტური მეტყველების ამ ერთ-ერთი ძირითადი საკითხის არსებითს მხარეს მეცნიერული ზედმიწევნილობით აშუქებს. რუსთველის პოემის რიტმი ე. წ. დაბალი და მაღალი შაირის გამოყენებაში ავლენს თავის მრავალფეროვან ნიუანსებს. როგორც ა. გაწერელია აღნიშნავს, „ლ ე ქ ს ში ე ნ ის ფ ონ ე ტ იკ ური ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ ა დ ა ა გ ა მ ო ვ ლ ი ნ ე ბ უ ლ ი. რ ი ტ მ ის თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ ე ს მ ა ქ ს ი მ უ მ ი გ ა მ ო ხ ატ უ ლ ი ა მ ა ხ ვ ი ლ ის რ ო ლ ის ხ ა ზ გ ა ს მ ი თ, ს ი ს ტ ე მ ის ს ა ხ ით მ ის კ რ ი ს ტ ა ლ ი ზ ა ც ი ა შ ი.

ამიტომაც იქცა ქართული ე. წ. „ფიქსირებული“ (!) მახვილი ჩვენი ვერსიფიკაციის მამოძრავებელ ღერძად. ამიტომაა მდიდარი რიტმული ვარიაციებით მარცვლების რაოდენობის მხრივ ერთნაირი ტაეპები (მაგ., 16-მარცვლიანი შაირი) ქართულ ლექსში“...[1]

დაბალი და მაღალი შაირის გამოყენების კანონზომიერება „ვეფხისტყაოსანში“ არ შეიძლება აიხსნას გარკვეულ სტროფში გადმოცემული განწყობილების ხასიათით. ამ საკითხთან დაკავშირებით ორი ძირითადი შეხედულება არსებობს. I შეხედულების მიხედვით რიტმის გარკვეულ სახეობას ამა თუ იმ განწყობილების გამოხატვა ეკისრება. ამ მოსაზრებას იცავენ პ. ბერაძე და ვ. ბერიძე.

პ. ბერაძის აზრით, „პოემაში შაირი (იგულისხმება მაღალი შაირი, შ. ღ.) უმთავრესად იქ გვხვდება, სადაც დინამიურობა და მოულოდნელობა არის ასახული, ხოლო გრძელი შაირი ისეთ შემთხვევაშია მოსალოდნელი, როცა ან თხრობა, მწუხარება, სევდა ან მძიმე განწყობილების შემცველი სურათის გადმოცემაა საჭირო“[2].

ვ. ბერიძის აზრით, „მაღალი ან ჩქარი შაირი შოთას უ პ ი რ ა ტ ე ს ა დ გამოყენებული აქვს მაშინ, როდესაც მდგომარეობა, საქ-ცის ვითარება დაუყოვნებლივ მოქმედებას. მოითხოვს; ამავე შაირით გადმოცემულია უფრო ხშირად ხმიარული, სალაღობო სცენები.

---

1 ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, ქართული კლასიკური ლექსი, თბილისი, 1953, გვ. 133.

2 პ. ბ ე რ ა ძ ე, რუსთაველის ლექსის რიტმი — „რუსთაველის კრებული“, თბილისი, 1938, გვ. 236.

დაბალი ანუ ნელი შაირი, პირიქით უპირატესად გამოყენებულია მაშინ, როცა მოსაწყენი, სევდის მომგვრელი სურათებია აღწერილი. აგრეთვე მძიმე, სერიოზული საკითხებია გადასაწყვეტი, ანდა ეპიკური თხრობაა გადმოსაცემი"[1].

მეორე შეხედულების მიხედვით შაირის სხვადასხვა სახეობის გამოყენება „ვეფხისტყაოსანში" თხრობის ტემპისა და ამბის განვითარებასთან დაკავშირებული მომენტების გამოხატვას ემსახურება. ამ შეხედულებას იცავს შ. ნუცუბიძე. იგი წერს: «С точки зрения задач, которые Руставели ставит видам шаири, они различаются следующим образом: длинный шаири—шестнадцатисложный — служит для плавного рассказа, для лирического диалога, для описаний и характеристик; краткий шаири— для драматических моментов, для изображения быстрого действия, для конфликтных диалогов, картин боя и т. д.»[2].

ეს უკანასკნელი შეხედულება უფრო სწორად ასახავს რუსთველის მიერ გამოყენებული შაირის სხვადასხვა სახეობის ძირითად ფუნქციებს. პ. ბერაძის მოსაზრებიდან გასაზიარებელია ის ნაწილი, რომელიც მაღალი შაირის დანიშნულებას გვიხასიათებს (დინამიურობისა და მოულოდნელობის ასახვა), გრძელი შაირის ფუნქცია კი ავტორს არასწორად ესმის. ვ. ბერიძის მსჯელობიდან მისაღებია მაღალი შაირის დანიშნულების შესახებ განვითარებული აზრი, რომ იგი „შოთას „უპირატესად გამოყენებული აქვს მაშინ, როდესაც მდგომარეობა, საქმის ვითარება დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვს". ბაგრამ არ შეიძლება ავტორს დავეთანხმოთ იმაში, რომ ამ შაირით რუსთველი გადმოსცემს უფრო ხშირად მხიარულ, სალაღობო სცენებს. უკუსაგდებია აგრეთვე მისი მოსაზრება დაბალი შაირის დანიშნულების შესახებ.

ჩვენი აზრით, მაღალი და დაბალი შაირის ძირითადი ფუნქცია თხრობის ტემპითაა შეპირობებული და არა განწყობილების ტონით. პოემაში გვხვდება ისეთი სტროფები, სადაც სამხიარულო განწყობილება დაბალი შაირითაა გადმოცემული, სევდის მომგვრელი სურათები კი — მაღალი შაირით.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

ავთანდილმა ქაჯეთს გადაკარგული ნესტან-დარეჯანის კვალს შიაგნო. ეს იყო მომავალი გამარჯვების დიადი დასაწყისი, სათავე „ვეფხისტყაოსნის" გმირთა უსაზღვრო სიხარულისა. თუ სამხიარულო განწყობილება მაღალი შაირით უნდა გამოხატულიყო, სწორედ აქ, ამ უდიდესი სიხარულის გადმოსაცემად უნდა გამოეყენე-

---

[1] ვ. ბერიძე, რუსთველის შაირისათვის, ენიმკის მოამბე, III, 1958, გვ. 190.

[2] Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, поэма в стихах. перевод с грузинского Шалва Нуцубидзе, Москва, 1941, стр. 16.

ბინა იგი რუსთველს. პოეტი კი ამ ამბავს დაბალი შაირით გადმოაცემინებს ავთანდილს:

„ავთანდილ უთხრა: „ნუ გეშის, ეგე ამბავი მრთელია;
ლხინი მოგეცა, მოგეშორდა ყოველი ჭირი ძნელია,
მზე მოგეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია!“ 1361.

ძმადნაფიცების საერთო ძალით ძლეულ იქნა ინდოეთის მტრები. გათავისუფლებული ერი ზეიმობს თავის სახალხო გამარჯვებას. დედოფალი მხიარულებისაკენ მოუწოდებს ხალხს... და მაინც ეს საზეიმო განწყობილება დაბალი შაირითაა გადმოცემული:

„უბრძანა: „გლოვა გახსენით, ჭოს-წინწილასა ჰკარითო,
დიდი ზათქი და ზეიმი გავიდეს ჩვენით კარითო;
ნახლები თქვენი ოქროსა სარტყლითა მოიკარითო,
იცინოდით და იმღერდით, ნუ ცრემლი აწანწკარითო“. 1633.

როსტევანმა და ავთანდილმა უცხო მოყმე დაინახეს, რომელიც ისე გულმდუღრად ტიროდა, ღრუბელს სახე დაეთრთვილა. სწორედ ეს სურათი უნდა გადმოეცა ავტორს დაბალი შაირით, თუ მართლაც ამ უკანასკნელის ფუნქცია სამწუხარო განწყობილების გამოხატვაში მდგომარეობს; ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ სწორედ აქედან იწყება ტრაგიკული თავგადასავალი პოემის გმირებისა. მაგრამ რუსთველმა სტროფი მაღალი შაირით გამართა:

„ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა.
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა“. 84.

როსტევან მეფე დააღონა უცხო მოყმის კვალწმიდად დაკარგვამ. იგი განმარტოვდა და სევდას მიეცა. ეს მომენტიც მაღალი შაირითაა გადმოცემული:

„მეფე საწოლს შემოვიდა სევდიანი, დაღრეჯილი;
მისგან კიდე არვინ შეჰყვა, ავთანდილ უჩნს ვითა შვილი.
ყველაკაი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ-დაჯრილი.
გაბედითდა სიხარული, ჩაღანა და ჩანგი ტკბილი“. 101.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა სამწუხარო განწყობილება დაბალი შაირითაა გადმოცემული, სამხიარულო კი — მაღალი შაირით. შეიძლება თუ არა ამის მიხედვით შაირის სხვადასხვა სახეობის გამოყენებას განსხვავებულ განწყობილებათა გადმოცემა დავუკავშიროთ? რა თქმა უნდა, არა. მაღალი და დაბალი შაირის გამოყენების კანონზომიერება „ვეფხისტყაოსანში“ განწყობილებათა, განცდათა ცვალებადობით ვერ აიხსნება. მაღალი შაირით გამართული სალექსო ტაეპი მახვილის წყალობით თანაბარზომიერადაა განლაგებუ-

ლი და ამის მიხედვითაა გამართული მთელი სტროფი. მაგრამ შაირის ეს სახეობაც არაა ერთსახოვანი. ა. გაწერელიას დაკვირვებით „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული მაღალი შაირი შეიძლება იყოს ოთხმახვილიანი და რვამახვილიანი. პირველის მაგალითია:

„მე რუ'სთველი/ხელო'ბითა/ვიქმ სა'ქმესა/ამა' დარი“.

მეორისა:

„და'ჯე/წე'რად/ჯი'რთა/ჩე'მთა/მე'ლნად/მო'გცემ/ცრე'მლთა/ტბა'სა“.

დაბალი შაირით გამართულ სალექსო ტაეპში კი მახვილი თანაბრად არ მოუდის მარცვლებს. მაგალითად:

„ჩე'მი ა'წ ესე/ნა'თქვამი/მა'თი სა'ხე და/და'რია“...

ამიტომ რიტმი აქ ნელდება და თხრობა დინჯად მიედინება.

„ვეფხისტყაოსანში“ დაბალი შაირით გამართული ტაეპები სხვადასხვა სახისაა იმისდა მიხედვით, თუ როგორია რიტმისა და სიტყვის ურთიერთობა[1]. ეს სხვადასხვაობა მრავალფეროვანს ხდის რუსთველის პოეტური მეტყველების ტემპს, რაც აუცილებელი პირობაა მოთხრობილი ამბის ესთეტიკურად აღქმისა და განცდისათვის.

პ. ბერაძე თავისი შრომის ერთ ადგილას აღნიშნავს: „ცალკეულ შემთხვევებში, ლექსის შენაცვლება ზოგჯერ შეიძლება გამოწვეული იქნეს სიუჟეტურ გადასვლის შემთხვევაში, ან კიდევ იმის გამო, რომ გადმოცემა რიტმულად მრავალფეროვანი იყოს“[2]. ჩვენ კი ვიტყოდით, რომ ამგვარი ახსნა ცალკეულ შემთხვევებს კი არ ეხება; იგი ამოსავალ დებულებად უნდა მივიჩნიოთ რუსთველის პოემაში გამოყენებული მაღალი და დაბალი შაირის კანონზომიერების დასადგენად. საერთოდ კი ამ საკითხის გადაწყვეტისათვის მთავარია თვით პოეტის მიზანდასახულობის გათვალისწინება. ეს კი შემდეგში მდგომარეობს: თუ მას სურს ჩქარა გვაუწყოს საქმის ვითარება, — მიმართავს მაღალ შაირს. პირიქით შემთხვევაში კი დაბალი შაირია გამოყენებული. თავისთავად მოქმედების შინაარსი კი არ განსაზღვრავს ლექსის რიტმს, არამედ გარკვეული შინაარსისა და მოტივისადმი თვით პოეტის დამოკიდებულება, ე. ი. ის თვალსაზრისი, თუ რა გარემოებას თვლის ავტორი მოცემულ მომენტში განმსაზღვ-

---

1 ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, გვ. 156-157.

2 პ. ბერაძე, რუსთაველის ლექსის რიტმი — „რუსთაველის კრებული“, გვ. 228.

რელ ფაქტორად მოქმედების განვითარებისათვის. მაგალითისათვის ერთი მცირე მონაკვეთის მოყვანით დავკმაყოფილდებით.

ტარიელი თავისი გულის სატრფოსაგან პირველ წერილს მიიღებს. ავტორისეული ჩანაფიქრით ეს ისეთი მომენტია მიჯნურთა ცხოვრებაში, რაც ჩქარი ტემპით უნდა გადმოიცეს:

„წიგნი ენახე, მისი იყო, ვისი მდაგავს ალი გულსა;
მოეწერა მზისა შუქსა: „ნუ დაიჩნევ, ლომო, წყლულსა;
მე შენი ვარ, ნუ მოჰკვდები, მაგრა ბნედა ცუდი მძულსა.
აწ ასმათი მოგახსენებს ყველაკასა ჩემგან თქმულსა“. 376.

მომდევნო სტროფები ნესტანის წერილის ძირითად მოტივებს გადმოსცემს. პოეტის წარმოსახვით, ნესტანი დინჯი ქალია, რომელსაც არ შეჰფერის აჩქარებული ტემპით წარმართოს თავისი თხრობა და აი მისი გულისთქმა გადმოცემულია დამშვიდებული, დამრიგებლური ტონით, რომელშიც პერსონაჟის გმირული სული შერწყმულია მის ინდივიდუალურ უფაქიზეს გრძნობებთან:

„ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს, საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია!
ხატაეთს მყოფნი ყველანი ჩვენნი სახარაჯონია,
აწ მათნი ჯავრნი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია!
„შენგან ჩემისა ქმრობისა წინასცა ვიყავ მნდომია,
მაგრა აქამდის საუბრად კვლა ჟამი არ მომხდომია,
ძოღან ხელ-ქმნილსა გიქვრეტდი კუბოსა შიგან მჯდომია,
მანდა, ყველაი მასმია, რაცა შენ გარდაგხდომია“. 377; 378.

ნესტანი კვლავ უმეორებს მიჯნურს, შეებას ხატაელებს, თავი ისახელოს ბრძოლაში და გმირის ამ დავალებას რომ კატეგორიული, დამარწმუნებელი, დინამიკური შინაარსი მისცეს, რუსთველი სტროფს მაღალი შაირით გამართავს:

«მართლად გითხრობ, მომისმინე ესე, რაცა მოგახსენე:
წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე;
გიჯობს, ცუდად ნუღარა სტირ, ვარდი კვლამცა რად დასტენე?
მზემან მეტი რაღა გიყოს, აჰა, ბნელი გაგითენე!». 379.

მოულოდნელმა სიხარულმა სულიერად ააფორიაქა ტარიელი, მაგრამ იგი არ გაუშმაგებია და მისი გულის კრთომა, სახის ფერთა ცვალებადობა რუსთველმა დაბალი შაირით გამოხატა, რომ პერსონაჟის სულიერი მდგომარეობისათვის ეპიკური ფორმა და დიდებული, საზეიმო შინაარსი მიეცა:

„ასმათი მეუბნებოდა უშიშრად, არ მეკრძალოდა;
ჩემი რა გითხრა, რა ვიყავ, ლხინი რა დამეთვალოდა!
გული მი და მო მიარდა, კრთებოდა და მელალოდა;
მუნ პირი ჩემი გაბროლდა და ღაწვი გამელალოდა“. 380.

მაღალი და დაბალი შაირის ამგვარი კანონზომიერი შენაცვლება გვითვალისწინებს თვით ავტორის მიზანდასახულობას, მის თვალსაზრისს პერსონაჟთა ხასიათის, მათი ბუნების ჩვენებისას. მხატვრული თხრობის ამ მანერას მრავალფეროვნება შეაქვს მოვლენათა გადმოცემაში, მათს ბუნებრივ განვითარებაში.

ამრიგად, რიტმი რუსთველის პოემაში ლექსის უბრალო ტექნიკურ მომენტს კი არ წარმოადგენს; იგი აქტიურ როლს ასრულებს შემოქმედებითს პროცესში და გვეხმარება ნაწარმოებში მოცემული სიტუაციების ესთეტიკური თვალსაზრისით გააზრებაში, გვითვალისწინებს თვით პოეტის დამოკიდებულებას მის მიერ წარმოსახული მოვლენებისადმი.

რუსთველისეული რიტმი განუმეორებელია; მას ვერ შეედრება ვერც პოეტის თანამედროვენი და ვერც შემდეგდროინდელი ოსტატნი ქართული სიტყვისა. რუსთველის პოეტური რიტმი მის მიერ გამოყენებულ სხვა გამომსახველობითს საშუალებებთან ერთად ქმნის უმშვენიერეს მუსიკალურ სიმფონიას, რომლის მომჯადოებელი ხმა უნისონად ისმის დროისა და სივრცის უსაზღვროებაში.

§ 3. რიტმთან უშუალო კავშირშია რითმა. იგი, როგორც ა. გაწერელია წერს, „ასრულებს გარკვეულ კომპოზიციურ დანიშნულებას თვითეული ტაეპის ცალკეულ ერთეულად გამოყოფისას (წარმოადგენს სიგნალს სტრიქონის მეტრული დასრულებისას!), ხოლო შემდეგ — თვითონ ტაეპების რთულ რიტმულ ჯგუფებად ანუ სტროფებად დანაწევრებაში“[1]. რუსთველის სალექსო ტაეპები ბოლო რითმებითაა გამართული. პოემის სტროფის ყველა სტრიქონი ერთი სარითმო კლაუზულის მიხედვითაა გაწყობილი. ეს წესი სისტემური ხასიათისაა და მისგან გადახვევა ერთგვარ. სიგნალს იძლევა ტექსტის გადაწერის პროცესში ტაეპთა შესაძლო დაზიანების შესახებ[2].

---

1 ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბილისი, 1953, გვ. 170.

2 ხშირად ამის მიხედვით სტროფის სიყალბის დამტკიცებასაც ცდილობენ ხოლმე. მაგალითად, ყალბად მიიჩნევდა რა „ვეფხისტყაოსნის“ 28-ე, 29-ე და 30-ე სტროფებს, კერძოდ 29-ე სტროფის შესახებ პ. ინგოროყვა წერდა: „ამ ყალბ დამატებაში წარმოდგენილია დარღვევა ქართული რითმის ისეთი ელემენტარული კანონისა, როგორიცაა ერთ-მარცვლოვანი (ვაჟური) რითმის ხმარება ორსა და მრავალმარცვლოვან სიტყვებში: „გაამეღავნოს — იენოს“; ამისი სხვა მაგალითი არ არის ვეფხის-ტყაოსანში, არა თუ ნამდვილ ტექსტში, არამედ ჩამატებულ ადგილებშიც“ (პ. ინგოროყვა, Pusthveliana, 1926, გვ. 47). ქართული რითმის დარღვევის ფაქტი მკვლევარს სწორად აქვს შენიშნული, მაგრამ რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ აქა გვაქვს საქმე გადამწერის უნებლიე შეცდომასთან? ადვილი შესაძლებელია წინა სტროფის სარითმო სიტყვების (ამეღავნებდეს, აყივნებდეს) ასოციაციით მომდევნო სტროფში გადაწერისას მოხვდა ისეთი ფორმა, რომელიც რითმას არღვევდა.

რითმისათვის „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულია მიმღეობანი. არსებითი სახელები, ზმნები, საწყისები, ზედსართავი სახელები, ნაცვალსახელები, უდეტრები, რიცხვითი სახელები.

რუსთველის თანამედროვე საერო პოეზიაში I და III ტაეპებში დაცული იყო შინაგანი რითმა, ხოლო II და IV ტაეპების დაბოლოებანი ერთმანეთს ერითმებოდა:

„ივდითის მწყდარი არს შვიდგზის მცდარი.
რომე ჩანს შენგან არ მონაკლევად.
სამფსონ პალატად ჩანს-ყე ღალატად,
თავი დალითას განაპარსევად“1.
„არ იონათან, არიო ნათან,
ვინ ქმნა მას ზედა ზეთ-მცხებელობა.
დაცხრა, დაყუდნა, მისგან განცუდნა
უგლიმთა ბარგით ზარ-მცემელობა“2.

რითმის ამგვარი შეხამება ტაეპების მიხედვით თითქმის სისტემის სახითაა დაცული ჩახრუხაძისა და შავთელის პოეზიაში... ეს სპეციფიკური კონსტრუქცია ტაეპების მიხედვით რითმათა განლაგებისა ამ პოეტთა ნაწარმოებებში თვითმიზნურ ხასიათს ატარებდა და ხელს უშლიდა პოეტური აზრის განვითარებას. რუსთველის ნოვატორობა ამ მხრივ ისაა, რომ მან დაარღვია შინაგანი რითმის ის ხელოვნური ჩარჩოები, რომელსაც ტრადიცია შეუქმნეს ჩახრუხაძემ და შავთელმა და ქართული ლექსის ხმოვანთა შეწყობა სალიტერატურო ენის განვითარების ბუნებრივ გზას შეუფარდა. რითმა რუსთველის პოეზიაში არა მხოლოდ კეთილხმო-

---

ამ სარითმო სიტყვებთან დაკავშირებით ანგარიშგასაწევია დაკვირვება რ. პატარაიძისა, რომელმაც ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 29-ე სტროფში დარღვეულია რითმის კლაუზულა (გაამეღავნოს, ივნოს, მოაყივნოს, ატკივნოს) და გამოთქვა მოსაზრება: პოემაში სამი სტროფია დადასტურებული მსგავსი რითმებით (598, 761, 956) და არსად სარითმო ერთეული დარღვეული არ არის. მან განსაკუთრებით გამოყო 598-ე სტროფი: „ამ სტროფში სარითმო ერთეულად გვაქვს:ივნა: შეუხვივნა, ატკივნა, ივნა, გაამჩივნა.

იგივე სიტყვა „გაამჩივნა“ შეცვლილი ფორმით: „გაამჩივნოს“ ხომ არ უნდა გვქონდეს 29-ე სტროფის პირველ ტაეპში?“ (რამაზ პატარაიძე, ვარაუდი ერთი სიტყვისა „ვეფხისტყაოსანში“ — გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, № 135 (6239), 1956).

თუ ამ ვარაუდს მივიღებდით, დარღვეული რითმა გასწორდებოდა და აღნიშნული სტროფის ყალბად მიჩნევის მცდელს ერთი მთავარი არგუმენტი მოაკლდებოდა.

ეს ექსკურსი ცხადყოფს, თუ რა არსებითი მნიშვნელობა აქვს რუსთველის პოემისათვის რითმის პრობლემას.

1 ჩახრუხაძე, ქება მეფისა თამარისი, 1957, გვ. 195.

2 ი. შავთელი, აბდულმესიანი — ჩვენი საუნჯე. 2, 1960, გვ. 486.

ვანებას უზრუნველყოფს, მას კომპოზიციური დანიშნულებაც აქვს და რომ ეს ფუნქცია ესთეტიკური ხასიათისა იყოს, ამ მიზნით ავტორი სარითმო სიტყვებად უმეტეს შემთხვევაში ზმნებს ან მიმღეობებს იყენებს, რომელთა საშუალებითაც ადამიანის მდგომარეობა, განცდათა სხვადასხვაობა, მოქმედების განსხვავებული ვითარება მრავალი განზომილებითაა გადმოცემული. რა თქმა უნდა, სარითმო სიტყვა აქ არ ასრულებს იდეურ როლს, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ იგი სალექსო ტაეპს ემოციურ ელფერს აძლევს და მას მკითხველზე ესთეტიკური ზემოქმედების უმძლავრეს საშუალებად აქცევს. რუსთველის პოემაში თითოეულ სტროფში შემავალი ტაეპები ერთი რითმითაა გაწყობილი. ჩვენი დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსნის“ 1669 სტროფში 765 დამოუკიდებელი რითმაა გამოყენებული. ზოგი რითმა რამდენიმეჯერ მეორდება, ზოგი კი მხოლოდ ერთხელ გვხვდება. ასე მაგალითად, პოემაში განუმეორებლად ნახმარია 461 რითმა, რაც დამოუკიდებლად გამოყენებულ რითმათა 61-ზე მეტ პროცენტს უდრის. ეს ნათლად მეტყველებს რუსთველისეულ რითმათა მრავალფეროვნებაზე. რითმისათვის ამოსავალია მახვილიანი მარცვალი; „რითმა იწყება ტაეპის უკანასკნელი მახვილიანი ხმოვნიდან“[1]. სწორედ ამ ხმოვნიდან ტაეპის ბოლომდე განლაგებულ ბგერათა შეთანხმებულობა ქმნის სტროფში რითმას. „ვეფხისტყაოსნის“ სტროფის ყველა ტაეპის რითმები ბგერათა ამ შეთანხმებულობას ექვემდებარება:

მ-ე **რასა**, წ-**ერასა**, ვ-**ერასა**, მღ-**ერასა** — 235.
წ-**ინა**, მოეწყ-**ინა**, მოედ-**ინა**, დააბრჯ-**ინა** — 238.
მოსაწ-**ევარი**, მდ-**ევარი**, მოურ-**ევარი**, მ-ე **ვარი** — 559.
მტ-**ერთად**, მიწი-**ერთად**, ღმ-**ერთად**, **ერთად** — 792.

მაგრამ პოემაში გვხვდება სტროფები, რომლის სალექსო ტაეპებში მახვილიანი ხმოვნის შემდეგ ბგერათა თანხვდენილობა არაა დაცული და კერძოდ ერთმანეთს ენაცვლებიან მსგავსი თანხმოვნები:

ბრ-ალია, წაუვ-ალია, ღვ-არია, გულ-მდულ-არია — 1611.
უმეც-არნი, კ-არნი, მკლ-ავნი, მონაღვ-არნი — 1040.
სული-ერნი, მფრინვ-ელნი, მაღრიბ-ელნი,
მეგვიპტ-**ელნი** — 968.
ხორცი-ელობა, მეცნი-ერობა, ხ-ელობა, ლმობი-ერობა — 1156.
დანაწ-ერობა, ხ-ელობა, საკვირვ-ელობა, მრთ-ელობა — 1360.
ხ-ელურად, მ-ელურად, მტ-ერულად, მ-ე **რულად** — 1206.
ც-ილისა, შლ-ილისა, ს-ირისპ, შვ-ილისა — 320.
დად-უმდეს, დაბრ-უნდეს, -უნდეს, დაუძაბ-უნდეს — 833.

[1] ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, გვ. 171.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ აქ ყველგან ერთმანეთს ენაცვლებიან სონორული თანხმოვნები. ასე რომ, მიუხედავად ბგერათა არაერთგვაროვნებისა, თანხმოვანთა შენაცვლება კანონზომიერი ხასიათისაა და იგი რითმაში დისონანსს არ იწვევს.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ზოგი სალექსო ტაეპის სარითმო საზღვრებიდან ამოვარდნილია ერთი თანხმოვანი:

მძ-ებნელი, მტკ-ებნელი, მცხ-ებ(-)ელი, ნზ-ე ბნელი — 1281.
მხმ-ეჭ(-)ელსა, მ-ეჭველსა, მბ-ეჭველსა, მოსახვ-ეჭ(-)ელსა—799.

გვხვდება ისეთი მაგალითებიც, როცა ზოგ ტაეპში თანხმოვანი მეტია, თანაც ამ ბგერას ერთ-ერთ სალექსო სტრიქონში სონორობის მიხედვით მსგავსი თანხმოვანი ენაცვლება:

ჩაგვიცვ-ივდეს, გვწვ-ი(-)დეს, გარდმოსწვ-იმდეს,
სწმ-ი(-)დეს — 222.

თანხმოვანგამოკლებულ რითმებში დანაკლისს თითქოს ის ანაზღაურებს, რომ საყრდენ თანხმოვნად ყველგან ის ბგერაა, რომელიც სარითმო საზღვრებიდან ამოვარდნილია (გვწვ-ი(-)დეს, სწმ-ი(-)დეს, მცნ-ებ(-)ელი).

არის ისეთი სალექსო ტაეპებიც, რომელთა რითმებშიც ზედმეტია ერთი ან რამდენიმე თანხმოვანი:

მონახს-ენები, ვ-ევნები, მოუთმ-ენები, დავეყ-ენები — 1015.
ძღვ-ენისა, ჩვ-ენისა, -ებნისა, დგ-ენისა — 1122.
მ-ათად, ქვეყან-ათად, ქმნ-ათად, ნ-აკვთად — 319.

პირველ შემთხვევაში რითმის თვალსაზრისით ზედმეტია სონანტი „ვ", რომელიც ამგვარსავე თანხმოვანს („ნ") უძღვის წინ და ეთგვარად ნივილირებულია მისგან; მეორე მაგალითში სონანტ „ნ"-ს წინ უძღვის მყღერი „ბ", რომელიც აგრეთვე ზედმეტია რითმის თვალსაზრისით, მაგრამ რადგანაც იგი მოხვედრილია მახვილიან ხმოვანსა და სონანტ „ვ"-ს შორის, მისი მადისონანსირებელი ძალა უვნებელყოფილია. მსგავსი ვითარება გვაქვს მესამე მაგალითშიც (ნ-ა-კვ-თად). აქ მახვილიან ხმოვანს უშუალოდ მოსდევს მკვეთრი თანხმოვანი კ და სონანტი ვ, რომლებიც სტროფის მაორგანიზებელი რითმის („ათად") მთლიანობას არ არღვევენ; პირიქით, ეგუებიან მას შედარებით უფრო მეტი ბგერითი ძალის კომპლექსში მოხვედრის გამო.

ამგვარად, რუსთველისეული რითმები არაა ერთსახოვანი. პოეტი ამ მხრივ თანამედროვეებთან შედარებით დიდ თავისუფლებას იჩენს. იგი არ მისდევს რითმებში თანხმოვანთა ზუსტად განმეორებას, უნაცვლებს ურთიერთს მსგავს ბგერებს, ზოგჯერაც აკლებს ან უმატებს თანხმოვანს. მაგრამ ეს შემთხვევები გამოუვალი მდგომარეობით კი არ უნდა აიხსნას. ისინი მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მიგვითითებს, რომ რუსთველი აქაც ვერ ეგუება ერთფეროვნებას და მსგავსი ბგერების შენაცვლებით ან რითმის საზღვრებში განსხ-

ვაევებული ფონემების მოხვედრით აღწევს მაღალ მუსიკალურ ჟღერადობასა და პოეტური სათქმელის სრულქმნილად გამოხატვას.

რუსთველი ზოგჯერ არღვევს რითმის საზღვრებს, რაც ჩვეულებრივ მახვილიან ხმოვანს ხვდება, და ბგერათა შეთანხმებულობის პრინციპს ამ ხმოვნის იქითაც იცავს. ასე აქვს მას გამართული ე. წ. მაჯამები: 1. ასად აგეს, 2. გაეკიდა, 3. დანაბადია, 4. უშენოსა, 5. არ იდენო, 6. დაებადა, 7. სამს ალებისა, 8. არე-მარე, 9. დარიანო.

სხვა მაჯამები „ვეფხისტყაოსანში“ თავსდება რითმის ჩვეულებრივ საზღვრებში. მაგრამ ამ საზღვრებს იქით ბგერათა შეთანხმებულობას რუსთველი იცავს მაშინაც, როცა სტროფი მაჯამურად არაა გამართული:

ავაღ-ებინე, ვალაღ-ებინე, შევაღ-ებინე, გავაღ-ებინე—455.
ატლას-ებისა, აღვს-ებისა, ხას-ებისა, დას-დას-ებისა—552.
გაგიგ-ია, იგ-ია, რიგ-ია, დამიგ-ია—443.
ერთხელ-ია, ხელ-ია, სახელ-ია, სახელ-ია—1653.
უბნევ-ია, უთქმევ-ია, უთნევ-ია, უთქმევ-ია—375.
წაგეკ-იდა, გადმეკ-იდა, აეკ-იდა, მარეკ-ი, და — 270.
ჰირ-ნახულსა, შესახ-ულსა, განზრახ-ულსა, არცა ხულსა—1471.

რუსთველისათვის სპეციფიკურია სარითმო კლაუზულებში საყრდენი თანხმოვნების დაცვა. ჩვენი დაკვირვებით, საყრდენ თანხმოვნებად იგი უმეტესად მჟღერ ბგერებს იყენებს, რაც აძლიერებს სალექსო ტაეპის მუსიკალურ ტონს (იხ. დამატება II, 1).

სარითმო კლაუზულების საყრდენი თანხმოვნები პოემაში სხვადასხვა ვარიანტითაა წარმოდგენილი:

1. ოთხივე სალექსო ტაეპში უცვლელად მეორდება ერთი და იგივე თანხმოვანი:

ძ-ნ-ელია, მქმ-ნ-ელია, ბ-ნ-ელია, საწუ-ნ-ელია—36.
სიყვა-რ-ულსა, ზ-რ-ულსა, დაფა-რ-ულსა, მხია-რ-ულსა — 152.
წაუხ-მ-იდეს, მიასხ-მ-იდეს, მიართ-მ-იდეს, წასდგ-მ-იდეს—76.
მოვი-დ-იან, გამოსხ-დ-იან, ატირ-დ-იან, ს-დ-იან — 967.

2. ზოგ ტაეპში სონორულ თანხმოვანს ენაცვლება სხვა სონანტები:

თხ-რ-ობილი, ც-ნ-ობილი, ჭ-ნ-ობილი, ძ-მ-ობილი — 934.
შეჰყო-ლ-ოდა, უხა-რ-ოდა, დარჩო-მ-ოდა, ითქ-მ-ოდა — 1425.
თქ-ვ-ენი, ვქ-მ-ენი, ვთქ-ვ-ენი, ძღ-ვ-ენი — 1051.
მომავ-ლ-ობა, გრძ-ნ-ობა, ც-ნ-ობა, უბ-ნ-ობა — 1581.
დაუ-ლ-ეწელი, გარდსახ-ვ-ეწელი, მ-ლ-ეწელი,
დაუფ-რ-ეწელი — 1043.
დამიწყ-ლ-ულა, გამის-რ-ულა, გარდას-რ-ულა,
გაბას-რ-ულა — 862.

3. ზოგიერთ ტაეპში მახვილიანი ხმოვნის წინ მდგომ მჟღერ

თანხმოვანს ენაცვლება მისივე ვარიანტები მკვეთრი და ფშვინვიერი თანხმოვნების სახით:

ბნ-დ-ებოდა, ჰკრ-თ-ებოდა, ეზარ-დ-ებოდა,
მობრუნ-დ-ებოდა — 1352.

ლ-ომისა, ტ-ომისა, წაძოჯ-დ-ომისა, ხაკრ-თ-ომისა — 1346.

გარი-სხ-ებული, გავ-ს-ებული, ღირ-ს-ებული, გ-ზ-ებული—538.

4. ტაეპებში ერთმანეთს ენაცვლებიან მჟღერობის ან მკვეთრობა — ფშვინვიერობის მიხედვით ერთმანეთს მიმსგავსებული თანხმოვნები:

ძღვნ-ისა, ძ-ისა, მ-ზ-ისა, ნეტარ-ძ-ისა — 1169.

ს-ოსანი, ბადახ-შ-ოსანი, ქარქა-შ-ოსანი, ტაიჭ-ოსანი — 72.

აიწ-ეოდა, შეირ-ყ-ეოდა, შეირ-ხ-ეოდა, დაი-ხ-ეოდა — 655.

5. საყრდენი თანხმოვნების ურთიერთშენაცვლების თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი შემთხვევები:

ა. I ტაეპის საყრდენ თანხმოვანს მეორეში ენაცვლება მკვეთრობის მიხედვით მსგავსი ბგერა, მესამე ტაეპში მახვილიან ხმოვანს წინ უძღვის შენაცვლებული და შემნაცვლებელი ბგერები, მეოთხეში კი მეორდება I ტაეპის საყრდენი თანხმოვანი. ასეთი შენაცვლება ბგერითი შესატყვისობის თვალსაზრისით სავსებით კანონზომიერია და თანაც მრავალფეროვანი ჟღერადობის გამომავლინებელი:

კ-აცისა, ტ-აცისა, ტკ-აცისა, მიგვიდრ-კ-ა ცისა — 825.

ბ. სარითმო კლაუზულები ძირითადად განსხვავებული თანხმოვნებითაა გაწყობილი, ბაგრამ ბგერათა გ:ოკვეულ კოპლექსებში ისინი ერთი საერთო მუსიკალური ტონის ქვეშ ერთიანდებიან და აღწევენ ბგერითს შეთანხმებულობას:

წ-ოლითა, ბრ-ოლითა, ძრწ-ოლითა. რბ-ოლითა — 1252.

6. სარითმო კლაუზულებში ძალიან ხშირ შემთხვევაში მახვილიან ხმოვანს წინ უძღვის ნებისმიერი თანხმოვანი:

ნ-ასი, ხ-ასი, ფლ-ასი, თ-ასი — 1205.

შ-ენია, ნაკ-ბ-ენია, გს-მ-ენია, ხ-ენია — 1260.

რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს ყველა ამის მიხედვით?

რუსთველი სარითმო კლაუზულის საყრდენად უმეტეს შემთხვევაში მჟღერ თანხმოვნებს იყენებს, რომლებიც აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით ერთგვარ სიახლოვეს ამჟღავნებენ მახვილიან ხმოვნებთან. ეს აძლიერებს პოემის სალექსო ტაეპთა ტოხს, რაც უზრუნველყოფს მთელი სტროფის აზრობრივ-მუსიკალურ მომენტთა შეთანხმებულობას. მაგრამ დიდი მგოსანი არ იზღუდება ერთი და იმავე საყრდენი თანხმოვნის ზუსტად განმეორებით; იგი აღნიშნული თანხმოვნების შენაცვლებით ისეთ ვარიანტებს გვაწვდის, რომლებიც განსხვავებული ელფერის მატარებელიც არიან

და ამავე დროს საერთო მნიშვნელის მქონეც. ამით დაძლეულია ერთფეროვნებაც და მოძებნილია ის საერთო ნიშანიც, რომელიც ბგერითი მასალის დიფერენცირებულ სახეობებს ჰარმონიულ ფორმას მისცემს. მაგრამ რუსთველს მახვილიანი ხმოვნის წინ მდგომ თანხმოვან ბგერათა შესატყვისობა არ გაუხდია თვითმიზნად, არ მიუყვანია იგი უკიდურესობამდე. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ გარკვეული საყრდენი თანხმოვნებით სარითმო კლაუზულების გამართვის პრინციპს იგი სისტემური სახით არ იცავს. მართალია, იქ, სადაც პოეტი ამ ხერხს მიმართავს, სტროფის აზრობრივ-ბგერობრივი მხარეები სრულ ჰარმონიაში გვეძლევა, მაგრამ მგოსანი რომ ყველგან გარითმვის ამ მანერას გასდევნებოდა, ვფიქრობთ, მის აზრთა განვითარებას თავისუფალი გასაქანი მოაკლდებოდა და პირველ პლანზე ბგერათა თვითმიზნური კომბინაციები წამოიწეოდა. ბუნებრივია, ასეთი ტენდენცია ხელს შეუშლიდა აზრის სრულყოფილად გამოვლენას. რუსთველი ამ გზით არ წასულა. და თუ ზოგჯერ მხატვრული ჩანაფიქრის გამოსავლენად საყრდენი თანხმოვნებით სარითმო კლაუზულების გამართვის ხერხს მიმართავდა, ბევრ შემთხვევაში ამ საშუალებას არ იყენებდა, რომ იგი პოეტური აზრის განვითარების მუხრუჭად არ გადაქცეულიყო. ამით მგოსანმა საკუთარ შემოქმედებითს პრაქტიკაში ნათელყო, რომ ყოველგვარი პოეტური საშუალება მიზანს მაშინ აღწევს, თუ იგი უნივერსალურ ხასიათს არ ატარებს და ამავე დროს მრავალსახოვან მხატვრულ ფორმათა სისტემაში თავის სპეციფიკურ მნიშვნელობასაც ინარჩუნებს.

„ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულია რითმის განსაკუთრებული სახეობა ე. წ. მაჯამა. რუსთველის მაჯამები სპეციალურად შეისწავლა კ. ჭიჭინაძემ. „ვეფხისტყაოსნის“ ჭიჭინაძისეული გამოცემის ბოლოსიტყვაობაში (გვ. 308 — 314) მოცემულია ცდა 19 მაჯამის გახსნისა; აქედან ზოგიერთი მაჯამის განმარტება სადავოა. გარდა ამისა, ერთი მაჯამა ზედმეტია „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიურ ტექსტთან შედარებით.

უნდა ითქვას, რომ რუსთველი არაა მაინცადამაინც გატაცებული მაჯამების შექმნით. „ვეფხისტყაოსნის“ 1669 სტროფიდან მხოლოდ თვრამეტია მაჯამით გამართული (137, 172, 179, 304, 394, 495, 708, 711, 714, 715, 734, 835, 1026, 1213, 1532, 1537, 1576, 1613). მაჯამა შინაგანი რითმის შექმნის თითქმის ერთადერთ საშუალებად იქცა ჩახრუხაძისა და განსაკუთრებით შავთელის ხელში. ტენდენცია შინაგანი რითმის მაჯამურად გამართვისა იმდენად ძლიერი იყო მათს შემოქმედებითს პრაქტიკაში, რომ მან დაჩრდილა პოეტური აზრის ბუნებრივი განვითარება და ხელოვნური ჩარჩოების არტახებში მოქცეული ლექსი ლამის უსიცოცხლო ჩონჩხად იქცა. ამაზე დასტურს გვაძლევს ნებისმიერი მაჯამები ჩახრუხაძისა და შავთელის ნაწარმოებებიდან:

„შენ არე მთენი! შენ არე მთენი
არ გგვანდეს შუქთა ჰაეროვნებად!
არა თუ ზევსი, არათ უზევსი,
არ, შენ ხარ მნათი დაუყოვნებად!
მის მიერ მისად მისმი ერმისად,
სხვათა მნათობთა მართ ბინდ-მხდრევნებად.
არს ასულ-ტანი — არსა სულტანი
არა თუ შინა სამაროვნებად“...[1]

„ბრძანონ სამალად, არ თუ სამალად:
ელი ამო სით, ეს რომ არა მით?
მასთან ა შორად, — ართუა შორად! —
ელია-მოსით, ესრომ-არამით.
ქველად ჭერითა, რისხვით ჭერითა
ელი ამ ოსით, ესრო მარ ამით.
მასარ ა რითა? მას არ არითა,
ელ ია-მოსით. ეს რომ ა, რა მით?“[2].

რუსთველს ლექსის გამართვის მაჯამური მანერა არ გაუხდია თვითმიზნად. იგი მხოლოდ ერთი შენაკადთაგანი იყო იმ მდიდარი რითმული კონსტრუქციებისა, რომელთაც დიდი პოეტი იყენებდა თავის უკვდავ პოემაში. სწორედ ამიტომ „ვეფხისტყაოსანში“ მაჯამები თავისუფალია ყოველგვარი ხელოვნური დანართისაგან და, რითმებად ომონიმური შინაარსის სიტყვების გამოყენების მიუხედავად, მთელი სტროფი წინა სტროფებში გამოხატული აზრების ბუნებრივ განვითარებას წარმოადგენს. რუსთველის მაჯამების სპეციფიკა მის ბუნებრიობაში მდგომარეობს. მათს ერთ-ერთ მთავარ ელემენტს ნასახელარი ზმნები წარმოადგენს, რაც სტროფს მეტ სიცოცხლესა და ძალას სძენს:

„თუცა მიგდის ღვარი ცრემლთა, მაგრა ცუდად არ იდენო,
ამას იქით ნუღარა სტირ, ჭირსა თავი არიდენო;
შენნი მჭვრეტნი ჩემთა მჭვრეტთა აგინებენ, არ იდენო;
რომე წეღან მოგეხვივნეს, იგი ჩემთვის არ ი დ ე ნ ო“. 495.

რა შეედრება თავისი ელასტიურობით, დინამიკითა და აზრთა თავისუფალი მდინარებით მაჯამურად გაწყობილ რუსთველის სტროფს:

„ეტყვის: „მზეო, ვითა გაქო, ნათელო და დარიანო!
შენთვის ხელნი გონებანი არა ცუდად არიანო,
მზიანო და მთვარიანო, ეტლად რაო და რიანო,
თქვენ საჭვრეტლად აღარ მინდით, არ ვარდნო და არ
იანო“. 1537.

როგორც ვნახეთ, „ვეფხისტყაოსანში“ რითმა გარკვეულ როლს ასრულებს სტროფის აზრობრივ-მუსიკალური მომენტების მოწეს-

[1] ჩახრუხაძე, ქება მეფისა თამარისი, 26-ე სტროფი — ჩვენი საუნჯე, 2, 1960.

[2] იოანე შავთელი, აბდულმესიანი, 24-ე სტროფი — ჩვენი საუნჯე, 2, 1960.

რიგებაში, ცალკეული ტაეპების დაკავშირებაში. სხვადასხვა რითმის გამოყენების საშუალებით რუსთველი მრავალსახოვანს ხდის პოემის მუსიკალურ ტონალობას და მით ამაღლებს მისი ესთეტიკური ზემოქმედების ძალას. მხატვრული ფორმა დიდი მგოსნის პოეტურ პრაქტიკაში განუყოფელია მისი ფუნქციისაგან, ორივე ერთად კი იმ ესთეტიკური კონცეფციისაგან, რომელსაც ექვემდებარება „ვეფხისტყაოსნის“ მთელი არქიტექტონიკა.

§ 4. „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური მეტყველების მეოთხე სპეციფიკურ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ სიტყვათა ორიგინალური ფორმების გამოყენება წმინდა მხატვრული ფუნქციით. ეს ფორმები პოემაში წარმოდგენილია ნასახელარი ზმნების, ზმნისეული პრეფიქსების განმეორებისა და ტმესის სახით.

ა. ნასახელარი ზმნების გამოყენების ფაქტი „ვეფხისტყაოსანში“ ადრიდანვე იყო შენიშნული. ასე მაგალითად, მარი ბროსემ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში განსაკუთრებით გამოყო სახელისგან წარმოქმნილი ზმნური ფორმები და ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც არსებითი სახელისა და მიმღეობის შეერთების საფუძველზე მოქმედების აღმნიშვნელ ფორმებს გვაძლევს. მაგალითად:

1. გ ა მ ო მ ე ლ დ ა, მელასავით გაჩუმდა (გვ. 227).

2. გ ა ხ მ ა მ ყ ი ვ ა რ დ ა, ხმა-მაღლა ყვირილი დაიწყო (გვ. 227).

სახელთა გაზმნავების ფაქტს ყურადღება მიაქცია ცნობილმა ქართველმა რუსთველოლოგმა თეიმურაზ ბატონიშვილმა. ასე მაგალითად, 734-ე სტროფში ნახმარ ფორმას „დაებადა“ („მისი ნახვა გულსა ჩემსა ვითა ბადე დაებადა“) მკვლევარი ასე განმარტავდა: „დაებადა — ბადედ შეექმნა, ბადე თავს დაეხურა, ბადედ ექცა“ („განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა“, გვ. 60).

„ვეფხისტყაოსანში“ ნასახელარი ზმნების ხმარების შემთხვევები (გამილომდეს, გაალომნეს, იშვლეს, ითხეს) შენიშნული ჰქონდა ნ. მარს («Древнегрузинские одописцы»).

წინამორბედ მკვლევრებთან შედარებით დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ მ ა „ვეფხისტყაოსნის“ 1903 წლის გამოცემას დართულ ლექსიკონში ფართოდ გამოავლინა სახელისაგან მიღებული ზმნური ფორმები.

არსებითი სახელისაგან ზმნის ფორმათა წარმოების საკითხში მეტი სიცხადე შეიტანა ი. აბულაძემ. „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური ენის სპეციფიკის გამოვლინებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს მის შემდეგ მოსაზრებას: „პოეტი თავის სიტყვებს: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“-ო, ყველაზე უფრო ამართლებს იმით, რომ რთულ სიტყვას, რომელიც შემდგარია მსაზღვრელი და სასაზღვრისაგან, აქცევს მოქმედების სახელად და ამნაირად წარმოებული ზმნის ფორმა, ქვემდებარესთან ერთად, არის გამომხატველი მთელი წინადადების: ასე, მაგ., პოეტი სიტყვებისაგან „სისხლის მდინარე“ შემდგარი რთული სიტყვის „სისხლ-მდინა-

რე"-საგან ადგენს მოქმედების სახელს სისხლმდინარება-ს, რომლისაგანაც აწარმოებს ლექსისთვის ვნებითს ფორმას — „გასისხლმდინარდა", იხ. 521,4.

ამგვარივეა ფორმა „ხმამაღლა — გახმამყივარდა",
512,3 (გვ. 173)[1].

სახელისა და ფორმაუცვლელი სიტყვების გახმავების ფაქტს პოეტიკის თვალსაზრისით შეეხო ვ. ბერიძე. მისი აზრით, რუსთველი „ქართულში არსებული ზმნების მარაგით არ კმაყოფილდება. მისთვის ეს მარაგი უკმარია და ამიტომ აზმნავებს სხვადასხვა სახელს და არა მარტო სახელს, უფორმო სიტყვებსაც და ამით სისწრაფის, მაშასადამე, ეკონომიურობის მაქსიმალურ ეფექტს იძლევა"[2].

შ. ნუცუბიძის აზრით: «Руставели произвольно образовывал глагольные формы от существительных — это одна из характерных черт его поэтики»[3].

როგორც ამ მოკლე ექსკურსიდან ირკვევა, მ. ბროსეს, თ. ბატონიშვილს, ნ. მარს, დ. კარიჭაშვილს „ვეფხისტყაოსანში" ნასახელარი ზმნები აინტერესებდათ ლექსიკური თვალსაზრისით. ი. აბულაძე, ვ. ბერიძე და შ. ნუცუბიძე შეეცადნენ გაერკვიათ ამ ენობრივი ფაქტის გამოყენების პოეტური ფუნქცია. „ვეფხისტყაოსანში" ხმარებულ სიტყვათა ორიგინალური ფორმების მხატვრული დანიშნულების გათვალისწინებისათვის ორივე თვალსაზრისით წარმოებულ კვლევას გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

ჩვენს საკითხთან უშუალო კავშირი აქვს ი. აბულაძის, ვ. ბერიძისა და შ. ნუცუბიძის მოსაზრებებს. ისინი სწორად შენიშნავენ, რომ რუსთველი მიმართავს სახელისაგან ნაწარმოებ ზმნურ ფორმებს. უთუოდ გასაზიარებელია ი. აბულაძის აზრი იმის შესახებ, რომ ამგვარი ფორმები მთელ წინადადებას უდრის და პოეტი მას რითმადაც იყენებს. ასევე, სწორია ვ. ბერიძის მოსაზრებაც გაზმნავებული სახელების დანიშნულების შესახებ. მაგრამ ამით არ ამოიწურება რუსთველის მიერ ნასახელარი ზმნების გამოყენების მხატვრული ფუნქცია.

სახელისა და სხვა მეტყველების ნაწილებისაგან წარმოქმნილი ზმნური ფორმების გამოყენების სპეციფიკა „ვეფხისტყაოსანში" მაშინ გაირკვევა ზუსტად, როცა რუსთველის პოემას ამ მხრივ შევადარებთ მისი წინამორბედი და თანამედროვე ლიტერატურის ძეგლებს. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებანი კი მიღებულია მხოლოდ და მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის" სტროფებზე დამყარებით. ეს აუცილებელია, მაგრამ საკმარისი როდია.

---

[1] ი. აბულაძე, მე-XII-ე საუკ. ქართული საერო მწერლობა და „ვეფხისტყაოსანი", 1923, გვ. 173.

[2] ვ. ბერიძე, შოთას პოეტიკისათვის, ენიმკის მოამბე, III, 1958, გვ. 178.

[3] Шалва Нуцубидзе, Творчество Руставели, Тбилиси, 1958, стр. 394.

არაა ზუსტი, თითქოს სახელისაგან ნაწარმოები ზმნური ფორმები მხოლოდ რუსთველის პოეტიკის დამახასიათებელი თვისება იყოს; არაა სწორი, თითქოსდა პოეტი ამგვარ ფორმებს თვითნებურად აწარმოებდა სახელებისაგან. რუსთველის თანამედროვე და წინამორბედი ქართული ორიგინალური და ხათარგმნი ლიტერატურის ძეგლები სარწმუნო ჩვენებებს გვაძლევს იმის შესახებ, რომ სახელისა და სხვა მეტყველების ნაწილთა ზმნად ქცევის ტენდენცია უცხო არ ყოფილა ჩვენი მწერლობისათვის და დიდი მგოსანი ყველა დროისა ამ მხრივაც ღირსეული მემკვიდრე იყო თავისი წინაპრებისა.

მთავარია არა ის, რომ რუსთველი სახელისაგან ნაწარმოებ ზმნურ ფორმებს იყენებს. არსებითია ის, თუ აღნიშნული ჯგუფის სიტყვებიდან კერძოდ როგორი ხასიათის ფორმებს მიმართავს იგი და რა ფუნქციას აკისრებს მათ. მეტყველების სხვადასხვა ნაწილის გაზმნავების ტენდენცია ქართული ენის განვითარების ისტორიაში სავსებით ბუნებრივ პროცესად ჩანს. თქმულის საილუსტრაციოდ მივმართავთ ძველი ქართული ენის ტექსტებს:

„და უწოდა მას ჯურღმულსა მას უსამართლობა, რამეთუ **ეუსამართლოვნეს** მას“ (დაბ. I, 49).

„და ყოველნივე რამდენიცა გამცნე მე, ათეულად **განგიათეულნე** იგინი შენ“ (დაბ. I, 55).

„და **შაბათობდეთ** შაბათსა მას თქუენსა“... (დაბ. I, 248).

„ზღუით დიდითგან **იზღუინის** მზის დასავალამდე“ (დაბ. I, 484).

„...და **დაუსარეცლა** საულსა ქორსა ზედა, და დაიძინა...“ (დაბ. I, 569).

„...და ნუ მოიხსენებ რაოდენი **იუსჯულოვა** მონამან შენმან...“ (დაბ. I, 668).

„...და **ისაძაგელა** ფრიად სლვად კვალსა შინა საძაგელებათასა...“ (დაბ. I, 754).

„და არა **იჭეშმარიტებით**...“ (დაბ. I, 856).

„...და პირველ ვიდრეღა აღბეჭდულ იქმნენ იგინი, რომელნი სარწმუნოებას **საუნჯობდენ**“... (დაბ. I, 1063).

„ამისთჳს ჰირი მრავალი და სიგლახაკენი იყოფოდნენ მათ ზედა, რომელი **სავანობენ** საუკუნოსა უკანასკნელთა ზედა...“ (დაბ. I, 1074).

„ხოლო უწყი რამეთუ **ვიარაწმიდე**, არამედ ვინ არს რომელი იხსნეს ხელისაგან შენისა...“ (დაბ. II, 16).

„მტკიცედ იხილონ, რომელთაცა ფიცით დაერწმუნნეს, **გაკეთილსულგრძელდენ**“... (დაბ. II, 291).

„არა **განიფესვნეს** შჳლნი მისნი ძირთა შინა და რტოთა მისთა არა ქმნან ნაყოფი“ (დაბ. II, 326).

„ნეტარ არს რომელი ცხოვრებს ცოლისა თანა მეცნიერისა, და რომელმან ენითა თჳსითა არა **იუსარგებლა**“... (დაბ. II, 329).

„სადა არიან უხუცესნი ნუ **მრავალმეტყუელებ**“... (დაბ. II, 338-339).

„**შეერთხმავდა** არამ ეფრემისთანა“... (დაბ. II. 380).

„და იყო მას ჟამსა შინა **მოუსუსურდა** ეზეკია...“ (დაბ. II, 427).

„მე **სიტყუს ვმგებლობ** სიმართლესა“ (დაბ. II, 466).

„**იანეულენით** თავთა თჳსად ანეულნი, და ნუ სთესავთ ეკალთა ზედა“ (დაბ. II, 480).

„ნუ ისმენთ ძილის შორისთა თქუენთასა: რომელთა **იძილის შორისებთ** თქუენ (დაბ. II, 533).

„თუესა შინა მეცხრესა, **იეკკლესიეს** მარხვა წინაშე პირსა უფლისასა“ (დაბ. II, 552).

„**იგულის სიტყუა** უფალმან განხრწნა ზღუდესა ასულისა სიონისასა საზომიერად“ (დაბ. II, 596 — 597).

„...და **ამრჩობლწილე** მახჳლი მესამე“ (დაბ. II, 663).

„მუნ დაითხინეს ძუძუნი მათნი, და მუნ **გარდაიქალწულეს**“... (დაბ. II, 667).

„და **დაიკარვონ** ბანაკითა მათითა შენ შორის...“ (დაბ. II, 673).

„...და **ეზედმპყრობელა** მათ ზედა ყოველი ხელი“... (დაბ. II, 682).

„ცუარისა შორის ცისასა **სადგურიანობდეს**...“ (დაბ. II, 743).

„...ესენი ყოვლისა ებრ სახისა **ბოროტ გონიერებენ** ჩუ**ჱ**ნდა“... (დაბ. II, 980).

„ესე იგი არს წყლული რაჲმე და არა მტკიცე, და არცა ზრქელი ცისა აგებულებად **შეანივთა**“ (ექ. დღ., 10).

„რ-ლითა **შეანივთებდეს** და შეჰკრებდეს მრავალწილსა“... (თარგმ. ეკლ., 37).

„და სხუათათჳს გჳთხრობენ ჩუენ, რომელნი-იგი წიაღთა მათ ეგჳპტისათა **ისათხევლობენ**“... (ექ. დღ., 83).

„ხოლო არხილულსა მიენდობჳიან სარწმუნოებისა მიერ და **ძჳრხილულობენ**“... (თარგმ. ეკლ., 102).

„**დაადაშნებს** სიბრძნით აღმოთქუმულთა სიტყუათა“ (თარგ. ეკლ., 146).

„და ვითარმედ ძუელთა მათ სულიერებისა-ებრ სახარებისა მიმართცა **იმოჭალაქების** შჯული“ (თარგმ. ეკლ., 149).

„და **ისიბრძნისმოყუარა** უფროჲს ყოველთა კაცთაჲსა“ (თარგმ. ეკლ., 174).

„არა უწყია, რასა მსგავს არს საფასჲ? მსგავს არს იგი მეძავსა, რომელი სხუასა ზრახავნ და სხუასა **უწამწამებნ**...“ (მამ. სწ. 90).

„რომელ გჳქადაგეს გამოჩინებაჲ ძისა ღმრთისაჲ, შენ თანავე **ფსალმუნებენ** დღითი-დღედ“ (მამ. სწ. 198).

„მხოლოდ მარტოჲსა ოდენ გრძნობისა საქმე არს, არამედ დაუხშიროს რაჲ და **ამრავალგზისოს**“... (ბუნ. კაც., 79).

„...რომელობანი უსხეულო არიან თჳთ თავთა-შინა თჳსთა, ხო-

ლო შემთხუჱვით სიზრქეთა-შორის **დარომელოვნდებიან**“ (ბუნ. კაც., 26).

„ვითარ ამათ მიერ კეთილმეხელონეობაჲ ყოველთა ღმრთისა დამბადისაჲ **დაუზესთავდების** მხედველსა“ (პეტრ., II, 4).

„...რომელთა **იფილოსოფოსეს**, მათ შორის ოდენ დასდებს მოქმედებითსა სულსა და გონებასა“ (პეტრ., II, 9).

„ანუ რაჲ გაიგონოს, რომელმან **წარმოაარსა** და აღამკო არსებაჲ გონებისაჲ?“ (პეტრ., II, 9.).

„ესე სახენი იგავად ოდენ **ესახეებიან** და **ეიგავებიან** მას ერთებრივსა რიცხუსა“... (პეტრ., II, 14).

„...თან მისცემენ თჳსთა კეთილობათაჲთ და **აკეთილებენ** ყოველთა“ (პეტრ., II, 14).

„ბუნებით უსრულობისგან მოვალს სრულებად და ძალი სრული **ეპირველების**“ (პეტ., II, 18).

„...ყოველნი რიცხუნი ღმრთეებრივთა მხოლოთანი მის სწორებით განყენებულისა ერთისად შეკრბებიან და მათ ორთა წყაროთამდი, რომელნი მის უცხოჲსგან **წარძოიწყაროვნეს**“... (პეტრ., II, 21-22).

„...და მაარსებელითა ძალითა თჳსითა **დაუმრავალკეცდების** და იპყრობს თჳს გამო ძემდგომთა გუამოვნებათა“ (კავშ. ღმრთ., 23).

„...ყოველ შედგმულსა მარტივნი **ეწინაებიან** და ყოველსა სიმრავლესა ერთი **დაუპირველდების**“ (პეტრ., II, 30).

„..თჳთებაჲ თჳსი ესრეთ **ამრავალძალა**, რომელ შემდგომთა თჳსთა **აარსებს**“... (პეტრ., II, 32).

„ყოველნი არსნი, რანიცა სთქუნე, იწადებენ მას და **იგულმეთქუებენ**“ (პეტრ., II, 33).

„...**ემდევრების** ყოველი მწადი საწადსა და მეტრფე სატრფოსა თჳსსა...“ (პეტრ., II, 33).

„და კუალად და **დაუუცნაურდების** მიყოფასა შორის გასაგონოჲსასა“ (პეტრ., II, 34).

„არცა ერთი თან განმრავლდების მყოფთა, რაჲთა ერთობაჲ არ უკუივლტოს თჳსგან და არ **ითანაებს** ბუნებისა თანშეკრვასა“... (პეტრ., II, 39).

„საღაცა მყოფთასა თან **მიბუნებებულა** ერთი, კეთილ მისდა არს“... (პეტრ., II, 45).

„გესმა, რამეთუ უსრულესი უფრო **ეძეგლების** კეთილობასა“... (პეტრ., II, 69).

„...ნიადაგ ყმდების, ნიადაგ ყუავილდების, ნიადაგ **აასფოდელოვდების**“... (პეტრ., II, 71).

„**სამარადისობს** თჳსსა მიზეზსა შორის არა ვითარ სხუაჲ სხუასა შორის“... (პეტრ., II, 80).

„და კუალად ზედ **უკუალადებს** თხზვასა...“ (პეტრ., II, 86).

„რამეთუ განყოფასა და წარმოშობასა გებაჲ **ეპირატების**“... (პეტრ., II, 88).

„...**ემხედვარების** ყოველსა არსთა ანაქუსსა“... (პეტრ., II, 93).

„სიწლოჲ და სიწმიდე **დაუმრავალძალდების**“.. (პეტრ., II,97).

„უგუარობასაცა ნივთისასა **აგუარებენ** და **ადღეებენ**“. (პეტრ., II, 98).

„...რაოდენთაცა მიერ წარმოიყენოს მიზეზთა, ყოველთაგან მიიღებს და **შემრავალკეცდების**“ (პეტრ., II, 126).

„პირველი საზღვარი, ესე იგი არს პირველი და ზესთაჲ გუარი გუართაჲ, რომელი **გაასაზღვრებს** და გუარ იქს“... (პეტრ., II. 142).

„აწ ესე ყოველთა მბადისა მიერ **კეთილ-იმუსიკელა**“ (პეტრ., II, 152).

„ვინაჲ ესრეთ პირველნი ყოველნი თჳსთა უზენაესთა თან **ესახისფერებიან** არსებათა სიწმიდითა“ (პეტრ., II, 155).

„...მის ერთისა მიერ **წარმოირიცხუა** რიცხჳ და მყოფობაჲ ზესთ არსთა და ერთთაჲ“ (პეტრ., II, 160).

„არცა განჭეებაჲ დაამხობს თანაუზიარებელსა თჳსსა და ერთებრივსა ზესთ მექონეობასა და კუალად არცა თჳნიერ შეერთებისა განგებასა **აარარაებს**“ (კავშ. ღმრთ., 74).

„აქა ერთობასა და მარტივობასა თან **დააერთებს**, რამეთუ რაჲზომცა მარტივ, ეგზომვე მსგავს ერთისა“... (პეტრ., II, 64).

„და კუალად თან **ეტომვის** განწვალებულსაცა რიცხუსა მიზეზითა სიმრავლისაჲთა“ (კავშ. ღმრთ., 79).

„და თითოეული ამათი უმახლობელეს მათდა ზესთ მდებარისა მათისა მიერ და **მიენერგვის** ვინაჲვე უკუანაჲსკნელთამდე“... (კავშ. ღმრთ., 80).

„ხოლო უმეტეს ზემდებარე უმეტეს შეეყოფვის თჳსთა დაზესთაებულთა და **დააერთისგუარებვის**“ (პეტრ., II, 167).

„ყოველი ღმრთეებრი თჳს მიერ **იდასაბამებს** მოქმედებათა“ (კავშ. ღმრთ., 81).

„ზემოთა შორის **დავმრავალვლექსეთ**, ვითარ უფრო ყოვლებრივი უმეტეს უმახლობელეს პირველთა და სირათ-დასაბამთა“... (პეტრ., II,169).

„ესე ხედვანი **დააზედაჲსზედავნა**, ვითარ ზესთ სათანადონი“ (პეტრ., II, 170).

„იტყჳს, ვითარმედ ყოველთა განმღრთობილთა **ემწუერვალების** ნამდჳლ მყოფისა მართულებაჲ (პეტრ., II, 170).

„და პირველ თჳთ **დაემანვიან** ესვითა მიუდრეკელნი“... (პეტრ., II, 173).

„...ყოველი არსებაჲ და გუარი შედგმასა მიიღებს და ეგრეთღა **გაგუარდების**...“ (პეტრ., II, 180).

„ხოლო რომელთამე შორის საზღვრისა რომელობაჲ უფრო **დაროშელდების**“... (პეტრ., II, 181).

„რამეთუ ვარსკულავთა მოქმედებითი ხიბლვაჲ ესვითა თი-ხის-მეკეცეობს...“ (პეტრ., II, 196).

„ესე ხედვაჲ ზემოთა თან მიუდასე“... (პეტრ., II, 200).

„და ესთა კუალად უკუ **ისფერებს** თჳსდადვე და თჳსისა ცხო-ველობისა“ (პეტრ., II, 201).

„... ესე ვითართა კეთილთაჲთ **უფსკრულობს** სასოება სიძლიე-რითა“... (პეტრ., II, 211).

„...რომელსა აწ წინმეთქუე **იბუნებათმეტყუელებს** მეხუთისა მის არსებისათჳს“... (პეტრ., II, 211).

„...ტრფიალებაჲ **გჳჩუენშორისა** მბადმან ჩუენმან ღმერთმან“... (პეტრ., II, 214).

„არამედ აწ ესე თანწარვლის სახედ **იღმრთისმეტყუელა**“... (პეტრ., II, 218).

„და სხუაჲ ესე სახე **მრავალგუარეულობს**“... (პეტრ., II, 221).

„...სახელითა სამოთხისაჲთა **განსხუახმავდეს**...“ (პეტრ., II, 226).

„...არა ინება გამოღება ხელთაგან მის მკუდრისათა რომელსა-იგი მაგრად და სურვილით **შემოემკრდა**“ (ლ. მრ., 100).

„ცასა ცათასა დამწყებს ღმერთ-მთავრობასა
**ძე საუკუნობს** პირველი და კვლადი“ (ისტ. და აზმ., 109).

„ვითარ ლაშქარნი ახლისა დავითისანი წყობათა დავითისთა იერუსალემს ერთობდეს, აწ — შვილისა მისისა, თამარისანი, რომე-ლი დავით წინაჲსწარმეტყუელითგან **ორხმეოცდაერთობს** შვილად ცხებულად“ (ისტ. და აზმ., 106).

„და ნაკადნი ცრემლთანი ოთხთავე თუალთაგან, ურთიერთას მოხუევასა შინა, მსგავსად სამოთხისა, **მომცენარეობდეს**“... (ისტ. და აზმ., 70).

„**იმამებრივა** მამამან ძისა...“ (ისტ. და აზმ., 63).

„შენ **ეცოლე** მას და ნატამალი გაგუიმრავლე“... (ვისრ., 12).

„ლაშქარნი თავის თავისთა ადგილთა **განიადაგდეს**“... (ვისრ., 35).

„**დაანაყოფიანე** სიხარულის შტო“... (ვისრ., 81).

„დადვა გული, რომელ არაით ღონითა არ **იავქცეოს**“... (ვისრ., 78).

„რა ჩემი მოყუარე **გაციხოვნებულა**, მუნითგან მე ათასითა ბორკილითა და ჯაჭუითა შეკრული ვარ“ (ვისრ., 133).

„ზაფრანის ფერი პირი **გაუვარდდა**“... (ვისრ., 134).

„ორითავე ხელითა პირსა ესრე უწყალოდ იცემდის, რომელ **გაუისფრდა**“ (ვისრ., 136).

„დარბაზი მისისა ტანისაგან **გასურნელდა**“... (ვისრ., 153).

„მე მიწაცა ცრემლითა **დავათიხე** და მას შრეტა ვერ შეუქმენ“ (ვისრ., 196).

„მე ხელად მიჩნდა ქორისა ზრდა და დაგება, გავზარდე ერთი მართუე ათასითა ნებიერობითა. რა **იკაპოეტა**, ახალი ნაკრტენი მო-იწყო, ალაღდა და აფრინდა“... (ვისრ., 196).

„თუ ესეთისა ყოფნისაგან ვტიროდი, ნუ გიკუირს, ნუვინ **მიაუგებთ**“ (ვისრ., 209).

„თავი ემრუდებოდა და მოყუარე **ეზენარიანებოდა**, სიყვარულისა გაახლებულობა და მოსურვებულობა ჰრევდა...“ (ვისრ., 233).

„ბაგეთა ჩემთა ლალობა **გაფეროზებულა**“ (ვისრ., 305).

„მიწყივ ვარდი მზე იყო და აწ **გამთუარევდა**“... (ვისრ., 302).

„...აწ სისავსე ჩემი დამჭნარა და ღაწუისა ჩემისა ფეროვნება **გაზაფრანებულა**“ (ვისრ., 306).

„ღაწვი **უმწყაზრობს** გაბრწყინვებულად“ (ჩახრ., 6,4).

„ვინ ხრმლითა **ბადრობს**, უშიშ-უკადრობს...“ (ჩახრ., 8,7).

„ელნი **ელნობდეს**, ვინ სოგრატ ბრძნობდეს...“ (ჩახრ., 15,1).

„მან **იქალაქა**“. (ჩახრ., 17,1).

„მანა თოვლითა, მანა თოვლითა
**ღაწვ-მულღაზარობს** გამომღებარე“ (ჩახრ., 31,6).

„ი ცის კარებით, **იცისკარებით**“ (ჩახრ., 48.1).

„გტურფობს მოხედვა, **ბროლ-ვარდობს** ყელი“ (ჩახრ., 62,4).

„აქა მან დავით **აქამანდა** ვით...“ (ჩახრ., 36,1).

„ეწოდა მამა, ძე ეთამამა,
სული **ეწრფელა** მთავრობიერსა“ (ჩახრ., 102,5-6).

როგორც სხვადასხვა ძეგლიდან მოყვანილი ადგილები მეტყველებს, სიტყვათა გაზმნავების ტენდენცია ძველი ქართულის წიაღშივე რეალური გამოხატულება იყო ენის განვითარების თავისუფალი, ძალდაუტანებელი, ბუნებრივი პროცესისა. რუსთველის მხატვრული ენის ძალა სწორედ იმაშია, რომ იგი სახელებისაგან თვითნებურად კი არ ქმნის ზმნურ ფორმებს, არამედ ეყრდნობა ჩვენს მდიდარ ენობრივ მემკვიდრეობას და ამ ამოურწყველი საგანძურიდან პოეტური სახეებისათვის არჩევს ექსპრესიული შინაარსისა და ესთეტიკური განცდების აღმძვრელ ზმნურ ფორმებს. ამ მხრივ ზოგჯერ სიტყვებშიც შეინიშნება დამთხვევა წინამორბედებთან (დაიკარვონ, უწამწამებნ, გაუვარდდა...), მაგრამ ეს არაა არსებითი. მნიშვნელოვანია ის მომენტი, რომ რუსთველი, ისე როგორც მისი წინაპრები და თანამედროვენი, ერთი და იმავე პრინციპის მიხედვით ქმნის ახალ სიტყვებს. რუსთველამდელი სიტყვათშემოქმედნი ზმნურ ფორმებს აყალიბებდნენ არა მხოლოდ არსებითი სახელებისაგან, ზედსართავის (მოუსუსურდა, ისაძაგელა, ეზედმპყრობელა, აკეთილებენ...), ნაცვალსახელის (დარომელდების, დარომელოვნდებიან, აარარაებს...), რიცხვითი სახელის (გახგიათეულნე, ამრჩობლწილე, ოთხმეოცდაერთობს, ეპირველების, დაუპირველდების...) და ფორმაუცვლელი სიტყვებისაგანაც (ამრავალგზისოს, ითანაებს, ეწინაებიან...), აგრეთვე ორი სხვადასხვა მეტყველების ნაწილის შეერთების ნიადაგზე (ვიარაწმიდე, გაკეთილსულგრძელდენ, მრავალმეტყუელებ, შეერთხმავდა, იძილისშორისებთ, იგულის სიტყუა, ძვრხილულობენ, ბოროტგონიერებენ, ისიბრძნისმოყუარა,

დაუმრავალკეცდების, შემრავალკეცდების, დაუმრავალძალდების, კეთილ-იმუსიკელა, ესახისფერებიან, დავმრავალჭლექსეთ, იბუნებათმეტყუელებს, თიხის-მეკეცეობს, მრავალგვარეულობს, გჩვენშორისა, განსხუახმავდეს, იავქცეოს, ღაწვ-მულღაზარობს...).

ამრიგად, სხვადასხვა სიტყვისაგან ზმნური ფორმების წარმოების მხრივ რუსთველს არაფერი აქვს უცნაური; იგი აგრძელებს წინაპართა ტრადიციას და ოსტატურად იყენებს მას თავისი მხატვრული მიზნებისათვის.

მაშ, რაშია ზმნური ფორმების გამოყენებასთან დაკავშირებით „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური მეტყველების სპეციფიკა? რუსთველი ყველა სიტყვას როდი აზმნავებს. იგი შერჩევით იყენებს ამგვარ ფორმებს. ცნობილია, თუ რა ესთეტიკური ღირებულება ჰქონდა რუსთველისათვის ძვირფას ქვებს, ხეს, ვარდს, ყვავილებს, მნათობებს. პოეტი არ კმაყოფილდება ამ სიტყვათა არსებითი სახელის ფორმებში წარმოდგენით. იგი აზმნავებს მათ. ამით შემოქმედი აღწევს საგანთა ურთიერთმიმართების ჩვენებას მოქმედებაში, ამავე დროს მოქმედების გასაგნებას. რუსთველისეულ ზმნურ ფორმებში მინიატურულადაა წარმოდგენილი მთელი წინადადება; მათი საშუალებით თვალსაჩინოდ წარმოგვესახება დინამიკური პროცესი პერსონაჟის სულიერი განწყობილების ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლისა; გაზმნავებულ სიტყვებში მძლავრად იგრძნობა ის სილამაზე და სურნელება, რაც ახასიათებდა მის პირვანდელ ფორმებს. ზმნად ქცეულ სიტყვებში ეს თვისებები არაჩვეულებრივ ელვარებასა და იერს იძენენ და მკითხველს განაწყობს მხატვრული სურათის ამაღლებულად განცდისათვის.

მაგალითები:

„ნახეა მჭვრეტელთა ახელებს, ტანი ლერწამობს რხევითა“. 979,4.
„გამოიღო რიდე მისი, ვინ ბაგეთა ვარდი ვარდა“. 1339,3.
„ორნიე მიჰხვდეთ წადილსა, იგი ვარდობდეს, შენ იე“. 1271,4.
„ანუ ბაღს ალვა საროსა ახლოს რგოს, მორწყოს, ახიოს“... 711,2.
„ვინ უწინ ედემს ნაზარდი ალვა მრგო, მომრწყო, მახიო“... 715,1.
„ვისი გინდა უშენოსა პირი მემზოს, ტანი მეხოს?!“ 532,3.
„გამიცადა, ღმერთსა ჰკადრა: „შენ ასეთნი ხენი ვით ჰხენ!“ 596,1.
„კელაცა მითხრა: „ვისცა ღმერთი საროს მორჩსა ტანად უხებს“... 633,1.
„დააცთუნნა, მაგრა მისთვის აალმასნა, არ აძენწა...“ 760,2.
„მუნ პირი ჩემი გაბროლდა და ღაწვი გამელალოდა“. 380,4.
„ვარდმან ფერი განანათლა, ბროლი ბროლდა, სათი სათდა“... 867,3.

მცენარეული სამყაროს ამსახველი ლექსიკის გაზმნავე-

ბის მხრივ რუსთველის წინამორბედად უნდა ჩაითვალოს „ვისრამიანის“ ქართულ ენაზე მთარგმნელი, რომელსაც აქვს ასეთი ფორმები: გაუვარდდა (134), გაუისფრდა (136), გაზაფრანებულა (306)... ორგან ჩახრუხაძეც მიმართავს ამგვარ ფორმებს: ღაწვ-მულღაზარობს (192), ბროლ-ვარდობს (201), ხოლო ერთგან იგი „აბდულმესიანშიც“ გვხვდება: „არდამი ვ ა რ დ ა“ (60,7).

მაგრამ ზმნური ფორმების წარმოების თვალსაზრისით რუსთველის ლექსიკა უფრო ფართო ხასიათისაა და ფუნქციურადაც შორსაა გამიზნული. ასე მაგალითად, მძაფრი სულიერი განწყობილების გადმოსაცემად პოეტს ზმნის ფორმაში გადაჰყავს გრამატიკული ღნიშვნელობის მიხედვით განსხვავებული სიტყვები, ტვირთავს მათ ემოციური ზემოქმედებითობის იერით და ამით მთელ ტაეპს ანიჭებს შინაგან ძალასა და სიმტკიცეს:

„მას მოყვრისა მოშორება კვლა აბინდებს, არ ადილებს“. 713,4.
„უშენოდ მყოფსა ღამე და დღეცა მესაღამოების“... 643,3.
„იგი პირ-მზე ეეღარ პოვეს, პირი მათი იფერმკრთალეს“... 173,2.
„ვირე მომკლვიდეს, მოვკვდები, სიცოცხლე გასაწყინარდა,
დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა“[1]. 582,3-4.
„მეფესა ესმა, აიჭრა, მარჯ მისგან გასატკივარდა,
შენ დაგიზახნა: „მიხმეთო“, ხმა-მაღლად გახმამყივარდა“. 572,2-3.
„ქალი დამხვდა ნატირები, ეჰკითხე: ცრემლსა რასა ჰმილდი?“ 554,2.

---

1 რუსთველისეული ზმნური ფორმების დინამიკურობის ნათელსაყოფად ოდენ „გასისხლმდინარდაც“ იკმარებდა. ამ ფორმის საშუალებით, რომელიც 2 სახელის გაზმნავების გზითაა მიღებული, პოეტი ერთ-ერთ უძლავრეს მხატვრულ სურათს ქმნის. თვით ქართული მთარგმნელობითი დარგის შესანიშნავმა ოსტატებმაც კი, რომელთა შემოქმედებითს პრაქტიკაში სახელთა გაზმნავების ხერხი ძალიან ხშირად გამოიყენებოდა, ვერ შეძლეს მძაფრი ვითარების გამოსახატავად მსგავსი დინამიკური ფორმების მოძებნა. ასე მაგალითად, „სჯმეონ მესვეტის ცხორებაში“ ვკითხულობთ: „მუნქუესვე დადგა მდინარე იგი სისხლისა მისისაჲ (კიმენი. I, გვ. 270). ვერც ორიგინალური ქართული მწერლობის შესანიშნავ ძეგლებში ვხვდებით მსგავს ფორმებს. „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“-ში ჯ უ ა ნ შ ე რ ი ხუასროსა და კეისარ კარნიფორას ცხარე ბრძოლის სურათის გადმოცემისას პერიფრასტული ვნებითის ფორმით კმაყოფილდება: „და დაიხოცა ორთაგანვე სპათა, რომელ იქმნა სისხლისა მ დ ი ნ ა რ ე“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 203). ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს-ძე „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“-ში ბერძენთა მეფის ერეკლეს ბრძოლას ცეცხლის მსახურთა წინააღმდეგ ასე გადმოსცემს: „და მიაწიეს ყოველთა მათ ზედა მახჳლი, და ეკლესიათა შინა მ დ ი ნ ა რ ე ნ ი ს ი ს ხ ლ თ ა ნ ი დ ი ო დ ე ს“ (ქართლ. ცხ. I, გვ. 375). რაოდენ შთამბეჭდავია ამგვარ კონსტრუქციებთან შედარებით რუსთველისეული ფორმა „გასისხლძდინარდა“, რომელშიც გადმოცემულია საგანთა ურთიერთმიმართება მოქმედების უძლავრეს დინამიკაში!

„ათასჯერ იტყვის ვაგლახსა, არ სულთქმა უერთხელდების...“ 1574,2.
„აქა ლხინი დაღრეჯილსა უათასდა, არ უათდა“... 867,2.
„მკვდარი მნახო, დამიტირე, სულთქმა გაათანისთანე,
მე სამარე გამითხარე, აქა მიწა მიაკვანე“. 307.3-4.
„შენი ოქრო შენვე დაგრჩეს, მე, გლახ, მიწა მესამაროს“... 743,2.
„ვა, საწუთრო ბოლოდ თავსა ასუდარებს, აზეწარებს!“ 716,4.
„ვისთვისმე ცხელი უცილოდ მას ცრემლი ემალმალების“. 249,2.

რუსთველი არა მხოლოდ მწვავე სულიერი ტკივილების გადმოსაცემად მიმართავს სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან ნაწარმოებ ზმნურ ფორმებს; არანაკლებ იყენებს იგი ამ ხერხს პერსონაჟთა გმირული სულის, მათი მტკიცე და ქედმოუხრელი ბუნების გამოსახატავად:

„თავნი მათნი გაალმნეს, მათნი მბრძოლნი იშვლეს, ითხეს“. 1424,4.
„ხელნი წმიდად დაეკვეთნეს, იგი ასრე ასაპყარნა“... 617,2.
„ხრმალ-კაპარჭი მოიმაგრა, მკლავნი გაიმამაცურნა“... 93,2.
„მანვე ქმნა და მო-რე-ეჯობდი, გული წყლული გავარკინე“. 354,4.
„რამაზ მეფე ჩამოვაგდე, ერთმანერთსა გავეხრმლენით“... 451,3.
„გულო, გიჯობს, გაუმაგრდე, თავი სრულად გაიკლდეო“... 921,3.
„მე ჩაბალახად გახმარებ, რაცა გიმუზარადიან“. 1605,4.
„მოიშორვა კაეშანი, გული მდედრი აქვიტკირა...“ 1634,3.
„ტარიას ხრმალი ვერ გაძღეს, ჯერთ ხორცი მოიმშიერეს“. 1616,4.

ზმნური ფორმები „ვეფხისტყაოსანში“ ნახმარია პერსონაჟთა სილამაზის, მათი სიდიადის გადმოსაცემად:

„ბროლ-ბადახში გააღაწვეს და გიშერი აწამწამეს“. 1541,4.
„ლერწმისა სარსა დასდრეკდა, გიშერსა დააკარებდა“... 891,3.
„ვინ გიშერი დააჯოგა და წამწმისა არემა-რე“... 1532,3.
„მეფე დაჰხვდა შეკაზმული, პირი მზეებრ ეწაღმართა“. 752,2.
„ბროლმან, ლალსა გარეულმან, ვარდნი თხელნი ანატიფნა“. 207,1.
„თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე თინათინებდა“. 51,4.
„სახლ-სამყოფი არა ჰმართებს, ცამცა გაიდარბაზესა!“ 685,4.
„მათად საქვრეტლად მქვრეტელმან, ხამს, თავი იქედგროსა“. 1569,4.

ადამიანის ხასიათის, მისი ბუნების, მდგომარეობის, გარკვეული სიტუაციის დინამიკურ ფორმებში გადმოსაცემად სიტყვათა ზმნად ქცევის ხერხი დამახასიათებელი ნიშანია რუსთველის მხატვრული ენისა (იხ. დამატება III). ამ მხრივ რუსთველამდელი და მისი თანამედროვე ქართული მწერლობის არც ერთი ძეგლი ისე მრავალფეროვანი არაა, როგორც „ვეფხისტყაოსანი“. ზმნური ფორმების წარმოქმნის საშუალებით ცხოვრებისეული მოვლენების,

ადამიანის სულიერი მდგომარეობის განსხვავებული ნიუანსების მრავალფეროვნად გამოსახვა რუსთველის მხატვრული ენის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშნად უნდა იქნას მიჩნეული.

მაგრამ რუსთველისეულ ზმნურ ფორმებს სხვა ფუნქციებიც აქვს.

გაზმნავებული სიტყვები „ვეფხისტყაოსანში“ ვერბალური ალიტერაციისათვისაა გამოყენებული:

„არ ეეშმები მტერთა ჩემთა, თაეი მონად მომიმონდეს“. 785,2.

„აეთანდილის მაქებელად ათასიმცა ენა ენდა!“ 1048,1.

„მეც ვიცი, ჩემსა ხელ-მქმნელსა თმად ყორნის ბოლო სთმობია“... 965,3.

„შენ გენუკეი, შემოჯერო, ღმერთი იღმრთო, ცაცა იცო“... 664,3.

„მან უამბო დავარ ქაჯსა, ვინ გრძნებითა ცაცა იცის“. 575,4.

„ვერ მოვეყავ აქლემითა, აზავრები ვააზავრე...“ 464,3.

„იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერმცა მინა მინდა“... 298.3.

„ვითა მკვდარი უსულო ქმნა, ვითა მიწა დაამიწა...“ 209.2.

„გამოიღო რიდე მისი, ვინ ბაგეთა ვარდი ვარდა“. 1339.3.

„ვარდმან ფერი განანთლა, ბროლი ბროლდა, სათი სათდა“... 867,3.

„ვერ დაიტევდა მინდორი და არე მთათა ეარა...“ 450,3.

„მან გაახაფოს ხმა ხაფი, კვლა უფრო გასახაფავი“... 1315,3.

სისტემის სახით გაწყობილ რუსთველისეულ ვერბალურ ალიტერაციებს ჩახრუხაძის „თამარიანში“ ეხმაურება ერთადერთი ტაეპი: „ელნი ელნობდეს, ვინ სოგრატ ბრძნობდეს“... (გვ. 187). ამის მიხედვით, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ვილაპარაკოთ რუსთველისა და ჩახრუხაძის მიერ გამოყენებული ზმნური ფორმების ფუნქციათა ერთგვაროვნების შესახებ. ამ მხრივ რუსთველს მეტი სიახლოვე აქვს პეტრიწთან. ასე მაგალითად, პეტრიწი მიმართავს ფუძეთა განმეორებას, რომლის ერთ-ერთ ელემენტს სახელისაგან წარმოქმნილი ზმნური ფორმა წარმოადგენს: „და კუალად ზედ უკუალადებს თხზვასა“ (86), „უგუარობასაცა ნივთისასა აგუარებენ“ (98), „გუარი შედგმასა მიიღებს და ეგრეთღა გაგუარდების“ (180), „რამეთუ ამის ცხოვლობისა მიერ ცხოველ იქმნა და გაცხოველდა ესე ყოველი ხილული“ (47), „რამეთუ არისტოტელი თან მიეხმავების ხმითა ბრწყინვალითა“ (214), „მის ერთისა მიერ წარმოირიცხუა რიცხჳ და მყოფობაჲ ზესთ არსთა და ერთთაჲ“ (160), „ხოლო რომელთამე შორის საზღვრისა რომელობაჲ უფრო დარომელდების“... (181), მაგრამ პეტრიწისგან განსხვავებით, განმეორებული ფუძეები „ვეფხისტყაოსანში“ მიკრითაა მიწყობილი დასტრუქტურულადაც თავისებური ელფერის მატარებელია. ეს კი ვერბალური ალიტერაციის აღქმის თვალსაზრისით ქმნის მთლიან აკუსტიკურ შთაბეჭდილებას. სწორედ ეს აძლიერებს „ვეფხისტყაოსნის“ მუსიკალურ

ტონს, ანიჭებს მას კეთილხმოვანებას და მაღალ პოეტურ ღერადობას. თუ პეტრიწთან ფუძეთა განმეორება ქართული ენის ჩვეულებრივი თვისებაა, ფილოსოფიური შეხედულების უფრო მკვეთრად და ხაზგასმით გადმოსაცემად გამოყენებული, რუსთველთან მას პოეტური ფუნქცია აქვს დაკისრებული აზრის დინამიკურად, ემოციურ ტონებში და მუსიკალური აქცენტით გამოსახატავად. ამაში ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის მეორე სპეციფიკური ნიშანი ზმნური ფორმების გამოყენებასთან დაკავშირებით.

„ვეფხისტყაოსანში“ გაზმნავებული სიტყვები გვხვდება 270 ტაეპში. აქედან 243 ტაეპში იგი თითოჯერაა ნახმარი, 25 ტაეპში — 2-2-ჯერ, ხოლო 2 ტაეპში — 3-3-ჯერ. პოემაში ამ ტიპის სიტყვები სულ 299-ია. თითოჯერ ნახმარი ზმნური ფორმები ტაეპის თავში ან შიგნითაა მხოლოდ 69-ჯერ, ხოლო 2-ჯერ და 3-ჯერ ნახმარი ამ ტიპის სიტყვები — 30-ჯერ. დანარჩენ 200 შემთხვევაში ისინი ტაეპის ბოლოშია და რითმის შექმნაში იღებს მონაწილეობას[1]. რითმა ტაეპის მაორგანიზებელი ელემენტია, ხოლო ტაეპთა ორგანული კავშირის ნიადაგზე ყალიბდება სტროფი. აქედან ბუნებრივია რითმის მნიშვნელობა ტაეპთა კომპოზიციური მთლიანობისათვის. როცა რუსთველი ტაეპს ასრულებს ზმნის ისეთი შეკუმშული ფორმით, რომელიც მთელი წინადადების ეკვივალენტს წარმოადგენს, ამით მას არა მხოლოდ ტაეპისათვის აქვს ჰოძებნილი მტკიცე ლოგიკური საყრდენი, თვით მთელი სტროფისათვისაც, რომლის შემადგენელ ტაეპებში გაზმნავებული სიტყვით დასრულებული სალექსო სტრიქონი დომინანტურ როლს ასრულებს სტროფის კომპოზიციაში.

მოვიყვანთ რამდენიმე ადგილს:

„ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,
მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი.

---

[1] გაზმნავებულ სიტყვათა ეს ფუნქცია პირველად ი. აბულაძემ შენიშნა. მისი აზრით, არსებითის გადაქცევას მოქმედების სახელად პოეტი მიმართავს „მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს რითმისა და ლექსთწყობის საჭიროება“ („მე-XII-ე საუკ. ქართული საერო მწერლობა და „ვეფხის-ტყაოსანი“, 1923, გვ. 174). ეს დაკვირვება სწორია, მაგრამ გაზმნავებულ სიტყვათა პოეტური ფუნქციის შემოზღუდვა მხოლოდ რითმისა და ლექსთწყობის საჭიროებით სიზუსტეს მოკლებულია. როგორც გაირკვა, მათ სხვა ფუნქციებიც აქვთ.

სრულად მოესწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი,
შენი მკლეიდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი“. — 133.

„მიამბო: „ოდეს სასიძო მოჰკალ და ხმა დაგივარდა,
მეფესა ესმა, აიკრა, მართ მისგან გასატკივარდა,
შენ დაგიზახნა: „მიხმეთო“, ხმა-მაღლად გახმამყივარდა;
მოგნახეს, შინა ვერ გპოვეს, მით მეფე გამომჩივარდა“. — 572.

„ზღვათაკე გაელნეს სარკმელნი, მაშინვე გაუჩინარდა.
დავარ თქვა: „მჭმნელი ამისი ვინ არ დამჭოლოს, ვინ არ, დაl
ვირე მომკლვიდეს, მოვკვდები, სიცოცხლე გასაწყინარდა.
დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა“. — 582.

გაზმნავებული სიტყვები რითმისათვის გამოყენებული აქვს ჩახრუხაძესაც:

ვინა შვენებდენ, სულთ აშენებდენ... 185,1.
ვინ ხრმლითა ბადრობს, უშიშ-უკადრობს... 185,11.
ელნი ელნობდეს, ვინ სოგრატ ბრძნობდეს... 187,5.
მან იქალაქა, აღსრულდა აქა... 187,21.
არ აქა, მანდა, არ აქამანდა... 190,21.
აქა მან დავით აქამანდა ვით... 193,9.
ანუ თუ ელობს, რად დანთქმა გვღელობს... 201,11.
თვალად ძე მისი, შენ რა ემისი... 206,15.
ენოს მწერლობდეს, უშურველობდეს... 210,17.

გაზმნავებულ სიტყვებს რითმისათვის იყენებს აგრეთვე ი. შავთელი:

„ხილვა მეფისა მშვრეტელთ ეფისა“... 18,5.
„არსება გმზეობს: მის მიერ გმზეობს“... 25,7.
„ისაკებრ პირმშობ, კურთხეით ნიშობ...“ 27,5.
„ჰვირმამენდმეხი ავად რად ჰმეხი“... 35,7:
„არდამი ვარდა, გლახ, დამივარდა...“ 60,7.
„ნესტორად მძლეობ, არათუ ლეობ“... 98,6.

განსხვავება იმაშია, რომ ჩახრუხაძე და ი. შავთელი ამ ტიპის სიტყვებს იყენებენ შინაგანი რითმისათვის; რუსთველი კი მათ აკისრებს გარეგანი რითმის შექმნის ფუნქციას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გარეგანი რითმა ლექსში ძირითადია, მთავარია[1], ცხადი გახდება რუსთველის მიერ გამოყენებული გაზმნავებული სიტყვების სპეციფიკური შინაარსი რითმის შექმნის ფუნქციის თვალსაზრისით.

გაზმნავებულ სიტყვებს „ვეფხისტყაოსანში“ კიდევ ერთი ფუნქცია აქვს: ისინი ხშირ შემთხვევაში მეტაფორებად გვევლინება:

---

[1] ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1953, გვ. 176.

მის მოყვრისა მოშორება კელა აბინდებს, არ ადილებს. 713,4.
ორნივე მიჰხვდეთ წადილსა, იგი ვარდობდეს, შენ იე. 1271,4.
მუნ პირი ჩემი გაბროლდა და ღაწვი გამელალოდა. 380,4.
ნახვა მკვრეტელთა ახელებს. ტანი ლერწამობს რხევითა. 979,4.
მე სამარე გამითხარე, აქა მიწა მიაკვანე. 307,4.
მათად საკვრეტლად მკვრეტელმან. ხამს, თავი იქედგოროსა. 1569,4.
ტარიას ხრმალნი ეერ გაძღეს, ჯერთ ხორცი მოიმშიერეს. 1616,4.

ადილებს, ვარდობდეს, იე, გაბროლდა, გამელალოდა, ლერწამობს, მიაკვანე, იქედგოროსა, მოიმშიერეს შეკუმშული ფორმით გადმოგვცემს მეტაფორულ შინაარსს. მეტაფორა და შედარება ჩვეულებრივ შესიტყვებით გადმოიცემა. ემოციური შინაარსის სახელთა გაზმნავების საშუალებით რუსთველი ქმნის ერთი სიტყვით გამოხატულ მეტაფორას, რომელიც მინიატურულად წარმოგვიდგენს მთელს შესიტყვებას. აქ ჩანს რუსთველის პოეტური ოსტატობის თავისებურება — შეკუმშული ფორმების, დინამიკური, შთამბეჭდავი ემოციების გამომხატველი სიტყვების საფუძველზე მხატვრულ სახეთა წარმოქმნის ხელოვნება.

გაზმნავებულ სიტყვათა გამოყენება „ვეფხისტყაოსანში“ როდი იფარგლება ჩვენ მიერ აღნიშნულ მხატვრულ ფუნქციათა იზოლირებულად გააზრებით. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკური შინაარსი იმაში ვლინდება, რომ მასში გამოყენებულ ფორმებს ახასიათებს მრავალფუნქციანობა. ერთ სიტყვას რუსთველი ხშირად რამდენიმე ფუნქციით ტვირთავს. ეს ძირითადი ნიშანი მისი პოეტური მეტყველებისა მკვეთრადაა გამოვლენილი გარკვეული ზმნური ფორმების ხმარების დროსაც.

ნათელვყოთ.

დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა. 582,4.

გასისხლმდინარდა ორი სახელის საფუძველზე მიღებული ზმნური ფორმაა, რომელიც შეკუმშულად, დინამიკურად წარმოგვიდგენს მთელ სურათს. ამ ერთ სიტყვას დაკისრებული აქვს მხატვრული სურათის შექმნის ფუნქცია; იგი გამოყენებულია რითმად და ეხმაურება ალიტერაციულ ბგერებს (დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა).

მან უამბო დავარ ქაჯსა, ვინ გრძნებითა ცაცა იცის. 575,4.

იცის „ცის“ ზმნური ფორმაა[1]. იგი ჰიპერბოლურად წარმოგვისახავს დავარის გრძნების უსახოებას; მისთვის ცა ცადქმნილია. **ცაცა იცის** ვერბალური ალიტერაციის უბადლო ნიმუშს წარმოადგენს. იგი რითმაცაა და სტროფის კომპოზიციურად შეკვრაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ამავე დროს მეტაფორული მნიშვნელობაც აქვს.

მუნ პირი ჩემი გაბროლდა და ღაწვი გამელალოდა. 380.4.

გ ა ბ რ ო ლ დ ა და გ ა მ ე ლ ა ლ ო დ ა ნასახელარი ზმნებია, რომლებშიც ბროლისა და ლალის თვისებები პირისახის ფერის მეტაფორიზაციისათვისაა გამოყენებული. გ ა მ ე ლ ა ლ ო დ ა რითმის შექმნაშიც მონაწილეობს. ამ ტაეპში ორი გაზმნავებული სახელის ხმარება აძლიერებს სალექსო სტრიქონის ლოგიკურ-ემოციურ ტონს და ტვირთავს მას შთამბეჭდავი ესთეტიკური აღმქმელობის ნიუანსებით.

ასეთია არსებითად გაზმნავებული სიტყვების სპეციფიკური შინაარსი და მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის პრობლემატიკის ფონზე.

ბ. რუსთველის პოეტური მეტყველებისათვის დამახასიათებელია ზმნისეული პრეფიქსების განმეორება. რამდენადაც საქმე სიტყვათა ორიგინალური ფორმების საკითხს ეხება, აქ განმეორების, როგორც მხატვრული ხერხის, შესახებ მსჯელობა არ მოგვიხდება. ზმნისეული პრეფიქსები ცალკე აღებული არაფერს ნიშნავს. რუსთველი მას პოეტურ ფრაზაში ხმარობს, როგორც დამოუკიდებელი ზმნის შემოკლებულ ფორმას, განმეორების სახით. ამ განმეორებაში ჩანს ზმნისეული პრეფიქსის გამოყენების პოეტური ფუნქცია.

პირველი მეცნიერი, რომელმაც ქართულ საერო პოეზიაში ყურადღება მიაქცია ზმნისეული პრეფიქსების განმეორების ფაქტს, ყო ნ. მ ა რ ი. ამასთან დაკავშირებით მან მოგვცა ჩახრუხაძის ერთი სტროფისა და რუსთველის პოემის ზოგიერთი ტაეპის შედარებითი ანალიზი[2].

ნ. მართან შედარებით ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ ხაზი გაუსვა განმეორებული ზმნისეული პრეფიქსის ფუნქციას: „ვეფხის-ტყაოსანში გვხვდება არა თუ **ზმნის განმეორება აზრის გასაძლიერებლად** (მაგ.,

---

[1] „ცის“ გაზმნავებასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ი. აბულაძემ. იგი ამტკიცებდა, რომ რუსთველი ხშირად გამოხატავს ორ აზრს ერთი და იმავე ფორმით. ამ დებულების მიხედვით „ცაცა იცის“ შეიძლება ნიშნავდეს ცის ცოდნას და მისთვის ცის ცად გადაქცევასაც. შეიძლება თქვან: ცა თუ ძრის, რაღა საჭიროა მისი კვლავ ცად გადაქცევაო. საქმე იმაშია, რომ პირველ შემთხვევაში ცა არსებობს თავისთავად, მეორე შემთხვევაში კი — თავისთვის, როგორც მის მიერ შეცნობილი და სუბიექტივირებული.

[2] Н. М а р р, Древнегрузинские одописцы — Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, книга IV, С.-Петербург, 1902, стр. 64—65.

ტ. 616 — წავიდე მათკენ მე წა“, ტ. 649 — „წასდის წამწამთაგან ერთ სახე წა“), არამედ ასეთი თავსართები იხმარება ზმნის მაგივრადაც“...[1]

„ვეფხისტყაოსნისათვის“ შედგენილ ლექსიკონში ი. აბულაძე ზმნისეულ განმეორებულ პრეფიქსებს ასე განმარტავს:

„გა $1078_4$ გამეორებული პრეფიქსი ზმნის ფორმისა: გავიდა„[2].

„და $90_4$ (მუნ და), $582_2$ (ვინ არ და). ზმნის თავსართი, რომელიც ზოგჯერ მეორდება რითმისათვის ლექსის ბოლოში სარითმავი სიტყვის წინ“[3].

„მი $1108_2$ ზმნის თავსართის განმეორება სარითმავი სიტყვის წინ: მიკრიფე, მი, რითა“[4].

„მო $1260_2$, $1268_2$, $1387_4$ ზმნის თავსართის განმეორება სარითმავი სიტყვის წინ“[5].

„შე $1098_3$ ზმნის თავსართის განმეორებაა სარითმავი სიტყვის წინ“[6].

როგორც ამ განმარტებებიდან ირკვევა, ი. აბულაძე ზმნის განმეორებული თავსართის ერთადერთ ფუნქციას სარითმავი სიტყვის წინ დასმაში ხედავს.

ქ. ქეკელიძის დაკვირვებით, ამგვარი პრეფიქსების განმეორებით პოეტი დიდ ეფექტს აღწევს ბგერათა შესახამებლად, ალიტერაციის აძოუწურავი მარაგის შესაქმნელად[7].

ზმნისეული პრეფიქსების განმეორებასთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ალ. ბარამიძემ:

„ვეფხისტყაოსნის პოეტურ ფრაზებს ამშვენებს ერთი სპეციფიკური სახე ალიტერაციისა, სიტყვათა ნაწილაკების, ზმნისწინების განმეორება, როგორც მაგალითად:

ვითა მონა, სამსახურად გაღანამცა წავე, წა, მე (134,4)
თვალთა წინა წაგვივიდა ლაღი, კუშტი, ამაყი, წა (209,4).

ორივე დასახელებულ შემთხვევაში ზმნისწინი წა დასრულებული ფორმის წინა სიტყვების (წავე, წაგვივიდა) შეკვეცილად განმეორებაა, წა ნიშნავს „წავეს“ და „წაგვივიდას“, წა ამ სიტყვების შემავალი, ორგანული ნაწილია, ეს ნაწილი გამოყენებულია

---

[1] ვეფხისტყაოსანი, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, 1927, გვ. CXXXIV.

[2] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1951, გვ. 351.

[3] იგივე, გვ. 356.

[4] იგივე, გვ. 368.

[5] იგივე, გვ. 369.

[6] იგივე, გვ. 388.

[7] კორნელი ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II. 1941, გვ. 213.

მთელის სანაცვლოდ, მთელის მნიშვნელობის გასაძლიერებლად. საანალიზო შემთხვევებში არსებითად და ფაქტობრივად დადასტურებულია სიტყვების განმეორება. ბგერების ხაზგასმული განმეორებით აზრი გაძლიერებულია და თანაც მიღებულია სიტყვათა ორიგინალური წყობა"[1].

როგორც ჩანს, ქართველი რუსთველოლოგები აშუქებდნენ ზმნისეული პრეფიქსის ცალკეულ ფუნქციებს. ს. კაკაბაძე მის დანიშნულებას ხედავდა აზრის გაძლიერებაში, ი. აბულაძე — სარითმავი სიტყვის წინ ზმნის თავსართის განმეორებაში, კ. კეკელიძე — ალიტერაციის შექმნაში, ალ. ბარამიძე — ალიტერაციის სპეციფიკურ სახეობაში, განმეორებული სიტყვის მნიშვნელობის გაძლიერებაში და სიტყვათა ორიგინალური წყობის მიღებაში.

ს. კაკაბაძის, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის დაკვირვებანი ზმნისეული პრეფიქსის პოეტური დანიშნულების შესახებ უდავოდ სწორია. რაც შეეხება ი. აბულაძის დაკვირვებას, რომ აღნიშნული პრეფიქსები ზმნის თავსართის განმეორებაა სარითმავი სიტყვის წინ, იგი 26-დან მხოლოდ ერთ შემთხვევაში დასტურდება:

„მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა შე, რისა,
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მი, შერისა". 3,3-4.

მე-3 სტროფში სარითმავი სიტყვაა **შერისა** და, მართლაც, მის წინ გვხვდება **მი** თავსართი; 24 შემთხვევაში განმეორებული ზმნისეული პრეფიქსების ფუნქცია რითმის შექმნაში მდგომარეობს; მხოლოდ 1 მაგალითი გვაქვს იმისა, როცა ზმნის განმეორებული პრეფიქსი არც რითმის შექმნაში მონაწილეობს და არც სარითმავი სიტყვის წინ გვხვდება:

„მე დავახვედრო ესე მზე, და-, მისთვის დამზადებული"... 1185,2.

ჩვენი აზრით, ზმნისეული პრეფიქსების განმეორების თავისებურება რუსთველთან მათი ცალკეული ფუნქციებით არ ამოიწურება. ამ სახის პრეფიქსთა გამოყენების სპეციფიკა „ვეფხისტყაოსანში" იმაში იჩენს თავს, რომ მათ მრავალფუნქციანობა ახასიათებს. სხვადასხვა პოეტური ფუნქციით დატვირთვა სიტყვისა რუსთველის პოეტურ ლექსიკას სძენს სიმკვრივეს, სიმტკიცეს, ცხოველმყოფელ ძალას, რომელშიც მრავალი განზომილებითაა განცდილი ადამიანის სულის ღელვაცა და მისი ოდნავი გამონაკრთომიც. ზმნის განმეორებული პრეფიქსით პოემაში სიტყვის მნიშვნელობა და ფრაზის საერთო აზრიცაა გაძლიერებული, მუსიკალური ტონიცაა მონახული და მთელს ტაეპს ემოციურ-ლოგიკური საყრდენიც აქვს მოძებნილი დინამიკური რითმის საშუალებით, რასაც ამ მიზნით გამოყენებული პრეევრბი ქმნის.

ნათელვყოთ კონკრეტულად:

---

[1] ა ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 273.

მე დავახვედრო ესე მზე, და-, მისთვის დამზადებული...1185,2.
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მი, შერახა. 3,4.
მას, არა ვიცი, შეეჯადრო შესხმა ხოტბისა, შე, რ ი ხ ა... 3,3.
სვეს და ჰამეს, დასაწოლად ყმა გავიდა ღამით გ ა რ, გა. 1078,4.
ვერ ვასმინე საუბარი, მით დავყოვნე ხანი მ უ ნ, და. 90,4.
იგი მინდორს ნადირობდა, დაეფანჩა მარეკი, და. 270,4.
დავარ თქვა: „მჭმნელი ამისი ვინ არ დამჭოლოს, ვ ი ნ ა რ და!“ 582,2
არ ამოვჰკრეფდი გამყოფთა, ვთქვი, ჩემთა რად დავჰრიდო, და? 603,2.
მეცა თანა წამოგყვები, დაიხოცნენ იგი მ უ ნ, და! 609,3.
მუნვე დარჩა, დათმობაცა მასთანავე დაება, და... 734,2.
უთხრა: „დათმე, ნუ მოჰკვდები, გულსა სრულად ნუ დასჭრი, და!“ 914,2.
იტყვის, თუ: „ბნელი რას მიკვირს, რათგან დაგაგდე, მზ ე, და! 954,4.
თვალთა წინა წაგვივიდა ლაღი, კუშტი, ამაყი, წა! 209,4.
დაეპირე შეტევება, ეთქვი: „წავიდე მათკე მე, წა“... 627,3.
ავთანდილსცა ცრემლი წასდის წამწამთაგან ერთ-სახე, წა... 659,3.
ვითა მონა, სამსახურად გაღანამცა წავე, წა, მ ე! 134,4.
ნუ დამარჩენ, ნუ მაცოცხლებ და წამიღონ მკვდარი მე, წა! 1609,3.
მას ადრე ვჰპოვებთ, ვისიცა მოგეკლავს ალვისა, მო, ტ ა ნ ი“. 1387,4.
ფატმან თქვა: „ღმერთსა დიდება, საქმენი მომხვდეს, მო, რ ა ნ ი“... 1268,1.
იტყოდა: მომკლავს უცილოდ ტანი ალვისა, მო, ხ ი ხ ა!“ 1260,2.
დააგდე ჩემი მიდამო, სრულად მიკრიფე, მი, რ ი თ ა. 1108,2.
მაგრა ნაცვალსა პატიქსა მიგცემსო ზენა, მი, ც ი ხ ა! 523,3.
ჩემი თქვი, რა ვქმნა ბნელ-ქმნილმან, მზე მიმეფაროს, მი, ც ი ხ ა? 706,4.
მუნ სარო, მსგავსი ვარდისა, ვნახე მისპირდა, მი, ნ ე ბ ი“... 697,1
ღრუბელიცა ვერ მიჰხვდების, მე მისრულვარ სადა, მი, ს ა დ! 250,3.
დიაცსა წყენა შეატყო, ნახა შესლვითა, შე, ვ ი თ ა... 1098,3.

ხაზგასმული მარცვლები აძლიერებენ სიტყვის მნიშვნელობას, მრავალფეროვნად წარმოგვიდგენს ალიტერაციულ სახეებს, აპირობებენ დინამიკური რიტმის წარმოჩენას და ემოციური, ზემოქმედებითი თვისების მატარებელი რითმის შექმნას. ერთ სალექსო ტაეპში გაწონეორებულ პრეფიქსთა საშუალებით გამომსახველობით ხერხთა აგრე კომბინირებულად, შეკუმშულ ფორმებში გაერთიანება რუსთველის მხატვრულ სახეებს ანიჭებს დიდ განმცდელობითს ძალას, ამოურწყველ პოეტურ ქმნდითს ხასიათს დროთა უწყვეტ დენაში.

გარდა ამ კომბინირებული ფუნქციებისა, რაც სპეციფიკურია რუსთველისეულ ზმნათა განმეორებული პრეფიქსებისათვის, მათ აქვთ დამატებითი მხატვრული დანიშნულებაც.

დამარცხებული ხატაელების წარმომადგენელი ტარიელს ევედრება:

„ნუ დამარჩენ, ნუ მაცოცხლებ და წამიღონ მკვდარი მე, წა“. 1609,3.

აქ წა პრეფიქსი „წამიღონ“ ზმნის შემოკლებულ სახეს წარმოადგენს. ზმნის ამ შემოკლებულ ფორმაში ჩატეულია ის შინაარსი, რასაც სიტყვა „წამიღონ“ შეიცავს... ეს ქმნის მოქმედების სწრაფ რიტმს, რაც მეტისმეტი დაძაბულობის გამო უცბად წყდება... სათქმელის ასე ელვისებურად შეწყვეტა გვაგრძნობინებს მოქმედების ტემპს. აქ განმეორება, როგორც პოეტური საშუალება, ერთვის მეორე მხატვრულ ხერხს — გაჩუმებას. განმეორებისა და გაჩუმების შერწყმულად გამოყენება ერთ-ერთი სპეციფიკური მხატვრული ნიშანია რუსთველის პოეტიკისა (ამასთან ერთად განმეორებული პრეფიქსით გადმოცემული კომბინირებული ფუნქციები ძალაში რჩება, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე უფრო ნიშანდობლივი თვისება). ამ ხერხს მგოსანი ხშირად მიმართავს:

მეცა თანა წამოგყვები, დაიხოცნენ იგი მუნ, და!
უთხრა: „დათმე, ნუ მოჰკვდები, გულსა სრულად ნუ დასჭრი, და!“
თვალთა წინა წაგვივიდა ლაღი, კუშტი, ამაყი, წა!

ზმნისეული პრეფიქსის ხმარება „ვეფხისტყაოსანში“ საინტერესოა არა მხოლოდ ზმნის განმეორების თვალსაზრისით; იგი ყურადღებას იპყრობს ფრაზის განმეორების მხრივაც. როცა დავარი ნესტანს გადაკარგავს, სასოწარკვეთილი ამბობს:

„დავარ თქვა: «მჭმნელი ამისი ვინ არ დამჭოლოს, ვინ არ და! ვირე მომკლვიდეს, მოვკვდები, სიცოცხლე გასაწყინარდა». 582,2-3.

პირველ შემთხვევაში დავარი სრულად ამბობს სათქმელს („ვინ არ დამჭოლოს“), შემდეგ კი ნაწყვეტ-ნაწყვეტ („ვინ არ, და!“) და ბოლოს მოულოდნელად ჩუმდება, მაგრამ უკანასკნელი და, რომელიც „დამჭოლოს“ შემოკლებულ განმეორებას წარმოადგენს, თავისი დინამიკურობის წყალობით შლის საზღვრებს ფრაზის ნაწილებს შორის („ვინ არ“, „და“...), ამთლიანებს მათ ერთ წინადადებად და უკანასკნელს უფრო მეტი პოეტური ინტონაციითა და ექსპრესიული თვისებებით აღჭურავს, ვიდრე ეს პირველ ფრაზას ჰქონდა. აქ განმეორებული ზმნის პრეფიქსი აფართოებს მოქმედების არეს, სწვდება მთელი ფრაზის ფარგლებს და გაძლიერებულად გადმოგვცემს სალექსო სტრიქონის საერთო აზრს[1].

ამრიგად, ზმნის შემოკლებული ფორმა, ისე როგორც გაზმნავე-

---

1 ჩახრუხაძესთან ზმნისეული პრეფიქსი ზმნის განმეორებისა და ამასთან დაკავშირებული მრავალფუნქციანობის მნიშვნელობით 3-ჯერ გვხვდება:

„ცისკრობს მოხედვა, მოკლის, მო ხედვა“... (114).

„მოგყვა, მო, ნებად, შენდა მონებად“... (207).

ბული სახელები, „ვეფხისტყაოსანში“ წმინდა პოეტური მიზნებისათვისაა გამოყენებული და მათი სპეციფიკური ნიშანი ისაა, რომ სიტყვა ერთსა და იმავე დროს მრავალი ფუნქციით დატვირთოს. ერთ ფორმაში პოეტურ ფუნქციათა კომბინირების წყალობით რუსთველისეული სიტყვა შეკუმშული სახით აღწევს მხატვრულ განზოგადებას და მით კონკრეტულად სრულყოფს მგოსნის თეზისს: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“.

გ. პოეტური მიზანდასახულობითაა პოემაში ნახმარი ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი მოვლენა ე. წ. ტმესი. ამ გარეშოებას პირველად ყურადღება მიაქცია ვ. ბერიძემ. მისი აზრით, ტმესის გამოყენების ფუნქცია „ვეფხისტყაოსანში“ მეტყველებისა და აზროვნების ეკონომიაში მდგომარეობს[1]. ეს დაკვირვება სწორია, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამით არ ამოიწურება ტმესის დანიშნულება „ვეფხისტყაოსანში“. „ტმესი ჩვეულებრივი მოვლენა იყო ზმნისწინიან ზმნებთან ძველს ქართულში, მას ხშირად ვხვდებით შემდეგაც. «ვეფხის-ტყაოსანში» საკმაოდ ხშირია პრევერბის ზმნისაგან ჩამოკვეთის და მათ შუა ნაწილაკისა და ნაცვალსახელის ჩასმის შემთხვევები. ნაწილაკთაგან გვხვდება **ვე, ცა, ღა, ვით** (ვითა), **რა**, ნაცვალსახელთაგან **ვინ** („ვინმეს“ მნიშვნელობით)“.[2]

რიგ შემთხვევებში ზმნისწინისა და ზმნის გამკვეთელ **ვე, ღა, ცა** ნაწილაკებს „ვეფხისტყაოსანში“ გარკვეული პოეტური ფუნქცია აქვს დაკისრებული. პირველ რიგში იგი აწესრიგებს ტაეპში მარცვალთრაოდენობის საკითხს ისე, რომ სტრიქონს შინაარსობლივადაც სრულქმნილს ხდის. გარდა ამისა, ეს ნაწილაკი ტაეპის ან სტროფის შიგნით ეხმაურება სიტყვის რომელიმე ნაწილში მოცემულ ბგერითს კომპლექსს, რითაც უზრუნველყოფს ლექსის მუსიკალური მხარის ჰარმონიულობას.

---

„წაუღე რანი, წა უღჭანი“... (192).

აღნიშნულ ტაეპებში განმეორებული ზმნისეული პრეფიქსები არსებითად შინაგანი რითმის მოწესრიგების ფუნქციას ასრულებენ და ეს იმდენად ძირითადი იყო ჩახრუხაძისათვის, რომ ჩრდილავდა ამ პრევერბთა სხვა ფუნქციებს.

ზმნისეული პრეფიქსი მხოლოდ ერთხელ გვხვდება განმეორებული სახით „აბდულმესიანში“ და ისიც რითმის შექმნის ფუნქციით:

„გიხმობ რომელთა, გიცნობ რომელთა,
უურნი მომიპყართ, მო გონებანი!
მისთვისღა ქებით ხარ, განქიქებით
ბიწი ვინ ჰპოონ, მოგონებანი“. 78,5-8.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ ბგერათა შეთანხმებულობა სცილდება რითმის ჩვეულებრივ საზღვრებს.

[1] ვ. ბერიძე, შოთას პოეტიკისათვის — ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 176.

[2] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 266.

მაგალითები:

„მოველოდი, არა მესმა, შმაგი უფრო გა-ვე-ვშმაგდი“... 587,3.
„მანვე ქმნას და გაგიმარჯვდეს, თქვენი თქვენკე და-ვე-ბრუნდეს“. 740,3.
„უმასპინძლა, ძღვენნი უძღვნნა შვენიერსა შვენიერნი,
მისნი მყოლნი აღ-ვე-ავსნა. მოყმენი თუ უნდა ბერნი,
გაიყარნეს, ყმა წავიდა, სახლად ჩადგეს მზისა წვერნი“. 770,2-4.
თუღა ოდეს შე-ღა-გცოდო, მაშინ მომკალ მეცა განა!“ 472,3.
„მითხრა: «ნუ ეჰე ამას იქით, თუღა მტერი შე-ღა-გება». 481,4.
„სხვა მისებრი ვერა პოოს ცათამდისცა აღ-ცა-ფრინდეს!“ 1525,4.
„დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა“. 582,4.

ეს უკანასკნელი სტრიქონი არა მარტო ტმესის პოეტური თვალსაზრისით გამოყენების მხრივაა საყურადღებო; აქ ერთსა და იმავე დროს თავს იყრის რამდენიმე პოეტური საშუალება: 1. რითმად გამოყენებული ორი სახელისაგან მიღებული ზმნური ფორმა, რომელიც მხატვრულ სურათს ქმნის, 2. თავისი უკანასკნელი მარცვლით ეხმაურება ალიტერაციულ ბგერებს (დანა, დაიცა, დაეცა, გასისხლმდინარდა) და 3. იმავე ტაეპში გვაძლევს ეპიფორული სახის ალიტერაციებს (დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა). სხვადასხვა პოეტური საშუალების კონცენტრირება ერთ სალექსო ტაეპში სტრიქონს დიდ დინამიკურ ძალას სძენს. ეს კი სავსებით გამართლებულია ნაწარმოების სიუჟეტის გამძაფრების თვალსაზრისით. „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ტრაგედია ხომ აქედან იწყება! ბუნებრივია, რომ პოეტმა ამ ტრაგიკული საწყისის გადმოსაცემად მძაფრი დინამიკის გამომსახველი მხატვრული საშუალებები გამოძებნა. ასე შეერწყა ურთიერთს პოეტური საშუალებანი და ნაწარმოების სიუჟეტური განვითარების ერთ-ერთი მთავარი მომენტი. გამომსახველობით საშუალებათა და ნაწარმოებში მოცემულ სიტუაციათა შინაგანი კავშირი „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის ერთი მთავარი სპეციფიკური ნიშანთაგანია.

წმინდა პოეტური თვალსაზრისით იყენებს რუსთველი რე ნაწილაკს, რომლითაც ზმნისწინი განკვეთილია ზმნისაგან. რე ცოტაოდენს, ოდნავ-ს ნიშნავს. სიტყვაში ამ ნაწილაკის ჩართვით მგოსანი აზრის ეკონომიასაც აღწევს, სტროფის რიტმულად გაწყობისათვის საჭირო მარცვლიან სიტყვებსაც თავის ადგილს უძებნის და ლექსიკური მნიშვნელობით ოდნაობის შინაარსის გადმომცემ ზმნებს ორმაგად უძლიერებს შინაგან აზრს, უფრო ემოციურსა და ელასტიურს ხდის მთელ სალექსო ტაეპს.

მაგალითები:

„მანვე ქმნა და მო-რე-ვჯობდი, გული წყლული გავარკინე“. 354,4.
„გველნი მოშლით მოეცეცნეს, ბაღი შეღმა შე-რე-შენდა“... 1158,3.

„მე გავიგონე, შე-რე-მშრა ნაკადი ცრემლთა ფონისა.. “ 1236,2.

მოვჯობდი, შეშენდა, შემშრა უამნაწილაოდაც გადმოსცემდა ოდნაობის მნიშვნელობას; მაგრამ ავტორს სურს, რომ ეს აზრი უფრო გაძლიერებულად იყოს გამოხატული ამავე შინაარსის გადმომცემი ნაწილაკით და ამ ფორმით გამოსახული განცდა მართლაცდა ისე შეკუმშული ძალისაა, რომ განსაკუთრებულად გახაზავს სიტყვის შინაგან არსს. აქ ტმესი მოვლენათა ჰიპერბოლიზაციის მძლავრ პოეტურ საშუალებად გვევლინება და ესეც რუსთველის მხატვრული ენის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად გვესახება.

რე ნაწილაკი ხშირად სიტყვის ბოლოს გვხვდება როგორც რითმის ყველაზე ორგანული და მოქმედი ელემენტი. იგი თანაბრად მიერთვის როგორც სახელს, ისე ზმნას, გაზმნავებულ სახელს, ფორმაუცვლელ სიტყვებს და აზრის ეკონომიასთან ერთად სტროფის მხატვრულ კომპოზიციაში გარკვეულ როლს ასრულებს.

„ბროლი და ლალი გასრულვარ ქარვისა უყვითლესად-რე“.
„მაშინ რაღა ვქმნა, ვერ-ჭვრეტა რა მომხვდეს კვლა უგრძესად-რე!
ხამს მოყვრისათვის სიკვდილი, ესე მე დამიც წესად-რე“. 139,2-4.
„აღარ მიყივლა ღიმილით, არცაღა გამიცინა-რე“. 568,4.
„ვინ გიშერი დააჯოგა და წამწმისა არემა-რე“... 1532,3.
მაშინ უფრო მომეხმარე, ამისგანცა უფრო მხნედ-რე,
ნუთუ ადრე დამივიწყო? მახსენებდი ზედა-ზედ-რე!“ 159,1-2.

განსაკუთრებით საინტერესო ფორმებია რუსთველის ენათშემოქმედებითი ორიგინალობის თვალსაზრისით „უყვითლესად-რე“, „უგრძესად-რე“... უყვითლესი, უგრძესი უფრო მეტი ოდენობით წარმოგვიდგენს საგნის ნიშან-თვისებას და აქ საზომი არ არსებობს. პოეტს სურს გარკვეულობა შეიტანოს პერსონაჟის მდგომარეობის წარმოსახვაში და მათ რე ნაწილაკს ურთავს. ამ კონტექსტში ეს ფორმები აზუსტებს სიტყვის შინაარსს და მის მნიშვნელობაში გარკვეულ ზღვარს დებს (ასე მაგალითად, ქარვისა უყვითლესად-რე ნიშნავს ქარვაზე ოდნავ უფრო ყვითელს და არა უყვითლესს უსასრულობამდის).

გარდა აღნიშნული ორიგინალური ფორმებისა, რუსთველოლოგები ასახელებენ სხვა მოვლენებსაც. ასე მაგალითად, არსებითი სახელისაგან უფროობითი ხარისხის წარმოების ფაქტი „ვეფხისტყაოსანში“ შენიშნა ი. აბულაძემ (1923 წ.). რუსთველის ენის ეს თავისებურება ვ. ბერიძემ ეკონომიურობის გადმოცემის საშუალებად მიიჩნია[1]. არსებითი სახელისაგან ნაწარმოები უფროობითი ხარისხის ფორმები „ვეფხისტყაოსანში“ სულ სამჯერ გვხვდება... და მას თუ მაინცდამაინც „ვეფხისტყაოსნის“ ენის სპეცი-

[1] ვ. ბერიძე, შოთას პოეტიკისათვის — ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 176.

ფიკურ თვისებად მივიჩნევდით, საჭირო იყო მისი მეორე ფუნქციაც გამოგვეველინებინა: ესაა რითმის შექმნაში ამგვარი ფორმების მონაწილეობა.

„მათსა დიდსა სიხარულსა სამძიმარი ანაცვალეს,
ყოველგან რბოდეს საძებარად, ვინცა იყო უცხენმალეს". 173,3-4.
„წეღან საქმე მტერობისა გულსა ჩემსა შთამოსთესი,
აწ მოყვარე გიპოვნივარ, დისაგანცა უფრო დესი". 252,3-4.

პირველ შემთხვევაში უფროობითი ხარისხის ფორმა — „უცხენმალეს", რომელიც ორი სიტყვისაგანაა მიღებული, მართლაც გვაძლევს სიტყვის ეკონომიას და ამასთან ერთად რითმასაც ქმნის; მეორე შემთხვევაში კი („დესი") უფროობითობის შინაარსი ცალკე სიტყვითაა გადმოცემული („უფრო") და აქ აღარც იყო საჭირო შედარებითი ხარისხის ფორმა, მაგრამ, პოეტმა როცა იგი გამოიყენა, ამით განსაკუთრებით, საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ახალნაპოვნი მოყვარის ერთგულებაზე და ამ სიტყვას მეორე ფუნქციაც დააკისრა: რითმის შექმნაში მონაწილეობა.

§ 5. რუსთველის ენის სპეციფიკური ნიშნები ვლინდება პოეტური ფრაზის გამართვის განსხვავებულ მანერაში. „ვეფხისტყაოსნის" ფრაზეოლოგია ბუნებრივია, ზუსტი და სრულქმნილი. პოეტური ფრაზის აგებისას რუსთველი იყენებს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ფორმით გამოხატულ სიტყვებს. უარყოფისათვის ქართულს ძველთაგანვე ჰქონდა სპეციფიკური აფიქსები: უ, უ-ურ, უ-ო, რომელთაც ბუნებრივია, რუსთველიც იყენებს (უანგარიშო, უარაკო, უასაკო, უბედო, უბედური, უბოროტო, უბრალო, უგულო, უგულობა, უებრო, უებრობა, უზომო, უთვალავი, უთქმელი, უთქმელობა, უიცი, უკადრი, უკაპარჭო...). მაგრამ საგანგებოდ რომ გაამახვილოს ყურადღება გარკვეულ მომენტზე, იგი ცალკე სიტყვებსაც (არ, ვერ) იყენებს უარყოფის გამოსახატავად, კერძოდ, სახელზმნების წინ:

მზემან შუქნი შემომადგნა, ვარდი მით ვარ არ-დამზრალი. 1436,4.
ვის ძალ-აქვს პოვნა კაცისა, თვით სოფლად არ-მოსრულისა? 274,3.
მუნითგან ეძებნნე ღონენი ჩემნი არ-დასამრუდენი. 217,4.
აჰა მიჰხვდა ავთანდილსა ღაწვთა ცრემლით არ-დათოვნა... 211,1.
ვიცი, შორი-შორ არ-ჩავლა ჩვენ თქვენი კარგად ექმენითა. 1441,4.
რა გაიგონა, შესთვალა პასუხი არ-ნაგრძელევი... 816,2.
პატრონისა ვერა-მჭვრეტმან ყმამან რამცა გაიხარნა! 812,4.
მზისა შუქთა ვერ-მჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ჴნების... 793,2.
მაშინ რაღა ექმნა, ვერ-ჰვრეტა რა მომხვდეს კვლა უგრძესად-რე! 139,3.
დაუწყო ქება მეფემან, თვით ვერას ვერ-მიხვდომილმან. 1536,4.
ყველაკაი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ-დაჯრილი. 101,3.
მათ კიდობანი მოიღეს, ეუბნეს არ აჯებითა... 580,3.
ჩემი ვერ ცნიან ამბავი, მუნ იყო არ იეფობით. 621,4.

მსგავსი კონსტრუქციები პოემაში ათეულობით გვხვდება. შესაძლებელია, რიგ შემთხვევაში პოეტი მათ რითმის საჭიროებისათვის იყენებდეს, მაგრამ ამგვარი ფორმების მთავარ ფუნქციად ამა თუ იმ მოვლენის, მომენტის ხაზგასმით აღნიშვნა მიგვაჩნია.

გარკვეულ სიტყვაზე მხატვრული აქცენტირების ეს ხერხი ყველაზე მკვეთრად იმ შემთხვევებში ვლინდება, როცა უარყოფითი ნაწილაკი, ნაცვლად ზმნისა, სხვა მეტყველების ნაწილებს მიემართება:

კლიტეთა დაცლეწ, გაეახვამ, დამიდგამს ვერ-ქვიტკირი სად. 1401,3.
სული დაიღეს, დადუმდეს, მიცლენ არ თურე მღერითა. 1009,2.
იყო არ-ნათლად ნათელი, ფარდაგსა შემომდგომელი... 521,1.
ვინცა ურჩ ექმნას, იქმნების თავისი არ-მადლიერი. 387,4.

ჩვეულებრივ საუბარში მოსალოდნელია ისეთი შემთხვევები, როცა უარყოფის ნაწილაკი წინ უძღვის შესიტყვების უკანასკნელ წევრს. რუსთველის ორიგინალობა ისაა, რომ იგი უარყოფის აღმნიშვნელ სიტყვას ხშირ შემთხვევაში შესიტყვების წინ სვამს მთელი გამოთქმის მხატვრული შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით.

„აწვეცა დაგვხოც, ვერა ჰგავ, — ვერად ვერ მოგეხმარებით, —
ვისგან ნაკრავნი გვინახვან მხეცნი ვერ წალმა წარებით. 80,3-4.
წინა-უკანა იარნეს ორნი დღენი და ღამენი,
დღისით და ღამით მაშვრალნი, არ შეჰამადთა მჭამენი“... 218,1-2.
უხარის შეყრა ვარდისა, არ ერთგან შეუყრელისა. 121,3.
თავსა ვაბრალობ საქმესა, არ დასმით გაგონებულსა! 1344,2.
დაყრით დგა და იგონებდა არ საქმეთა საომართა. 752,4.
კვლა მოვალ, გნახავ პირითა არ მტერთა საწუნელითა... 735,2.
ყოველსავე მართლად გითხრობ, არ სიტყვასა საკვეხელსა.: 736,1.
მით შეგქმნა მოშორებულთა ჰირთა, არ ლხინთა მწადებლად... 1085,2.
უსტარი შესანახავი, არ ცუდად დასახველი. 1084,4.
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი... 24,2.
ვთქვენი ჭებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეულნი... 4,2.
მაშინღა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურვალია... 158,1.

ჩვეულებრივ, უარყოფის ნაწილაკი ზმნას მიემართება. რუსთველი არღვევს ამ წესს და ეს ნაწილაკი მთელი ფრაზის წინ გადააქვს, რითაც აძლიერებს პოეტური სათქმელის შინაარსს:

პირისპირ ომი არ ძალ-გვიც, არ ჟამი საკვეხარია... 1393,3.
მართალან შენნი მჭვრეტელნი, არ ცუდად იმკვეხარიან. 485,4.
მეფესა მიჰხვდა სიამე, არ სიტყვა ივაგლახა. რა... 548,3.
ამოა, რომე კაცი კაცს ამოსა ეუბნებოდესს
მან გაუგონოს, რაცა თქვას, არ ცუდად წაუხდებოდეს... 924,1-2.

ძველი წესია სოფლისა, არ ახლად მოსასმინია. 918,3.
არ, უთქმელობა არ ვარგა. არ პირუტყვი ვარ მჩმუნავი... 938,3.
არ მარტო უნდა გაჯრილი ცრემლისა სისხლსა ფერებად? 784,2.
ხელი ჰხადეს ხრმალთა მათთა, არა ცუდად წელთა ებნეს. 1535,4.
ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად არა შენზედ კრფებიან! 1086,2.
თქვენთანა ჩემი სიცოცხლე არ ჩემი შესაგვანია. 1193,4.
არ მონა იყო, ტყუოდა, ჩვენ ესე შევიგენითა... 1229,2.
არ ავი გესვა მოყვარე, ქამი თუ მომხედეს ქამისად... 635,1.
თუ არ შმაგი ხარ, დამეხსენ; შმაგი ხარ, მოდი ცნობასა! 234,2.
არ ეგების, ამას იქით თუმცა თავი არ გამონე,
არ შენ მოგეც თავი ჩემი, დაგაბნიე, დაგაღონე... 253,2-3.
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიაო! 19,2.
ძღვენნი გკადრნე ზედა-ზედა, არ სალამი დავაძვირო. 143,4.

უარყოფის გზით წარმოებული მტკიცება, ჩვეულებრივ, ყურადღების ფარგალში მოაქცევს იმას, რასაც უარვყოფთ და იმაზრსაც, რაც ამ უარყოფის შედეგად მიიღება. ამ ხერხს რუსთველის პოეტურ მეტყველებაში სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს მოპოვებული. მისი გამოყენებით პოეტი აღწევს მხატვრული შთაბეჭდილების გაძლიერებას ცალკეული სიტყვების, შესიტყვებისა და მთელი ფრაზის მიმართ. ამ პოეტური ხერხის უნივერსალურ სახეობას წარმოადგენს ორმაგი უარყოფა, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ თუმცა ორჯერ გვხვდება, მაგრამ მაინც რუსთველისეულად მიგვაჩნია. უარყოფითი ფორმის უარყოფით რუსთველი ჰიპერბოლურად წარმოგვისახავს სიტყვის დადებითს შინაარსსა და მნიშვნელობას:

მას თეთრსა ყელსა ეხვივნეს გრძლად თმანი არ-უხშირონი. 123,4.
ჰშვენის მღერა და სიცილი მათ, მისთა არ-უიცართა... 1448,3.

პირველ მაგალითში უარყოფითადაა გადმოცემული სიტყვა „ხშირი“ (უ-ხშირ-ო-ნ-ი), შემდეგ კი ეს უარყოფითად გამოხატული ფორმა (ე. ი. ის, რაც არ არის ხშირი), უარიყოფა „არ“ ნაწილაკის საშუალებით (არ-უ-ხშირ-ო-ნ-ი); შედეგად ვღებულობთ სიტყვის პირვანდელ მნიშვნელობას, რაც მას დადებითს ფორმაში ჰქონდა. მაგრამ პოეტური შთაბეჭდილების თვალსაზრისით იგი უფრო გაძლიერებულად წარმოგვიდგენს იმ მნიშვნელობას, რაც სიტყვასთან იყო დაკავშირებული ორმაგი უარყოფის გარეშე. მსგავსი ვითარება გვაქვს მეორე შემთხვევაშიც (არ-უ-იც-არ-თა).

„ვეფხისტყაოსანში“ არ ნაწილაკის საშუალებითაა აგებული პოეტური პარალელიზმები. რუსთველის პოეტური მეტყველების

ეს თავისებურება პირველად ნ. მარმა შენიშნა (აბინდებს, არ ადილებს; ახლავს გონებითა, არ მოსწყდების; დღეს ნახეს, არ ახვალეს; პირ-მსუქანი, არ პირ-ხმელი...)[1]. ბ. ბროსემ რუსთველისეული პარალელიზმები, როგორც აღვნიშნეთ, უძართებულო განმეორებებად მიიჩნია. „ვეფხისტყაოსანში“ პარალელიზმების გამოყენების თავისებურებანი დაწვრილებით გააშუქა ალ. ბარამიძემ[2]. ამიტომ ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამგვარი კონსტრუქციები პოემაში ათეულობით გვხვდება. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი კონიექტურა სარწმუნოდ მისაჩნევი ჩანს. ჩვენი აზრით, ა. შანიძე მართალი უნდა იყოს, როცა 1412-ე სტროფის მე-3 ტაეპს ასე კითხულობს:

„მას ღმით უქმნეს სადარნო, უცრუო, არ-ნაჩქარები“...[3]

ამ კონიექტურას მხარს უჭერს არა მხოლოდ ლოგიკური გააზრება („ანაჩქარები“ არ შეიძლება უცრუო იყოს. უნდა: **არ-ნაჩქარები**“), არამედ რუსთველისეული კონსტრუქციაც პარალელიზმის მეორე წევრის უარყოფითს ფორმაში გადმოცემისა, რაც დადებითს ფორმაში გამოხატული პირველი წევრის მნიშვნელობას უდრის (შდრ. „მე თუ დრომდის არ მოვიდე, გლოვა გმართებს, **არ სიცილი**“ — 169,4; „კვლა გაამაღლა ზახილით ტირილი, **არ გაცინება**“. — 248,3 „ხელსა ხრმლითა დავეკოდე, წყლულად მაჩნდა,**არ-ნაღებად**... — 453,2; „კვლა შევა დარბაზს ვაზირი დაღრეჯით, **არ მხიარულად**... — 820,1; „ჩვენ ყოვლთა გვმართებს ნეტარძი ათასი, **არ ერთხელები**.—1629,4; „მერმე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, **არ ნაჭორად**... — 130,3...).

პოეტური გააზრების გაძლიერებისა და რითმის შექმნის მიზნით რუსთველი ზმნასთან მიმართებით უარყოფითს ნაწილაკს ინვერსიული წყობით იყენებს:

„მან ეგრე თქვა: „უბრალო ვარ, იცის ღმერთმან სახიერმან!
ვისგან მოვკედე, ვისთვის მოვკედე, მიიხვედროს იგი ვერ მან“. 576,3-4.
„ახლოს მივიდა, მოსცალდა სიტყვისა თქმად აღარისად“. 86,4.
„ვიცი, რომე არ დასდგები, მაგას გიშლი ამად არა“. 160,4.
„თქვა: „თუ მე მასმცა ვეახელ, აწ ცხელსა ცრემლსა ვღვრი არა“. 178,4.
„უბრძანა: „მახლავ რად არა, რად მელი მოყვანებასა?“ 106,4.

პოეტური ინვერსია აცოცხლებს ფრაზას, აძლიერებს იმ აზრს, რაც პირდაპირი წყობის შემთხვევაში შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენილიყო. რუსთველის მხატვრული მეტყველების

---

[1] Н. Марр, Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема, Петроград, 1917.

[2] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, გვ. 178-183; მისივე — შოთა რუსთაველი, გვ. 265-270.

[3] ვეფხის-ტყაოსნის სიმფონია, ა. შანიძის წინასიტყვაობა, 1956, გვ. 035.

თავისებურება ამ მხრივ ისაა, რომ პოეტი ნაწილაკების მიმართაც კი თვლის ამ ხერხის გამოყენების შესაძლებლობას. უნდა ითქვას, რომ ამ გზით მიღებული ეფექტი უფრო ძლიერია, ვიდრე ინვერსიისა, რომელიც სხვა მეტყველების ნაწილთა მასალის საფუძველზეა აგებული.

პოეტური ფრაზის გამართვის თვალსაზრისით სპეციფიკურია რუსთველისეული განმეორებანი.

განმეორებას მიმართავდა ადამიანი პირველ-პოეტური ამღერებიდანვე. მას იყენებდა და ამჟამადაც იყენებს როგორც პოეზია, ისე მხატვრული პროზა. მაგრამ რუსთველამდელი და მისი თანამედროვე ქართული ლიტერატურის არც ერთ ძეგლში არ იგრძნობა პოეტური განმეორების ენობრივი გამოხატვის საშუალებათა მრავალფეროვნება ისე მძლავრად, როგორც „ვეფხისტყაოსანში“. ამ დიდებულ პოემაში გვაქვს განმეორებანი შესიტყვების, ფრაზის ნაწილის, ზმნის, ზმნისეული პრეფიქსის, არსებითი სახელის, ნაცვალსახელის, კავშირის, ზმნიზედის, ნაწილაკის, შორისდებულისა. თითოეულ მათგანს გარკვეული ელფერი შეაქვს მხატვრულ სახესა თუ სურათში.

შესიტყვების, ფრაზის ნაწილის, ზმნისა და არსებითი სახელის განმეორებანი ჩვეულებრივი იყო რუსთველამდისაც. ზმნისეული პრეფიქსის, როგორც ზმნის შემოკლებული ფორმით განმეორების, გამოყენების შემთხვევებს სხვა საკითხთან დაკავშირებით უკვე შევეხეთ.

ნაცვალსახელის განმეორებას რუსთველი იყენებს სიტყვის მნიშვნელობის გაძლიერებისა და შთამბეჭდავი ემოციების გამოწვევის მიზნით:

**მან დაგარჩინნა; მე რა ვარ? მე, გლახ, რა მომილხენია! 1055,3.**
**შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწვესებ მისსა წესსა... 810,2.**
**მას ვეძებ და მას ვიგონებ, ვიარები ველთა ელისად. 855,4.**
**ქაჯეთით მომყავს ჩემი მზე, ჩემი ლახვართა მსობელი“... 1428,3.**
**კვლა მოვიდე შენად ნახვად, შენთვის მოვკვდე, შენთვის ვირო“... 665,3**

ნაცვალსახელთა განმეორებით მგოსანი აღწევს იმას, რომ განსაკუთრებით გახაზოს და მკვეთრად გამოყოს ის არსებითი ნიშნები, რაც განსაზღვრულ მომენტში მთავარია მოვლენათა განვითარების წარმოსახვისათვის. სპეციფიკური მნიშვნელობისაა ისეთი შემთხვევები, როცა ნაცვალსახელი უცვლელად მეორდება, ხოლო მის მომდევნო სიტყვას სინონიმი ენაცვლება:

**ვუჩვენო ჩემი ძალ-გული და ჩემი მეომარობა. 541,3.**
**იგია ჩემი დამწველი და ჩემი დამადნობელი.... 1263,3.**
**ესეა ჩემი საწადი და ჩემი მოსანდომარე. 1478,1.**
**თვით იგი იაჯს, რომელი ჩანს მზეებრ შუქთა მფენებლად,**

ვინ არის ჩემად სინათლედ და ჩემად გამათენებლად. 1520,3-4.
ყოველსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს. 18,3.

ნაცვალსახელის კვლავ ხმარებას აძლიერებს მისი მომდევნო სიტყვის წარმოდგენა სემანტიკური ვარიანტის სახით, რომელიც სიახლოვესთან ერთად ნიუანსებსაც ავლენს და მით მთელ ფრაზას გარკვეული მხატვრული იერით აღბეჭდავს. ნაცვალსახელის, განსაკუთრებით კი პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების, განმეორების შემთხვევები გვაქვს სასულიერო მწერლობის ძეგლებშიც, მაგრამ აქ მათ არსებითად რიტორიკული მიმართვის ფუნქცია აქვთ დაკისრებული; რუსთველთან კი ნაცვალსახელთა გამოყენების ფუნქციები მრავალსახოვანია.

ძლიერი შთაბეჭდილების აღძვრის ფუნქციით იყენებს რუსთველი კითხვითს ნაცვალსახელებს. ამ ტიპის უახლესებიდან შედარებით იშვიათია ვინ კითხვითი ნაცვალსახელის ხმარების შემთხვევები:

კვლა ეტყვის: „ყმაო, რად მპოვე, ვინ გეუბნები მე, ვინო?“ 241,1.
ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილი სდებიან?
ვის არ უნახავ პატიჟნი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან? 877,1-2.

უფრო ხშირადაა განმეორებული რა კითხვითი ნაცვალსახელი და მისი მხატვრული ფუნქციაც დიფერენცირებულად გვესახება. ზოგიერთი მაგალითის მიხედვით მას გაძლიერებული კითხვის გამოხატვა ეკისრება:

რა მოვაგვარო, რა მიჯობს სალხენლად ჩემად და მისად? 635,3.
აწ მითხარ, თუ: რას იტყოდი, რას გაშმაგდი ისრე რეტად? 1119,1.
პირველ მითხრა: „არა ვიცი, რა ხარ, ანუ რას გამსგავსო?
ანუ ეგრე რამ დაგლია, ანუ პირველ რამ გაგავსო? 599,1-2.

ზოგჯერაც პოეტი ამ სიტყვის განმეორებით გაძლიერებულ გრძნობას გამოხატავს არაჩვეულებრივი განცვიფრების სახით:

უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია.
რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერიაl 1090,3-4.
ვთქვი, თუ: «არ ვუთხრა, რა ვუყო, ჩემგან რა მოეგვარების?
არცა რა ვიცი, რა უნდა, რა ვისგან მოეხმარების...» 1151,1-2.
რა ექმნა, რა ვყო, რა მერგების, სიცოცხლე მჭირს მეტად ძნელი! 1190,4.
აწ ესე მიკვირს რა იყო, ანუ რა ვნახე და რული! 111,1.
უსენ გაკვირდა, გა-ცა-კრთა, რა შუქნი ნახნა მზისანი;
თქვა: «რა მიჩვენე, რა ვნახე, რანია, ნეტარ რისანი?!» 1155,2-3.

მოყვანილ მაგალითებში რა ნაცვალსახელის ყოველი განმეორება აძლიერებს აზრს, მკვეთრად გახაზავს მთქმელის პოზიციას გარკვეული მოვლენისადმი.

რა ნაცვალსახელი „ვეფხისტყაოსანში“ რიგ შემთხვევებში ჩა-

მოსათვლელი სიტყვის წინაა ნახმარი ამ უკანასკნელის გაზვიადებულად წარმოდგენის მიზნით. ამდენად, რუსთველი კითხვითს ნაცვალსახელს „რას“ ჰიპერბოლისებური გამოთქმის ერთ-ერთ მთავარ ელემენტად იყენებს. ამ მოსაზრებას ნათელყოფენ მაგალითები:

**რა გიამბო ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა! 1136,1.**
**ვით გამხადა, რა მიბრძანა, არ ეგების ჩემგან თხრობა:**
**რა სიავე, რა სირეგვნე, რა შლეგობა, რა შმაგობა! 765,1-2.**
**აწ ვერ ვიტყვი მაშინდელსა მე მის ყმისა ნაუბარსა,**
**რას უბნობდის, რას მოსთქმიდის, რას ტურფასა, რაზომ გვარსა! 842,1-2.**

აქაც გვაქვს ნაცვალსახელის მომყოლი სიტყვის სინონიმური ვარიანტები (**რა სიავე, რა სირეგვნე, რა შლეგობა, რა შმაგობა!**), რომლებიც ახალი და ახალი ნიუანსების მიმატებით ნათქვამს ავრცობს, აზუსტებს და უფრო სარწმუნოს ხდის. განმეორებული სიტყვები პოეტურ ფრაზას მძლავრი ემოციური ნიუანსებით ტვირთავს და სალექსო ტაეპის წყობაში გარკვეულ რიტმს ქმნის.

პოეტური განმეორების სახით „ვეფხისტყაოსანში“ ხშირად გვხვდება კავშირები, ზმნიზედები, ნაწილაკები, შორისდებულები. ისინი არა ნაკლები ძალით აღძრავენ შთაბეჭდილებებს, ვიდრე ფრაზების, ზმნებისა და სახელების განმეორება.

კავშირთაგან სხვადასხვა მხატვრული ფუნქციით რუსთველის პოემაში მრავალჯერაა გამოყენებული „და“: რიგ შემთხვევებში იგი ნახმარია ერთი ჯგუფის საგნებისა და მოვლენების დასაკავშირებლად, რომ მათი სიახლოვე პოეტმა უფრო ღრმად განგვაცდევინოს:

**სცემდეს ბუკსა და ტაბლაკსა, გახდა ზათქი და ზარია,**
**დაბდაბისა და ჭოსისა ხმა ტურფად შენათხზარია... 1460,2-3.**

სხვა შემთხვევაში „და“ კავშირის განმეორებითს ხმარებას, გარდა ზემოთ აღნიშნული დანიშნულებისა, სწრაფი რიტმის, გარკვეული ვითარების მძლავრი დინამიკით გადმოცემისა და ალიტერაციული სახეებით გამოხატვის ფუნქცია ეკისრება:

**შესტყორცა და ჩამოაგდო, დაეცა და სისხლი სდინდა,**
**გარდახდა და ფრთენი დასჭრნა, წყნარად შეჯდა, არ აქშინდა. 980,3-4.**
**უკუდგეს და თაყვანის-სცეს მეფემან და მისთა სპათა,**
**დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა,**
**ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკბობდეს მათთა ხმათა,**
**ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰხრის ყორნისა ბოლო ფრთათა. 46,1-4.**

ზოგჯერაც ამ კავშირის განმეორებას, გარდა ალიტერაციის შექმნისა, ის დანიშნულება აქვს, რომ მკითხველის ყურადღება განსაკუთრებით იმ სიტყვაზე გაამახვილოს, რომელსაც „და“ უძღვის წინ:

რომე სძღენა, არა ეგების თქმა არცა ნაათალისა, —
თვითო სკიპტრა და პორფირი და გვირგვინები თვალისა. 1557,3-4.
თვით მონა შენი მოწმად მყავს, ფიცი აფიცე ღმრთიანი,
აჰა თითი და ბეჭედი, და დანა მკქვს სისხლიანი. 1118,3-4.
აჰა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი! 75,4.

მოყვანილ სტრიქონებში უკანასკნელი და მისი მომყოლი სიტყვებითურთ გაძლიერებული სახით წარმოგვიდგენს პერსონაჟის თხრობის გარკვეულ მომენტს (და გვირგვინები თვალისა; და დანა მაქვს სისხლიანი; და მკლავი დაუშრომელი) და მკვეთრად გამოგვივლენს იმას, რაც არსებითია და განმსაზღვრელი ნახულის, განცდილისა და ნამოქმედარის გასათვალისწინებლად. „და“ კავშირი აქ ლოგიკურ საყრდენს წარმოადგენს მისი მომდევნო სიტყვების მკვეთრად გამოყოფისა და გამოკვეთილად აღქმისათვის. მისი განმეორების ერთ-ერთი მხატვრული ფუნქციაც ამაში მდგომარეობს. ამას ერწყმის მისი მეორე ფუნქციაც: ალიტერაციის შექმნაში მონაწილეობა. გარკვეული სიტყვის დატვირთვა რამდენიმე მხატვრული ფუნქციით, როგორც რუსთველის პოეტური ენის უზოგადესი თვისება, აქაც დასტურდება.

ზმნიზედებიდან „ვეფხისტყაოსანში“ განმეორებული სახით გვხვდება: რად, რადღა, სად, რაგვარ, ვით, ამად, შორით, აროდეს. ძათი ფუნქციაც ძლიერი შთაბეჭდილების აღძვრაა.

**რად:**

„მე უმისოდ სოფელს ყოფა რათგან ჩირად არ მიღირდა,
რად დავეწყდი, რად მივსცილდი, რად ვერ გაძლო, რა მისჯირდა“. 846,1-2.
„რად გაგიშვან, რად მოტყუვდენ, ანუ მზესა რად მოჰშორდენ“. 745,2.
„აწ დავკარგე; რად არ გიკვირს, რად ცოცხალ ვარ, რად ვარ რეტად?“ 529,3.

**რადღა:**

„მზეო, რადღა გაქვს სინათლე, რადღა ანათობ თემთაო?..“ 1592,3.

**სად:**

„შემოჰყივლა: „არ გელოდე, სად გაგექცე, სად წავიდე?“ 256,4.
„პირი მზისაებრ საჩინო სად უჩინო ჰყავ, სად არე?“ 1213,3.
„სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხერი სადით ძირსა?!“ 951,3.
„მუნ მეცა მივალ, ცრემლისა მიწად სად გამდის ლამი, სად“. 885,4.

**რაგვარ:**

„კვლა მოახსენა: „რამცა სცან სიტყვითა ესოდენითა,
თუ რაგვარ მყოფი მინახავს, თუ რაგვარ ცრემლთა დენითა!“ 755,2-3.

„ეგე სამხრე მისეული, შენ გაჩნია ვისგან წყლული,
რაგვარ გიყვარს, რაგვარ გიღირს? თქვი, დაიღო მერმე სული“ 895,3-4.

ვით:

„ნუთუ გაბრჯოს, გული ჩემი ვით იწვის და ვით ენთების“... 769,2.
„შენ უმართლე ხარ, ემდურვი. შენ გაეყარე ძმობილსა,
მაგრა ვით ითქმის, ვით გახდა, ვითა გიამბობ ცნობილსა“... 849,1-2.

ამად:

„თვენი ესხნეს ორანიღა, ამად სულთქვამს, ამად იშობს“... 185,2.

შორით:

„არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩენა ჭირთა, მალვა,
თავის-წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა,
შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“... 27,1-3.

დინამიკურობისა და მეტყველების ეკონომიის დაცვის თვალსაზრისით საინტერესოა „აროდეს“ შემოკლებული ფორმით განმეორება. დაბნედილი ტარიელი ეუბნება ავთანდილს, ენის დაძვრაც არ ძალმიძს, არც შენი სიტყვების სმენის ძალა მაქვს, სიკვდილს მივწურულვარ და

„ამას მოკვდავი ვილოცავ, აროდეს ვითხოვ, არ, ენით:
აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით,
მუნ ერთმანერთნი კვლა ვნახნეთ, კვლა რამე გაეიხარენით,
მო, მოყვარეთა დამმარხეთ, მიწანი მომაყარენით!“ 882,1-4.

ამ სტროფში გადმოცემულია ტარიელის სულიერი დეპრესიის სიმწვავე, მაგრამ ეს განწყობილება განცდილია მძლავრ ფორმებში. ტარიელი ამბობს: „ამას მოკვდავი ვილოცავ, **აროდეს** ვითხოვ, **არ**, ენით“... მოყვანილ მაგალითში „არ“ „აროდეს“ შემოკლებული ფორმაა, რომელიც არა მხოლოდ ამ სიტყვის, მთელი წინადადების („აროდეს ვითხოვ“) განმეორებასაც წარმოადგენს. ამრიგად, ეს შეკოკლებული ფორმა შემკვრივებული სახით იმეორებს მთელ ფრაზას, აძლიერებს მის რიტმს და ღრმად გვაგრძნობინებს ხოლმე პერსონაჟის სულისა და გულის მოძრაობას.

ნაწილაკთაგან „ვეფხისტყაოსანში“ ხშირადაა ნახმარი უკუთქმითი ფორმები. ისინი მეტყველებაში იმდენად ჩვეულებრივია, რომ მათ გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი მწერალი. მაგრამ მხატვრული ოსტატობაც ისაა, რომ ამ ხშირად სახმარებელ ფორმებში არ იგრძნობოდეს შაბლონურობა. რუსთველი აქაც პოეტური გამოსახვის განუმეორებელი ფორმების ოსტატად გვესახება. უკუთქმითი

ნაწილაკების განმეორებით დიდი მგოსანი აზრს უფრო დამარწმუნებლად, გაძლიერებულად, ემოციურად გამოხატავს. სათქმელის ამგვარად აგებით ავტორი ახერხებს პერსონაჟთა აზრებისა და განცდების სრულყოფილად გამოსახვას.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

არ:

„რაცა გკადრო, არ გეწყინოს, არ გაჰრისხდე, არ გასწყრეო,
არ გამხადო კადნიერად, არ ამიკლო ამათზეო“. 65,3-4.

არცა:

„არცა რა უმძიმს ქაჯთაგან, არცა გრძნეულთა გრძნებითა“... 1474,3.
„არცა დააგდო ტირილი, არცა რა გაიგონა მან,
არცა გახლიჩა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან“. 89,3-4.

არცა რა:

„არცა რა ცხადი ამბავი, არცა რა დასამალავი,
არა არ გვითხრა, ვინ იყო, ან ვისგან ნამუხთალავი“... 1231,1-2.

ვერ(ა):

„მას მოჰშორდი, ვერ ვეახელ, ვერ ვისურვენ, ვერ ვასურვენ“... 856,2.
„გული დადევ. დაიჯერე, ვერ წაგიტან, ვერა, ვერა!“ 783,4.
„ვერ წაიყვანა, ვერა ქმნა სიტყვითა, ვერა ვერიჱთა“. 887,4.
„ვერ მიხსნიან ვერ ციხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა ძმანი...“ 1039,3.

ვეღარ:

„ვეღარ გიჰვრეტ ნაბურთალსა, ტანსა მშვენრსა, ჯავარ-სრულსა,
ვეღარ ვისმენ ხმასა შენსა, სასმენელად მე მას რულსა“. 823,2-3.

ნუ:

„დღეთა მეტად ნუ მოჰკვდები, გული ჩემი ნუ დადნების“... 190.2.
„ნუ სჴმუნავთ ჩემთვის მეფენი, ნუ ხართ მოსილნი ბნელითა“... 807,3.
„მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა!“ 957,4.

ცალკე უნდა გამოიყოს არ ნაწილაკის განმეორება, როცა იგი მთელი ფრაზის ეკვივალენტს წარმოადგენს.

ასმათი ეუბნება ტარიელს, თუ ისეთი კაცი მოგგვარო, რომლის გაცნობითაც ილხენდეო,

„ფიცე, არ მოჰკლა, არ იყო, არ, სავნებლისა ენებითა“. 278,4.

აქ უკანასკნელი არ შემოკლებულად იმეორებს წინამავალ ფრაზას („არ იყო“) და ამით თავის ვედრებას, მოსალოდნელი ვნების დათრგუნვისადმი მიმართულს, მძლავრ ფორმაში გამოხატავს.

ხატაელთა ორგულობისა და სიმუხთლის გამოაშკარავების შედეგ ტარიელი რამაზ მეფეს შეუთვლის:

„თქვენ რასაცა სთათბირობდით, არ იქმნების, არ, იგია!“ 443,2.

აქაც უკანასკნელი „არ“ მისი წინმდგომი ფრაზის („არ იქმნების“) შემოკლებულ ვარიანტად გვესახება და იგი კიდევ უფრო დაბეჯითებით გადმოგვცემს ტარიელის რწმენას, რომ მტრის არავითარ ფანდებს გასავალი არ ექნება.

ავთანდილი გახელებულ ტარიელს ურჩევს:

„ასი გმართებს გაგონება, არ გეყოფის, არ, ერთხელი“... 663,2.

ბოლო არ თავისი ძალით უფრო დინამიკურად გვაგრძნობინებს ავთანდილის აზრს, ვიდრე ფრაზა „არ გეყოფის“.

ზოგჯერ ფრაზის განმეორების ფუნქცია, „არა“ ნაწილაკს აკისრია:

„მერმე უთხრა: „აჰა, რათგან არ მომისმენ არას, არა,
აღარ გაწყენს ენა ჩემი, აქამდისცა ცუდად მცთარა“. 888,1-2.

აქ „არა“ „არ მომისმენ არას“ გადმოგვცემს შემოკლებით.

„არა“ ნაწილაკის განმეორება ამავე დანიშნულებით სხვა შემთხვევაშიც გვაქვს:

„მაგრა თუ ღმერთი რას უზამს, არა იცოდა, გლახ, არა“... 548,2.

ნაწილაკი „არ“, რომელიც ფრაზის ეკვივალენტად გვევლინება, ზოგჯერ წინ უსწრებს ფრაზას:

„არ, უთქმელობა არ ვარგა, არ პირუტყვი ვარ მჩმუნავი“... 938,3.

აზრისა და განცდის მძლავრად გამოსახვის მიზნით „ვეფხისტყაოსანში“ აგრეთვე შორისდებულიცაა გამოყენებული:

„კაცსა მოყვრისა გაწირვა, ახ, მოუხდების, ახ, ავად!“ 1565,4.

შორისდებულის განმეორება პოემაში ირონიის მწვავე ფორმებში გამოსახატავადაცაა ნახმარი:

„წა, უკუდეგ! ავი, შმაგი, უმეცარი, შლეგი, წბილი!
შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი!“ 759,3-4.

როგორც საილუსტრაციო მასალის ანალიზიდან ჩანს, პოეტური განმეორების სახეები „ვეფხისტყაოსანში“ სხვადასხვა მეტყველების ნაწილითაა გამოხატული. ერთი და იმავე სიტყვის განმეორებას სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებული ფუნქცია ეკისრება. იგი მძლავრად წარმოგვისახავს თავისი გმირების არა მხოლოდ აზრებს, არამედ გრძნობებსა და განცდებსაც. ავტორი არ იზღუდება ამ პო-

ეტური ხერხის ფარგლებით. ჰიპერბოლურ გამოთქმებსა და გაჩუმებასთან კომბინირებით იგი ამდიდრებს განმეორების სახეებს. „ვეფხისტყაოსანში“ განმეორება პერსონაჟთა სულიერი განწყობილების, ემოციური სამყაროს, მათი ხასიათის გახსნის. შემოქმედის იდეათა ამაღლებულად გამოხატვის მხატვრულ საშუალებას წარმოადგენს.

* * *

ჩვენ შევეცადეთ, გამოგვეკვლინებინა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკური ნიშნები. ეს ნიშნები წარმოჩენილ იქნა რუსთველის პოემის ლექსიკური შემადგენლობის, მისი პოეტური მეტყველების მასალობრივი, სტრუქტურული და ფუნქციური მხარეების ანალიზის შედეგად. თანამედროვე და წინამორბედი ქართული მწერლობის ძეგლებთან „ვეფხისტყაოსნის“ შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ რუსთველი ემყარება ჩვენი ეროვნული ლიტერატურის მდიდარ ენობრივ მემკვიდრეობას, ავითარებს და სრულყოფს მას თავისი მხატვრული კონცეფციის შესაბამისად.

რუსთველის მხატვრული ენის შინაგანი ბუნება შეპირობებულია პოეტურ სახეთა მასალობრივ, სტრუქტურულ და ფუნქციურ მხარეთა მთლიანობით. ქართული პოეტური მეტყველების ელასტიურობაცა და სიმკვეთრეც „ვეფხისტყაოსანში“ გამოვლენილია ენობრივი მასალის მრავალსახოვანი ფორმებით, ერთჯერ ნახმარ სიტყვათა სიჭარბითა და ხშირად ხმარებულ ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობის დიფერენცირებულად გააზრებით.

რუსთველის მხატვრულ კონცეფციას ადამიანის, საზოგადოებისა და ბუნების ჰარმონიული მთლიანობის შესახებ სრულყოფილ განსხეულებას აძლევს მისი პოეტური სახეების ჰეშმარიტად რეალისტური ხასიათი. დიდი მგოსნის გამომსახველობითი საშუალებანი შედეგია რეალური საგნებისა და მოვლენების მხატვრულად გაცნობიერებისა. ძველი ქართული მწერლობის არც ერთ ძეგლში არ წარმოგვიდგება ბუნება ისეთი სრულქმნილი სახით, როგორც „ვეფხისტყაოსანში“. რუსთველის გმირთა ფიზიკური სილამაზე და სულის მშვენიერება მის მრავალსახოვან გამოვლინებაში გაბრწყინებულია სამყაროს ნათელი ფერებით. მზის, მთვარისა და ვარსკვლავების სხივებით შუქდაფრქვეული მისი პოეტური სახეები თვალისმომჭრელი ელვარებით ანათებენ საუკუნეთა უწყვეტ დენაში. რუსთველმა, პირველმა ქართულ მწერლობაში, პეიზაჟის ამსახველი სიტყვების მეტაფორიზაციის საშუალებით შექმნა ისეთი გულისშემარხეველი მხატვრული სურათები, რომელთა ესთეტიკური განცდა ადამიანს, მის სულიერ ტკივილებსა თუ აღმაფრენას ბუნების დიად მოვლენებთან უშუალო კავშირში წარმოგვისახავს.

„ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ხალხის ბრძოლისა და გამარჯვების უტკბესი საგალობელია. ამ საგალობლის ძალას, კეთილშობილურ იდეებთან ერთად, მისი მხატვრული აღნაგობის გამძლეობა ქმნის. ალიტერაციული სახეები, რიტმი, რითმა, ორიგინალური ფორმები სიტყვისა და ფრაზის გამართვის თავისებური მანერა თავისი ქმედითი შინაარსით, მაღალი მუსიკალური ბგერადობით, კეთილხმოვანებით, ღრმა აზრებით, განცდებითა და ემოციებით, ერთი სიტყვის დატვირთვა ერთსა და იმავე დროს რამდენიმე პოეტური ფუნქციით რუსთველის პოეტურ მეტყველებას ანიჭებს ისეთ სიმკვრივეს, დინამიკურობასა და განმცდელობითს ძალას, რომლის წინაშეც უძლურია დროისა და სივრცის უსაზღვროება. ფერებისა და მომჯადოებელი მუსიკალური ტონების შერწყმით რუსთველი ქმნის ისეთ დიდებულ სიმფონიას, რომელიც მსმენელში მარადიული სიჭაბუკის, სიხარულისა და ესთეტიკური სიამოვნების გრძნობას ბადებს. მხატვრული გზნების ამ გოლიათმა ქართული სიტყვა ისეთ თვალშეუდგამ სიმაღლეზე ამართა, რომ შემდგომ თაობებს მისი სიდიადის წინაშე პატივისცემით მუხლი მოადრეკინა. ჩვენს ეპოქაში, როცა წარსულის ღირსშესანიშნავი მემკვიდრეობა ეგზომ დიდი სიყვარულითაა გარემოსილი, რუსთველის პოემას მაღალი შეფასება ძიეცა. მსოფლიო ლიტერატურის ამ უმშვენიერესი გვირგვინის სურნელების შეგრძნებითაა სწორედ შთაგონებული ჩვენი სახალხო პოეტის — გ. ლეონიძის გრძნობიერი მიმართვა „ვეფხისტყაოსნისადმი“:

შენ ჩვენი სიჭაბუკე ხარ,
გული არ დაგიძველდება.
სიმღერა, დილას ნამღერი,
შვიდასი წელი გრძელდება!

## 1. „ვეფხისტყაოსანში“ იშვიათად ნახმარი სიტყვები[1]

### 1. მხოლოდ ერთჯერ გვხვდება

### ა. სახელები

ა

აბდულ-მესია — 1669,2.
აბედ-ი — 1301,3.
აბჯარ-ცმულობა — 442,1.
აგებულ-ი — 676,1.
ადამიან-ი — 233,1.
ადრინდელ-ი — 292,2.
აერ-ი: აერთა — 1021,3.
აერ-ფერ-ი: აერ-ფერითა — 1009,3.
ავაზ-ი: ავაზისა — 474,1.
ავთანდილობა: ავთანდილობით — 992,2.
აზავერ-ი: აზავრები — 464,3.
აზრობა, — 863,3.
აკაზმულობა: — 224,2.
აკიდება: აკიდებით — 618,4.
აკლება: აკლებასა — 744,4.
აკრვა: 1420,3.
ალ-ი: ალამა — 1660,2.
ალაფიან-ტყვიან-ი: ალაფიან — ტყვიანად — 463,4
ალობა: 374,1.
ამათ-ი: 1631,2.
ამარ-ი: ამარიმცა — 1053,2.
ამარტ-ი: ამარტის — 266,1.
ამბობა: 320,1.
ამება: 295,2.
ამებულ-ი: ამებულმან — 660,2.
ამილახორ-ი: ამილახორო — 54,2.
ამირან-ი: ამირან — 1669,1.
ამირ-სპასალარ-ი: ამირ-სპასალარისა — 40,1.
ამირსპასალარობა — 316,2.
ამონაწებ-ი — 1293,2.
ამოსლვა (= აღმოფხვრა) — 82,4.
ამოსლვა (= გამოჩენა) — 383,3.
ამოსლვა (= აღმოცენება) — 1328,1.
ამოსრულ-ი — 729,1.
ანაგზ-ი: ანაგზითა — 305,4.
ანაფრენ-ი: ანაფრენსა — 97,3.
ანაურდენ-ი — 219,4.
ანაჩქარებ-ი — 1412,3.
ანაწონებ-ი — 803,1.
ანგარიშ-ი — 1273,3.
ანგარიშ-მიუწთომელ-ი: 75,1.
ანდამატ-ი: ანდამატისა — 1342,3.
ანთებულ-ი: 599,4.
არავ-ი: 1513,3.
არ-ავ-ი: არ-ავად — 4,2.
არ-ალქატ-ი: არ-ალქატისა — 1465,1.
არა-მქის-ი: არა-მქისსა — 1080,3.

---

[1] ეს მასალა გამოვლენილია ავტორის მრავალწლოვან დაკვირვებათა შედეგად; მის განლაგებაში გათვალისწინებულია ა. შანიძის ხელმძღვანელობით შედგენილი „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიის“ მონაცემებიც.

არა-მცნება — 1631,2.
არ-ბარგოსან-ი — 1355,1.
არ-გაშვებულ-ი — 214,2.
არ-გახსნილ-ი — 1367,4.
არ-დაზრულ-ი: არ-დაზრულნი—1453,1.
არ-დათოვნა: 211,1.
არ-დამზმელ-ი: არ-დამზმელნი — 550,2.
არ-დამცთარ-ი: არ-დამცთარად—955,3.
არ-დასამრუდე: არ-დასამრუდენი — 217,4.
არ-დასაწვავ-ი: არ-დასაწვავისა — 702,2.
არ-დაჭრილ-ი: 101,3.
არე (=არა — ა. შანიძე) — 1532,2.
არიფ-ი — 1165,2.
არიფობა: არიფობასა — 1556,1.
ათენ-ი: ათენს — 694,4.
არ-ლევა — 897,4.
არ-მადლიერ-ი — 387,4.
არ-მალულ-ი — 895,1.
არ-მართალ-ი: არ-მართალია — 565,1.
არ-მოსრულ-ი: არ-მოსრულისა — 274,3.
არ-მრავალ-ი — 1311,2.
არ-ნათელ-ი: არ-ნათლად — 521,1.
არ-ნათნებ-ი — 1481,1.
არ-ნაკლულ-ი: არ-ნაკლულითა — 1019,3.
არ-ნაღებ-ი: არ-ნაღებად — 453,2.
არ-ნაცქაფავ-ი — 1315,1.
არ-პირ-ხმელ-ი — 1077,2.
არ-ყამ-ი — 1393,3.
არ-ხაადვილო: არ-საადვილოსა — 212,3.
არ-საზომ-ი: არ-საზომისა — 1034,2.
არ-ხათნებ-ი: არ-სათნებია — 492,2.
არ-საკრძალავ-ი — 1057,3.
არ-ხასმენელ-ი: არ-სასმენლისა — 896,4.
არ-საქებელ-ი: არ-საქებელო — 917,3.
არსება — 1361,4.
არ-სიკვდილ-ი — 500,4.
არ-სიცოცხლე: არ-სიცოცხლისა — 834,3.
არ-სიძვირე: არ-სიძვირით — 1452,3.
არ-სიწუნარე: არ-სიწუნარები — 1179,2.
არ-სმა — 508,4.
არ-უიცარ-ი: არ-უიცართა — 1448,3.
არ-უხშირო: არ-უხშირონი — 123,4.
არ-ფიცხელ-ი: 547,4.
არღავან-ი: არღავნის — 943,3.
არ-ღაფალ-ი: არ-ღაფალსა — 652,4.
არ-ღირსებულ-ი — 538,3.
არ-ყმაწვილ-ი — 1077,1.
არ-ყოფა: არ-ყოფასა — 156,4.
არ-შეუზრახე: არ-შეუზრახემან — 738,1.
არ-შეხედვა — 573,4.
არ-ჩავლა — 1441,4.
არ-წახდომა — 1544,4.
ასაგებელ-ი: ასაგებლად — 804,2.
ასაყრელ-ი: ასაყრელად — 371,1.
ასაძრომელ-ი — 124,3.
ას-კეც-ი: ას-კეცად — 248,2.
ასო — 1138,3.
ასპიტ-ი — 1231,4.
ასულ-ი (ას-ულ-ი) — 33,4.
ატეხილ-ი — 445,2.
აუვსებელ-ი: აუვსებელნი — 368,4.
აუშლელ-ი: აუშლელად — 445,4.
აუჩქარებელ-ი: აუჩქარებლად — 210,1.
აუწყვედელ-ი: აუწყვედლად — 542,3.
აქაურ-ი — 1287,1.
აღარავინ — 1634,4.
აღარ-წასლვა — 767,1.
აღვსება: აღესებისა — 552,2.
აღლუმ-ი — 403,2.
აღპყრობა — 257,2.
აყიყ-ი: აყიყსა — 1146,4.
აჩქარება — 609,2.
აწონა: აწონით — 1019,3.
აწონილ-ი — 385,3.
ახდა — 336,2.
ახე — 439,3.
ახმა (=აღება) — 342,1.

ახმა (= გახელა, გაღება): ახმადცა — 870,1.
ახსნილ-ი: ახსნილსა — 230,1.
აჯაბ-ი: აჯაბთა — 620,2.
აჯილ-ი: აჯილითა — 1176,4.
აჯილოსან-ი — 490,2.

## ბ

ბაგე: ბაგესა (ნავისა) — 615,1.
ბაგე-ბადახშ-ი — 1023,2.
ბადრაგა — 1037,2.
ბაზიერ-ი: ბაზიერთა — 602,4.
ბაზმა: ბაზმისა — 1519,2.
ბამბა: ბამბის — 1370,3.
ბატ-ი: ბატისა — 1465,2.
ბერება: ბერებად — 784,3.
ბერვა — 707,2.
ბერობა — 37,1.
ბეჭედ-ი („ბეჭედნი მისნი დაჰსხნა) — 619,1.
ბზე: ბზეთასა — 63,2.
ბინდ-ბანდ-ი — 1277,2.
ბისონ-ი — 719,4.
ბიძა: ბიძასა — 601,3.
ბიჯ-ი: ბიჯსა — 76,4.
ბნელ-ი: ბნელია — 36,3.
ბოზ-კუროა: ბოზ-კუროთა — 574,3.
ბოლო-ფრთა: ბოლო-ფრთათა — 46,4.
ბორიო — 1456,4.
ბრალ-ი — 918,4.
ბროლ-ბადახშეულ-ი: ბროლ-ბადახშეულმან — 333,4.
ბროლ-ბადახშ-მინა: ბროლ-ბადახშ-მინისა — 419,1.
ბროლ-ბადახშოსან-ი — 72,2.
ბროლ-ბაკმა: ბროლ-ბაკმათასა — 1434,4.
ბროლ-ბაკმულ-ი — 230,4.
ბროლ-ვარდ-ი: ბროლ-ვარდსა—889,1.
ბროლ-მინა — 40,3.
ბროლ-სადაფ-ი: ბროლ-სადაფნი — 856,1.
ბროლ-ფიქალ-ი: ბროლ-ფიქალისა — 42,3.
ბრუნვა: ბრუნვასა — 1003,4.
ბრძანება-მიუთხრობელ-ი — 114,2.
ბრძოლა: ბრძოლასა — 768,3.
ბრჭობილ-ი — 898,3.
ბუ — 966,4.
ბუნება — 22,4.
ბუნება-ზიარ-ი: ბუნება-ზიარსა — 1109,1.
ბურთაობა: ბურთაობითა — 63,3.
ბურთობა — 1122,4.
ბურჯ-ი: ბურჯსა — 1395,2.
ბღნეჯა: ბღნეჯით — 950,3.

## გ

გა: გაის — 761,3.
გაასებულ-ი: გაასებულნი — 1028,2.
გაასოცება: გაასოცებით — 1575,3.
გაბაონ-ი გაბაონს — 331,4.
გაგებულ-ი — 740,2.
გადმომღვრელ-ი გადმომღვრელთა — 1214,4.
გადრეკა — 931,2.
გავაზ-ი — 214,2.
გავარდნა — 585,3.
გავსილ-ი — 1230,4.
გაზრდილ-გამზრდელი: გაზრდილ-გამზრდელთა — 648,4.
გათხოვილ-ი — 330,3.
გაკვეთილ-ი — 448,3.
გაკრთომა: გაკრთომით — 1179,4.
გალეულ-ი — 1502,4.
გამაბელზებელ-ი: გამაბელზებელითა— 349,4.
გამაგრება — 875,3.
გამაგრებულ-ი: გამაგრებულნი — 1054,2.

გამათენებელ-ი: გამათენებლად — 1520,4.
გამართვა — 404,2.
გამარჯვებულ-ი — 1185,1.
გამაძღარ-ი — 385,2.
გამახარებელ-ი: გამახარებლად — 1666,4.
გამზომელ-ი — 718,3.
გამკითხველ-ი: გამკითხველო — 865,3.
გამობმულ-ი — 230,1.
გამოგება — 1070,4.
გამოთქმა: გამოთქმად — 6,1.
გამომგებარე — 1032,2.
გამომკრთალ-ი: გამომკრთალსა — 64,3.
გამომსალამე — 1576,1.
გამომჩენელ-ი — 774,3.
გამომჭვირალ-ი — 1292,4.
გამონდობილ-ი: გამონდობილნი — 1568,2.
გამოპარება — 1196,3.
გამოპარვა: გამოპარვით — 856,3.
გამოსაგებ-ი — 20,2.
გამოსარჩეველ-ი: გამოსარჩეველად — 635,2.
გამოსახვა: გამოსახვად — 1626,3.
გამოსვენება: 1070,1.
გამოსლვა: გამოსლვისათვის — 337,2.
გამოსრულ-ი — 263,3.
გამოსრულობა — 224,4.
გამოყრა — 268,4.
გამოჩენა — 777,1.
გამოცდილ-ი: გამოცდილნო — 165,2.
გამოხმა — 343,4.
გამპობელ-ი: გამპობელითა — 349,3.
გამჟღავნება: გამჟღავნებასა — 1206,3;
გამჟღავნებულ-ი: გამჟღავნებულთა — 1390,4.
გამრავლება — 853,3.
გამტეხ-ი — 1215,3.
გამქუშავ-ი: გამქუშავითა — 763,2.
გამყოფ-ი: გამყოფთა — 603,2.
გამცუდებელ-ი: გამცუდებელად — 1264,4.
გამწარება: გამწარებასა — 1458,3.
გამწირავ-ი — 523,2.
გამწკრალ-ი: გა-ცა-მწკრალი — 1436,2.
განავლენ-ი: განავლენია — 1331,4.
განაზრახებ-ი — 1408,2.
განაზიდარ-ი — 612,4.
განათალ-ი: განათალისა — 1366,2.
განაკვეთ-ი — 454,4.
განაკიდ-ი: განაკიდია — 436,4.
განაკრძალებ-ი — 1426,4.
განატყორც-ი — 447,3.
განაფრენ-ი: განაფრენსა — 623,4.
განაცვალ-ი — 693,4.
განგებიან-ი — 32,3.
განდობა: განდობასა — 155,4.
განკითხვა: განკითხვასა — 531,3.
განწირულ-ი — 284,4.
განხმულ-ი: განხმულნი — 1419,3.
გაპარება — 1206,2.
გაპარვა: გაპარვასა — 817,2.
გარბენა — 1395,3.
გარდავლენა — 795,4.
გარდამსმელ-ი: გარდამსმელო — 1007,2.
გარდამწყვედელ-ი — 67,4.
გარდამხდომელ-ი — 600,3.
გარდასავალ-ი — გარდასაელად — 796,1.
გარდასაყრელ-ი — 1466,1.
გარდასახდელ-ი: გარდასახდლად — 772,2.
გარდაწყვედა: გარდაწყვედით — 884,1.
გარდაჭდობილ-ი: გარდაჭდობილნი — 1568,3.
გარდახდილ-ი — გარდახდილთა — 1643,4.
გარდახდომა — 1450,2.
გარდმონაჭარ-ი: გარდმონაჭარნი — 1031,3.
გარდმოჭრილ-ი — 118,3.
გარდნაკარ-ი: გარდნაკარისა — 498,2.
გარდნაკიდარ-ი — 612,1.
გარდუვალ-ი: გარდუვალად — 795,2.

გარე: გარებსა — 1405,2.
გარეგან-ი: გარეგანსა — 566,4.
გარევა: გარევით — 714,1.
გარეულ-ი: გარეულმან — 207,1.
გარემო: გარემონია — 142,4.
გარეშემო: გარეშემონი — 1249,1.
გარ-მომფენელ-ი — 1250,4.
გასაგებელ-ი: გასაგებლითა — 1010,2.
გასაგმირალ-ი — 1292,3.
გასათბობელ-ი: გასათბობლად — 707,2.
გასათრეველ-ი გასათრეველად — 1101,1.
გასაკრთობელ-ი: გასაკრთობელსა — 1432,2.
გასამსალება: გასამსალებისა — 1026,4.
გასაპობელ-ი: გასაპობელად — 94,4.
გასატან-ი: გასატანისა — 2,3.
გასაქცეველ-ი: გასაქცეელად — 451,1.
გასაძებელ-ი: გასაძებლად — 750,3.
გასაჭრელ-ი: გასაჭრელად — 162,2.
გასახფავ-ი — 1315,3.
გასწავლილ-ი: გასწავლილისად — 1350,1.
გასწავლულ-ი: გასწაელულსა — 915,4.
გატანა — 1396,1.
გატეხა — 846,3.
გაუგვალავ-ი: გაუგვალავად — 459,4.
გაუშვებელ-ი: გაუშვებლად — 1162,4.
გაუმთბარ-ი: გაუმთბარად — 955,4.
გაუცდელ-ი — 1637,2.
გაუძღომელ-ი — 718,1.
გაუჭრელობა — 940,2.
გაუხარებელ-ი: გაუხარებლად — 210,3.
გაფლიდება — 1548,4.
გაქცეულ-ი: გაქცეულთა — 452,1.
გაღება — 1396,3.
გაყვანა: გაყვანად — 335,3.
გაშლა: გაშლით — 530,1.
გაცბუნვებულ-ი: 1104,1.
გაცემა — 1317,1.
გაცუდება: გაცუდებასა — 1152,4.
გაცუდებულ-ი: გაცუდებულსა — 851,3.
გაცხადებულ-ი — 1185,3.
გაძნელებულ-ი: გაძნელებულსა — 1344,3.
გაძრცვილ-ი: გაძრცვილსა — 123,1.
გაწლობილ-ი: გაწლობილსა — 962,4.
გაწყრომა: გაწყრომისა — 1506,2.
გაჭირობა — 1402,4.
გახარებულ-ი: გახარებულნი — 1314,3.
გახეთქილ-ი — 1436,2.
გახელოვნებულ-ი: გახელოვნებულნი — 1247,2.
გახმობილ-ი — 919,3.
გახსნევა — 362,3.
გვალვა: გვალვასა — 1347,2.
გვარ-ი (= სახეობა) — 24,1.
გვარობა — 541,2.
გზა-გზა — 1322,2.
გზებულ-ი — 538,4.
გზეთ-ი: გზეთსა — 527,2.
გზირ-ი: გზირისა — 1196,2.
გლოვა-ახვა: გლოვა-ახვად — 1626,4.
გლოვა-ტირილ-ი — 188,2.
გმობილ-ი — 1344,4.
გნოლ-ი: გნოლის — 447,1.
გობ-ი: გობითა — 1385,4.
გონება-შეიწრებულ-ი — 188,4.
გორალ-ი: გორლითა — 257,4.
გრდემლ-ი — 5,4.
გრიგალ-ი: გრიგალმან — 867,4.
გრძნეულობა — 1585,1.
გრძნობა — 1581,2.
გულ-გამწყრალ-ი: გულ-გამწყრალსა — 813,2.
გულ-გამკრთალ-ი: გულ-გამკრთალია — 490,3.
გულ-დანაწყლულებ-ი — 175,3.
გულ-მაგარ-ი: გულ-მაგრებისა — 1508,4.
გულ-მაგრობა — 533,4.
გულ-მართალ-ი: გულ-მართლად — 425,3.
გულ-მარხიან-ი — 841,3.
გულ-ნალმობარ-ი: გულ-ნალმობარია 244,4.

გულ-ნაკლულ-ი: გულ-ნაკლულნი — 1498,4.
გულ-ნაკლულობა — 442,4.
გულ-სადაგ-ი: გულ-სადაგნი — 668,1.
გულ-ტკბილ-ი: გულ-ტკბილად — 1329,3.
გულ-ფიქალ-ი: გულ-ფიქალსა — 1522,4.
გულ-ხმიერ-ი: გულ-ხმიერად — 1413,2.
გულის-თქმა: გულის-თქმათაო — 809,4.
გუშინდელ-ი — 814,2.

## დ

დაალებულ-ი — 303,1.
დაბადება: დაბადებით — 7,2.
დაბდაბ-ნობ-ი — 720,4.
დაბმა: დაბმით — 715,3.
დაბნეულ-ი: დაბნეულნი — 1225,4.
დაბრუნვება: დაბრუნვებითა — 1034,2.
დაგდება — 1325,3.
დაგვა — 27,3.
დაგულ-ი: დაგულსა — 344,3.
დადგომა — 1189,1.
დადებულ-ი: დადებულსა — 53,4.
დადენილ-ი: დადენილსა — 672,3.
დადუმება — 1160,3.
დადუმებულ-ი: დადუმებულმან — 660,1.
დად-ფიც-ი: დად-ფიცნი — 1568,2.
დავალებულ-ი — 303,4.
დავიწყება — 432,4.
დაცლა-მრავალ-ი: დაცლა-მრავლად — 796,3.
დავრდომილ-ი: დავრდომილნი — 829,3.
დავსება — 1222,3.
დაზარება: დაზარებასა — 364,4.
დაზრდილ-ი: დაზრდილთა — 802,3.
დაზრულ-ი: 284,1.
დათამამება — 295,4.
დათრგუნვა: დათრგუნვად — 2,2.
დათრთვილულ-ი — 284,1.
დაკლულ-ი — 1550,2.
დაკოდილობა — 1052,4.
დალალ-ი: დალალანი — 1579,3.
დალახვრულ-ი: დალახვრულმან — 1295,3.
დალურჯება: დალურჯებითა — 580,1.
დამადნობელ-ი — 1263,3.
დამავსებელ-ი: დამავსებლად — 804,4.
დამანთქმელ-ი: დამანთქმელო — 1007,4.
დამართება: დამართებით — 410,2.
დამარჩენელ-ი — 1319,4.
დამარხვა: დამარხვასა — 873,4.
დამარხულ-ი: დამარხულისა — 1319,4.
დამაშრობელ-ი: დამაშრობელნი — 642,2.
დამაჭმეველ-ი: დამაჭმეველად — 1101,3.
დამაჯნება — 1604,1.
დამბრმალ-ი: დამბრმალნი — 1247,4.
დამგმობარ-ი: დამგმობარსა — 410,3.
დამდგომ-ი: დამდგომმან — 1573,2.
დამზადებულ-ი — 1185,2.
დამთმობარ-ი — 258,3.
დამიზდებულ-ი: დამიზდებულნი — 1062,3.
დამლეწელ-ი: და-ცა-მლეწელად — 1484,4.
დამნახავ-ი: დამნახავითა — 202,4.
დამოსილ-ი: დამოსილნია — 1624,1.
დამყენებელ-ი: დამყენებელთა — 1070,2.
დამცდარ-ი: დამცდარია — 1393,1.
დამძიმება: დამძიმებასა — 847,1.
დამრიდ-ი: დამრიდად — 703,1.
დამჭნარ-ი — 688,4.
დანაბად-ი: დანაბადამან — 1244,3.
დანაბეჭდულევ-ი — 52,2.
დანაგლეჯ-ი: დანაგლეჯსა — 223,1.
დანადენ-ი — 629,3.
დანავლება — 99,2.

დანაზებავ-ი: დანაზებავთა — 1510,2.
დანათეს-ი: დანათესსა — 810,4.
დანათხზენ-ი — 1493,3.
დანაკივლ-ი: დანაკივლნია — 1624,2.
დანამალ-ი: დანამალსა — 398,4.
დანამტკიცარ-ი: დანამტკიცართა — 1448,2.
დანარჩომ-ი: დანარჩომია — 1594,1.
დანაღვარ-ი — 721,4.
დანაყბედ-ი: დანაყბედსა — 113,1.
დანაწერ-ი — 828,1.
დანაწერობა — 1360,1.
დანახვა — 1356,2.
დანახულ-ი: დანახულისა — 202,4.
დანერგულ-დათესულ-ი: დანერგულ-დათესულისა — 929,4.
დაპირება — 614,1.
დაპყრობილ-ი: დაპყრობილნი — 619,2.
დარაზმულობა — 403,3.
დარაჯავ-ი: დარაჯავთა — 1216,2.
დარბაზობა — 813,2.
დარგ-ი — 12,1.
დარდ-ი: დარდისა — 82,4.
დარეჯან-ი: დარეჯანის — 1669,1.
დარიან-ი: დარიანო — 1537,1.
დარმან-ი: დარმანთა — 396,2.
დარულ-ი: დარულად — 820,4.
დარჩეულ-ი: დარჩეულსა — 1491,3.
დასაამო: დასაამოდ — 1515,2.
დასაბადებელ-ი: დასაბადებლად — 1085,1.
დასაბურავ-ჩასაცმელ-ი — 1077,4.
დასაგვანებელ-ი: დასაგვანებლად — 280,4.
დასადარ-ი — 24,2.
დასადარებელ-ი: დასადარებლად — 70,3.
დასადარებ-ი: დასადარებად — 1539,2.
დასადობელ-ი: დასადობლად — 246,1.
დასავლეთ-ი: დასავლეთს — 1666,3.
დასათმო: დასათმონია — 377,4.
დასათხოველ-ი: დასათხოველად — 1561,2.
დასანაზ-ო: დასანაზოდ — 141,2.
დასანდობელ-ი: დასანდობლად — 246,3.
დასანთქმარ-ი — 133,3.
დასარქმელ-ი: დასარქმელად — 445,1.
დასაქადებელ-ი: დასაქადებლად — 1085,4.
დასაღვარ-ი: დასაღვაროთა — 726,1.
დასაღრეჯილო: დასაღრეჯილოსა — 212,4.
დასაშლელ-ი — 1017,1.
დასაშრეტ-ი — დასაშრეტსა — 1343,3.
დასაწველ-ი: დასაწველად — 415,1.
დასაწოლ-ი: დასაწოლად — 1078,4.
დასაჭრელ-ი: დასაჭრელად — 162,4.
დასახეველ-ი — 1084,4.
დასახულ-ი — 677,2.
დასაჯდომ-ი: დასაჯდომად — 373,2.
დასულ-ი — 33,2.
დასხმა — 1634,2.
დატვირთულ-ი — 462,4.
დატირება: დატირებად — 1223,4.
დაუგვან-ი: დაუგვანსა — 671,3.
დაუდებელ-ი — 1013,4.
დაუზმელ-ი — დაუზმელად — 371,2.
დაუზრობელ-ი — დაუზრობლად — 1449,4.
დაუთვალავ-ი — 1057,1.
დაულეწელ-ი — 167,4.
დაუმალავ-ი — დაუმალავად — 459,2.
დაუსახ-ი: დაუსახმან — 894,2.
დაუფარავ-ი — 312,2.
დაუფრეწელ-ი — 1043,4.
დაუფრქვნელ-ი — 132,4.
დაუყოვნებელ-ი: დაუყოვნებლად — 517,4.
დაუშრეტ-ი: დაუშრეტსა — 1444,2.
დაუშრობელ-ი: დაუშრობელსა — 583,4.
დაუშრომელ-ი — 75,4.

დაუშრტობელ-ი: დაუშრტობელთა — 337,1.
დაფანტულ-ი: დაფანტულსა — 1437,4.
დაფახვა — 295,1.
დაღება (= დაწუნარება): დაღებად — 1376,3.
დაღება (= დაღერა): დაღებად — 1376,2.
დაღვრა: დაღვრასა — 1120,3.
დაღორებულ-ი: დაღორებულნი — 1602,1.
დაყენება — 1070,2.
დაყმუნვება: დაყმუნვებით — 1612,4.
დაყოფა: დაყოფასა — 528,2.
დაშვრომა: დაშვრომის — 473,4.
დაცილება: დაცილებასა — 68,1.
დაცოცხლებულ-ი: დაცოცხლებულნი — 1314,2.
დაძრვა: დაძრვად — 832,1.
დაწამწამება — 295,1.
დაწუნებულ-ი — 1272,3.
დაწყობილ-ი — 1493,3.
დაჭირულ-ი: დაჭირულნი — 826,4.
დაჭრილ-ი — 1419,2.
დახეულ-ი — 1419,2.
დახსნილ-ი: დახსნილ — 643,4.
დახშულ-ი: დახშულნი — 1278,1.
დგენა: დგენისა — 1122,4.
დგრიალ-ი: 1122,4.
დება (= დადება) — 50,3.
დება (= დად გახდომა) — 1548,3.
დება (იმედისა თავსა დება) — 1548,1.
დებულ-ი (= დადებული): დებულთა 1053,2.
დებულ-ი (= დობილი) — დებულსა — 851,2.
დედაკაც-ი: დედაკაცსა — 412,1.
დედა (= წარმომაელობა): დედისა — 1558,2.
დევნა — 602,2.
დეზ-ი: დეზითა — 214,1.
დეს-ი (უ-დ-ეს-ი) — 252,4.
დიადობა: დიადობანი — 390,3.
დიდ-გვარ-ი: დიდ-გვართა — 992,3.
დიდრონ-ი — 219,4.
დიონის-ი — 177,1.
დილარგეთ — 1669,3.
დივნოს — 1492,1.
დნობილ-ი — 898,1.
დო: დოსა — 1578,4.
დობა: დობისა — 899,1.
დურ-ი: დურად — 1127,1.
დღეგრძელობა — 1641,4.
დღეს-ი: დღესისა — 1068,3.

## ე

ეგვიპტე: ეგვიპტით — 1033,1.
ეგოდენ-ი: ეგოდენსა — 1051,1.
ეზროს — 177,1.
ეკლიან-ი — 878,2.
ელვარება — 1132,2.
ენა-დაუშრომელ-ი: ენა-დაუშრომელსა — 1669,3.
ენა-მეტ-ი: ენა-მეტსა — 1006,1.
ენიან-ი: ენიანნი — 478,2.
ექვან-ი: ექვანნი — 791,1.
ერდო — 397,3.
ერთ-არსება: ერთ-არსებისა — 836,2.
ესეზომ-ი: ესეზომთა — 1139,3.
ეფრატ-ი: ეფრატსა — 694,2.
ეშმაურობა — 996,1.
ეჭიბ-ი — 142,1.

## ვ

ვაგლახებულ-ი: ვაგლახებულნი — 1314,4.
ვაგლახ-ვა: ვაგლახ-ვასა — 255,4.
ვაგლახიან-ი: ვაგლახიანსა — 191,3.
ვაე-ი: ვაეთა — 26,3.
ვარდ-იეფ-ი: ვარდ-იეფსა — 936,3.

ვაჭრობა: ვაჭრობისა — 1162,3.
ველ-შამბნარ-ი: ველ-შამბნარისა — 978,4.
ვერ-დამდგომ-ი — 999,3.
ვერ-დამთმობარ-ი: ვერ-დამთმობარითა — 1005,3.
ვერ-დამუოფელ-ი — 635,4.
ვერ-დანადებ-ი — 1438,2.
ვერ-დასტურობა — 996,3.
ვერ-მიხვდომა: ვერ-მიხვდომისა — 22,2.
ვერ-მიხვდომილ-ი: ვერ-მიხვდომილმან — 1536,4.
ვერ-მმალავ-ი: ვერ-მმალავსა — 1106.2.
ვერ-მოტანა: ვერ-მოტანისა — 1518,3.
ვერ-პოვნა — 98,1.
ვერ-სათქმელ-ი: ვერ-სათქმელო — 1007,1.
ვერ-საქებ-ი: ვერ-საქებო — 1007,1.
ვერ-შეპყრობა — 995,1.
ვერ-შეფრობილ-ი — 327,3.
ვერ-ცნობა — 1109,3.
ვერცხლ-ი — 158,4.
ვერხვ-ი — 140,2.
ვეფხი-ავაზა — 1159,2.
ვეღარავინ — 112,3.
ვეშაპ-ი — ვეშაპს — 1158.4.
ვისიმკ — 1183,3.
ვისიღა: ვისღანღა — 1241,4.
ვიწრო — 800,1.
ვლენა — 10,4.
ვნებულ-ი: ვნებულნი — 1247,3.
ვსება — 42,2.

## ზ

ზად-ი: ზადია — 116,4.
ზამ-ი — 386,4.
ზარ-აღებულ-ი — 1356,3.
ზარად-ი: ზარადები — 1379,4.
ზარადხანა — 1367,2.
ზარქაშ-ი — 612,4.
ზედა-მსწრებელ-ი — 1235,4.
ზეზ-ი: ზეზითა — 214.3.
ზე-მთა: ზე-მთისა — 1353,3.
ზე-მხედველ-ი: ზე-მხედველითა — 45,4.
ზენარობა: ზენარობით — 238,1.
ზეპირ — 1324,3.
ზე-პირ — 412,3.
ზეწარ-ი — ზეწარითა — 370,3.
ზმა: ზმისა — 1519,3.
ზნეობა — 23,4.
ზრახვა — 61,4.
ზრდილობა: ზრდილობით — 992,1.
ზრულ-ი: ზრულსა — 152,2.
ზურმუხტ-ი: ზურმუხტისა — 1369,4.

## თ

თავ-ი (= ცალი) — 771,2.
თავ-გაგლეჯილ-ი — 568,3.
თავ-დადებულ-ი — 150,2.
თავ-დადრეკა: თავ-დადრეკით — 819,1.
თავ-მოდრეკილ-ი — 1181,4.
თავ-შედგმულ-ი — 1559,1.
თავ-ჩამოგდება: თავ-ჩამოგდებით — 86,2.
თავ-თავის-ი: თავ-თავისად — 925,2.
თათ-ი — 1074,4.
თათბირობა — 1402,2.
თანან-ი — 1608,2.
თანა-შეზრდილ-ი — 150,2.
თას-ი — 1205,4.
თაყვანის-ცემა: თაყვანის-ცემისად — 491,2.
თევა: თევით — 1224,3.

თევზ-ი: თევზნი — 968,2.
თეთრ-ტაიჭოსან-ი: 72,4.
თეთრ-ძოწეულ-ი — 1463,1.
თემ-თემად — 552,4.
თვალ-ი (წყაროსი): თვალით — 949,3.
თვალ-ახმულ-ი — 350,1.
თვალ-დაუფახელ-ი: თვალ-დაუფახელსა — 871,4.
თვალ-დაფახულ-ი — 677,3.
თვალ-უწდომ-ი — 219,4.
თვალადობა-სიტურფე: თვალადობა-სიტურფესა — 1516,1.
თვალიან-ი — 1440,3.
თვალ-წარბ-ი: თვალ-წარბო — 835,4.
თვითეულ-ი: თვითეულად — 1630,4.
თმა-გიშერ-ი: თმა-გიშერისა — 3,2.
თმა-გრძელ-ი — 1278,2.
თმა-წვერ-ი: თმა-წვერსა — 1447,3.
თმობა-ქმნა: თმობა-ქმნათა — 371,4.
თმოგველ-ი: თმოგველსა — 1669,3.
თოვნა — 686,3.
თრთოლა — 585,1.
თუ (არსებითი სახელის მნიშვნელობით): თუსა — 966,1.
თქართქარ-ი: თქართქარებისა — 1508,1.
თქმულობა — 1483,2.
თქვენებრ-ი: თქვენებრთა — 1070,1.
თხემ-ი: თხემამდის — 1360,3.
თხოვა: თხოვისა — 1572,3.
თხუთმეტ-ი: თხუთმეტისა — 332,1.

## ი

იეფობა: იეფობით — 621,4.
იმათ-ი: იმათსა — 1038,3.
იმედება: იმედებასა — 1152,3.
იმედებულ-ი — 150,4.
ინდო-არაბ-საბერძნეთ-ი: ინდო-არაბ-საბერძნეთით — 968,3.
ინდოურ-ი — 1581,4.
იოტ-ი: იოტის — 836,3.
იჩქით-ი: იჩქითად — 1250,4.
იხვ-ი: იხვსა — 623,3.

## კ

კაბათენ-ი: კაბათენია — 1610,4.
კადრება: კადრად — 757,3.
კავშირ-ი: კავშირნი — 884,4.
კაზმა: კაზმასა — 1121,3.
კალთა — 558,1.
კანჭარ-ი — 75,2.
კაპან-ი: კაპანია — 402,4.
კაპარჭ-ხრმალ-ი: კაპარჭ-ხრმალითა — 235,2.
კარ-განხმულ-ი — 230,2.
კაენ-ი: კაენ — 1340,4.
კატა: კატასა — 328,4.
კატაბან-ი — 478,4.
კატარღა — 613,2.
კაფა: კაფისა — 1416,3.
კაც-დაუკარებ-ი — 1499,4.
კაც-მიუმხვდარე: კაც-მიუმხვდარეთა — 1495,3.
კაცრიელ-ი: კაცრიელთა — 1543,2.
კაცურ-ი: კაცურად — 110,3.
კბილ-თეთრ-ი — 1023,2.
კბილ-მარგალიტ-ი — 1583,1.
კეისარობა — 316,4.
კუკლუც-სიტყვად — 127,1.
კენარ-ი: კენარითა — 59,1
კვალ-წმიდად — 98,2.
კვამლ-ალმულობა — 1483,3.
კვდომა — 27,3.
კვერ-ი: კვერითა — 1342,3.
კვერთხ-ი — 1196,4.
კიდე-გასათხოელ-ი — 514,3.
კიდის-კიდე — 460,1.
კიდის-კიდობა — 1488,4.
კითხვა (წიგნისა) — 1349,2.
კისკას-ი: კისკასად — 1396,2.
კიტრ-ი: კიტრად — 786,1.

კლდოვან-ი — 800.1.
კლვა: კლვად — 835,2.
კოვზი: კოვზები — 1658,2.
კოკა: კოკასა — 1094,4.
კორდ-ი — 1518,2.
კოტა: კოტანი — 1387,3.
კოცება: კოცებით — 1575,1.
კოჭლ-ი — 1553,1.
კრებულ-ი („არიან ერთად კრებულნი"): კრებულნი — 1247,1.
კრებულ-ი (ქალაქისა) — 676,2.
კრთობა: კრთობასა — 870,3.
კრთოლა: კრთოლასა — 1100,3.
კრთომილ-ი: კრთომილმან — 1536.2.
კრონოს-ი: კრონოს — 1415,2.
კრძალ-ი: კრძალისა — 1157,1.
კუშტ-გვარ-ი: კუშტ-გვარად — 244,1.
კუშტობა — 1488,2.

## ლ

ლაგამ-აბჯარ-უნაგირ-ი: ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა — 84,3.
ლაგამ-ი — 225,3.
ლალ-იაგუნდ-ი — 771,3.
ლამ-ი — 885,4.
ლამა: ლამით — 1107,4.
ლამაზ-ენა: ლამაზ-ენაო — 1270,3.
ლამაზობა: ლამაზობასა — 1121,3.
ლაჟვარდის-ფერ-ი: ლაჟვარდის-ფერად — 1278,4.
ლარ-კიდებულ-ი: ლარ-კიდებულნი — 1028,3.
ლარ-საგებელ-ი — 1056,2.
ლარულ-ი: ლარულად — 461,3.
ლაღება: ლაღებად — 1376,4.
ლაღობა-წოლა: ლაღობა-წოლასა — 1100,2.
ლაშქარ-მრავალ-ი — 32,2.
ლაშქრობა — 157,1.
ლახვარ-დაუსობელ-ი: ლახვარ-დაუსობელსა — 583,1.
ლახვარ-სობილ-ი — 7,3.
ლახვარ-ხებულ-ი — 522,3.
ლებულ-ი — 303,3.
ლევა (= შელევა) — 897,3.
ლევ-ი (ურია...) — 816,3.
ლელ-ი — ლელსა — 1420.3.
ლერწამ-ტან-ი: ლერწამ-ტანისა — 863,4.
ლილა: ლილისა — 399,3.
ლიპ-ი: ლიპია — 581,2.
ლიტრა — 1019,3.
ლმობიერობა — 1156,4.
ლომ-ი (ეტლი...): ლომსა — 1201,3.
ლტობილ-ი — 919,2.
ლუკმა — 923,4.
ლულ-ი: ლულითა — 1215,2.
ლუსკუმა: ლუსკუმანი — 1369,4.
ლხინ-ნაკლულობა — 1473,4.
ლხინა: ლხინასა — 975,3.

## მ

მაგარ-ვადა: მაგარ-ვადამან — 1244,1.
მაგისებრ-ი: მაგისებრსა — 515,4.
მაგულვანებელ-ი: მაგულვანებლად — 280,2.
მადებელ-ი: მადებლად — 1085,3.
მადლიერ-ი: მადლიერ — 933,1.
მადრიელობა — 144,1.
მაელვარებ-ი: მაელვარებსა — 1228,1.
მაზრა: მაზრები — 431,3.
მათეულ-ი: მათეულნი — 1047,1.
მალობა — 374,3.
მამა-ჩემ-ი — 601,1.
მამაგრობელ-ი: მამაგრობლად — 1449,3.
მამრთელებელ-ი — 1025,4.
მანა — 392,3.
მანგ-ი — 120,4.
მანდატურ-ი — 1644,4.

ჰანდიკურ-ი: მანდიკურად — 448,3.
ჰარეკ-ი — 270,4.
ჰარზაპან-ი: მარზაპანია — 402,1.
ჰარჩენელ-ი: მარჩენელო — 1168,2.
ჰასპინძლობა-კეთა: მასპინძლობა-კეთასა — 1497,2.
ჰასწავლელ-ი: მასწავლელად — 1110,1.
ჰაფენ-ი — 1445,1.
ჰაჭა: მაქანი — 1166,3.
ჰაჭებ-ი — 1551,3.
ჰაჭებელ-ი: მაქებელად — 1048,1.
ჰაღრიბელ-ი: მაღრიბელნი — 968,3.
ჰაღრიბულ-ი: მაღრიბულისა — 1188,2.
ჰაყივნებელ-ი — 1668,3.
ჰაშრიყ-ი: მაშრიყით — 968,3.
ჰაწვეველ-ი — 1123,2.
ჰაჯარ-ი: მაჯარნი — 1031,2.
ჰახალ-ი: მახალსა — 1012,1.
ჰახვილ-ხრმალ-ი — 973,2.
ჰაჯაშ-ი: მაჯაშისა — 662,2.
ჰაჰმად-ი: მაჰმადის — 1031,2.
ჰბეჭველ-ი: მბეჭველსა — 799,3.
ჰბობა: მბობასა — 234,4.
ჰბობელ-ი: მბობელნი — 642,3.
ჰბრუნავ-ი — 938,4.
ჰბრჭობელ-ი: მბრჭობელსა — 1432,3.
ჰგზავრულ-ი: მგზავრულად — 1217,2
ჰგრგვალ-ი: მგრგვალად — 14ი 2
ჰდაგ-ი: მდაგად — 631,3.
ჰდედრ-ი — 1634,3.
ჰდეველ-ი: მდეველად — 96,4.
ჰდინ-ი: მდინანი — 817,2.
ჰდუღარ-ი: მდუღრად — 84,4.
ჰეაბჯრე: მეაბჯრენია — 203,1.
ჰეათე: მეათენია — 1610,1.
ჰეგვიპტელ-ი: მეგვიპტელნი — 968,4.
ჰევაგლახავ-ი: მევაგლახავად — 1565,3.
ჰეკარე — 358,3.
ჰეკრეფე: მეკრეფესა — 684,4.
ჰელიქ-სურხავ-ი — 1065,4.
ჰელურ-ი: მელურად — 1206,2.
ჰემამულე — 534,3.
ჰემკვიდრე — 564,2.
ჰემუქარე: მემუქარენი — 345,4.
ჰენა: მენად — 700,2.
ჰეომარობა — 541,3.
ჰეოტა: მეოტანი — 1387,2.
ჰესავსე: მესავსისა — 1550,1.
ჰესამე — 17,1 .
ჰესხ-ი — 1665,4.
ჰეუნებლე — 264,3.
ჰეფეთ-მეფე: მეფეთ-მეფეო — 1318,1.
ჰეფეთ-მეფობა: მეფეთ-მეფობით — 621,1.
ჰეცნიერობა — 1156,2.
ჰეძავ-ი — 25,1.
ჰეჭველ-ი: მეჭველსა — 799,2.
ჰზეობა — 23,1.
ჰზიან-ჩრდილ-ი — 866,2.
ჰზიდავ-ი: მზიდავნი — 1062,3.
ჰზმელ-ი — 1077,1.
ჰზრახ-ი: მზრახმან — 894,4.
ჰზრახავ-ი: მზრახავად — 1565,1.
ჰზღვევარ-ი — 1202,4.
ჰზღვეველ-ი: მზღვეველად — 1101,2.
ჰთეველ-ი: 864,2.
ჰთენ-ი: მთენისა — 493,1.
ჰთვარებლ-ი: მთვარებლად — 210,2.
ჰთვარიან-ი: მთვარიანო — 1537,3.
ჰთვარულ-ი: მთვარულად — 820,2.
ჰთმენ-ი: მთმენები — 658,2.
ჰთმო — 718,2.
ჰთმობელ-ი: მთმობელსა — 1307,3.
ჰთრვალურ-ი: მთრვალურად — 933,3.
ჰთხელებ-ი — 1629,2.
ჰთხრობელ-ი: მთხრობლად — 1449,2.
ჰიახლებულ-ი: მიახლებულთა — 1390,3.
ჰიგებულ-მოსაგებავ-ი: მიგებულ-მოსაგებავთა — 1510,1.
ჰიდამო — 1108,2.
ჰიდგომილ-ი: მიდგომილნო — 165,3.
ჰიდენა: მიდენით — 287,4.
ჰიმნდო: მიმნდონი — 347,1.
ჰიმტკივნება — 1631,1.
ჰიმღებელ-ი: მიმღებელთა — 1078,2.

მიმხვდარ-ი: მიმხვდარმან — 684,2.
მინა-ვარდ-ი: მინა-ვარდითა — 331,2.
მინა-სათ-ი — 1074,3.
მინაწერ-ი — 1310,1.
მინდობა — 702,1.
მინდორ-მინდორ — 1225,1.
მიპარვა: მიპარვით — 543,2.
მისაგვრელ-ი: მისაგვრელად — 1233,1.
მისან-ი — 1480,2.
მისართმეველ-ი — 1084,1.
მისაღებელ-ი: მისაღებლად — 1502,2.
მისაწეველ-ი: მისაწეველად — 96,1.
მისთანა: მისთანანი — 187,2.
მისრულ-ი — 1513,4.
მისრულ-ი (= ეგვიპტური): მისრულად — 1596,2.
მიტანა: მიტანად — 342,1.
მიუმცდარებელ-ი: მიუმცდარებლად — 70,4.
მიუმცდარო: მიუმცდარომან — 771,2.
მიუმცთარობა — 316,3.
მიუპარავ-ი — 1513,4.
მიუყოლობა — 360,2.
მიღება — 1122,1.
მიყვანა — 1350,4.
მიშვება — 1461,4.
მიცემა — 777,3.
მიწევნა: მიწევნამდის — 95,2.
მიწიერ-ი: მიწიერთად — 792,2.
მიწოლა: მიწოლით — 521,3.
მიწუობა: მიწუობით — 1624,3.
მიწუობილ-ი: მიწუობილისა — 5,3.
მიჯარვა: მიჯარვით — 1009,4.
მიჯრა: მიჯრით — 5,3.
მკადრებელ-ი — 209,3.
მკედ-ი: მკედსა — 1370,3.
მკვახე: მკვახედ — 207,4.
მკვიდრ-ი — 544,3.
მკვლეველ-ი: მკვლეველად — 186,4.
მკითხავ-ი — 774,4.
მკითხველ-ი: მკითხველნო — 942,1.
მკლავ-უგრძეს-ი: მკლავ-უგრძესითა — 195,3.
მკლავ-ფიცხელ-ი: მკლავ-ფიცხელ — 1508,4.
მკრეფ-ი: მკრეფსა — 936,2.
მკრეფობა: მკრეფობით — 621,3.
მკრთომარე — 1478,3.
მკრჩხალ-ი: მკრჩხალითა — 1041,1.
მკრძალავ-ი — 1231,3.
მლეველ-ი: მლეველად — 186,3.
მლეწელ-ი — 1043,3.
მლოცველ-ი — 1848,4.
მლხენ-ი — 1030,3.
მნახ-ი: მნახისა — 688,3.
მოაზრე: მოაზრენია — 203,2.
მოარულ-ი — 693,2.
მოასპარეზე: მოასპარეზედ — 67,3.
მოაჯე — 1358,4.
მობაღდადე: მობაღდადენი — 1031,1.
მობრუნება — 194,1.
მობურთალ-ი: მობურთალსა — 13,2.
მოგებულ-ი: მოგებულსა — 53,1.
მოგონება: მოგონებით — 1490,2.
მოდებულ-ი: მოდებულთა — 137,4.
მოდენა (ლაშქართა) — 83,2.
მოდენა (ცრემლისა) — 853,2.
მოვანება: მოვანებასა — 106,2.
მოვლენილ-ი: მოვლენილო — 1318,3.
მოთმინება: მოთმინებისა — 839,3.
მოკაზმულობა — 403,2.
მოკამათე: მოკამათისა — 679,4.
მოკვნეს-ი — 1201,2.
მოკრძალულობა — 1483,4.
მოლ-ი — 1276,3.
მოლესულ-ი — 1604,4.
მოლიზღარ-ი: მოლიზღარისად — 86,2.
მომაკარ-ი: მომაკარნი — 1102,4.
მომალხენელ-ი — 1250,2.
მომართება: მომართებამან — 1487,3.
მომაქარვებ-ი — 108,3.
მომარხულ-ი: მომარხულითა — 1333,4.
მომგზავრებულ-ი — 984,4.
მომდურავ-ი: მომდურავისა — 768,4.
მომკვეხარ-ი: მომკვეხარია — 1648,4.

მომკითხავ-ი — 720,1.
მომკლველ-ი: მომკლველნი — 1261,4.
მომრთმეველ-ი: მომრთმეველად — 70,2.
მომსმენელ-ი: მომსმენელსა — 1523,4.
მომსპობ-ამწყვედელ-ი — 1312,4.
მომფენელ-ი: მომფენელო — 1168,2.
მომყვანელ-ი — 1142,2.
მომცქაფავ-ი: მომცქაფავისა — 702,1.
მომხვეპ-ი — 691,4.
მომხლტომ-ი — 971,2.
მომხრე: მომხრედ — 171,1.
მონაგებ-ი — 1214,2.
მონაზიდობა — 1488,3.
მონასმინა: მონასმინამან — 698,4.
მონასმინებ-ი — 697,4.
მონასურ-ი: მონასურსა — 395,1.
მონატან-ი: მონატანსა — 261,3.
მონატაც-ი: მონატაცისა — 227,3.
მონაფენ-ი — 503,1.
მონაღვარ-ი: მრნაღვარნი — 1040,4.
მონაღვაწებ-ი — 1293,1.
მონაყარ-ი — 1553,2.
მონაცემ-ი: მონაცემთაო — 1592,2.
მონაწთომ-ი: მონაწთომთა — 1139,4.
მონაწურ-ი — 592,4.
მონაწყენ-ი: მონაწყენია — 193,2.
მონახედ-ი: მონახედითა — 1371,2.
მონახხენ-ი — 429,1.
მონობა: მონობისა — 1650,4.
მონურ-ი: მონურად — 1217,2.
მოპარვა — 1605,1.
მოუამებულ-ი: მოქამებულმან — 660,4.
მორთმა — 1550,1.
მოსაგვარებელ-ი: მოსაგვარებლად — 1348,1.
მოსადაფე: მოსადაფენი — 1445,2.
მოსადგურე — 1092,2.
მოსადებელ-ი: მოსადებლად — 750,2.
მოსავანებელ-ი: მოსავანებლად — 280,3.
მოსათვალავ-ი: მოსათვალავად — 459,1.
მოსალამე: მოსალამენი — 218,4.
მოსალბედ-ი: მოსალბედისა — 853,2.
მოსამართლე — 32,3.
მოსამატებელ-ი: მოსამატებლად — 1189,4.
მოსანდომარე — 1478,1.
მოსარწყავ-ი: მოსარწყავად — 1644,2.
მოსარხეველ-ი: მოსარხეველად — 1358,2.
მოსასმინ-ი: მოსასმინია — 918,3.
მოსასხმელ-ი: მოსასხმელად — 1502,1.
მოსატანელ-ი: მოსატანელად — 1111,4.
მოსაფხან-ი: მოსაფხანია — 421,3.
მოსაყვანებელ-ი: მოსაყვანებლად — 280,1.
მოსაცეთ-ი: მოსაცეთსა — 527,3.
მოსაწონებ-ი — 1462,1.
მოსახვეველ-ი: მოსახვეველად — 1358,1.
მოსახვეპელ-ი: მოსახვეპელსა — 799,4.
მოსახმარებელ-ი: მოსახმარებლად — 70,2.
მოსახმელ-ი: მოსახმელად — 256,2.
მოსახსენ-ი: მოსახსენსა — 1642,1.
მოსახსენებელ-ი: მოსახსენებლად — 1520,1.
მოსე: მოსეს — 1669,1.
მოსრვა: მოსრვით — 1428,2.
მოსურვებულ-ი: მოსურვებულსა — 406,3.
მოსწავლე: მოსწავლემან — 1614,1.
მოსწრაფება: მოსწრაფებასა — 364,2.
მოსხმა — 1508,3.
მოტირალ-ი: მოტირალისა — 1356,1.
მოუთმენ-ი: მოუთმენიო — 1620,4.
მოუთმენებ-ი — 1015,3.
მოუთმინა: მოუთმინამან — 689,1.
მოუკრეფე: მოუკრეფესა — 1504,4.
მოურავ-ი: მოურაესა — 764,3.
მოურბეველ-ი: მოურბეველად — 422,4.
მოურევარ-ი — 559,3.
მოუსმენელ-ი — 1250,3.

მოფანტულ-ი — 1553,2.
მოფინება — 263,3.
მოფრანგე: მოფრანგენი — 968,4.
მოქმედება: მოქმედებითა — 1238,4.
მოღება — 1508,3.
მოღიმარ-ი: მოღიმართა — 1625.4.
მოღრუბლება: მოღრუბლებით — 308,2.
მოყივნება — 1093,2.
მოშაით-ი — 119,2.
მოშაირობა — 14,1.
მოშამბნარე — მოშამბნარენი — 1330,4.
მოშიშ-ი — 838,2.
მოშლილ-ი — 1355,4.
მოცალეობა — 23,2.
მოცემა — 1469,3.
მოცემულ-ი: მოცემულითა — 1200,1.
მოცულ-ი — 1061,2.
მოციქულ-ი (=წინასწარმეტყველი): მოციქულნი — 791,1.
მოწევნად-ი: მოწევნადსა — 1050,4.
მოწიწება: მოწიწებით — 814,1.
მოწმობა — 513,4.
მოწონება — 417,3.
მოწურვილ-ი: მოწურვილ — 1328,1.
მოწყალე-მლმობელ-ი: მოწყალე-მლმობელმან — 802,4.
მოხვეჭა — 799,4.
მოხვევა — 1073,3.
მოჯობინება — 366,3.
მპარავ-ი — 312,3.
მპყრობელ-ი — 311,2.
მრავალ-წყალ-ი — 693,3.
მრეკელ-ი — 602,2.
მრთელობა — 1360,4.
მრუშ-ი — 25,1.
მრწემ-ი: მრწემსა — 1656,3.
მრწყველ-ი: მრწყველსა — 674,2.
მრხეველ-ი: მრხეველად — 96,2.
მსახავ-ი: მსახავად — 1565,2.
მსახე: მსახემან — 738,2.
მსახველ-ი: მსახველად — 1180,3.
მსახურება: მსახურებითა — 808,3.
მსგეფს-ი: მსგეფსსა — 936,1.
მსობელ-ი — 1428,3.
მსპობელ-ი — 1428,2.
მსრველ-ი: მსრველსა — 977,2.
მსწრობ-ი — 720,3.
მსწრობელ-ი — 1668,2.
მსწრომელ-ი — 1165,4.
მსხვერპლ-ი: მსხვერპლსა — 811,4.
მსჯელ-ი: მსჯელსა — 1225,4.
მტერ-დაცემულ-ი — 351,3.
მტერულ-ი: მტერულად — 1206,3.
მტკებნელ-ი — 1281,2.
მტლაშა-მტლუშ-ი — 25,4.
მუდარა: მუდარით — 1490,1.
მუდარობა — 238,2.
მულიმ-ი: მულიმნი — 351,1.
მურობა — 996,4.
მუშა — 11,2.
მუჯამარ-ი: მუჯამრითა — 330,1.
მფახველ-ი: მფახველად — 1180,1.
მფენებელ-ი: მფენებლად — 1520,3.
მფენელ-ი — 774,1.
მფხანელ-ი: მფხანელად — 1111,3.
მქენებ-ი — 658,4.
მქენებელ-ი: მქენებლად — 1520,2.
მქონებ-ი — 803,3.
მღვიძარე — 1215,2.
მღვრელ-ი — მღვრელითა — 911,3.
მყარ-ი — 1553,3.
მყინვარე — 581,2.
მყოლ-ი: მყოლნი — 770,3.
მშვილდ-ისარ-ი — 197,1.
მშვილდოსნობა: მშვილდოსნობასა — 66,4.
მშლელ-ი — 523,1.
მჩმუნავ-ი — 938,3.
მჩქეფე: მჩქეფეო — 1318,3.
მცნებელ-ი — 1281,3.
მცნობ-ი — 680,3.
მცოდნე: მცოდნენი — 1247,2.
მცრობა: მცრობასა — 831,2.
მცხინვარე — 869,4.

მძებარე — 1032,3.
მძლეობა — 23,3.
მძოველ-ი: მძოველად — 1561,4.
მძორ-ი: მძორთა — 1351,4.
მწადებელ-ი: მწადებლად — 1085,2.
მწვრთელ-ი — 904,2.
მწთომ-ი: მწთომსა — 328,2.
მწნილ-ი — 1367,3.
მწოლ-ი: მწოლთა — 558,3.
მწუობელ-ი — 311,4.
მწუობრ-ი: მწუობრთა — 790,4.
მწუროშარე — 91,1.
მწუროშელ-ი — 594,2.
მჭამე: მჭამენი — 218,2.
მჭელ-ი: მჭელსა — 977,4.
მჭვრეტ-ი: მჭვრეტენია — 1622,2.
მჭირავ-ი: მჭირავნი — 1031,2.
მჯლე — 1205,1.
მჯმუნავ-ი — 938,1.
მჯმუნვარე — 864,4.
მჯრელ-ი: მჯრელიო — 1368,2.
მხად-ი: მხადსა — 1050,1.
მხარ-თეძო — 994,3.
მხდელ-ი (სულთა მხდელი) — 890,2.
მხდელ-ი (ხელის მხდელი) — 710,1.
მხვრეტ-ი: მხვრეტსა — 1106,4.
მხიარულობა — 1473,2.
მხმეჭელ-ი: მხმეჭელსა — 799,1.
მხმობ-ი — 720,1.
მხმობელ-ი: მხმობელსა — 1432,4.
მხსენებელ-ი — 340,4.
მხურვალ-ი: მხურვალთა — 1627,1.
მხცოვან-ი — 800,3.
მჯიღ-ი: მჯიღისა — 498,2.

## ნ

ნააზატებ-ი — 267,1.
ნაალაფავ-ი — 1315,4.
ნაბად-ი: ნაბადია — 304,4.
ნაბამ-ი: ნაბამნი — 719,3.
ნაბან-ი — 478,3.
ნაბანებ-ი — 1503,4.
ნაბერწკალ-ი — 1046,3.
ნაბრძანებ-ი: ნაბრძანებად — 516,2.
ნაბუქალ-ი: ნაბუქალსა — 55,3.
ნაგ-ი: ნაგითა — 935,3.
ნაგრძელევ-ი — 816,2.
ნაგუშინდელევ-ი — 816,1.
ნადებარ-ი — 88,3.
ნადევრ-ი — 694,1.
ნადენ-ი: ნადენნი — 1254,1.
ნავაზირებ-ი — 426,1.
ნავანებ-ი: ნავანებისა — 701,2.
ნავ-დაულეწელ-ი — 1043,1.
ნავი-ხომალდ-ი — 1447,1.
ნაზ-ი — 720,2.
ნაზარდობა: ნაზარდობითა — 63,4.
ნაზობა — 1136,1.
ნაზრახ-ი: ნაზრახსა — 800,4.
ნათარგმანებ-ი — 9,1.
ნათენებ-ი — 1404,2.
ნათესავ-ი: ნათესავსა — 874,3.
ნათურქალ-ი: ნათურქალსა — 55,1.
ნაკ-ი: ნაკად — 806,2.
ნაკაზმ-ი: ნაკაზმისა — 1519,4.
ნაკვალევ-ი: ნაკვალევისა — 98,1.
ნაკვეთ-ი — 1291,2.
ნაკვეს-ი: ნაკვესთა — 339,4.
ნამ-ი: ნამსა — 1362,3.
ნამა — 686,3.
ნამგზავრებ-ი — 1279,2.
ნამუხთალავ-ი — 1231,2.
ნაომრობა — 1048,2.
ნაპობარ-ი — 901,3.
ნაპრალ-ი: ნაპრალსა — 522,1.
ნარ-ი — 393,3.
ნარინჯის-ფერ-ი: ნარინჯის-ფერნი — 480,1.
ნარნარ-ი: ნარნარითა — 1423,3.
ნარონებ-ი — 1462,4.
ნას-ი — 1205,1.
ნასაჯდომევ-ი: ნასაჯდომევსა — 1022,2.
ნასმენ-ი: ნასმენად — 700,1.
ნასროლ-ი: ნასროლსა — 74,3.

ნასროლ-ნაკრავ-ი: ნასროლ-ნაკრაესა — 70,4.
ნასუქალ-ი: ნასუქალსა — 55,2.
ნატეხ-ი — 593,3.
ნატირ-ი: ნატირითა — 953,1.
ნატრა — 1489,4.
ნატუსალ-ი: ნატუსალისად — 1345,1.
ნაუფლისწულევ-ი — 52,3.
ნაფოტა: ნაფოტასა — 611,3.
ნაფუშავ-ი: ნაფუშავისა — 1265,4.
ნაქადებ-ი: ნაქადებია — 1429,4.
ნაქებ-ი — 1143,1.
ნაქონებ-ი — 1462,3.
ნაქსოვ-ი: ნაქსოვისა — 1149,4.
ნალ-ი: ნალნი — 591,2.
ნალვიძებ-ი — 720,2.
ნაყოფ-ი: ნაყოფსა — 934,3.
ნაშობ-ი — 1558,2.
ნა-ჩანგ-დაფენ-ი — 1445,3.
ნაჩინ-ი: ნაჩინისა — 419,3.
ნაც-ი — 1204,4.
ნაცარ-ი: ნაცარსა — 1613,2.
ნაცარ-ი (=ცაში ნამყოფი): ნაცარსა — 1613,3.
ნაწვეთალ-ი — 570,4.
ნაწვიმარ-ი — 1588,4.
ნაწილ-ი — 16,1.
ნაჭარ-ი: ნაჭარნი — 1031,4.
ნაჭვრეტი — 898,4.
ნაჭირვებ-ი: ნაჭირვებსა — 18,1.
ნაჭორი: ნაჭორად — 130,3.
ნახაზობა — 1136,3.
ნახევარ-ი: ნახევარ — 438,3.
ნახლ-ი: ნახლები — 1633,3.
ნახლებ-ი (=ვინც ახლავს) — 690,2.
ნახმარებ-ი: ნახმარებსა — 1405,4.
ნახმობ-ი — 899,1.
ნახმობარ-ი — 370,4.
ნახოკ-ი: ნახოკსა — 611,3.
ნებ-ი — 697,1.
ნებიერ-ი: ნებიერად — 1413,3.
ნედლ-ი: ნედლად — 542,4.
ნეზვ-ი — 1204,3
ნიადაგულ-ი: ნიადაგულსა — 344,4.
ნიავ-ი — 1513,3.
ნიანგ-ი: ნიანგნი — 968,2.
ნინეველ-ი: ნინეველნი — 1613,2.
ნირ-ი — 1073,4.
ნიშ-ი: ნიშისა — 334,2.
ნიშაგ-ი: ნიშაგნი — 1445,3.
ნიჩი: ნიჩითა — 324,3.
ნუშ-ი: ნუშნი — 1280,2.
ნურადინ-ფრიდონ — 600,2.
ნუღარა: ნუღარას — 514,4.

## ო

ოთხმოცდაათი — 179,3.
ორა: ორანიღა — 185,2.
ორბ-ი — 980,1.
ორპირობა — 789,4.
ორხაულ-ი: ორხაულად — 461,3.
ოტა: ოტასა — 611,2.
ოფლ-ი: ოფლნი — 1072,2.
ოქრომჭედელ-ი: ოქრომჭედლისა — 898,1.
ოქსინო-გარდაგებულ-ი: ოქსინო-გარდაგებულსა — 1383,3.
ოცება: ოცებით — 1575,2.
ოხ-ი: ოხისა — 1260,1.
ოხრვა-ახ-ი: ოხრვა-ახმან — 894,3.
ოხრვა-სულთქმა: ოხრვა-სულთქმით — 716,2.

## პ

პაპა-ჩემ-ი: პაპა-ჩემმან — 601,1.
პატარა: პატარაი — 1584,3.
პატიმარ-ი: პატიმრად — 1322,2.
პატიჟ-გარდახდილ-ი: პატიჟ-გარდახდილისა — 1359,3.
პაშტა: პაშტაი — 421,1.

პერანგოსან-ი — 1355,4.
პერპერა: პერპერასა — 1437,4.
პირ-ბაკმიან-ი — 233,3.
პირ-ბოზ-ი: პირ-ბოზო — 1605,3.
პირ-გავსებულ-ი — 538,2.
პირ-გამეხებულ-ი — 522,1.
პირ-გამქუშავ-ი: პირ-გამქუშავია — 204,1.
პირ-მეტყველ-ი: პირ-მეტყველსა — 1001,3.
პირ-მკვახე: პირ-მკვახები — 1408,1.
პირ-მსუქან-ი — 1077,2.
პირ-მხიარულ-ი — 1327,2.
პირ-ნას-ი: პირ-ნასები — 1243,1.
პირ-პირ — 593,2.
პირ-შავ-ი — 1278,2.
პირ-ხმელ-ი — 1077,2.
პირება — 390,1.
პირიან-ი — 1095,4.
პირი-ვარდ-ი — 894,2.
პირობა — 1402,2.
პირუტყვ-ი — 938,3.
პირქუშ-ი: პირქუშად — 1159,2.
პლატონ-ი: პლატონისგან — 789,3.
პურობა-დარბაზობა: პურობა-დარბაზობასა — 1121,4.

## ჟ

ჟღერა — 488,2.

## რ

რაოდენ-ი — 219,3.
რაულ-ი: რაულად — 461,1.
რბევა — 13,1.
რეგვენ-ი: რეგვენნო — 1602,3.
რეულ-ი — 1463,3.
რემა — 54,2.
რიალ-ი — 1414,3.
რიან-ი: რიანო — 1537,3.
რიდება — 384,2.
რიდე-თმა: რიდე-თმასა — 1125,4.
რისხვა-მაღალ-ი: რისხვა-მაღალმან — 1621,4.
როდია — 1221,3.
რომანულ-ი: რომანულისა — 1558,2.
როსკიპ-ი: როსკიპო — 578,1.
როსტომ-ი: როსტომის — 195,3.
რტო: რტონი — 1625,3.
რუბ-ი: რუბები — 1146,3.
რუკა — 289,2.
რულ-ი (= წათელემა) — 391,2.
რულ-ი: (= ნავალი): რულნი — 722,1.
რქა: რქანი — 1166,4.
რჩომა: რჩომისა — 1034,4.
რწყულ-ი: რწყულისა — 696,3.
რხევა: რხევითა — 979,4.
რხეულ-ი — 4,3.
რუს-ი: რუსნი — 968,4.

## ს

საკვანე — 468,2.
სამარღნო: სამარღნოდ — 462,2.
სარაკე — 558,3.
საუგო: 785,4.
სამ-ი — 502,2.
სამანელ-ი: სამანლად — 329,3.
სატო: სატოითა — 1070,1.
სამაღნარო: სამაღნაროსა — 35,3.
სამოძვარ-ხშირ-ი: სამოძვარ-ხშირიო — 60,3.
სმრძანებელ-ი — 62,3.
სმრძანის-ი: სმრძანისთა — 1664,4.
სმურავ-ი — 1148,1.
სმურთალ-ი: სმურთალისა — 1366,3.
საგაზრდილო: საგაზრდილოსა — 212,2.
საგდებელ-ი: საგდებელისა — 1395,1.

საგან-ი: საგნად — 708,2.
საგმირო: საგმირონია — 377,2.
საგოგმანებ-ი — 9.2.
საგრილ-ი: საგრილად — 83,1.
საგულისო: საგულისონი — 719,1.
სადავე-უკუყრილ-ი — 866,3.
სადაობა — 1204,1.
სადარბაზო: სადარბაზოდ — 141,4.
სადარბაზობლად — 1647,1.
სადარნო — 1412,3.
სადარო — 40,3.
სადაფ-ი: სადაფთა — 1445,2.
სადაფო: სადაფოსა — 148,4.
სადებელ-ი (= დასადებელი): სადებლად — 181,2.
სადებელ-ი (= მოსადებელი): სადებლად — 342,2.
სადილ-ი: სადილად — 1578,3.
საეშმაკო — 879,3.
საეკველ-ი: საეკველისა — 362,4.
სავნებელ-ი: სავნებლისა — 278,4.
სავსება — 1345,3.
სავსებელ-ი: სავსებლად — 1345,3.
საზეო — 20,3.
საზიარო: საზიაროდ — 1455,4.
საზრახავ-ი — 1091,1.
სათამამო — 1515,3.
სათანაო: სათანაოდ — 1491,3.
სათნევ-ი: სათნევითა — 1403,4.
სათრეველ-ი: სათრეველად — 17,2.
სათუთობა: სათუთობითა — 63,1.
სათხარ-ი: სათხარად — 1116,4.
სათხოველ-ი — 681,4.
საკამათებელ-ი: საკამათებლად — 1666,2.
საკან-ი: საკნით — 267,1.
საკარგავ-ი: საკარგავისა — 336,3.
საკარგუმო — 316,1.
საკაცო — 1019,2.
საკვეხელ-ი: საკვეხელსა — 736,1.
საკვირველობა — 1360,3.
საკითხავ-ი — 1614,1.
საკრავ-ი: საკრავად — 708,2.
საკურტაკე — 558,4.
სალა — 1576,4.
სალამაზო: სალამაზოდ — 141,3.
სალამან — 1340,4.
სალამე — 1576,2.
სალეწელ-ი: სალეწლად — 1037.4.
სალმობა: სალმობანია — 1621,3.
სალტე-კოტა: სალტე-კოტასა — 611,4.
სამათას-სამათას-ი: სამათას-სამათასები — 1243,3.
სამალ-ი — 708,4.
სამალ-ი (= ისრის სასროლი რკინის ღარი) — 708,2.
სამამაცო: სამამაცონი — 62,4.
სამარ-ი — 8,4.
სამეფო (= მეფობისათვის გამზადებული): სამეფოდ — 476,2.
სამეყვისო: სამეყვისონი — 719,2.
